

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

GEORGIAN NATIONAL MUSEUM

გაცემი

## PROCEEDINGS

საბუნების მეცნიერებების და პრეისტორიკული სექცია

NATURAL AND PREHISTORIC SECTION

3



\*

თბილისი Tbilisi

2011

უაკ (UDC) 903+56+59+58+582.28+54

ს-323

G-37

H-355

საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
**GEORGIAN NATIONAL MUSEUM**

გაცემ  
**PROCEEDINGS**

საბუნებისმეტყველო და პრეიისტორიული სექცია  
**NATURAL AND PREHISTORIC SECTION**

რედაქტორი: აბესალომ ვეკუა  
პასუხისმგებელი მდივანი: ვარა ჭავაძე

**EDITOR-IN-CHIEF:** Abesalom Vekua

**EXECUTIVE SECRETARY:** Vera Pkhakadze

**სარედაქციო კოლეგია EDITORIAL BOARD**

აბესალომ ვეკუა  
ვერა ფხაკაძე  
გიორგი არაბულით  
მაია ბუხსიანიძე  
ოლეგ ბენდუქიძე  
ნიკოლოზ ვანიშვილი  
ხათუნა მიქაძე  
მედეა ნიორაძე  
რუსულან ჩაგელიშვილი

ABESALOM VEKUA  
VERA PKHAKADZE  
GIORGI ARABULIT  
MAIA BUKHSIANIDZE  
OLEG BENDUKIDZE  
NIKOLOZ VANISHVILI  
KHATUNA MIKHADZE  
MEDEA NIORADZE  
RUSUDAN CHAGELISHVILI


\*\*\*\*\*

კრებული ეძღვნება გამოჩენილი ქართველი პალეობიოლოგის, გეოლოგია-მინერალოგიის  
მეცნიერებათა დოქტორის, ოლღა (ოლია) ისლანის ასული ჯანელიძის ნათელ ხსოვნას.

კრებულში მოცემულია ეროვნული მუზეუმის ბუნებისმეტყველებისა და პრეისტორიის  
სექციის სპეციალისტების მიერ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი აღმოჩენები- სა და კვლევის  
შედეგები.

**The volume is dedicated to the memory of Dr. Olga (Olia) Djanelidze an outstanding Georgian Paleobiologist,  
doctor of geological and mineralogical sciences.**

**The volume contains articles of specialists of the natural history and prehistory section of the Georgian  
national museum describing important discoveries and research results of the last years.**



**ოლღა (ოლია) ისლანის ასული ჯანელიძე**

## ქალბათონ რ. ჯანელიძის გახსენება

(1909-2002)

2011 წელს შესრულდება 60 წელი პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დაარსებიდან. 1951 წელს ს.ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში ბინა დაიდო აკადემიკოს ლეო დავითაშვილის მიერ შექმნილმა პალეობიოლოგიის სექტორმა, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან. 1956 წელს პალეობიოლოგიის სექტორი ინსტიტუტად გარდაიქმნა და დღემდე ლეო დავითაშვილის სახელს ატარებს.

ახლადშექმნილ ინსტიტუტში ლ.დავითაშვილმა სხვადასხვა ჯგუფის ნამარხი ორგანიზმების მკვლევარი პალეონტოლოგები მოიწვია: ლ. გაბუნია (ხერხემლიანები), გ.კვალიაშვილი (მოლუსკები), ო.ჯანელიძე (მიკროფორამინიფერები), ო.ოქროპირიძე (მაკროფორამინიფერები-ნუმულიტები), ფ.მჭედლიშვილი (ნამარხი ფლორა), მ.ფოფხაძე (მხართფეხიანები), ნ.ხიმშიაშვილი (ამონიტები) და სხვა. შემდგომ წლებში ინსტიტუტს შეემატა ბევრი ახალგაზრდა მკვლევარი და ასპირანტი, ძირითადად თბილისის უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური და პედაგოგიური ინტიტუტების კურსდამთავრებულები. რომელთა მეცნიერულმა შრომებმა პალეობიოლოგიის ინსტიტუტს საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

პალეობიოლოგიის სექტორის პირველ თანამშრომელთა შორის იყო ერთ-ერთი პირველი მიკროპალეონტოლოგი საქართველოში, შესანიშნავი გეოლოგი, კაინოზოური ნალექების სტრატიგრაფიისა და ნეოგენური ფორამინიფერების უბადლო მცოდნე, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი ოლდა (ოლია) ისლანის ასული ჯანელიძე, რომელიც 60 წელი ემსახურა თავის საყვარელ საქმეს და 93 წლის ასაკში ვალმოხდილი აღესრულა.

ღვაწლმოსილი მეცნიერი ოლდა (ოლია) ისლანის ასული ჯანელიძე დაიბადა 1909 წლის 2 ნოემბერს აბაში, რკინიგზელის ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა და ერთადერთი შვილის აღზრდა დედამ, თამარ მალნარაძე-ჯანელიძემ იტვირთა. ო.ჯანელიძემ სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1927-1931 წლებში მუშაობდა მასწავლებლად თბილისის განათლების კომისარიატის მე-3 საბავშვო ბალში.

1931 წელს ო.ჯანელიძე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგია-მინერალოგიის ფაკულტეტის გეოლოგიურ განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1936 წელს. მისი პედაგოგები იყვნენ ქართული გეოლოგიური სკოლის ცნობილი კორიფეები: ა.ჯანელიძე, ი.კაჭარავა, ი.ყიფშიძე, ი.კახაძე, გ.გვახარია და სხვ.

ო.ჯანელიძის შრომითი საქმიანობა დაიწყო იმ დროს, როდესაც საქართველოში ფარ-

თოდ გაიშალა ყირიმ-კავკასიის ნავთობშემცველი კაინოზოური ნალექების გეოლოგიური შესწავლა, რაშიც ფორამინიფერების როლი მეტად მნიშვნელოვანი იყო. 1934 წელს სათანადო ლაბორატორიის ჩამოსაყალიბებლად და სპეციალისტების მოსამზადებლად ტრესტ „საქართობის“ მოწვევით ლენინგრადიდან ჩამოვიდა საკავშირო ნავთობგეოლოგიის ინსტიტუტის მიკროპალეონტოლოგი მ.მიასნიკოვა, რომელმაც თბილისში ერთი წელი დაჰყო. მისი ხელმძღვანელობით ქართველი მეცნიერები ეუფლებოდნენ მიკროპალეონტილოგიური კვლევის მეთოდებს. 1935 წელს დამამთავრებელი კურსის სტუდენტმა ო.ჯანელიძემ ამ ლაბორატორიაში დაიწყო მუშაობა. 1942 წელს ლაბორატორიის გაუქმების გამო იგი სამუშაოდ გადავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრაზე.

1945-1951 წლებში ო.ჯანელიძე სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო და გეოგრაფიის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელია, ამ პერიოდში შეთავსებით მუშაობდა ტრესტ „კავკასნახშირგეოლოგიაში“, სადაც მისი ინიციატივით დაარსდა მიკროპალეონტილოგიური ლაბორატორია. 1949 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელშიც საქართველოში პირველადაა აღნიერილი მიოცენური მიკროფორამინიფერების 54 სახეობა. ამავე ნაშრომში ო. ჯანელიძემ პირველმა დაადგინა თარხნული ნალექების სტრატიგრაფიული მდებარეობა კონახურსა და ჩიკრაკულ ნალექებს შორის. აღსანიშნავია, რომ ო.ჯანელიძის ამ ნაშრომს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პროფესორი ი.კახაძე, რომელიც თარხნული ნალექების დადგენის ფაქტს აღსანიშნავ წარმატებად მიიჩნევდა.

1951 წელს ო.ჯანელიძე ახლადშექმნილ პალეობიოლოგიის სექტორში უფროს მეცნიერ თანამშრომლად მიიწვიეს. მსოფლიო დონის მეცნიერთან - ლ.დავითაშვილთან ურთიერთობამ თავისი ნაყოფი გამოიღო; კარგი გეოლოგი და მიკროპალეონტოლოგი მალე დაეუფლა პალეობიოლოგიური კვლევის ახალ მეთოდებს, რომლებსაც წარმატებით იყენებდა ნეოგენური ნალექების სტრატიგრაფიის ყველაზე პრობლემური საკითხების გაშუქების დროს.

აკადემიკოს ლ.დავითაშვილის აზრით, „ო.ჯანელიძემ საფუძველი ჩაუყარა ნეოგენური ფორამინიფერების შესწავლას საქართველოში. იგი, როგორც სპეციალისტი, ყველასაგან გამორჩეულია იმით, რომ ჩინებულად ერკვევა გეოლოგიაში, რაც მის მიკროპალეონტოლოგიურ შრომებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს“.

ო.ჯანელიძემ გეოლოგიურ-პალეონტოლოგიური გამოკვლევები საყარაულოს, კონახურის, გორის, თარხნულის, ჩიკრაკულის, კარაგანულის, ვარნულის, ქართველურისა და კონკურის ბიოსტრატიგრაფიისა და ფორამინიფერების შესწავლას მიუძღვნა. მან დაადგინა ცალკეული სართულებისათვის დამახასიათებელი მიკროფაუნისტური კომპლექსები, მათი განვითარებისა და ცვალებადობის თავისებურებები; გაარკვია კავკასიის რეგიონის ნეოგენური ფორამინიფერების მიგრაციის გზები, აღადგინა მიოცენური აუზების ეკოლოგიური პირობები.

1970 წელს გამოქვეყნებული ფუნდამენტური მონოგრაფია „საქართველოს ქვედა და შუამიოცენური ფორამინიფერები“ ო.ჯანელიძის სადოქტორო დისერტაციაა. ამ ნაშრომში ავტორმა თავი მოუყარა კვლევის ძირითად შედეგებს, რომლებსაც თითქმის ოთხი ათეული წლის გულმოდგინე შრომით მიაღწია. ეს ნაშრომი პალეობიოლოგიური და გეოლოგიური გამოკვლევების შეხამების თვალსაჩინო ნიმუშია.

1977 წელს გამოქვეყნდა ო.ჯანელიძის მიონოგრაფია „საქართველოს მიოცენის პო-

ლიმორფინიდები“, რომელიც ფორამინიფერების ამ ოჯახის წარმომადგენელთა მონო-გრაფიული შესწავლის პირველი ცდაა. ავტორის აზრით, ამ ჯგუფის მიმართ განსა-კუთრებული ყურადღება განაპირობა ქვედა და შუამიოცენურ ნალექებში პოლიმორ-ფინიდების მრავალრიცხოვანი სახეობების სტრატიგრაფიულმა ლირებულებამ და მათი მორფოლოგიური აგებულების ცვალებადმა ხასიათმა.

1985 წელს ო.ჯანელიძემ თავის მოწაფეებთან (ლ.მაისურაძე, მ.ვეკუა) ერთად გა-მოაქვეყნა მონოგრაფია „შავი და კასპიის ზღვების აუზის გვიანნეოგენური ფორამინიფე-რებისა და ოსტრაკოდების განვითარება“, რომელშიც მოცემულია გვიანნეოგენური მი-კროფაუნის განვითარების ძირითადი ეტაპები, აღდგენილია მათი არსებობის პიონო-მიური პირობები, განხილულია ფაუნათა წარმოშობის, მიგრაციისა და გავრცელების საკითხები. ო.ჯანელიძე აქტიურად მონაწილეობდა საკავშირო და საერთაშორისო სა-მეცნიერო ორგანიზაციების საქმიანობაში. მისი მოხსენებები ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცეოდა და სპეციალისტების მოწონებას იმსახურებდა.

მისი სამეცნიერო მოღვაწეობის პერიოდში ძნელად მოიძებნება სამეცნიერო შრომები ან პრაქტიკოსი-გეოლოგების წლიური ანგარიშები, რომლებშიც ნეოგენური ნალექების სტრატიგრაფიის საკამათო საკითხების გადასაწყვეტად ო.ჯანელიძის შრომები და მის მიერ განსაზღვრული ფორამინიფერები არ იყოს გამოყენებული.

ო.ჯანელიძე განსაკუთრებული ხალისით მუშაობდა ველზე. შეიძლება ითქვას, რომ მას მთელი საქართველო ფეხით ჰქონდა მოვლილი. აღსანიშნავია, რომ მის მიერ ორგანიზე-ბულ საველე-საექსპედიციო სამუშაოებში ყოველთვის ბევრი ადამიანი მონაწილეობდა. მასთან თავს იყრიდნენ სხვადასხვა გეოლოგიური დაწესებულების ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდა თანამშრომლები; ისინი, ვისაც ველზე მუშაობა უნდა ესწავლა; ვისაც რომელიმე პრობლემური საკითხის გადაწყვეტა აინტერესებდა ან მიოცენური ნალექების ახალი ჭრილების გაცნობა სურდა. ჭეშმარიტი მეცნიერი ჯანელიძე თავის მოწაფეებს უხ-ვად უზიარებდა მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილ ცოდნას და გამოცდილებას.

ო.ჯანელიძე იყო საკავშირო საკოორდინაციო საბჭოს მიკროპალეონტოლოგიის შემ-სწავლელი კომისიისა და ნეოგენური კომისიის მუდმივი წევრი; საკავშირო პალეონ-ტოლოგიური საზოგადოებისა და საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების წევრი.

ო.ჯანელიძე უხმაუროდ ემსახურა თავის სამშობლოს და 2002 წლის 21 იანვარს ვალ-მოხდილი აღესრულა 93 წლის ასაკში.

ქალბატონი ოლია ჯანელიძის სახელი მუდამ დარჩება კოლეგებისა და მისი მოწაფეების მეხსიერებაში, როგორც კეთილშობილი ადამიანი და მეგობარი მაღალი კვალიფიკაციისა და ერუდიციის მქონე ნიჭიერი სპეციალისტი, რომელიც უშურველად გასცემდა ცოდნას, სითბოსა და სიყვარულს.

**ლამარა მაისურაძე**

## პრეისტორია

### ქართული სამეცნიერო არქეოლოგიის სათავეებთან — საქართველოს არქეოლოგიური ინსტიტუტი თბილისში

(ეძღვება გიორგი ნიორაძის დაბადებიდან 125-ე წლისთავს)

მედეა ნიორაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, თბილისი 0105  
ელ.ფოსტა: medeanioradze@rambler.ru;

კარგადაა ცნობილი, რომ ქართული არქეოლოგიის მიღწევებმა დღეს უკვე საერთაშორისო  
აღიარება მოიპოვა.

საქართველოში ადრეული ჰომინიდების ადგილსამყოფელზე სენსაციურმა აღმოჩენებმა,  
ქვისა და ენეოლითის ხანის ძეგლების კვლევა-ძიების შედეგებმა საქართველოს უძველესი ის-  
ტორია მსოფლიო მეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოაქცია. იგივე ითქმის ჩვენი ქვეყნის სხ-  
ვადასხვა კუთხეებში მიკვლეული ბრინჯაოს, ანტიკური თუ შუასაუკუნეების ხანის მატერიალ-  
ური კულტურის ძეგლების კვლევის შედეგებზეც, რომელიც სრულად წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის  
მდიდარ ისტორიულ წარსულს.

წარმატებულ სამეცნიერო კვლევებს არქეოლოგიაში მყარი საფუძველი ჯერ კიდევ XX საუკუნის  
20-30 წლებში შექმნილი სამეცნიერო არქეოლოგიური უჯრედებისა თუ დაწესებულებების მიერ წარ-  
მოებული სამუშაოებით ეყრდნა.

1925 წელს ივ. ჯავახიშვილის შუამდგომლობითადან არქეოლოგინით დოქტორი გიორგი ნიორაძე,  
რომელსაც პროფესიული არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული განათლება  
რუსეთისა (მოსკოვი) და ევროპის (ბერლინი, ჰამბურგი) უნივერსიტეტებში ჰქონდა მიღებული  
და კარგად იცნობდა იმ ხანის საველე-არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების მოწინავე მეთო-  
დიკას, სამშობლოში დაპრუნებისთანავე ინიშნება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქე-  
ოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელად (აფაქიძე, 1989, გვ. 4; გამყრელიძე,  
1996, გვ. 22). ამ პერიოდიდან დაწყებული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ ფართოდ  
წამოწყებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების გამლის კვალდაკვალ 1925 წლიდან თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ივ. ჯავახიშვილის წინადადებით გიორგი ნიორაძეს იწვევენ  
პრეისტორიის ლექტორად, არქეოლოგიის სწავლება და არქეოლოგიური მეცნიერების საფუძ-  
ლების შემუშავება კვლავ განახლდა (თბილისის უნივერსიტეტი, 1968, გვ. 382). 1934 წლიდან გ.  
ნიორაძე სათავეში უდგება ისტორიის ფაკულტეტზე მის მიერვე დაარსებულ არქეოლოგიის კათ-  
ედრას (ჯაფარიძე, 1989, გვ. 73; გამყრელიძე, 1996, გვ. 23). სწორედ არქეოლოგიის კათედრაზე 30-  
იან წლებშივე ჩატარა საფუძველი თეორიული და გათხრითი არქეოლოგიის სინთეზს (თბილისის  
უნივერსიტეტი, 1968, გვ. 382). არქეოლოგიის კათედრა საქართველოში პროფესიონალი არქე-  
ოლოგების აღზრდის მთავარ კერად იქცა.

თავდაპირველად საქართველოში არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება და მოპოვებული ნივთების მოვლა-შენახვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას დაევალა. შემდგომში მათ შეუერთდა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული საქართველოს არქეოლოგიური ინსტიტუტი (გამყრელიძე, 1991, გვ. 35; 1996, გვ. 22-23).

სამეცნიერო წრეებში კარგადაა ცნობილი როგორც ამ პირველი სამეცნიერო არქეოლოგიური უჯრედების, თუ დაწესებულების, ისე მათი მომდევნო დაწესებულებათა შრომითი საქმიანობისა და მეცნიერული კვლევა-ძიების შესახებ (აფაქიძე, 1972; 1973; ლორთქიფანიძე, 1976; 1981; გამყრელიძე 1991; 1996; 2009; გობეჯიშვილი, 1952; თბილისის უნივერსიტეტი, 1968; აკც. ბიბლიოგრაფია, 1997; აპაკიძე, 1967; ლორთქიფანიძე; 1982 და სხვ.). ნაკლებადაა ცნობილი და ზოგიერთთათვის უცნობიც კია (როგორც დავრწმუნდი ჩემს კოლეგებთან საუბრისას - მ.ნ.) საქართველოში პირველი არქეოლოგიური ინსტიტუტის არსებობის შესახებ, რაც არცაა გასაკვირი. ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ინსტიტუტმა ხანმოკლე პერიოდით იარსება. მისი მიზნები, ამოცანები, მოგვიანებით არ იყო გაშუქებული საკმარისად, რის გამოც, ზოგიერთთათვის, ისინი გაურკვეველი და ბუნდოვანია, ზოგიერთთა აზრით კი არქეოლოგიური ინსტიტუტი უფრო ხელოვნებათმცოდნეობითი პროფილის ორგანიზაცია იყო.

ამ გარემოებამ გადამაწყვეტინა ამ ინსტიტუტის შესახებ შემეგროვებინა მასალები და მუშაკები გამეცნო საზოგადოებისათვის, ვინაიდან საქართველოს არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა, პირველმა სპეციალიზებულმა არქეოლოგიურმა სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებამ, სადაც არქეოლოგის დარგში სპეციალური განათლების მქონე მეცნიერ-მუშაკები მუშაობდნენ, უდავოდ თავისი წვლილი შეიტანა ქართული არქეოლოგის განვითარების საქმეში.

სტატია დაიწერა საინფორმაციო (აფაქიძე, 1988; გამყრელიძე, 1996 და სხვ.) და საარქივო მასალებზე დაყრდობით, რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგის განყოფილებაში, გიორგი ნიორაძის პირად არქივში. სტატია მიზნად ისახავს საზოგადოებას გააცნოს ამ არქეოლოგიური დაწესებულების სამეცნიერო კვლევის მიმართულებები, ინსტიტუტის მიზნები და ამოცანები. გააცნოს ის პირველი სპეციალური განათლების მქონე სამეცნიერო კადრები, რომლებიც მოღვაწეობდნენ საქართველოს არქეოლოგიურ ინსტიტუტში, მოუთხროს მათი შრომითი საქმიანობის შესახებ.

აი, რას გვიამბობს საარქივო მასალები:

“სამეცნიერო-საკვლევო არქეოლოგიურ ინსტიტუტზე მოთხოვნა დიდი ხანია უკვე იგრძნობა საქართველოში. ქვეყნის სიმდიდრე სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლებით, რომლებიც ასახავს: გამყინვარების ეპოქის ადამიანის პირველ გამოჩენას, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ჩასახვა-განვითარებას, ეპოქას მდიდარი ბრინჯაოს ინდუსტრიით, კლასიკურ ხანას და სხვ... ეს ყველაფერი მოითხოვს კარგად მომზადებულ კადრებს, სპეციალისტ მკვლევარებს, რომლებიც შესძლებენ ამ არსებული მასალების შესწავლას და მათ მეცნიერების სამსახურში ჩაყენებას, საზოგადოების ფართო წრეების განათლებას. არც თუ ისე შორეულ წარსულში ქართული არქეოლოგიის დიდ ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ კვალიფიციური სამეცნიერო ძალების მონაწილეობა წარსულის მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის საქმეში შედარებით სუსტი იყო. კოლექციების დიდი ნაწილი, რომლებიც შეადგენს საქართველოს მუზეუმის ძირითად ფონდებს, შეგროვილია მოყვარულების მიერ, რომელთაც არ გააჩნდათ საკმარისი მეცნიერული მომზადება, ან ეს კოლექციები შესყიდულია მუზეუმის მიერ და ამდენად ისინი შედარებით ნაკლები მეცნიერულ მნიშვნელობას.....”

განსაკუთრებით სუსტად იყო შესწავლილი ამიერკავკასიაში ადამიანთა საზოგადოების განვითარების ადრეული სტადიები — პალეოლითი და ნეოლითი, მათი კვლევა კი მოითხოვს განსაკუთრებით გულმოდგინე და საფუძვლიან მომზადებას. ამდენად წარსულის ეს პერიოდები, რომლებთანაც დაკავშირებულია ისეთი ფართო სამეცნიერო პრობლემები, როგორიცაა: ადამიანის წარმოშობა და მისი კულტურები; მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის წარმოქმნა — დიდ აქტუალობას იძენს. მათ გარეშე საუბარი ისტორიული პროცესების ადრეულ ეტაპებზე გაურკვეველი რჩება. საქართველოში ამ დროისათვის უკვე აღმოჩენილი პალეოლიტური სადგომები ძველ წარმოდგენას ამიერკავკასიის გვიანი დასახლების თაობაზე მთლიანად ამსხვრევს და ნიადაგს აცლის. ეს აღმოჩენები კავკასიას, მისი ოროგრაფიული და ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებით, იმ ქვეყნების რიცხვს მიაკუთვნებს, რომელთაც, მკველვარი, ადამიანის წარმოშობისა და მისი კულტურის საკითხების კვლევისას, გვერდს ვერ აუკლის... ეს ყველაფერი და კიდევ ბევრი სხვა აუცილებელს ხდის, ამ მიმართულებით თბილისში ჩატარდეს ფართო სამეცნიერო საკველვა-ძიებო სამუშაოები და საამისოდ მომზადდეს სპეციალური სამეცნიერო კადრები, მოზიდული იყოს ახალგაზრდა ძალები. საჭიროა დაარსდეს არქეოლოგიური სამეცნიერო-საკულტო ინსტიტუტი ასპირანტურის კურსებით” (1935 წ. განსახურმის დოკუმენტის ასლი რუსულ ენაზე იბეჭდება შემოკლებით, დაცულია გიორგი ნიორაძის პირად არქივში).

1935 წელს ქ. თბილისში გაიხსნა საქართველოს არქეოლოგიური სამეცნიერო — კვლევითი ინსტიტუტი.

“ბრძანება №958 განათლების სახალხო კომისარიატისადმი 1935 წლის 28 ოქტომბერს.

უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო — საკულტო დაწესებულებათა სამმართველოს მიერ გეგმით გათვალისწინებული არქეოლოგიური ინსტიტუტის გახსნის შესახებ ვძრძანებ:

1. გაიხსნას ტფილისში 1 ნოემბრიდან არქეოლოგიური სამეცნიერო — საკულტო ინსტიტუტი.
2. არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნოს პროფ. გიორგი ნიორაძე.

განათლების სახალხო კომისარი აკ. თათარიშვილი

დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი №300, აღწერა №20, საქმე №2 გვ. 35). დოკუმენტს ხელს აწერს განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელწიფო საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე ე. გორდელაძე.

არქეოლოგიური სამეცნიერო — კვლევითი ინსტიტუტი იყო პირველი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც იკვლევდა ჩვენი ქვეყნის წარსულს იმ არქეოლოგიური მონაპოვრების შუქზე, რომელიც უკვე იყო დაგროვილი სხვადასხვა ერთეული მონაპოვრებისა თუ გათხრების გზით (ა. აფაქიძე).

საქართველოს არქეოლოგიურ სამეცნიერო — საკულტო ინსტიტუტს, რომელიც შედიოდა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის უწყებაში უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო — საკულტო დაწესებულებათა სამმართველოს მეშვეობით, ჰქონდა თავისი წესდება:

## I მიზანი

1. ინსტიტუტის მიზანს შეადგენს:

ა) მეცნიერულად შეისწავლოს საქართველოს და მოსაზღვრე ქვეყნების ტერიტორიაზე სულ

უძველესი დროიდან მცხოვრებ ხალხთა საზოგადოებრივ ფორმათა განვითარებისა და მატერიალური კულტურის ისტორია უმთავრესად არქეოლოგიური მასალების მიხედვით;

ბ) არქეოლოგიური ძეგლების და მასალების დაგროვება მისი კვლევის ყველა დარგში;

გ) მისი მუშაობის შედეგების გამოქვეყნება და საერთოდ არქეოლოგიური მეცნიერების მიღწევათა პოპულარიზაცია ფართო მასებში;

დ) მოამზადოს არქეოლოგიურ დარგში მომუშავე მაღალი კვალიფიკაციის კადრები და ხელი შეუწყოს საქართველოში მომუშავე არქეოლოგების კვალიფიკაციის ამაღლებას;

ე) აქტიურად ჩაებას სოციალისტურ მშენებლობაში თეორიული პრობლემების დამუშავებით, რომელიც დაკავშირებული იქნება ტექნიკის ისტორიასთან და კულტურული ფრონტის ამოცანებთან;

## II საშუალებანი

2. ამისათვის საქართველოს არქეოლოგიური ინსტიტუტი:

ა) აწყობს საკულეურ ლაბორატორიებს;

ბ) აწყობს ლექციებს და პრაქტიკულ ვარჯიშობებს მაღალი კვალიფიკაციის არქეოლოგთა მოსამზადებლად;

გ) აწყობს ექსპედიციებსა და ექსკურსიებს კვლევისა და მასალების დაგროვების მიზნით;

დ) მართავს საჯარო გამოფენებს მუდმივს და დროებითს;

ე) იარსებებს სხვადასხვა დამხმარე დაწესებულებად (სამულიაუ, სახელოსნოები და სხვ.);

ვ) სცემს მეცნიერულ და პოპულარულ შრომებს თავისი მუშაობის სფეროდან;

ზ) აწყობს მეცნიერულ მოხსენებებს, საჯარო ლექციებს, ინვენტარიზაციებს და ღებულობს მონანილეობას არქეოლოგიურ ყრილობებზე, რომლებიც გაიმართება საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ;

თ) მომსახურეობას გაუწევს სხვადასხვა დაწესებულებებს და წარმოებებს მეცნიერული კონსულტაციით, ექსპერტიზით, გამოკვლევებით, ლექციებით, მოხსენებებით, კერძო საკითხების დამუშავებით და სხვ.

## III სტრუქტურა

3. საქართველოს არქეოლოგიურ ინსტიტუტს აქვს შემდეგი სექტორები:

ა) წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის სექტორი;

ბ) ფეოდალიზმის ისტორიის სექტორი, მასვე აქვს:

გ) არქეოლოგიური მუზეუმი;

დ) ბიბლიოთეკა;

ე) ფოტო-ლაბორატორია;

ვ) გამომცემლობა;

ზ) დამხმარე და დამხმარე—ტექნიკური დაწესებულებანი (კანცელარია, სახელოსნოები და სხვ.).

შენიშვნა 1: სექტორთა რიცხვის და რაგვარობის შეცვლა ხდება განათლების სახალხო კომისიის მიერ უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო—საკულეურ დაწესებულებათა სამმართველოსთან შეთანხმებით და ინსტიტუტის შუამდგომლობით.

**შენიშვნა 2:** დამხმარეტექნიკური დაწესებულების დასაარსებლად ან გასაუქმებლად საჭირო არის ინსტიტუტის დირექტორის შუამდგომლობა და უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო—საკულევო დაწესებულებათა სამმართველოს დასტური.

**შენიშვნა 3:** ასპირანტებთან მეცადინეობის გეგმის და საგნების რაობას ადგენს ინსტიტუტის დირექტორი და ათანხმებს უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო—საკულევო დაწესებულებათა სამმართველოსთან.

#### **IV შემოსავალი**

4. საქართველოს არქეოლოგიური ინსტიტუტის შემოსავალს შეადგენს:

- ა) საქართველოს სსრ-ის განათლების სახალხო კომისარიატის ბიუჯეტით მიღებული სახარჯთაღრიცხვო თანხები;
- ბ) სამეურნეო ორგანიზაციებიდან გამოყოფილი თანხები;
- გ) სპეციალური თანხები (გამოფენის, გამომცემლობის, ლაბორატორიების და სხვ. შემოსავალი).

#### **V პირადი შემადგენლობა**

5. საქართველოს არქეოლოგიური ინსტიტუტის პერსონალი შედგება: დირექტორის, სწავლული მდივნის, უფროსი სპეციალისტების, უფროსი და უმცროსი მეცნიერული მუშაკების, ასისტენტების, პრეპარატორების და სხვ. სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლებისაგან თანახმად დამტკიცებული შტატებისა.

6. ინსტიტუტს ხელმძღვანელობს განსახკომის მიერ დანიშნული დირექტორი, რომელიც ერთმმართველობის საფუძველზე განავებს ინსტიტუტის სამეცნიერო—ადმინისტრაციულ და სამეურნეო საქმიანობას. კერძოდ კი მას ევალება:

- ა) განსახკომთან შეთანხმებით სამუშაო გეგმების, ექსპედიციების, სამეცნიერო—კვლევითი მუშაობის ორგანიზაციის და მეთოდების დამტკიცება და მათი განხორციელების ხელმძღვანელობა;
- ბ) ინსტიტუტის ყველა თანამშრომელთა მიღება—დათხოვნა არსებული კანონების მიხედვით;
- გ) საბჭოთა კავშირის და უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან კავშირის გაბმა—განხორციელება;
- დ) ფულადი სახსრების ხარჯვა—გამოყენება;
- ე) შინაგანი განაწესის დადგენა და შრომითი დისციპლინის განხორციელება;
- ვ) სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობა, რომლის შემადგენლობას დირექტორის წარდგენით ამტკიცებს უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო—საკულევო დაწესებულებათა სამმართველო;
- ზ) ხელშეკრულების დადება და პასუხისმგება მასზე ხარჯთაღრიცხვით მიკუთვნილი თანხების ფარგლებში.

7. სწავლულ მდივანს უნდა ჰქონდეს უმაღლესი ცოდნა მიღებული და სამეცნიერო მუშაობის საკმაო სტაჟი. ის ასრულებს დირექტორის მოვალეობას ყოველთვის, როდესაც უკანასკნელს ამის საშუალება არ აქვს.

8. უფროს სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ აუცილებლად უმაღლესი განათლება, დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობის საკმაო სტაჟი და დაბეჭდილი მეცნიერული გამოკვლევები არქეოლოგიაში. მათ შეუძლიათ დირექტორის მინდობილობით და დირექტორის საერთო მითითების

საფუძველზე ხელმძღვანელობა გაუწიონ ინსტიტუტის ერთ—ერთ სექტორს და მთელი მუშაობისათვის პასუხისმგებელი არიან დირექტორის წინაშე.

9. უფროსი და უმცროსი მეცნიერული მუშაკები აუცილებლად უნდა იყვნენ უმაღლესი ცოდნით და ჰქონდეთ სამეცნიერო მუშაობის სტაუი, ისინი მიმაგრებულნი უნდა იყვნენ ინსტიტუტის სექტორებთან და მუშაობდნენ უფროსი სპეციალისტის (სექტორის გამგის) ხელმძღვანელობით.

10. ასისტენტს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლების ცენზი და სამეცნიერო მუშაობის სტაუი.

11. ინსტიტუტის მუდმივი თანამშრომლების გარდა, ინსტიტუტში მეცნიერული მუშაობის წარმოება, ინსტიტუტის დირექტორის ნებართვით, შეუძლია ყველა სპეციალისტს, რომელიც ამას მოისურვებს. ასეთ მომუშავეთ ინსტიტუტში მუშაობა არავითარ უფლებას ინსტიტუტის პირისპირ არ ანიჭებს. მუშაობის ნებართვა ყოველთვის შეიძლება გაუქმებული იქნეს თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

12. ინსტიტუტის გარეშე მომუშავე მეცნიერებს დირექტორთან შეთანხმებით და ხელშეკრულების საფუძველზე შეუძლია მოამზადონ ესა თუ ის სამეცნიერო შრომა არქეოლოგიის დარგში, რაშიაც მათ მიეცემათ შესაფერი ჰონორარი.

13. ასპირანტებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ უმაღლესი ცენზი და მიიღებიან ინსტიტუტში სათანადო გამოცდების ჩაბარების შემდეგ. ასპირანტები რჩებიან ინსტიტუტში სამ წელს, რომლის შემდეგ ვალდებული არიან დაიცვან დისერტაცია მეცნიერული ხარისხის მისაღებად, თანახმად ასპირანტებისათვის არსებული წესდებისა.

**შენიშვნა 1:** ინსტიტუტს შეუძლია იყოლიოს საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა კუთხეებში წევრ—კორესპონდენტები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს არქეოლოგიური მუშაობით. მათ ევალებათ ცოცხალი კავშირი იქონიონ ინსტიტუტთან და ხელი შეუწყონ ინსტიტუტის მეცნიერულ კვლევა—ძიებას. ინსტიტუტის წევრ—კორესპონდენტებს ირჩევს მუზეუმის დირექტორი.

## VI გათხრის უფლება და სხვ.

14. არქეოლოგიურ ინსტიტუტს უფლება აქვს აწარმოოს არქეოლოგიური და სხვა მეცნიერული ხასიათის გათხრები და კვლევა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს და თანაც გეგმიანად მოაწესრიგოს ყოველგვარი არქეოლოგიური გათხრები საქართველოში.

**შენიშვნა 1:** ყველა ის მკვლევარი თუ დაწესებულება, რომელიც არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს ან აგროვებს მასალებს საქართველოს ტერიტორიაზე და შესაფერი ნებართვის მიღების შემდეგ ამ მასალების რესპუბლიკის საზღვრებიდან გატანა სურს, ვალდებული არის მასალების პირველი სრული კოლექცია არქეოლოგიურ ინსტიტუტს გადასცეს.

15. არქეოლოგიურ ინსტიტუტს უფლება აქვს ჩაბაროს ასპირანტებისაგან ყოველგვარი გამოცდები და აღძრას შუამდგომლობა საკვალიფიკაციო კომისიის წინაშე ასპირანტებისათვის სამეცნიერო ხარისხის მისაკუთვნებლად.

16. ინსტიტუტს უფლება აქვს შეიძინოს ყოველგვარი უძრავი და მოძრავი ქონება.

17. ინსტიტუტს უფლება აქვს უბაჟოდ მიიღოს უცხოეთიდან ინსტიტუტისათვის საჭირო მეცნიერული ხასიათის ამანათები და ისარგებლოს საფოსტო ამანათების უფასოდ გადაგზავ-

ნის უფლებით, თანახმად საკავშირო სახკომსაბჭოს 1924 წლის 2 სექტემბრის დადგენილებისა და საკავშირო ფოსტა—ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის 1924 წლის 16 სექტემბრის ცირკულარისა №23—867.

18. ინსტიტუტს აქვს თავისი შტამპი და ბეჭედი რესპუბლიკის გერბის გამოსახულებით და წარწერით: „საქართველოს არქეოლოგიური ინსტიტუტი“ (საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი №300, აღწერა №14, საქმე №66, გვ. 30—35). (შტამპი და ბეჭედი)

საქართველოს არქეოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელთა შესახებ ვგებულობთ იმ საარქივო დოკუმენტური მასალების მიხედვით, რომლებიც დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმსა და გ. ნიორაძის პირად არქივში.

„საქართველოს სსრ განსახკომი, №412, 25.XI.1935 წ.

არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორს

საქართველოს ფინანსახკომის ცენტრალური საშტატო კომისიის დადგენილების თანახმად 1935 წლის 15 სექტემბრიდან თქვენი დაწესებულების ადმინისტრაციულ—ტექნიკური შტატი დამტკიცებულია თანდართული სიის მიხედვით. წინადადება გეძლევათ დაუყოვნებლივ გაატაროთ ცხოვრებაში“.

დოკუმენტს ხელს აწერს უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო—საკვლევო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი პროფესორი დ. დოლიძე.

1936 წლიდან საქართველოს არქეოლოგიური ინსტიტუტის შტატი შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: დირექტორი, სწავლული მდივანი, უფროსი სპეციალისტი, უფროსი მეცნიერ მუშაკი, უმცროსი მეცნიერ მუშაკი, მხატვარი, რესტავრატორი-მულიაჟორი, ბუხპალტერი, საქმის მწარმოებელი—მემანქანე, ფოტოგრაფი, ბიბლიოთეკარი, შიკრიკი, დარაჯი, ინკასატორი.

დოკუმენტებს შორის არის უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო—საკვლევო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსისა და განათლების სახალხო კომისარიატის სახელზე გიორგი ნიორაძის მიერ 1935—1936 წლებში დაწერილი განცხადებები თხოვნით ინსტიტუტში თანამშრომელთა მოწვევის ნებართვის მიღების თაობაზე. ამ დოკუმენტებიდან ვგებულობთ, რომ ინსტიტუტის დირექტორის თხოვნა დაუკმაყოფილებიათ (თანხმობაზე ხელს აწერს ხ. ღლონტი) და ინსტიტუტში სამუშაოდ მოწვეულები იყვნენ: სწავლულ მდივნად ეკატერინე მახარაძე; საქმის მწარმოებლად გიორგი გოგია; მეცნიერ მუშაკებად: დანიელ მეგრელიშვილი, ანდრია აფაქიძე, ნინო კილაძე (იგივე ბერძენიშვილი), კონსერვატორ—რესტავრატორი დავით ციციშვილი, მოანგარიშე—მდივნის თანამდებობაზე მერი იოსელიანი. ინსტიტუტს ჰყავდა შიკრიკი ფეფო ბადრიძე.

იმხანად არქეოლოგიური კადრების ნაკლებობას კარგად გრძნობდა გიორგი ნიორაძე, რასაც გამოხატავდა საქართველოს განსახკომის სახელზე დაწერილ წერილში:

„არქეოლოგიური ინსტიტუტის დაარსებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ტერიტორიაზე მოპინადრე ხალხთა შორეული წარსულის შესწავლის საქმეში არქეოლოგიური ინსტიტუტი შესძლებს შეავსოს კაცობრიობის ისტორიის ბევრი ახალი ფურცელი, მაგრამ უფრო ნაყოფიერი რომ იყოს ინსტიტუტის მუშაობა, საჭიროა ახალი კადრები, რომლებიც აითვისებენ არქეოლოგიური მეცნიერების მიღწევებს და თავიანთ წვლილსაც შეიტანენ მის განვითარებაში. . . არქეოლოგიაში მომუშავე სპეციალისტები დღეს თითქმის არ მოიპოვება საქართველოში. . . ამიტომ აუცილებლად საჭიროა ინსტიტუტმა იზრუნოს ახალგაზრდა კადრების მომზადებაზე,

რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან საქართველოში არქეოლოგიური კვლევა—ძიების საქმეს და თავიანთ წვლილს შეიტანებ კაცობრიობის ისტორიის სწორად გაშუქებაში. ამისათვის საჭიროა ინსტიტუტმა მომავალი 1936 წლის 1 იანვრიდან აიყვანოს ასპირანტები. ასპირანტების შემდეგი მიღება უნდა მოხდეს 1937 წლის 1 იანვრისათვისაც და ა.შ.... ამიტომ, ვთხოვდი განსახკომს ნება დაერთო და თანაც გაეღო შესაფერი ხარჯები ასპირანტების მოსამზადებლად.

არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი პროფ. გ. ნიორაძე  
1935 წლის 15 დეკემბერი”.

არსებობს განათლების სახალხო კომისარიატის 1936 წლის 3 იანვრის თათბირის ოქმი ამ საკითხთან დაკავშირებით, საიდანაც ირკვევა, რომ გ. ნიორაძის ეს თხოვნა დაკმაყოფილდა.

«...Постановление: Просим Управление Научно—Иследовательского Учреждения об ускорении деятельности Археологического Института и скорейшей организации при нем Совета... В целях подготовки кадров ускорить организацию аспирантуры по археологии при Археологическом Институте Грузии» (საქართველოს ეროვნული სახელმწიფო არქივი, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №300, აღწერა №14, საქმე №67, გვ. 20).

ინსტიტუტში ძირითადი თანამშრომლების გარდა შეთავსებით მუშაობდა აგრეთვე გეოლოგი პროფ. დავით წერეთელი, რის შესახებაც მისი განცხადებიდან ვგებულობთ:

„საქართველოს არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორს!

... ვინაიდან ჩემს მიზანს, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან, წარმოადგენდა მეოთხეული სისტემის შესწავლა და მასთან დაკავშირებული გამყინვარების პერიოდები, რომელზედაც ფაქტიური მასალების დაგროვების მიზნით ვმუშაობ ოთხი წელი. ამჟამად ვმუშაობ თეორიულ დარგში, რისთვისაც მოუცილებელია არქეოლოგიდან პალეოლითის მეცნიერული ცოდნა. ამისათვის, გთხოვთ, რათა მიმიღოთ თქვენდამი რწმუნებულ ინსტიტუტში თანამშრომლად პალეოლითის შესწავლის მიზნით, უშუალოდ თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ

საქართველოს მუზეუმის გეოლოგიური განყოფილების უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი დავით წერეთელი 7.XII.1935 წელი“.

ბ-ნი დავით წერეთელი მოგვიანებით, ჩვენთან, მეოთხეული პერიოდის შემსწავლელ არქეოლოგებთან საუბრისას, მადლიერებით იხსენებდა არქეოლოგიურ ინსტიტუტში მისთვის ნაყოფიერად გატარებულ პერიოდს, აფასებდა იმ კონსულტაციებს, თეორიულ თუ პრაქტიკულ ცონდა—გამოცდილებას, რაც მან ინსტიტუტში გ. ნიორაძისაგან მიიღო. ბ-ნი დავითი ყოველთვის გვეხმარებოდა პალეოლითმცოდნე არქეოლოგებს საველე სამუშაოების დროს გეოლოგიური ხასიათის საკითხების გარკვევაში. ასე უნდა ყოფილიყო 1976 წლის ზაფხულშიც, როდესაც მე არქეოლოგიურ გათხრებს ვაწარმოვებდი მდ. წყალწითელას ხეობის მღვიმე საცხოვრისებში (საკაუია, ორთვალა) და ველოდებოდი ბ-ნი დავითის ჩამოსვლას ექსპედიციაში, სოფ. გოდოგანში. ის კი, ამ დროს მოსკოვში, გეოგრაფთა XIII საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩასული, მოულოდნელად, გულის შეტევით გარდაიცვალა 1976 წლის 30 ივლისს.

არქეოლოგიურ ინსტიტუტს მისი დაარსებისას საკუთარი ფართი არ გააჩნდა, რაც აფერხებდა ინსტიტუტის ნორმალურ მუშაობას. ინსტიტუტმა ბინა საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში დაიდო. გ. ნიორაძის მცდელობამ, რომ ინსტიტუტისათვის მიეცათ ბინა, შედეგი არ გამოიღო, რაზედაც ეს დოკუმენტი მეტყველებს:

“სახალხო კომისართა საბჭო და ეკონომიური საბჭო, 1936 წლის 29 სექტემბერი, №12 |136, განათლების სახალხო კომისარიატს №412-ზე 20/VIII

გაცნობებთ, რომ თქვენი შუამდგომლობა არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის პროფ. გიორგი ნიორაძისათვის ბინის შესაძენად 7 000 მანეთის გახარჯვის ნებართვის მიცემის შესახებ სახუმსაბჭოს მიერ დატოვებულია უშედეგოდ. “დოკუმენტს ხელს აწერენ: საქმეთა მმართველის თანაშემწებ. ფალავა და საერთო განყოფილების გამგე ი. ჯანელიძე (საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი №300, აღწერა №14, საქმე №82 გვ. 68).

ინსტიტუტი დაარსებისთანავე ორგანიზაციულ მუშაობას შეუდგა: შესძლო შეეძინა ინვენტარი (საწერი მაგიდები, წიგნის კარადები, სკამები, საბეჭდი მანქანა და სხვ.). შეეძინა ინსტრუმენტები, ფოტო—აპარატები, სხვადასხვა ხელსაწყო—იარაღები მეცნიერულად დაყენებული არქეოლოგიური გათხრების საწარმოებლად, ლაბორატორიის მოწყობილობა განათხარი მასალების ლაბორატორიულად დამუშავების მიზნით, აგრეთვე სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა ინსტიტუტის ბიბლიოთეკისათვის (საქართველოს არქეოლოგიური ინსტიტუტის 1935 წლის ანგარიში, დაცულია ს. ჯანაშიას სახელმწიფო საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში). არქეოლოგიური ინსტიტუტისათვის წიგნების გამოწერა ხდებოდა რუსეთიდან, ევროპიდან.

„В Государственную Академию Истории Материальной Культуры, 13-го декабря 1935 года Археологический Институт ССР Грузии перечислил на Ваш тек. счет две тысячи (2000) рублей. Просим на эту сумму переслать все имеющиеся у Вас на складе издания ГАИМК-а и Московского Археологического О-ва. В случае, если стоимость этих изданий превысит 2000р., то книги сверх этой суммы просим выслать наложенным платежом Археологическому Институту по адресу: Тифлис, Кецховели 10. Музей Грузии, для Археологического Института, Директор Института: Ниорадзе, секретарь: Цицишвили, 15.XII.1935. (დოკუმენტის ასლი დაცულია ს. ჯანაშიას სახელმწიფო საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში).

არქეოლოგიური ინსტიტუტის მიერ საველე—გათხრითი სამუშაოებისა და საკვლევა—ძიებო საქმიანობის ჩასატარებლად ვითარებას ასახავს ოქმები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული:

“Протокол совещания при Главнауке Наркомпроса ССРГ по вопросу об археологических раскопках в. 1936 году.

1 февраля 1936 года

Ниорадзе: .... В Археологическом Институте достаточных, особых кадров нет. Что касается раскопок, то нами намечены: Чиатура, Дабла-Гоми и разведки в Сачхере, где обнаружена очень интересная культура. Раз сегодня поставлена проблема Колхида, то все внимание должно быть обращено на это. Надо докончить Квалони, затем надо докончить Анаклию и Очамчире.

Долидзе<sup>1</sup>: ...У нас есть разные сведения об археологических раскопках и находках.... Надо проф. Г.К. Ниорадзе поехать и осмотреть эти находки ... Я думаю поручить Археологическому Институту составить вместе с заинтересованными организациями Абхазии и Аджаристана, генеральный план на 2-3 года: какие объекты исследовать в первую очередь и какие-во вторую.

რაც შეეხებოდა მასალების დამუშავებას:

<sup>1</sup>პროფ. დ. დოლიძე — განსახუმის სამეცნიერო სამმართველოსა და უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო—საკვლევო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი.

Долидзе:... Теперь об обработке материалов. Это чисто научная кабинетная работа соответствующих организаций. Насчет тех, которые мы не можем здесь анализировать, надо создать такую организацию работы при Археологическом Институте.

საგამომცემლო საქმიანობასთან დაკავშირებით:

Долидзе:... Мы лишили Музей издательской деятельности. Будет издаваться "Бюллентень Археологического Института".

Предлагаю признать нужным и необходимым и издание бюллетея археологических раскопок при Археологическом Институте (საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი №300, აღწერა №14, საქმე №67, გვ. 8-9; 12-14).

ჩვენს ხელთაა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში დაცული საქართველოს არქეოლოგიური ინსტიტუტის 1936 წლის სამუშაო გეგმა (დამტკიცებულია 1936 წლის 25.III), რომელიც კვარტალების მიხედვითაა შემდგარი და ნათლად წარმოგვიდგენს ინსტიტუტის სამეცნიერო პრობლემატიკას, ინფორმაციას იძლევა საველე გათხრითი სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ. კვლევა—ძიება ტარდებოდა სამეცნიერო თემების შესასრულებლად: „პალეოლითი საქართველოში“; „ენეოლითი დასავლეთ საქართველოში“; „დავით ალმაშენებელის დრო“. თემებთან დაკავშირებით ჩატარებული იყო არქეოლოგიური გათხრები მონამეთას (საკაუიას) გამოქვაბულში პალეოლითის ხანის ადამიანის ნაშთების გამოვლენისა და მათ შესახებ ნაშრომის დაწერის მიზნით. სამუშაოებს ასრულებდნენ გ. ნიორაძე (ხელმძღვანელი), ტ. ჯაფარიძე და ა. აფაქიძე. არქეოლოგიური ინსტიტუტის ექპედიციამ მღვიმეში აღმოაჩინა ზედაპალეოლითის ხანის ძალზედ მდიდარი კოლექცია კაუისა და ობსიდიანის, აგრეთვე ძვლისა და რქის იარაღ—ხელსაწყოებისა და მეოთხეულის ცხოველთა ძვლოვანი ნაშთების სახით. მიკვლეული იქნა თვით ზედაპალეოლითელი ადამიანის *Homo Sapiens sapiens*-ის ჩონჩხის ნანილებიც, რაც იშვიათ მონაპოვარს წარმოადგენდა. აღმოჩენას (წონით 800 კგ.) დიდი მეცნიერული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან, საკაუიას (იგივე რ. ვირხოვის) მღვიმეში აღმოჩენებით ცნობილი გახდა ძველი ქვის ხანის ადამიანის არსებობის შესახებ კავკასიაში, რაც მანამდე უარყოფილი იყო მეცნიერებაში. შეისწავლებოდა აგრეთვე ჭიათურის რაიონის გამოქვაბულებიც (გ. ნიორაძე, ა. აფაქიძე). არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა ოჩამჩირეში ენეოლითური და უფრო გვიანი დროის ნაშთების გამოსავლენად. სამუშაოებს ატარებდა მ. ივაშჩენკო. ინსტიტუტი თავისი სამეცნიერო გეგმის შესაბამისად ხელმძღვანებლობას უწევდა არქეოლოგიურ გათხრებს ანაკლიაში, რომელსაც აწარმოებდა ზუგდიდის მუზეუმის დირექტორი ა. ჭანტურია, და აგრეთვე ნაოხვამუში (სოფ. რეკა), სადაც სამუშაოებს ატარებდა ს. მაკალათია. ორივე შემთხვევაში ინსტიტუტის მიზანს შეადგენდა „ენეოლითური და უფრო ახალი დროის ნაშთების გათხრა“.

გ. ნიორაძის არქივში არის არქეოლოგიური გათხრების ჩასატარებლად დადებული ხელშეკრულების ამსახველი დოკუმენტი. ხელშეკრულება დადო ერთის მხრივ საქართველოს არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. გ. ნიორაძემ და მეორეს მხრივ მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელმა დოც. ს. მაკალათიამ:

1. არქეოლოგიური ინსტიტუტი ანდობს დოც. ს. მაკალათიას აწარმოოს არქეოლოგიური გათხრები „კურგან“ ნაოხვამუში თანახმად განსახომის 9.V.36 წლის აქტისა.

2. ამ გათხრების უშუალო ხელმძღვანელი იქნება არქეოლოგიური ინსტიტუტი, ხოლო სამუშაოების წარმოება და ყოველგვარი პასუხისმგებლობა გათხრების მეცნიერულად შესრულებისა ეკისრება დოც. ს. მაკალათიას.

3. დოც. ს. მაკალათია სამუშაოებზე მოიწვევს ფოთის მუზეუმის დირექტორს ამს. გოგოლ-

იშვილს; მასვე უფლება აქვს სამუშაოებზე მოიწვიოს სპეციალისტი გეოლოგი, არქიტექტორი და ფოტოგრაფი.

4. არქეოლოგიური გათხრებისათვის დოც. ს. მაკალათიას არქეოლოგიური ინსტიტუტი, თანახმად განსახვომის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა, აძლევს ათი ათას (10.000) მანეთს. ამ თანხაში შევა ყოველგვარი ხარჯები, რაც გათხრებთან იქნება დაკავშირებული, მაგ., ხელმძღვანელების დღიური ხარჯები, ბინის ქირა, გზა, ტრანსპორტი, ხელსაწყო იარაღები, ფოტო—მასალები, მოწვეული სპეციალისტების ხელფასი და სხვ.

5. შესრულებულ სამუშაოებს მიიღებს განსახვომიდან დანიშნული სპეციალური კომისია, რომლის ხარჯიც შედის ზემოხსენებულ ათი ათას მანეთში.

6. დოც. ს. მაკალათია ანგარიშებს აპარებს არქეოლოგიური ინსტიტუტის ბუხჰჰალტერიას: მეცნიერ მუშაკების (ხელმძღვანელის, მოწვეული სპეციალისტების და სხვ.) ხელფასი უნდა იყოს ნაანგარიშევი თანახმად არსებული კანონისა.

7. დოც. ს. მაკალათია ვალდებულია ყოველთვიურად წარმოუდგინოს ხოლმე არქეოლოგიურ ინსტიტუტს ანგარიში გათხრების მიმდინარეობის შესახებ და აგრეთვე ამავე ინსტიტუტს გადასცეს გათხრებთან დაკავშირებული ყოველგვარი ნახაზები, ფოტო—სურათები და დღიურები მიმდინარე 1936 წლის პირველ ოქტომბრამდე.

8. ხელშეკრულება ინერება ორ ცალად; ერთი მათგანი რჩება არქეოლოგიურ ინსტიტუტს, ხოლო მეორე ეძღევა დოც. ს. მაკალათიას. 1969წ. 15 მაისი.

ხელშეკრულებას ხელს აწერენ გ. ნიორაძე და ს. მაკალათია.

ხელშეკრულებას თან ახლავს და დოკუმენტებს შორისაა აგრეთვე ყორლანის „ნაოხვამუ“ 1936 წლის არქეოლოგიური გათხრის ხარჯთაღრიცხვა და აქტი, რომელიც ასახავს 1936 წლის 9 მაისს განსახვომის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოში შემდგარ თათბირს ყორლანის „ნაოხვამუ“ არქეოლოგიური გათხრის თაობაზე. თათბირზე განხილული იქნა პროფ. გ. ნიორაძის წერილობითი მოხსენება ყორლანის გათხრის შესახებ და არქეოლოგიური კომისიის გეგმა შედგენილი 6. გვინჩიძის მიერ. დადგენილებაში მითითებულია, რომ ყორლანის „ნაოხვამუ“ გათხრის წარმოება მიენდოს ს. მაკალათიას, არქეოლოგიური ინსტიტუტის უშუალო ხელმძღვანელობით, არქეოლოგიური კომისიის მიერ შემუშავებული და მიღებული გეგმის მიხედვით.

ქვალონის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სოფ. რეკას ყორლანის „ნაოხვამუ“ გათხრისას ჩატარებული სამუშაოების შესახებ ვგებულობთ იმ წერილობითი მოხსენებებით (1936 წ. 30.VII; VI; 18.VI), რომლებსაც ს. მაკალათია სოფ. რეკადან უგზავნიდა გ. ნიორაძეს თბილისში და რომლებიც დაცულია არქეოლოგიური ინსტიტუტის არქივის მასალებთან ერთად. ამ მასალებთანაა აგრეთვე დაცული გ. ნიორაძის წერილობითი რეკომენდაციები: თუ როგორ უნდა ხდებოდეს ყორლანის „ნაოხვამუ“ გათხრისას თხრილებიდან წვიმის წყლის გამოშვება პატარა ზომის არხებისა და საჭიროების შემთხვევაში წყლის საქაჩავის საშუალებით; რომ ფენების თანდათანობითი აღებით გასათხრელი ადგილის ტერიტორიაზე ერთი „ზოლი“ უნდა დარჩეს დროებით ხელუხლებელი, რომელმაც უნდა მოგვცეს „კურგანის“ პროფილის სურათი; სამუშაოები ისეთნაირად უნდა იყოს მიმართული, რომ შესაძლო იყოს ცენტრში გამოვლენილი ხის ნაგებობის მთლიანი პრეპარაცია, რომელმაც ამ ნაგებობის არქიტექტურის, მისი კონსტრუქციის, მასალის, მუშაობის ტექნიკისა და სხვა მხარეების მთლიანი სურათის აღდგენის საშუალება მოგვცეს. არქეოლოგიური სამუშაოების დროს უეჭველად საჭიროა იყოს არქიტექტორი და გეოლოგი. არქიტექტორი, რომელიც გაზომავს ნაგებობას, შეადგენს სათანადო გეგმას; გაარკვევს ყოველგვარ თავისებურებებს და დეტალებს, შეასრულებს ნახაზებს და ჩანახატებს; უნდა მოხდეს ფოტო—სურათების გადაღებაც (როგორც მთლიანად, აგრეთვე ცალკე კუთხეების) და სხვ. მთელი რიგი სამუშაოების ჩატარე-

ბაც ნაგებობის მთლიანი და გარკვეული სახის წარმოსადგენად. შემდეგ მოხდება: ამ ნაგებობის ამოღება იმ ვარაუდით, რომ შეიძლებოდეს ნაგებობის კონსტრუქციის სავსებით აღდგენა; მის ქვეშ მდებარე კულტურული ფენების ზუსტი შესწავლა, გათხრა სანამ არ დავალო ყამირზე, ადამიანის მიერ ხელშეუხებელ მინის პირზე. ნაგებობის ამოღებული ნაწილები გადატანილი უნდა იქნას ფოთის მუზეუმში და იქ სავსებით აღდგენილი.

გეოლოგმა უნდა გაარკვიოს „კურგანზე“ დაყრილი მიწის, მის გარშემო მდებარე ადგილებისა და თვით „კურგანის“ დანალექების გეოლოგიური და გეოფიზიკური პროცესების ერთიმეორეს-თან დამოკიდებულება, გარემომცველი დანალექების ასაკი და სხვ.

საქართველოს არქეოლოგიური ინსტიტუტის 1936 წლის სამუშაო გეგმა ითვალისწინებდა ძველი ბერძნული ნაგებობის გათხრას სოფ. ნოსირში, აგრეთვე სოფ. შუხუთსა და სოფ. ურეკში ძველი დროის ნაშთების გათხრა—გამოვლენას. სამუშაოების შემსრულებელი იყო გ. ნიორაძე.

გეგმით გათვალისწინებული იყო აგრეთვე არქეოლოგიური გათხრები გელათში. სამუშაოები ითვალისწინებდა დავით აღმაშენებელის სამარხის გათხრას, სამარხის ინვენტარის გამოკვლე-ვას და დავით აღმაშენებელის ანთროპოლოგიურად შესწავლას (შემსრულებლები: გ. ნიორაძე, ტ. ჯაფარიძე, ა. აფაქიძე). სამუშაოების ჩატარების შესახებ ჩვენთვის არაფერია ცნობილი.

1936 წელს არქეოლოგიური ინსტიტუტის ექპედიცია გაემგზავრა დუშეთში (ა. აფაქიძე) შემ-თხვევით აღმოჩენილი თიხის კუბოს და აღმოჩენის ადგილის შესასწავლად. ინსტიტუტი აგრეთვე სამუშაოებს აწარმოებდა ქ. თბილისში მშენებლობების დროს საძირკვლის გათხრისას შემთხვე-ვით აღმოჩენილი სამარხებისა და მათი ინვენტარის კვლევის მიზნით.

არქეოლოგიურ ინსტიტუტში დაევალა ა. აფაქიძეს შეეგროვებინა მასალები ბაკურციხეში აღმოჩენილ ბრინჯაოს ნივთებზე ნაშრომის დასაწერად. ნაშრომი „ბაკურციხის არქეოლოგი-ური ძეგლები“, გ. ნიორაძის ხელმძღვანებლობით შესრულებული, იყო პირველი სადისერტაციო ნაშრომი არქეოლოგიის დარგში, რომელიც ა. აფაქიძემ დაიცვა 1941 წლის 21 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მო-საპოვებლად.

ინსტიტუტში საკაუიას ქვის მასალებზე მუშაობისას ნ. კილაძე (ბერძენიშვილი) მუშაობდა თემაზე „ქვის წარმოების ტექნიკა პალეოლითის ხანაში“, რომელიც საფუძვლად დაედო მის სა-დისერტაციო ნაშრომში, რომლის ხელმძღვანელიც აგრეთვე გ. ნიორაძე იყო.

ინსტიტუტი ატარებდა საჯარო ლექციებსაც თემებზე: „ადამიანის წარმოშობა“; „უძველესი ადამიანები და მათი ნაშთები“ (გ. ნიორაძე); „ადამიანის წინაპრები განათხარი მასალების მიხედ-ვით“ (ა. აფაქიძე).

არქეოლოგიური ინსტიტუტი მიზანდასახულად წარმართავდა მის მიერ დაგეგმილ სამეცნიე-რო საქმიანობას, როდესაც 1936 წელს მოხდა მისი, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის ფუნ-ქციონირების შეწყვეტა. იგივე ბედი გაიზიარეს იმ დროს არსებულმა ანთროპოლოგიისა და სამხ-არეთმცოდნეო ინსტიტუტებმა, აგრეთვე განსახურმის სისტემაში შემავალმა სატერმინოლოგიო კომიტეტმაც და სხვ.

1936 წელს კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალ-ური კულტურის ინსტიტუტი (ენიმკი), რომელიც ქართველოლოგიურ ცენტრად იქცა. სწორედ ამ ინსტიტუტს შეუერთდა განათლების სახალხო კომისარიატის საქართველოს არქეოლოგიის სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტი (აფაქიძე, 1979, გვ. 5; 1989, გვ. 5; გამყრელიძე, 1996, გვ. 24).

“ბრძანება №907 განათლების სახალხო კომისარიატისადმი, 1936 წლის 28 აგვისტოს.

1. განსახურმის სისტემაში შემავალი არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტები ლიკვიდირებულ იქნას, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტები.

2. არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტების ქონება და 1936 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები გადაეცეს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალს. შენობის გამონახვამდე სატერმინოლოგიო საქმიანობა დარჩეს საქართველოს მუზეუმის შენობაში.

3. განსახურმის სისტემაში შემავალი სატერმინოლოგიო კომიტეტი ლიკვიდირებულ იქნას, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია.

4. სატერმინოლოგიო კომიტეტის ქონება და 1936 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები გადაეცეს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალს. შენობის გამონახვამდე სატერმინოლოგიო საქმიანობა დარჩეს საქართველოს მუზეუმის შენობაში.

5. განსახურმის სისტემაში შემავალი სამხარეთმცოდნეო ინსტიტუტი ლიკვიდირებულ იქნას და მისი ფუნქციები გადაეცეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიულ ინსტიტუტს.

6. სამხარეთმცოდნეო ინსტიტუტის ქონება და 1936 წლის ბიჯეტით გათვალისწინებული თანხები გადაეცეს ტფილისის სახუნტის გეოგრაფიულ ინსტიტუტს. ინსტიტუტის მიერ საქართველოს მუზეუმის შენობაში დაკავებული ოთახი დატოვებულ იქნას საქართველოს მუზეუმის განკარგულებაში.

7. შესდგეს სპეციალური კომისია შემადგენლობით: უმაღლესი სკოლების სამმართველო-დან დ. დოლიძე (თავმჯდომარე), საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი-დან — პირიკიანი და სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიული ინსტიტუტიდან ალ. ჯავახიშვილი, რომელთაც დაევალოს არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტებისა და სატერმინოლოგიო კომიტეტის ქონებისა და თანხების მიღება — გადაბარების გაფორმება სათანადო აქტის შედგენით.

დოკუმენტს ხელს აწერს განათლების სახალხო კომისარი მ. ტოროშელიძე (საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი №300, აღწერა №20, საქმე №7, გვ. 63).

„...გუშინ მოვისმინეთ თქვენი და ამს. მეტონიძის პროექტი ინსტიტუტების რეორგანიზაციის შესახებ, სწრაფა გ. ნიორაძე საქართველოს სსრ ცენტრალურ კომიტეტში ამს. რ. მელაძეს. ეს პროექტი სავსებით მისაღებია. სავსებით მისაღებია არქეოლოგიური ინსტიტუტის გადაცემა საკავშირო სამეცნიერო აკადემიის საქართველოს ფილიალისათვის, მხოლოდ არქეოლოგიის ინსტიტუტი უნდა დარჩეს ინსტიტუტად და მისი სამეცნიერო — საკვლევო მუშაობის სფერო უფრო მეტად იქნას გაფართოებული, ე.ი ინსტიტუტმა მუშაობა უნდა აწარმოოს არა მარტო არქეოლოგიაში, არამედ — ანთროპოლოგიაში და ეთნოგრაფიაშიდაც... არქეოლოგია და ეთნოგრაფია ერთი მეორესთან მჭიდროდ არის დაკავშირებული... თუ არქეოლოგია სწავლობს სულ უძველესი დროიდან (ადამიანის წარმოშობიდან) საზოგადოებრივ ფორმათა განვითარებას და კულტურის ისტორიას თანამედროვეობამდე, ეთნოგრაფიის შესასწავლ მიღებული არმოადგენს თანამედროვე ხალხთა ყოფა — ცხოვრება, მათი კულტურა და სხვ. ადამიანთა საზოგადოებათა და მათი კულტურის შესწავლასთან ერთად განუყრელად უნდა ხდებოდეს თვით იმ ადამიანის შესწავლაც, რომელიც ქმნის ამ საზოგადოებას და კულტურას, ე.ი. უნდა ხდებოდეს ანთროპოლოგიური კვლევა — ძიება, რათა მთლიანობაში იყოს მოცემული ადამიანი და მისი კულტურა. ამ გზით მიდიან ევროპისა და ამერიკის მეცნიერები, ამ გზით მიდის საკავშირო სამეცნიერო აკადემიაც, რომელსაც ქ. ლენინგრადში დაარსებული აქვს „Институт Антропологии, Археологии и

Этнографии". იგივე ითქმის გერმანიაში არსებულ „Berliner Gesellschaft für Anthropologie, Ethnologie und Urgeschichte“—ზედაც . (შენიშვნა: არქეოლოგიაში თავისთავად შედის ანთროპოლოგიის ერთი ნაწილი, სახელდობრ პალეოანთროპოლოგია. არქეოლოგია გაუგებარია უეთნოგრაფიოდ და თვით ეთნოგრაფიული საკითხების გენეზისი—უარქეოლოგიოდ. ეს კიდევ უფრო ცხადჰყოფს მათ ერთ მთლიანობას). ამიტომ სახელწოდება „არქეოლოგიური ინსტიტუტი“ უნდა შეიცვალოს სახელწოდებით „საქართველოს სსრ ანთროპოლოგიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სამეცნიერო—საკულტურო ინსტიტუტი“.

წერილის ასლი დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში.

1936 წლიდან, როდესაც საქართველოს არქეოლოგიური ინსტიტუტი შეუერთდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის 6. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტს, რომელიც წამყვან ქართველოლოგიურ ცენტრად იქცა, გიორგი ნიორაძე ხელმძღვანელობდა ამ ინსტიტუტში გახსნილ არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის სექტორს. მოგვიანებით, 1938 წელს „ენიმკი“-ში ცალკე გამოიყო არქეოლოგიის განყოფილება, რომელშიაც უკვე გაერთიანებული იყო განათლების სახალხო კომისარიატის არქეოლოგიური ინსტიტუტი. „ენიმკის“ არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად იმთავითვე დაინიშნა გიორგი ნიორაძე. აქედან მოკიდებული ეს განყოფილება საქართველოში არქეოლოგიური კვლევის ძირითად კერად იქცა. განყოფილებაში შეიქმნა სათანადო სამეცნიერო—მატერიალური ბაზა, რომელიც აუცილებელი იყო ფართო, გეგმაზომიერი საველე—არქეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად. აქვე ამზადებდნენ ასპირანტებს არქეოლოგიის სპეციალობით (აფაქიძე, 1989; კალანდაძე, 1989; გამყრელიძე, 1996, გვ. 24).

1941 წელს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტს ცალკე გამოიყო ისტორიის ინსტიტუტი. „ენიმკი“-ში მომუშავე არქეოლოგები ახლა უკვე ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომლები გახდნენ. ინსტიტუტს 1964 წლიდან ეწოდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თუ ისტორიის ინსტიტუტს „ენიმკი“-საგან გამოყოფისას მემკვიდრეობით არქეოლოგიის მხოლოდ ერთი განყოფილება გადაეცა, შემდგომ, ამ განყოფილების ბაზაზე და ტრადიციებზე, ინსტიტუტში შეიქმნა არქეოლოგიის სექტორი აკად. ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით, რომელშიც რამდენიმე არქეოლოგიური განყოფილება იყო გაერთიანებული.

1977 წლის 28 აპრილს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური განყოფილებების ბაზაზე დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი აკად. ოთარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით (არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, ბიბლიოგრაფია 1977—1996, გვ. 3), რომელსაც 2007 წლიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი ეწოდება.

არქეოლოგიის ცენტრმა წარმატებით გააგრძელა და კიდევ უფრო საგრძნობლად განავითარა წინამორბედი არქეოლოგიური დაწესებულებისა თუ უჯრედების ტრადიციები და მათი სამეცნიერო საქმიანობა. დღეს ის საქართველოში არქეოლოგიური კვლევა—ძიების მთავარ დაწესებულებას წარმოადგენს (გამყრელიძე, 2009, გვ. 35).

**THE GEORGIAN ARCHAEOLOGY INSTITUTE AT THE RUDIMENTS OF GEORGIAN  
SCIENTIFIC ARCHAEOLOGY**  
**(Dedicated to the 125<sup>th</sup> anniversary of Giorgi Nioradze's birth)**

**Medea Nioradze**

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia, Email: medeanioradze@rambler.ru

**Summary**

It is well established, that presently Georgian archaeological achievements have already received international recognition.

Successful scientific researches in archaeology owe their solid foundation to the works conducted by scientific archaeological cells and institutions as early as the 20-30s' of XX century.

The Georgian archaeological scientific-research institute represented one of such scientific institutions; it was established in Tbilisi from November 1935 as directed by the People's Commissary of Education. The institute, lead by director Prof. Giorgi Nioradze, successfully carried out scientific works, field archaeological research-quests. Excavations were carried out in the Sakajia cave, Naokhvali, Anaklia, Ochamchire and other.

In fall 1936, the Georgian archaeological institute, like other independent institutes, ceased its existence and joined the N. Marr Institute of Language, History and Material Culture, a branch of The Union Science Academy. Within the Institute - an Archaeology, Anthropology and Ethnography sector was established with the guidance of Giorgi Nioradze. Again under his lead, later, a separate division of Archaeology singled out in the Institute; with the Georgian Archeological Institute already part of this union.

In 1941, when the Institute of History set itself apart as a separate entity, holding the title of The Iv. Javakhishvili Institute of History, Archaeology and Ethnography since 1964; the division of Archeology was also assigned to it. Afterwards on the base of the institute, a Sector of Archaeology originated, which united several archaeological departments.

In 1977 the Archaeological Research Center of the Georgian Science Academy was established on the base of the Institute of History, Archaeology and Ethnography. In 2007 it received the title of the Otar Lortkipanidze Archaeology Center of the Georgian National Museum.


The Archaeology Center successfully continued and developed further the traditions and scientific activity of its preceding archaeological formations and institutions. As of today it represents the main institution for archaeological research-investigation in Georgia.

**ლიტერატურა**



1. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 1997. ბიბლიოგრაფია, 1977-1996, (რედ. დ. კაჭარავა). თბ. გვ. 3-224.
2. აფაქიძე ა. 1972. ქართული საბჭოთა არქეოლოგის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი გზა, თბ. გვ. 3-150.
3. აფაქიძე ა. 1973. საქართველოს საბჭოთა არქეოლოგის უმნიშვნელოვანესი წარმატებანი, თბ. გვ. 3-32.

4. **აფაქიძე ა. 1979.** საქართველოს არქეოლოგიისა და კავკასიის ცივილიზაციის გამოჩენილი მკვლევარი, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VII, თბ. გვ. 5-12.
5. **აფაქიძე ა. 1988.** გიორგი ნიორაძე, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, გიორგი ნიორაძე, ბიობიბლიოგრაფია, თბ. გვ. 5-48.
6. **აფაქიძე ა. 1989.** ახალი ქართული არქეოლოგიის ფუძემდებელი, გიორგი ნიორაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ. გვ. 4-15.
7. **გამყრელიძე გ. 1991.** საქართველოში არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია, საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, ქვის ხანა, თბ. გვ. 12-45.
8. **გამყრელიძე გ. 1996.** ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან (ორგანიზაციული განვითარების გზა), თბ. გვ. 3-31.
9. **გამყრელიძე გ. 2009.** ქართული არქეოლოგიის კვალდაკვალ, თბ. გვ. 3-42.
10. **გობეჯიშვილი გ. 1952.** არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ. გვ. 3-167.
11. **თბილისის უნივერსიტეტი, 1968. (1918-1968).** თბ. გვ. 382.
12. **კალანდაძე ა. 1989.** ქართული საბჭოთა არქეოლოგიის სათავეებთან, გიორგი ნიორაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ. გვ. 197-208.
13. **ლორთქიფანიძე თ. 1976.** არქეოლოგია ივანე ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტში, ციკარი, №8, თბ. გვ. 127-134.
14. **ლორთქიფანიძე თ. 1981.** საქართველოს არქეოლოგია საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავზე, საქართველოს მეცნ. აკად. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია №1, თბ. გვ. 162-182.
15. **აპაკიძე А.М. 1967.** Развитие археологической науки в Советской Грузии, Советская Археология, №4 , Москва.с. 5-25.
16. **ლორთქიფანიძე О.Д. 1982.** Археология в Грузинской ССР, Тбилиси. с. 5-56.





2		მესთოს через Расч. отд.		არეალის მუზეუმის მიზნების დაგენერაციის და გადამზადების სამსახურის		მ/ი გიბანია	
15/XII 1935		Одногороднее поручение №		1558		Дебет	Счет 224
		Просим списать с нашего у Вас и перечислить	расчетного текущего счета	за №		155499	
		Здесь указать банк, где находятся члены покупателя					
		Грузинский банк					
		г. Тбилиси					
		Справка					
		Придано Банком					
		в кредит сч. поставщика					
		1935 г.					
		Контролер					
		Операционист					
		1935 г. подпись Филиппиди А					
		1935 г. подпись Филиппиди А					



## პრეიისტორია

### საგვარჯიში — პირველყოფილი ადამიანის მღვიმე- ნამოსახლარი. კვლევის ისტორია და პერსპექტივები (ეძღვნება მღვიმის გათხრიდან მე-60 წლისთავს)

მედეა ნიორაძე<sup>1</sup>, მანანა გაბუნია<sup>1</sup>, ლამარა ნებიერიძე<sup>1</sup>, ნიკოლოზ  
თუშაბრამიშვილი<sup>1</sup>, ნინო ჯაყული<sup>1</sup>, თამარ ალაპიშვილი<sup>1</sup>, გიორგი ნიორაძე<sup>1</sup>

<sup>1</sup>საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, თბილისი 0105,  
ელ.ფოსტა: medeanioradze@rambler.ru; m-gabunia@posta.ge, ninotortladze@yahoo.com,  
nikolozt@hotmail.com, nino\_jakeli@yahoo.com, atatella@yahoo.com, giorginioradze@gmail.  
com,

#### შესავალი

XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისიდან მრავალფენიანი მღვიმე საგვარჯიშე, სადაც  
დაცული იყო ხუთი ზედაპალეოლითური, მეზოლითური, ნეოლითური და ენეოლითური ხანის  
კულტურული ნაშთები, მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევს. მღვიმეში შემონახულია აგრეთვე გვი-  
ანი პერიოდების (ანტიკური, ადრე და გვიანფეოდალური ხანის) სამარხების (ორმოსამარხები,  
ქვევრსამარხები) შემცველი კულტურული ფენებიც (კილაძე, 1953). ძეგლი მონოგრაფიულად  
შესწავლილი და გამოქვეყნებული არ არის.

მღვიმეში წარმოებული გათხრების, იქ გამოვლენილ ფენათა სტრატიგრაფიისა და მოპოვე-  
ბული მასალების შესახებ წარმოდგენა გვექმნება ცალკეული სტატიებითა და ხელნაწერების  
სახით შემონახული გათხრების ანგარშებითა თუ საველე დღიურებით, აგრეთვე საგვარჯილის  
შესახებ სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებში გაბნეული მოკლე ინფორმაციებით, რომლებიც სრუ-  
ლად ვერ ასახავს მღვიმის მეცნიერულ მნიშვნელობას (კილაძე, 1953; კილაძე, 1953; Berdzenishvili,  
1964; გძელიშვილი, 1953; ბერძენიშვილი, 1959; 1964; კალანდაძე, 1970; ბერძენიშვილი, ნიორაძე,  
1991; გაბუნია, ნერეთელი, 1991; ლიბინ, 1989; ბერძениშვილი, 1972; ბადერ, 1984; ბადერ, ცერეტელი,  
1989; Kozlowski, 1970; 1972 და სხვ.). დღეისათვის მეტ-ნაკლები სისრულით შესწავლილია ზედა პა-  
ლეოლითის ადრეული პერიოდის (Berdzenishvili, 1964; ბერძენიშვილი, ნიორაძე, 1991; ბერძენიშ-  
ვილი, 1964); მეზოლითური (გაბუნია, ნერეთელი, 1991; ბადერ, ცერეტელი, 1989) და ნეოლით - ენ-  
ეოლითური ხანის ფენების მასალები (ნებიერიძე, 2003). რაც შეეხება ზედა პალეოლითის დანარ-  
ჩენი ოთხი ფენის მასალებს, ისინი დღემდე შესწავლილი და გამოქვეყნებული არ იყო.

საგვარჯილის მღვიმის ძველი ქვის ხანის ფენებიდან მასალები, გათხრის დასრულების შემდეგ  
(1952). მრავალი წლის განმავლობაში, ისტორიის ინსტიტუტის არმაზისხევის არქეოლოგიური ბა-  
ზის ერთ დიდ ოთახში თაროებზე იყო შემოდებული. მასალები საველე დოკუმენტაციასთან (მღვიმის  
გეგმა, ჭრილები, საველე დღიურები) ერთად ამ ბოლო დროს, გადმოტანილი იქნა თბილისში. დღეს  
ისინი დაცულია ო. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ქვის ხანის ფონდში.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის პროექტის ფარგლებში, რაც ითვალისწინებს მუზეუმში

არსებული ადრე გათხრილი და გამოუქვეყნებული არქეოლოგიური ძეგლების მასალების სრულ ინვენტარიზაციას, პირველად მოხდა თანამშრომელთა ერთი ჯგუფის მიერ (ავტორთა კოლექტივი) საგვარჯილის მღვიმის მასალების კამერალური დამუშავება-შესწავლა<sup>1</sup>. სამუშაოს მიზანს შეადგინდა: ძველი ქვის ხანის მასალების დაჯგუფება ფენების მიხედვით; ფენათა სტრატიგრაფიულ ჭრილებში მათი ადგილის გარკვევა; მოპოვებული მასალების შეჯერება არსებულ დოკუმენტაციასთან; მასალების აღწერა-აღნუსხვა, მათი ტიპოლოგიურ-სტატისტიკური ანალიზი და მათი საერთო სამუზეუმო მონაცემთა ბაზაში შეყვანა. სწორედ ამ სამუშაოების შედეგია მოცემული წინამდებარე სტატიაში.

### ძეგლის მდებარეობა, გათხრის მეთოდიკა და შესწავლის ისტორია

მღვიმე საგვარჯილე მდებარეობს თერჯოლის რაიონის სოფ. ძევრში, სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. ძევრულასა და შავი წყლის სამმხრივ ჩაკეტილ კარსტულ ხეობაში. მღვიმე გამომუშავებულია ხეობის შიგნით, მის მარცხენა ნაპირზე, ვერტიკალურად დაშვებულ ზედა ცარცული კირქვის ქანებში, მდინარის დონიდან 18,5მ-ის, ხოლო ზღვის დონიდან 222მ-ის სიმაღლეზე (კილაძე, 1953, გვ. 561-562).

საგვარჯილის მღვიმე ჯერ კიდევ 1932 წელს მოუნახულებიათ ნ. ბერძენიშვილს, ს. ჯანაშიასა და ს. ყაუხეჩიშვილს, როდესაც ისტორიული ძეგლების შესწავლის მიზნით თერჯოლის (მაშინდელი ჩხარის) რაიონში უმოგზაურიათ.

1951 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნ. კილაძის (ბერძენიშვილი) ხელმძღვანელობით ორი კვირის განმავლობაში (7.VI-20.VI) იმუშავა მღვიმეში, რის შედეგადაც მიაკვლია ქვის ხანის ნაშთების შემცველ კულტურულ ფენას (კილაძე, 1951, გვ. 11-12).

1952 წელს მდ. ძევრულას ხეობაში ტყიბულჲესის მშენებლობამ და ამასთან დაკავშირებით ხეობაში სამანქანო გზის გაყვანამ საფრთხე შეუქმნა საგვარჯილის მღვიმეში შემონახულ კულტურულ ფენებს. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ მღვიმეში ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია ნ. კილაძის ხელმძღვანელობით ათი თვის განმავლობაში (1952წ. 20 იანვრიდან — 1952წ. 30 ნოემბრამდე) აწარმოებდა გათხრით საველე სამუშაოებს. სამუშაოებში მონაწილეობას იღებდნენ არქეოლოგები: დ. თუშაბრამიშვილი,

გ. ცქიტიშვილი, ქ. ბერძენიშვილი, გეოლოგი ი. გძელიშვილი, პალეონტოლოგი ლ. გაბუნია, ისტორიკოსი გ. ჯამბურია, არქიტექტორი თ. თოდუა, ქიმიკოს-რესტავრატორი პ. ივანოვი, ლაბორანტი გ. რუსეიშვილი, უმცრ. მეცნ. თანამშრომელი ე. ბარაბაძე, მხატვრები კლ. კვეესი და ო. სულავა, ფოტოგრაფები ი. პოხომოვი, ელ. კვეესი და ს. სულავა, ტოპოგრაფი გ. ოდნოროგი.

მღვიმეს განიერი შესასვლელი გააჩნია. მისი სიგანე შესასვლელთან 37 მეტრია, სიგრძე — 13 მეტრამდე, სიმაღლე კი განსხვავებული აქვს. მღვიმის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი კლდეში ღრმადა შეჭრილი, ჭერის სიმაღლე აქ 22 მეტრს აღწევს, სამხრეთით კი სიმაღლე თანდათან კლებულობს და მღვიმის ზედაპირთან შეერთებისას მახვილ კუთხეს წარმოშობს (სურ. 1).

თუ გავითვალისწინებთ მღვიმის შიდა ფართობზე, მის წინ, ფერდობზე და ტერასაზე ჩატარებულ სამუშაოებს, გამოვლენილ ფენათა რაოდენობას და მათ სიმძლავრეს (13მ), არ შეიძლება არ


<sup>1</sup> სამუშაოებში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ეროვნული მუზეუმის მეცნ. თანამშრომელი ქეთევან სტურუა და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატი, რატი ამაშუელი, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებთ.



სურ. 1. საგვარჯილის მღვიმის საერთო ხედი;

დავეთანხმოთ ძეგლის გამთხრელს, რომელიც სინანულს გამოხატავდა მღვიმის გათხრის აჩქა-რებული ტემპის გამო: „...მე მაინც არ ვთვლი, რომ საგვარჯილე საველე- არქეოლოგიური მეთო-დიკის ყველა წესების დაცვით არის გათხრილი. ხელისშემშლელი ის შეზღუდული ვადები იყო, რაც მშენებლების მიერ იყო მოცემული (ბერძენიშვილი, (კილაძე) 1964ა, გვ. 48).

თავდაპირველად მღვიმეში გასათხრელი ფართობი კვადრატებად დაიყო (2@X2@), რომლებიც შემ-დეგ დიდი ზომის თხრილებში გაერთიანდა. საველე სამუშაოები სწორედ ამ დიდი თხრილების სამუ-ალებით წარმოებდა. კვადრატების ბადის ნაცვლად შემოღებული ჰქონდათ ნიშნულები T-0-დან – T-45-დან. მონაპოვარი მასალის ფიქსაცია ხდებოდა ნიშნულებისა და მყარი წერტილიდან (“0-ის ხაზი-დან”) გაზომილი სიღრმეების მიხედვით. მღვიმეში სამ დიდ უბანზე მიმდინარეობდა არქეოლოგიური სამუშაოები: I თხრილი გაითხარა მღვიმის ცენტრალურ ფართობზე; II თხრილი — მღვიმის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფართობზე; III თხრილი მღვიმის სამხრეთ-დასავლეთ ფართობზე გაიჭრა (სურ. 2). გათხრები წარმოებდა მღვიმის წინ ფერდობზეც და ნაწილობრივ იმ პატარა მდინარეული ტერასის ფერდობზედაც, რომელიც მღვიმის პირდაპირ მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. გაირკვა, რომ ფერდობზე ადგილი ჰქონდა მღვიმიდან ბუნებრივი ფაქტორების გზით გამოტანილი, ავტოქ-ტონური წარმოშობის დანალექი ფენების მეორად განლაგებას აღუვიურ და დელუვიურ ნალექებზე. თხრილებით თხრის პარალელურად ჭრილებში გამოვლენილი ფენების გავრცელების საზღვრის დად-გენის მიზნით კეთდებოდა შურფებიც, რისთვისაც ხელშეკრულებით მოწვეული იყო შურფების თხრის სპეციალისტი „გრუზპროექტის“ თანამშრომელი ნ. უშკარენკო. გეოლოგ ი. გძელიშვილის მოთხოვნით გაითხარა 18 დიამეტრის სამი შურფი: ერთი — ტერასაზე; მეორე — საკონტროლო ანუ ცენტრალურ



სურ. 2. საგვარჯილის მღვიმისა და მისი მიდამოების გეგმა;

თხრილში; მესამე — მღვიმის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

მღვიმეში და მღვიმის წინ ფერდობზე მოპოვებული მასალები სხვადასხვა შიფრით ყოფილა ერთ-მანეთისაგან გამოყოფილი. ეტიკეტებზე, ცალკე მღვიმის და ცალკე ფერდობის მასალებისათვის, მითითებული იყო: თხრილი, ფენა, ნიშნული, ჰორიზონტი (აღმოჩენის სიღრმე). სამწუხაროდ, ყველა ეს მონაცემები სათითაოდ ყველა მონაპოვარს არ ეწერებოდა (რამაც დიდი სირთულეები შექმნა მომავალში მასალების დამუშავებისას მათი მოპოვების ადგილის გარკვევაში). ერთდროულად სხვადასხვა უბნებზე მუშაობდა 20-30 მუშა. ნ. კილაძის დლიურიდან, 1952წ. 18 მარტი. „...მუშაობის შედეგად გაირკვა, რომ საგვარჯილე მეტად რთულსა და მრავალმხრივ საინტერესო ძეგლს წარმოადგენს. მისი შესწავლა დიდ დროსა და მატერიალურ საშუალებას მოითხოვს. ამიტომ, ექსპედიციის წინაშე დიდი საპასუხისმგებლო საკითხებია დასმული. ერთის მხრივ საჭიროა სამუშაოს ისე წარმოება, რომ მშენებლობას არ შეეშალოს ხელი და მეორეს მხრივ ამ რთული ძეგლის გათხრა ისე უნდა მოხერხდეს ამ მოკლე დროში, რომ ძეგლი არ დაზიანდეს და ყველაფერი ზუსტად და ისე იყოს ფიქსირებული, როგორსაც მოითხოვს მეცნიერული გათხრის მეთოდი“.

გათხრების მსვლელობისას მღვიმეში პერიოდულად მუშაობდა საველე-მეთოდური კომისია, რომლის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს იყვნენ: ნ. ბერძენიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, გ. ჩიტაია, გ. ლომთათიძე, ა. აფაქიძე, ა. კალანდაძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. ჯანელიძე, ა. იესენი. კომისია ადგილზე წყვეტდა და შეთანხმებით გეგმავდა შემდგომ საველე სამუშაოებს, აგრძელებდა ექსპედიციის სამუშაო ვადებს. ნ. კილაძის (ბერძენიშვილის) დლიურიდან, 1952წ. 15 მაისი „...ახალმა აღმოჩენებმა და მრავალმხრივ საინტერესო ფაქტების გამოვლენამ ველზე აუცილებელი გახადა საგვარჯილის ჩრდილო-დასავლეთი მხარის სრული გამოვლენა და ცალკეული ფენების სტრატიგრაფიის გარკვევა.. მთელი გამოქვაბულის თხრას ჩვენ მშენებლობა არ გვაცლის, მაგრამ მისი ნახევარი მაინც აუცილებლად უნდა იქნეს შესწავლილი. არ ვიცი ტყიბულჟესის მშენებელნი როგორ შეხვდებიან ჩვენი სამუშაოების ვადის გაგრძელებას. ისინი უკვე მოგვიახლოვდნენ, ე.ი. ძევრულას ხეობის ამ ნაწილში შემოსავალი უკვე გაჭრეს, ე.ი. კლდე უკვე ერთიანად ააფეთქეს და მშვენიერი გზა გამოიყანეს. ქვას და ლორდს პირდაპირ თავზე გვაყრიან. გვეჩუბებიან, მაგრამ ჩვენ არ ვთმობთ ჩვენს პოზიციებს. ცხადია, ყველა ეს უეჭველად გავლენას ახდენს ჩვენს საველე საქმიანობაზე. ვის გაუგონია ამოდენა თხრილებისა და ამოდენა მასალის ასეთი ტემპებით „ამოღება“. ეს ხომ პრეპარაციით თხრას მოითხოვს, მეტი საშველი კი არ ჩანს, თვით გამოქვაბულსაც ემუქრებიან დანგრევით.“ როგორც ირკვევა დლიურებიდან, ხშირად ფენების გათხრა მიწის ბელტებად მოჭრით ხდებოდა, ხოლო ბრექჩიად ქცეული ფენების აღება წერაქვებითა და ძალაყინებით ასევე დიდი ბელტების ჩამოტეხით უხდებოდათ, რომლებშიც ჩაკირული და შეკონინებული იყო ქვის ხანის ნაშთები (კილაძე (ბერძენიშვილი), 1952, გვ. 23).

საგვარჯილის მღვიმეში საველე სამუშაოების წარმოების მეთოდს არქეოლოგიური კომისიის წევრებსა და ექსპედიციის ხელმძღვანელს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოუწვევია. კომისიის რჩევა, მღვიმეში გაეჭრათ ორი დიდი (გრძივი და განივი) თხრილი, რომლებსაც ერთიმეორე უნდა გადაეკვეთათ მღვიმის წინ, ექსპედიციის ხელმძღვანელს არ გაუთვალისწინებია და გათხრა ისე წარუმართავს, როგორც ეს „საველე მუშაობის თავისებურებამ უკარნახა“: „...მე უფრო მიზანშენილად მიმაჩრია ყველა ფენის, რომლებიც საგვარჯილებია შემონახული, სიგრძივი თხრილებით შესწავლა. ასე დავიწყე მუშაობა და ასევე განვაგრძობ. გამოქვაბულის წინ განივი თხრილის გავლება ფენებს სიგანეზე გაჭრის და მათი ურთიერთკავშირი დაირღვევა, თვალსაჩინო აღარ იქნება.. ისინი იმ აზრის არიან, რომ მაინც გავაკეთო განივი ჭრილი, არ უნევენ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ამით გამოქვაბულის ჰორიზონტალურ ფართობზე არსებულ ფენებსა და ფერდობის ფენებს შორის მოხდება კავშირის გაწყვეტა“ (კილაძე (ბერძენიშვილი), დლიური, 1952. 16 მაისი, გვ. 41)

## სტრატიგიკული

საგვარჯილები გათხრების ადგილზე ი. გძელიშვილის მიერ შვიდი ჭრილი იყო შედგენილი, ესენია: I — პირველი თხრილის სამხრეთი კედლის გრძივი; II — პირველი თხრილის ჩრდილო-ეთი კედლის გრძივი; III — მეორე თხრილის სამხრეთი კედლის გრძივი; IV — მეორე თხრილის ჩრდილო-ეთი კედლის გრძივი; V — მესამე თხრილის განივი; VI — მეორე თხრილის განივი და VII — მეორე თხრილის აღმოსავლეთი კედლის განივი ჭრილები (ინახება არქეოლოგიის ცენტრის ქვის ხანის ფონდში), (კილაძე, 1953, გვ. 563; გძელიშვილი, 1953, გვ. 572; ნებიერიძე, 2003, გვ. 114-117; ბერძენიშვილი, ნიორაძე, 1991, ნახ. 55; Berdzenishvili, 1964, tab. I; ლიბინ, 1989, გვ. 106-109). ჭრილებს შორის მთავარს ცენტრალური თხრილის (პირველი თხრილი) სამხრეთი კედლის ჭრილი წარმოადგენს, „რომელიც იწყება გამოქვაბულიდან, გადის ფერდობზე, ტერასაზე და მდინარის ნარწყულთან მთავრდება. ეს ჭრილი იმდენად დამახასიათებელია ძეგლისათვის, რომ თითქმის ყოველმხრივ ასახავს მის სტრატიგიკულიას და გეოლოგიურ პირობებს (გძელიშვილი, 1953, გვ. 571). ჭრილში ყველა ის ფენაა წარმოდგენილი, რომლებიც ძეგლზეა გამოვლენილი (ტაბ. I)

ფენათა თანამიმდევრობა ვერტიკალურ ჭრილში შემდეგია:

1-ლი. ქვიშნარი, არაერთგვაროვანი, მორუხო-მონაცრისფრო, კირქვის დიდ-პატარა ნატეხებისა და ღორლის ჩანართებით; მე-2. თიხები შავი, კირქვის დიდ-პატარა ნატეხებითა და ღორლით; მე-3. მე-2 ფენის ანალოგიურია; მე-4. თიხნარი მოყვითალო, კირქვის ღორლით, ადგილ-ადგილ კირქვის დიდ-პატარა ნატეხებით; მე-5. თიხნარი მონაცრისფრო, კირქვის დიდ-პატარა ნატეხებით; მე-6. თიხები, მოყვითალო, კირქვის ღორლით; მე-7. კირქვის ღორლი, ქვიშნარისა და თიხნარის შემავსებლით; მე-8. კირქვის ღორლი, ქვიშნარ-თიხნარითურთ; მე-9. კირქვის ღორლი და კირქვის დიდ-პატარა ნატეხები, ქვიშნარ-თიხნარითურთ; მე-10. კირქვის ღორლი, ადგილ-ადგილ კირქვის დიდ-პატარა ნატეხები, ქვიშნარ-თიხნარითურთ, ბრექჩიები, თიხები; მე-11. მე-10 ფენის ანალოგიური, ბრექჩიების გარეშე; მე-12. კირქვის დიდ-პატარა ნატეხები, მონითალო, არაერთგვაროვანი თიხნარითურთ; მე-13. თიხები შავი, კირქვის დიდ-პატარა ნატეხებითა და ღორლით (დელუვიონი); მე-14. ზედაალუვიური ფენის კონგლომერატი; მე-15. კირქვის დიდ-პატარა ნატეხები, მცირეოდენი ქვიშნარის შემავსებლით; მე-16. კირქვის დიდ-პატარა ნატეხები, ძირითადად ქვიშნარის შემავსებლით; მე-17. კირქვიერი ბრექჩია; მე-18. კირქვის დიდი ნატეხები; მე-19. თიხები მონითალო; მე-20. ქვიშები მსხვილმარცვლოვანი; 21-ე. სუსტად მომრგვალებული ქვარგვალები, არაერთგვაროვანი თიხნარ-ქვიშნარის შემავსებლით (ზედა ალუვიონი); 22-ე. სუსტად მომრგვალებული ქვარგვალები, ქვიშა-ქვითურთ (მოძრავი, თანამედროვე ალუვიონი); 23-ე. სუსტად მომრგვალებული ქვარგვალები, ხრეშითა და ქვიშნარით (ქვედა ალუვიონი); 24-ე. კირქვიერი ტუფი და ბრექჩია; 25-ე. მასიური კირქვები (ზედა ცარცი); 26-ე. გრუნტის წყლების დონე; 27-ე. ქვაბულის საზღვარი.

საგვარჯილები კარსტული მდვიმებისათვის დამახასიათებელი ნალექების წყებაა წარმოქმნილი, ძირითადი ნალექებია: კირქვების ლოდ-ღორლნარი, თიხები, კირტუფი, ალუვიური ნალექები, ბრექჩიები, ჰუმუსი (გძელიშვილი, 1953, გვ. 572).

ჭრილში 1-ლი, მე-2, მე-3 ფენები სამარხეული ფენებია, სადაც მიკვლეული იყო ანტიკური, უფრო მეტად — ადრე და გვიანფეოდალური ხანის სამარხები; ზედა ფენებში აღმოჩნდა „ძველი და ახალი ქვის ხანის თითო-ოროლა ადგილგადანაცვლებული იარაღები“ (კილაძე, 1953, გვ. 564; გძელიშვილი, 1953, გვ. 572). მე-4 და მე-5 ფენები ნეოლით-ენეოლითურია; მე-6 და მე-7 — ხელმეორედ დალექილი გვიან პალეოლითური ფენებია, ამათგან მე-6 ფენა, როგორც ირკვევა, მეზოლითურია. იგი წარმოადგენს „მოყვითალო თიხებს კირქვის ღორლით, მეორეული პა-

ლეოლითური ნაშთების შემცველს“ (გძელიშვილი, 1953, გვ. 572). ჭრილში ამ ფენის არსებობის შესახებ ვგებულობთ ნ. კილაძის (ბერძენიშვილის) საველე დღიურიდან: „1952წ. 23. IV. ვთხრით საკონტროლო თხრილს (I თხრილი) მთელ სიგრძეზე. თხრილში, ტერასის მხრიდან მოყოლებული, გამოქვაბულის შესავალის დასაწყისამდე, ე.ი. გარდატეხის ზოლამდე ფენები შემდეგი თანმიმდევრობით ვლინდება: (ტაბ. I) ზედა ჰუმუსური ნიადაგი, ბზის ძირკვებთან შერეული, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა ზომის კირქვის ღორლი,<sup>2</sup> ფენის სისქე მთელ ფერდობზე 2მ-ია, შეიცავს გვიანი დროის კერამიკას. ამ ფენის ქვემოთ უშუალოდ ძევს ნეოლითის ფენა<sup>3</sup>, მისი სისქე 0.6მ-ია. მის ქვეშ 0.3მ სისქის თხელი თიხამინის ფენა იდო<sup>4</sup>, რომელშიც შერეული იყო წვრილი ღორლი. ეს ფენა მეზოლითურია, იგი ფერდობზე 12მ სიგრძეზე მიუყვება (ნიშნულები T-16 — T-28), შემდეგ ფენა იკარგება და შეერთებას განიცდის, ე.ი. გადადის ნეოლითის ფენაში<sup>5</sup>. ამ ფენაში<sup>6</sup> მოპოვებულ ნაშთებს ცალკე ვაგროვებთ. ქვემოთ კი 0.7მ სისქის ღორლოვანი ფენა ძევს, რომელიც სტერილურია<sup>7</sup>. ფერდობის მთელს თხრილში ფენათა თანამიმდევრობა შემდეგნაირია: შავი ჰუმუსური ფენა — 2მ სისქის; ნეოლითის ფენა — 0.6მ სისქის; თიხამინის და ღორლის ფენა — მეზოლითის-0.3მ სისქის და მსხვილი ღორლის სტერილური ფენა — 0.7მ სისქის“ (კილაძე, დღიური, რვ. 3, 17. III-2.VI.52წ. გვ. 26-27)<sup>8</sup>.

მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 ფენები, რომელთა ლითოლოგიური შემადგენლობა ძირითადად ერთგვაროვანია, ზედაპალეოლითური ფენებია და შეესაბამება ზედა პალეოლითის I, II, III, IV კულტურულ ფენებს. მე-12 ფენა პალეოლითის მე-V ფენას შეესატყვისება. მღვიმის შიგნითა პორიზონტალური ფართობის სამივე თხრილში ძველი ქვის ხანის ხუთი (I-V) კულტურული ფენა, თითქმის უძრავ მდგომარეობაში შემონახული აღმოჩნდა (კილაძე, 1953, გვ. 563). მე-13 — მე-20 ფენები სტერილურია, რომლებიც, ძირითადად, წარმოდგენილია თიხნარით შევსებული კირქვის სხვადასხვა ზომის ნატეხებითა და ღორლით, აგრეთვე ქვიშებითა და თიხებით, ალაგ-ალაგ ბრექჩიებით (გძელიშვილი, 1953, გვ. 573). მათ ქვემაა საკმაოდ ძლიერი ფენა ქვარგვალებისა — ალუვიური ფენა, რომელიც გენეტიკურად შეიძლება ორად გაიყოს: ზედა ალუვიონი (21-ე ფენა) და ქვედა ალუვიონი უფრო მძლავრი ფენა (23-ე ფენა). ფენები მასიურ, ზედა ცარცის კირქვებზეა (25-ე) დალექილი.

კულტურული ფენების სტრატიგრაფიული ჭრილი ნათელს ხდის, რომ ცალკეული ფენების სიმძლავრე და გავრცელება ჭრილში ყველგან უკლებლივ არაა წარმოდგენილი. ეს გამოწვეული უნდა იყოს, ერთი მხრივ, ადამიანის ჩარევით (იგულისხმება გარკვეული პერიოდის ადამიანის მიერ მისი წინა პერიოდის კულტურული ფენების დაზიანება ან საერთოდ მოსპობა); მეორე მხრივ, ამას ხელს უწყობდა მღვიმის კედლებისა და ჭერის გამოფიტვის შედეგად, თუ სხვა მიზეზით, წარმოქმნილი სტერილური ფენების დალექვა, კულტურული ფენების გადარეცხვა და სხვ. კულტურული ფენები უმთავრესად ლინზისებურადაა განლაგებული, რომელთა სისქე ცვა-

<sup>2</sup>ჭრილში მე-2 ფენა;

<sup>3</sup> ჭრილში მე-4 ფენა;

<sup>4</sup> ჭრილში მე-6 ფენა;

<sup>5</sup> ჭრილში მე-4 ფენა;

<sup>6</sup> ჭრილში მე-6 ფენა;

<sup>7</sup> ჭრილში მე-15 ფენა;

<sup>8</sup> საველე დღიურებში 6. კილაძე (ბერძენიშვილი) მეზოლითურ ფენას ეპიპალეოლითურადაც მოიხსენიებს: „II თხრილში ჩრდილოეთ კედელთან ნეოლითის ფენა ჩაჭრილია ეპიპალეოლითში, რომელშიც მრავლადაა მიკროლითები. აქ ეპიპალეოლითს თავზე ადევს, ზედ აქვს გადაფარებული ნეოლითის ფენა. საერთოდ ეპიპალეოლითის ფენა მეტად თხელი იყო, მაგრამ ნაშთების შემადგენლობით საკმაოდ მძლავრი (24.IX-52)“

ლებადია და არ აღემატება 1-2 მეტრს, შრეების სახით კი ისინი ფერდობებზეა წარმოდგენილი (გძელიშვილი, 1953, გვ. 573).

აღნიშნული ჭრილის მიხედვით ნალექების დაგროვების სამ ეტაპზე მიუთითებენ, ესენია: პირველი — ყველაზე უფრო ძველი, რომელიც წარმოდგენილია ქვედა ალუვიონით<sup>9</sup>. ამ ეტაპის ბოლოს მღვიმეში (თავის პირვანდელ პოზიციაში) ჩამოყალიბდა პალეოლითის მე-V ფენა; მეორე — შუა, პალეოლითური, რომლის დასაწყისში ხდება ფენა V-ის<sup>10</sup> რომელიც გეოლოგ ი. გძელიშვილის მიერ ველზე განსაზღვრულია როგორც „მეორეული პალეოლითური ნაშთების შემცველი ფენა“, ხელმეორედ დალექვა ქვედა ალუვიონის ზედაპირზე, შემდეგ კი — მისი გადაფარვა სტერილური ნალექებით<sup>11</sup> და მღვიმეში IV-I პალეოლითური ფენების<sup>12</sup> წარმოქმნა. ამ ეტაპის ყველა ფენა ჰორიზონტალურადაა განლაგებული და მათი გენეზისი, ძირითადად, მღვიმურია. მესამე ეტაპი — ზედა ალუვიონისა და მღვიმის წინ ფერდობზე ხელმეორედ დალექილი ფენების წარმოქმნის დრო (ლიბინი, 1989, გვ. 106). V — I პალეოლითური ფენების გამყოფი ნალექები წარმოდგენილია სტერილური ფენებით

2.3. 4. მოწითალო თიხების მძლავრი ლინზით<sup>13</sup> და სხვადასხვაგვარი ნალექებით (კირქვის დიდ-პატარა ნატეხები, ლორდი, თიხნარები, ბრექჩიები და კირტუფი)<sup>14</sup>.

ამრიგად, „გათხრებით დადგენილი იქნა, რომ გამოქვაბული „საგვარჯილე“ რთული აგებულების არქეოლოგიური ძეგლია — შეიძლება ითქვას უნიკალური, რადგანაც აქ გარკვეული თანმიმდევრობით, ზევიდან ქვევით გვხვდება: ფერდალური და ანტიკური დროის, ენეოლით-ნეოლითური და პალეოლითური ხანის ძეგლები. მაგრამ, მიუხედავად ასეთი სტრატიგრაფიული ჭრილისა, ძეგლი თავისი ძირითადი მნიშვნელობით მაინც ქვის ხანის კლასიკურ ძეგლად შეიძლება ჩაითვალოს“ (გძელიშვილი, 1953, გვ. 571).

## ფაუნა

საგვარჯილის მღვიმის კულტურული ფენები დიდი რაოდენობით შეიცავდა ფაუნისტურ მასალას. ცხოველთა ძვლები შეისწავლეს 6. ბურჩაკ-აბრამოვიჩმა, ლ. გაბუნიამ, ა. ვეკუამ (ბურჩაკ-აბრამოვიჩი, 1972; ბურჩაკ-აბრამოვიჩ, 1972; 1980; გაბუნია, 1957; გაბუნია, 1959; Berdzenishvili, 1964, გვ. 3). ზედაპალეოლითურ (V-I) და მეზოლითურ ფენებში ცხოველთა შემდეგი სახეებია დადგენილი:

### მტაცებლები:

*Canis lupus* – მგელი

*Ursus arctos* – მურა დათვი

*Ursus spelaeus* – მღვიმური დათვი

### კენტჩილიქოსანი:

*Equus caballus* - ცხენი

### წყვილჩილიქოსანი:

<sup>9</sup>ჭრილში 23-ე ფენა;

<sup>10</sup>ჭრილში მე-12 ფენა;

<sup>11</sup>ჭრილში მე-19 და მე-16 ფენები;

<sup>12</sup>ჭრილში მე-11 — მე-8 ფენები.

<sup>13</sup>ჭრილში მე-19 ფენა;

<sup>14</sup>ჭრილში მე18 — მე-15 ფენები.

*Vulpes vulpes* – მელა

*Rhinoceros* მარტორქა

*Martes* sp. – კვერნა

*Cervus elaphus* – კეთილშობილი ირემი

*Meles meles* – მაჩვი

Cervidae - ირემი

*Lynx lynx* – ფოცხვერი

*Capreolus capreolus* – შველი

*Hyaena* sp. – აფთარი

*Ovis* sp. - ცხვარი

#### ძროხისნაირები:

*Bos taurus* – ძროხა

*Rupicapra rupicarpa* – ფსიჭი

*Bison bonasus* – დომბა

*Gazella* sp. - ჯეირანი

*Bison priscus* – პირველყოფილი ბიზონი

*Sus scrofa* – გარეული ღორი

აღნიშნულ ფაუნაში მღვიმური დათვის, აფთრის, ფოცხვერის და ზოგიერთი სხვა ცხოველის არსებობა, განსაკუთრებით კი მარტორქის ნაშთები, მის ზედაპალეოლითურ ასაკზე მიგვანიშნებს, თუმცა ცხოველთა ისეთი სახეები, როგორიცაა: კეთილშობილი ირემი, ჯიხვი, ჯეირანი, ღორი და სხვ. მეზოლითურ ეპოქაშიც ფართოდ იყო გავრცელებული.

### ქვის ინდუსტრია

საგვარჯილეს მღვიმის ზედა პალეოლითური (V-I) და მეზოლითური ფენები კაუისა და ობსიდიანის მდიდარ კოლექციებს შეიცავს.

საგვარჯილის ქვის ხანის ფენებიდან მომდინარე მასალების გაცნობისთანავე გაირკვა, რომ ათეული ათასობით ქვის ნაწარმი საველე შიფრის გარეშეა წარმოდგენილი. ზოგიერთ ნიმუშს აქვს შიფრი, მაგრამ საველე დავთრის არარსებობის პირობებში დღეისათვის იგი არაფრისმთქმელია. როგორც ირკვევა, ერთზე ან რამოდენიმე ნივთზე (და არა ყველაზე), საველე სამუშაო დროის შემჭიდროვებული ვადების გამო, ეწერებოდა შიფრი და სხვა დანარჩენი მასალა ამ ერთი შიფრით იყო დაჯგუფებული. მასალები ყუთებში ერთი საერთო ეტიკეტით იყო ჩანაცემის, საიდანაც ირკვევოდა მასალის აღმოჩენის ადგილი. ხშირ შემთხვევაში ყუთებს ეტიკეტები ან საერთოდ არ ახლდა, ან თუ შემორჩა მღრღნელებისაგან და ჭერიდან გამოჟონილი წვიმის წყლით ისე ძლიერ იყო დაზიანებული, რომ მათი წაკითხვა ვერ ხერხდებოდა. დღეისათვის ამგვარი შიფრები და ეტიკეტები მასალებთან მიმართებაში აღარაა სანდო. ნახევარსაუკუნეზე მეტმა დრომ გაიარა და ეს ქვის მასალა, ცხადია, ხელუხლებლად და უძრავად ვერ იდებოდა. ამიტომაც მათი ერთიმეორისაგან გამიჯვნა და მიკუთვნება პალეოლითის ცალკეული ფენებისადმი შეუძლებელი გახდა.

მიუხედავად დიდი მცდელობისა (დიდი გულისყურით ყველა ხელთარსებული საველე დოკუმენტების შემოწმება, ურთიერთშედარება), შეუძლებელი გახდა აგრეთვე მღვიმის შიგნით

უძრავი და ფერდზე მეორადი დანალექი ფენებიდან მოპოვებული მასალების ერთიმეორისაგან გამოყოფა. მოგვიხდა დაშიფრული თითოეული ქვის შეჯერება არსებულ საველე მონაცემებთან. მხოლოდ ამ გზით მოხერხდა მოგვეხდინა მათი კლასიფიკაცია, აღწერა და სამუზეუმო ახალი შიფრით ამ მასალის ახალ საინვენტარო წიგნში გატარება. ასე დავამუშავეთ 41 935 ერთეული ქვის ნაწარმი. მიუხედავად ასეთი რთული და ზედმიწევნითი სამუშაოს ჩატარებისა, დაშიფრული მასალის განსაზღვრული ნაწილის მიბმაც გარკვეულ ფენებთან მაინც ვერ მოხერხდა<sup>15</sup>, მაგრამ ქვის იარაღ-ანატკეცების მნიშვნელოვან ნაწილს სტრატიგრაფიულ ჭრილში თავისი ადგილი მოეძებნა. სწორედ მათ მიმოხილვას ვიძლევით ქვემოთ ფენების მიხედვით.

სტრატიგრაფიული მონაცემებითა და არქეოლოგიური ნაშთებით ცხადი ხდება, რომ მღვიმის ყველაზე უძველეს დანალექ კულტურულ ფენას წარმოადგენს V ფენა<sup>16</sup> (მე-12), რომელიც 138-ის სიღრმეზე მდებარეობს. ფენაში, რომლის სისქე 2მ-ს აღწევს, აღმოჩნდა ზედა პალეოლითის ადრინდელი საფეხურისათვის დამახასიათებელი კაუის ნაწარმი და მასთან ერთად მუსტიეური იერის იარაღებიც (კილაძე, 1953). საიარაღო ნედლ მასალად, ძირითადად, (62%) ძევრულას ხეობის კირქვებში ფართოდ გავრცელებული მუქი ნაცრისფერი კაუია გამოყენებული. ამ მასალიდან დამზადებულია, როგორც მუსტიეური, ასევე უფრო გვიანი ხანის,

## ცხრილი №1

### იარაღები

№	დასახელება	რაოდენობა
1	სახოკები	78
2	საფხეკები	80
3	საჭრისები	27
4	წვეტანები	74
5	დაკბილული იარაღები	39
6	დანები	20
7	ამოღარული იარაღები	6
8	ნისკარტისებური იარაღები	7
9	თავრეტუშიანი იარაღები	4
10	სახვრეტები	5
11	კომბინირებული იარაღები	20
12	ნუკლეუს — იარაღი	1
13	სათლელისებური იარაღები	2
14	რეტუშიანი ლამელები	138
15	რეტუშიანი ანატკეცები	103
	<b>სულ</b>	<b>604</b>

15. ჯაყელი, 2008-2009 წლებში „საგვარჯილის“ ჯგუფის მიერ ჩატარებულ საფონდო სამუშაოების ანგარიში. თბილისი, 2009, გვ. 1-5 (ხელნაწერი).

16V ფენას 6. ბერძენიშვილი (კილაძე) საგვარჯილე I-საც უწოდებს, ვინაიდან იქ მღვიმის პირველი მობინადრის ნაშთები იყო შემონახული. V ფენა საგვარჯილის ქვედა, I კულტურული ფენაა (ბერძენიშვილი, 1964, გვ. 49).

## ცხრილი №2

წარმოების ნაშთები<sup>17</sup>

№	დასახელება	რაოდენობა
1	ნუკლეუსები	121
2	6. დ. ა	13
3	ანატკერევები	67
4	ანატკეცები ურეტუშო	366
5	ლამელები ურეტუშო	268
	<b>სულ</b>	<b>835</b>

ზედა პალეოლითის, იარაღები (ბერძენიშვილი, 1964ბ, გვ. 49). მოგვყავს ცხრილები, რომელთა მიხედვითაც წარმოდგენა გვექმნება მე-V ფენის იმ მასალაზე, რომელმაც დღეს ჩვენამდე მოაღნია, მის ტიპოლოგიურ შემადგენლობაზე (ცხრილი №1, №2). (ტაბ.II).

როგორც ცხრილებიდან ჩანს, V ფენის ქვის ნაწარმი სულ 1439 ერთეულს შეიცავს. აქედან 835ც. წარმოების ნაშთია, ხოლო 604ც. — იარაღი. ნედლეულად, ძირითადად, გამოყენებულია კაჟი (1417 ერთეული), იშვიათია ობსიდიანი (19ც.) და ერთეულების სახითაა წარმოდგენილი არგილიტი (2ც.) და რიყის ქვა (1ც.).

წარმოების ნაშთებში ყველაზე დიდი რაოდენობით ანატკეცები მოიპოვება (366ც.), რომელთა შორის 71ცალი მასიური, დიდი ზომის ანატკეცია, დანარჩენი საშუალო ზომის ანატკეცებია. 132ც. ანატკეცს კაჭრის ქერქი აქვს შერჩენილი. მეორე ადგილზე ურეტუშო ლამელებია — 268ც. 121ც. ეგზემპლარითაა წარმოდგენილი ნუკლეუსები. მათ შორის, ძირითადად, გამოიყოფა ერთფუძიანი გრძივი და განივი ნუკლეუსები (69ც), ასევე მრავალფუძიანი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გატეხილია. 15ც. ნუკლეუსი დისკოსებურია, არის 2ცალი ლევალუაური ნუკლეუსი, დანარჩენი ეგზემპლარები უტილიზებულია.

იარაღებში წამყვანი ადგილი საფხეკებს უჭირავს (80ც.). მათგან 77ცალი ანატკეცებზეა გაკეთებული, რომელთაგან 1ც. მასიური უხეში ანატკეცია, 3ცალი კი ლამელაზეა დამზადებული. საჭრისების რაოდენობა საფხეკებისას მკვეთრად ჩამოუვარდება (სულ 27ცალია). მათგან 3ც. ლამელაზეა გაკეთებული, 1ც. ანატკერევზე, 23ცალი კი ანატკეცებზე. საფხეკებთან ერთად წამყვანი ჩანს სახოკები (78ც.), რომელთაგან მხოლოდ 2ცალია ლამელაზე გაკეთებული, დანარჩენი — ანატკეცებზე. სახოკებში ტიპოლოგიურად გამოიყოფა ამოღარულ, სწორ — და დაკბილულსა-მუშაოპირიანი ეგზემპლარები. 18ც. სახოკი დუბლირებულია. დიდი სერიითაა წარმოდგენილი წვეტანებიც (74ც.). მათგან 2ც. ლევალუაური დაკბილული წვეტანაა, 5ც. მუსტიეურ ლამელებზეა გაკეთებული, დანარჩენი კი მუსტიეურ ანატკეცებზე. საკმაოდ ბევრია დაკბილული იარაღები (39ც.). ერთის გარდა, რომელიც ლამელაზეა გაკეთებული, ყველა დაკბილულ ანატკეცს წარმოადგენს. გამოიყოფა დანების სერიაც (20ც.). დანებში 17ცალი ბუნებრივზურგიან ანატკეცებზეა დამზადებული. 1ც. ატიპიური დანაა, ასევე, ბუნებრივი ზურგით, 2 ცალს კი ათლილი ზურგი აქვს. დანარჩენი იარაღები უმნიშვნელო რაოდენობითაა წარმოდგენილი. კომპინირებულ იარაღებში გამოიყოფა: საჭრის-სახვრეტი, სახოკ-საჭრისი, სახოკ-სახვრეტი, დანა-საჭრის-სახოკი.

განსაკუთრებით ბევრია ანატკეცები და ლამელები რეტუშითა და გამოყენების კვალით.

ჩამონათვალ იარაღთაგან მცირე ნაწილია გაკეთებული ლამელებზე. დიდი ნაწილი კი ანატკე-

<sup>17</sup>6. დ. ა. — ნუკლეუსების დამუშავებისას მიღებული ანატკეც-ანატკერევები.

ცებზეა, თუმცა უნდა ალინიშნოს, რომ რეტუშიანი და ურეტუშო ლამელების რაოდენობა ერთად აღებული (406ც.), რეტუშიან და ურეტუშო ანატკეცებს ერთად (469ც.) მხოლოდ 63ც. ერთეულით ჩამოუვარდება. რეტუშიან ლამელებში კი გვხვდება 3ც. ზურგდაბლაგვული, 1ც. თავირიბრეტუ-შიანი, 43ცალი თავ ან გვერდამოლარული და 1ც. დაკბილული. 6ც. რეტუშიანი ლამელა მიკროლი-თურია.

ჩვენს მიერ შესწავლილ ინვენტარში, როგორც თავის დროზე ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, ნათლად ჩანს მუსტიეური და ზედაპალეოლითური წარმოების წესების ერთდროულად არსებობა. დომინირებს მუსტიეური ტექნიკით ნაკეთები იარაღები. იარაღთა კომპლექსში სჭარბობს მუსტიეური იარაღები: სახოკები, მუსტიეური წვეტანები დამახასიათებელი დარტყმის სიბრტყითა და შესაბამისი ბურცობით, ასევე ნუკლეუსები. გვხვდება მუსტიეურ ანატკეცებზე დამზადებული ზედაპალეოლითური იარაღები — საჭრისები, საფხეკები. უკვე გაჩენილია პროგრესული ელემენტები და შემზადებულია საფუძველი ზედა პალეოლითის უფრო განვითარებული კულტურის შესაქმნელად. მოპოვებული საფხეკები, უხეში საჭრისები, მოგრძო, გვერდდაბლაგვებული ფირფიტები, „ორინიაკოიდული“ სახის იარაღები და სხვ. ზედაპალეოლითური კულტურის დასაწყის მოასწავებს (ბერძენიშვილი, ნიორაძე, 1991, გვ. 156; ბერძენიშვილი, 1972, გვ. 40-43).

ინვენტარის ზედაპალეოლითური იერი და მისი არქაული ნიშნები საშუალებას იძლევა იგი ქვედადან ზედა პალეოლითზე გარდამავალ საფეხურს მივაკუთვნოთ (Киладзе, 1953, გვ. 565).

საგვარჯილეს V ფენის მასალა არაერთ ნიშანს იძლევა მთელი კომპლექსის ქვედა პალეოლითიდან დასაცილებლად და მომდევნო პერიოდის საწყისებთან ე. ნ. ორინიაკთან დასაკავშირებლად. ეს არის ზედა პალეოლითი მუსტიეს დიდი ტრადიციებით — პოსტმუსტიე (ბერძენიშვილი, 1964ბ, გვ. 50; Berdzenishvili, 1964, გვ. 6).

6. ბერძენიშვილის აზრს იზიარებს და საგვარჯილეს მღვიმის V ფენის ქვის ინდუსტრიას ი. კოზლოვსკი ყველაზე ადრეულ ზედა პალეოლითს მიაკუთვნებს (Kozlowski, 1970; 1972). დ. თუმაბრამიშვილი, რომელმაც შეისწავლა V ფენის მასალები, შესაძლებლად მიიჩნევდა საგვარჯილე I (საგვარჯილეს V ფენა) გაერთიანებულიყო საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების ადრეულ ჯგუფში (Тушабрамишвили, 1981; გვ. 55; Тушабрамишвили, Векуა, 1982, გვ. 183). ვ. ლიუბინის აზრით კი V ფენა, როგორც ხელმეორედ დალექილი (გძელიშვილი, 1953, გვ. 572), შესაძლოა შეიცავდეს პალეოლითის არა ერთი, არამედ ორი და მეტი სხვადასხვა დროის მასალებს (Любинин, 1989, გვ. 108). 6. ბადერიც ეჭვს გამოსთქვავს V ფენის კომპლექსში მუსტიეური და ზედაპალეოლითური ნაწარმის ორგანულად ერთ მთლიანობაში გაერთიანების თაობაზე და შესაძლებლად მიიჩნევს მექანიკურად მათი ერთმანეთში არევის ფაქტს (Бадер, 1984, გვ. 276), რაც გამორიცხული არ უნდა იყოს.

როგორც აღვნიშნავდით, საგვარჯილეს ზედაპალეოლითური ფენების (IV-I) მასალების განცალკევება ვერ მოხერხდა. მათზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად ყურადღება გავამახვილეთ ქვის დამუშავების ტექნიკაზე; მასალები დავაჯგუფეთ ტიპოლოგიურ-მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით; მოვახდინეთ მათი კლასიფიკაცია; გამოვიყენეთ სტატისტიკური მეთოდი. ჩატარებული სამუშაოების შედეგად აღნიშნული ფენებიდან ჩვენს მიერ ინვენტარიზებულია 23 332 ერთეული ქვის ნაწარმი. (ცხრილი №3 - №6). (ტაბ. III, IV) მასალის სტატისტიკა მოწმობს, რომ მღვიმეში დიდი ხნის მანძილზე პინადრობდა ადამიანი და ადგილზევე ამზადებდა იარაღებს. დგინდება, რომ მღვიმე საგვარჯილე ზედაპალეოლითელ ადამიანს სადგომ-სახელოსნოდ ჰქონია გამოყენებული, რაზედაც მიუთითებს ზედაპალეოლითური ფენების გათხრისას მიკვლეული კერის ნაშთებიც (კილაძე, 1953, გვ. 566). საიარაღ ნედლ მასალად ზედაპალეოლითელს ადგილობრივი მონაცრისფრო, მოვარდისფრო, მოწითალო-მოყავისფრო კაჟი გამოუყენებია, იშვიათად — ობსიდიანიც.

**ცხრილი №3**

№	დასახელება	რაოდენობა
1	კაჭრები	19
2	ნუკლეუსები	1071
3	ნ. დ. ა.	263
4	ანატკეც-ანამტვრევები	10381
5	ანატკეცები ლამელისებური, ურეტუშო	763
6	ლამელები ურეტუშო	6631
	<b>სულ</b>	<b>19128</b>

**ცხრილი №4**

№	ნუკლეუსები	რაოდენობა
1	პრიზმული ერთ და ორფუძიანი	133
2	კონუსური ერთ და ორფუძიანი	81
3	ბრტყელი	55
4	ფსევდოდისკოსებური	3
5	ამორფული	713
6	უტილიზებული	86
	<b>სულ</b>	<b>1071</b>

**ცხრილი №5**

№	დასახელება	რაოდენობა
1	საფხეკები ანატკეცებზე	381
2	საფხეკები ლამელებზე	203
3	საფხეკები ლამელისებურ ანატკეცებზე	5
4	საფხეკე ანამტვრევზე	1
5	საფხეკები ნ. დ. ა. -ზე	30
	<b>სულ</b>	<b>620</b>
6	სახოკები ანატკეცებზე	34
7	სახოკები ლამელისებურ ანატკეცებზე	2
	<b>სულ</b>	<b>36</b>
8	საჭრისები ანატკეცებზე	371
9	საჭრისები ლამელებზე	161
10	საჭრისები ნუკლეუსებზე	127
11	საჭრისები ნ. დ. ა.-ზე	17
12	საჭრისები ანამტვრევებზე	40
	<b>სულ</b>	<b>716</b>
13	სათლელისებური იარაღები ლამელებზე	19
14	სათლელისებური იარაღები ანატკეცებზე	50
15	სათლელისებური იარაღები ნუკლეუსებზე	7

	<b>სულ</b>	<b>76</b>
16	სახვრეტები ლამელებზე	26
17	სახვრეტები ანატკეცებზე	14
18	სახვრეტი ნ. დ. ა. -ზე	1
	<b>სულ</b>	<b>41</b>
19	ნუკლეუს-შალაშინები	73
20	წვეტანისებური იარაღები ლამელისებურ ანატკეცებზე	3
21	სეგმენტისებური ჩასართი	1
22	ფოთლისებური მოყვანილობის (ძირითადად ორმხრივდამუშავებული იარაღები	13
23	კომბინირებული იარაღები:	
ა	საჭრის-სათლელები ნუკლეუსებზე	2
ბ	საჭრის-საფხექები ნუკლეუსებზე	4
გ	საჭრის-საფხექე ანამტვრევზე	1
დ	საჭრის-საფხექები ანატკეცებზე	36
ე	საჭრის-საფხექები ლამელებზე	12
	<b>სულ</b>	<b>55</b>
24	ლამელები რეტუშისა და გამოყენების ნიშნით	1409
25	ანატკეცები რეტუშისა და გამოყენების ნიშნით	849
	<b>სულ იარაღები</b>	<b>3892</b>

## ცხრილი №6

№	ლამელები	რაოდენობა
1	ურეტუშო	6631
2	რეტუშიანი:	
ა	გვერდდაბლაგვული	67
ბ	დაკბილულ-ამოღარული	173
გ	დაკბილული	24
დ	გვერდამოღარული	19
ე	თავრეტუშიანი	25
ვ	ბურცობათლილი	1
ზ	გვერდდაბლაგვული და თავ-ბოლორეტუშიანი	1
თ	ორგვერდრეტუშიანი	2
	<b>სულ</b>	<b>312</b>
3	რეტუშისა და გამოყენების ნიშნებით	1409
	<b>სულ</b>	<b>8352</b>

ზედაპალეოლითური ფენების მთელ ლამელებში 1878ცალი კაჭრის ქერქიანია, 3382ც. ლამელა გატეხილია. 285ც. ლამელა მოზრდილი ზომისაა და განიერი, მათი ზომები მერყეობს: 8.3X2.7სმ. და 5.1X2.2სმ-ს შორის; 1722 ცალი მცირე და საშუალო ზომისაა, ხოლო 2412ცალი — მცირე ზომის და მიკროლითური. მოპოვებული მასალიდან 19128ცალი წარმოების ნაშთებს შეადგენს, ხოლო 4204ცალი სხვადასხვა სახის იარაღია.

წარმოების ნაშთებში ურეტუშო ანატკეც-ანამტვრევებსა და ლამელებს წამყვანი ადგილი უჭირავს (ცხრილი №3), ნუკლეუსებში (1071ც). ბევრია ამორფული და უტილიზებული ეგზემპლარები. კარგად ჩამოყალიბებულ ნუკლეუსებში უპირატესობა პრიზმულ ერთ — და ორფუძიანებს უჭირავს — 133ც., რომელთაც თანმიმდევრულად მისდევს კონუსური ერთ — და ორფუძიანი ეგზემპლარები — 81ც. 55 ცალითაა წარმოდგენილი ბრტყელი ნუკლეუსები და სულ 3ცალი ფსევდოდისკოსებური ნუკლეუსია.

ამ ფენებიდან იარაღები საკმაოდ მრავალფეროვნად გამოიყურება (ცხრილი №5). ყველაზე მეტი საჭრისებია — 716ც. მათი დიდი ნაწილი ანატკეცებზეა დამზადებული — 371ც. რაოდენობრივად ნაკლებია საჭრისები ლამელებზე ნაკეთები — 161ც, ბევრია ნუკლეუს-საჭრისი — 127ც. 57ც. საჭრისი — 6. დ. ა.-სა და უსახო ანამტვრევებზეა დამზადებული.

საჭრისებს რიცხობრივად ოდნავ ჩამოუვარდება საფხეცები — 620ც. აქედან 381ც. ანატკეცებზეა ნაკეთები, ხოლო 203ც. — ლამელებზე. 30ცალამდეა 6. დ. ა.-ზე გაკეთებული საფხეცი.

36ცალი სახოკია (2ც. ლამელისებურ ანატკეცებზე, 34ც. — ანატკეცებზე).

საკმაო რაოდენობით მოიპოვება სათლელისებური იარაღები — 76ც. მათგან 50ც ანატკეცებზე, 19ც. ლამელებზე და 7ცალი ნუკლეუსებზეა გაკეთებული. საგრძნობ სერიას შეადგენს ნუკლეუს-შალაშინებიც — 73ც. 41ცალი სახვრეტია: ლამელებზე (26ც.), ანატკეცებზე (14ც.) და 6. დ. ა.-ზე (1ც.) გაკეთებული.

55ცალი კომბინირებული იარაღია, აქედან მხოლოდ 2 ცალი საჭრის-სათლელია ნუკლეუსებზე ჩამოყალიბებული, დანარჩენი საჭრის-საფხეცებია, დამზადებული, როგორც, ანატკეცებზე — 36ც., ასევე ლამელებზეც — 12ც. 4ც. საჭრის-საფხეცი ნუკლეუსზეა გაკეთებული. ერთადერთი ცალია სეგმენტისებური და 3ცალია წვეტანისებური იარაღი. უნდა აღინიშნოს ფოთლისებური მოყვნილობის ორმხრივდამუშავებული იარაღები, კაჟისა და ბაზალტის (1ც.), ანატკეცებზე დამზადებული, სულ 13ცალი.

იარაღებში გაერთიანებულია ანატკეცების დიდი რაოდენობა — 849ც, მათ კარგად ემჩნევათ რეტუში და იარაღად გამოყენების ნიშნები.

რეტუშიან ლამელებში — 312ც. (ცხრილი №6) წამყვანი ადგილი დაკბილულ-ამოღარულ ფორმებს უჭირავს — 173ც. და გვერდდაბლაგულ ეგზემპლარებს — 67ც. 25ც. თავრეტუშიანი ლამელაა, 24ც. — დაკბილული და 19ც. — გვერდამოღარული. აღნიშნული ფენების მთელ ლამელებში (რეტუშიანი და ურეტუშო) 1878ც. კაჭრის ქერქიანია, 3382ც. ლამელა გატეხილია.

285ც. ლამელა მოზრდილი ზომისაა და განიერი, ზომები მერყეობს: 8.3სმX2.7სმ და 5.1სმX2.2სმ-ს შორის, 1722ცალი მცირე და საშუალო ზომისაა, ხოლო — 2412ცალი მცირე ზომის და მიკროლი-თური.

როგორც ვხედავთ უკვე საკმაოდ მომძლავრებულია ლამელარული ტექნიკა, ბევრია მცირე ზომის და მიკროლითური ლამელები, გავრცელებულია დამაბლაგვებელი რეტუში. IV—I ფენებში აღმოჩენილი ნუკლეუსები დამახასიათებელია ზედაპალეოლიტური ხანის ძეგლებისათვის. ფენებში კაჟის მასალასთან ერთად ძვლის იარაღებიცაა გამოვლენილი: სადგისები, რეტუშორები.

საგვარჯილის ძველი ქვის ხანის ფენათა ნაშთებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოში პირველად აღმოჩენილი პალეოლითის ხელოვნების ნიმუშები: ტალკისა-გან გაკეთებული სხვადასხვა გამოსახულების ყელსაკიდები, ცხოველის ლულოვანი ძვლისაგან გამოთლილი 11სმ. სიგრძის სადგისი, რომელიც თევზის გამოსახულებას წარმოადგენს, ზღვის ლოკოკინის — *Turritella duplicata* L. — 19 ცალი გახვრეტილი ნიუარა. ჩანს, ნიუარები საგვარჯილის მღვიმის ძველი ქვის ხანის ადამიანის ყელსაბამს წარმოადგენდა (კილაძე, 1953, გვ. 567; ბერ-

ძენიშვილი, 1959, გვ. 38, ტაბ. IV; ნიორაძე მ., ნიორაძე გ. 2002, გვ. 5-14).

აღნიშნული ნივთების, როგორც პალეოლიტური ხელოვნების ნიმუშების შეფასებისას ამ ბოლო ხანებში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრება. ლ. ნებიერიძის აზრით პალეოლიტურად მიჩნეული სამკაულები და საკიდი-ამულეტები გვიანენეოლიტური კომპლექსის შემადგენელი ნაწილია (ნებიერიძე, 2000, გვ. 5-12; 2003, გვ. 57-64; Nebieridze, 2004 გვ. 39-45).

ზედაპალეოლიტური ფენებიდან კოლექციების დამუშავებისას ჩვენც მივაკვლიეთ მცირე ხელოვნების ნიმუშებს, რომლებიც დღემდე გამოუქვეყნებელი და უცნობი იყო. ესენია: ცხოველის ძვლის ორი ცალი ფრაგმენტი, ერთზე 14 და მეორეზე 19 ლრმა და სიმეტრიულად განლაგებული პარალელური ნაჭდევებით; მოწითალო კაუის ანამტვრევი ასეთივე 9 ნაჭდევით; ორი ცალი საკიდი, მათ შორის ერთი ნსმ სიგრძის ძვლის ფრაგმენტია, რომლის ერთი ბოლო გახვრეტილია, ერთიც მღვიმის დათვის გახვრეტილ კბილს წარმოადგენს (ტაბ. V). როგორც მიუთითებდა ძეგლის გამთხრელი ძველი ქვის ხანის აღნიშნული ოთხი კულტურული ფენის ნაშთები ზედა პალეოლიტს მიეკუთვნება (კილაძე, 1953, გვ. 566; კილაძე, 1953, გვ. 565).

საგვარჯილის IV—I ფენების წარმოების ნაშთები და იარაღთა ტიპები, დამუშავების ტექნიკისა და ზოგადი ნიშან-თვისებების მიხედვით, დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლიტური ძეგლების მასალებთან ავლენს დიდ მსგავსებას და სიახლოვეს. სამწუხაროდ, დღეისათვის, ის ობიექტური მიზეზები, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი და რის გამოც ვერ მოხერხდა IV—I ფენების მასალების ერთმანეთისაგან ცალკეულ კომპლექსებად გამოყოფა, საშუალებას არ იძლევა მასალები ზედა პალეოლიტის ჩარჩოებში გარკვეულ ქრონოლოგიურ პერიოდებს მივაკუთვნოთ და მათი კულტურული კუთვნილება ნათლად განვსაზღვროთ, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული ფენების მასალები ზედა პალეოლიტის ერთ გარკვეულ პერიოდს მიეკუთვნებოდეს.

საგვარჯილის მეზოლიტური ფენის მასალები წინასწარულადაა გამოქვეყნებული (გაბუნია, წერეთელი, 1991, გვ. 198; ბადერ, ცერეტელი, 1984, გვ. 97).

უნდა აღინიშნოს, რომ არც მეზოლიტური ფენიდან მომდინარე მასალაა დღეისათვის სრული სახით წარმოდგენილი.

#### ცხრილი №7

№	დასახელება	რაოდენობა
1	ნუკლეუსები კონუსური, ერთფუძიანი	70
2	ნუკლეუსები კონუსური, ორფუძიანი	15
3	პრიზმული ერთფუძიანი	23
4	პრიზმული ორფუძიანი	23
5	ბრტყელი	24
6	სოლისებური	8
7	ფსევდოფანქრისებური	6
8	ამორფული	7
9	უტილიზებული	120
	<b>სულ</b>	<b>296</b>
	ანატკეცები ურეტუშო:	
10	მცირე და საშუალო ზომის კაჭრისქერქიანი	666
11	მცირე და საშუალო ზომის კაჭრისქერქის გარეშე	1159

12	ნუკლეუსის გვერდის ჩამონატეხები	49
13	ლამელისებური	61
14	მიკროლითური და ქერცლისებური	3455
	<b>სულ</b>	<b>5390</b>
	ანამტვრევები:	
15	ნუკლეუსისებური	35
16	6. დ. ა.	720
17	მცირე და საშუალო ზომის, ძირითადად კაჭრისქერქიანი	629
	<b>სულ</b>	<b>1384</b>
	ლამელები ურეტუშო:	
18	მიკროლამელები	861
19	მცირე და საშუალო ზომის, მთელი	1393
20	მცირე და საშუალო ზომის, გატეხილი	1312
21	მოზრდილი ლამელები	12
	<b>სულ</b>	<b>3578</b>

### ცხრილი №8

№	იარაღები	რაოდენობა
	სახოკები:	
1	ამოლარული სამუშაო პირით ანატკეცზე	1
2	ოვალური სამუშაო პირით ანატკეცზე	1
	<b>სულ</b>	<b>2</b>
	საფხეცები:	
3	ლამელებზე გაკეთებული	145
4	ანატკეცებზე გაკეთებული	194
5	6. დ. ა. - ზე	4
6	ანამტვრევზე გაკეთებული	1
7	სამუშაო პირის ფრაგმენტები	43
	<b>სულ</b>	<b>387</b>
	საჭრისები:	
8	ანატკეცებზე გაკეთებული	94
9	ლამელისებურ ანატკეცზე გაკეთებული	1
10	ნუკლეუსებზე გაკეთებული	14
11	6. დ. ა. - ზე	7
12	ლამელებზე გაკეთებული	63
	<b>სულ</b>	<b>179</b>
	სათლელისებური იარაღები:	
13	ანატკეცებზე	6
14	ლამელაზე	1
15	ნუკლეუსებზე	9
	<b>სულ</b>	<b>16</b>

	კომპინირებული იარაღები:	
16	სათლელ-საფხევ-სახვრეტი ანატკეცზე	1
17	საფხევ-საჭრისები ანატკეცებზე	10
18	საფხევ-საჭრისები ლამელებზე	3
19	საფხევ-საჭრისები ლამელისებურ ანატკეცებზე	2
20	სახოკ-საჭრისი ანატკეცზე	1
	<b>სულ</b>	<b>17</b>
21	წვეტანა ლამელაზე	1
22	სახვრეტი ლამელაზე	1
23	სეგმენტი	1
	<b>სულ</b>	<b>3</b>
	ლამელები რეტუშიანი:	
24	რეტუშიანი და გამოყენების ნიშნებით, დიდი ზომის	41
25	რეტუშიანი და გამოყენების ნიშნებით, საშუალო ზომის	110
26	მიკროლამელები და მცირე ზომის ლამელები, ფაქიზი რეტუშით	421
27	მიკროლამელები, გვერდდაბლაგვებული	99
28	მცირე და საშუალო ზომის გვერდდაბლაგვებული	213
29	გვერდამოლარული და დაკბილული	101
30	გვერდამოლარული	12
31	თავამოლარული	1
32	თავმომრგვალებული	1
33	თავირიბრეტუშიანი	13
34	თავ-ბოლოგადამტვრეული, რეტუშისა და გამოყენების ნიშნებით, მცირე ზომისა და მიკროლითური	305
	<b>სულ</b>	<b>1317</b>
	ანატკეცები რეტუშიანი:	
35	მცირე და საშუალო ზომის	204
	<b>სულ</b>	<b>204</b>

დღეს ჩვენს მიერ დამუშავებული მეზოლითური ფენის კომპლექსი მთლიანად 12773 ერთეულ ქვის მასალას შეიცავს. აქედან 10648 ც. წარმოების ნაშთია, 2125 ც. — იარაღი. (ცხრილი №7, №8). (ტაბ. VI). წარმოების ნაშთებში გამოიყოფა: 296 ც. ნუკლეუსი. აქედან წამყვანია კონუსური ერთ-ფუძიანი — 70 ც. და ორფუძიანი — 15 ც. ნუკლეუსები (სულ 85 ც.). თანაბარი რაოდენობითაა პრიზმული ერთფუძიანი — 23 ც. და ორფუძიანი — 23 ც. ნუკლეუსები (სულ 46 ც.). მათ შორის 18 ც. ნუკლეუსი მიკროლითურია, 43 ცალს კაჭრის ქერქი აქვს შერჩენილი. თუ არ ჩავთვლით უტილიზებულ ნუკლეუსებს, რომელთა რიცხვი 120 ც. ერთეულს აღწევს, რაოდენობრივად მოდის ბრტყელი ნუკლეუსები — 24 ც. მცირე რაოდენობითაა სხვა სახის ნუკლეუსები: სოლისებური — 8 ც; ფსევდოფანქრისებური — 6 ც; და ამორფული — 7 ცალი.

დიდი რაოდენობითაა სხვადასხვა სახის ანატკეცები — 5390 ცალი. მათში გამოიყოფა ლამელისებური ანატკეცები — 61 ც. მცირე და საშუალო ზომის ანატკეცები — 1825 ც, რომელთა შორის 666 ც. კაჭრის ქერქიანია. არის ნუკლეუსის გვერდის ჩამოტეხვის შედეგად მიღებული ანატკეცები — 49 ც. და განსაკუთრებით ბევრია მიკროლითური და ქერცლისებური ანატკეცები — 3455 ცალი.

ასევე ბევრია ურეტუშო ლამელები — 3578ც. რომელთა შორის 861ც. მიკროლითურია. დიდი რაოდენობითაა მცირე და საშუალო ზომის ლამელები — 2705ც. რომელთაგან 1312ც. თავ — ან ბოლო ან თავბოლოგადამტვრეულია. 12ც. ლამელა მოზრდილი ზომისაა.

იარაღებში ყველაზე მეტი საფხეკია — 387ც. ერთეული. ტიპოლოგიურად გამოიყოფა, ძირითადად, ოვალურსამუშაოპირიანი, ნაკლებადაა დაკბილული, თავამოღარული, სწორი და ირიბსა-მუშაოპირიანი საფხეკები. მათი დიდი ნაწილი ანატკეცებზეა გაკეთებული — 194ც., ხოლო 145ც. — ლამელებზეა. 4ც. საფხეკი 6. დ. ა.-ზეა გაკეთებული და 1ც. ანამტვრევზე. 43ცალი საფხეკების სამუშაო პირის ფრაგმენტია. საფხეკებს შორის მიკროსაფხეკი მხოლოდ 8ცალია.

საფხეკების რაოდენობას საჭრისები საგრძნობლად ჩამოუვარდება — 179ც. 94ც. საჭრისი ანატკეცზეა გაკეთებული, 1ც. — ლამელისებურ ანატკეცზე. 63ცალი საჭრისი ლამელაზეა დამზადებული, 14ცალი ნუკლეუს-საჭრისის წარმოადგენს. არის ასევე 6. დ. ა.-ზე გაკეთებული 7ც. საჭრისი. საჭრისების უმეტესობა შუალაბა.

16ც. ერთეულითაა წარმოდგენილი სათლელისებური იარაღები. მათგან 9ც. ნუკლეუსზეა გაკეთებული, 6ც. — ანატკეცზე და 1ც. ლამელაზე. თითო-თითო ეგზემპლარითაა წარმოდგენილი სახვრეტი (ლამელაზე), წვეტანა (ლამელაზე) და წაგრძელებული მოყვანილობის სეგმენტი.

მეზოლითური ფენის კომპლექსში გვხვდება 17ც. კომბინირებული იარაღიც, ესენია: 15ც. საფხეკ-საჭრისი (3ც. ლამელაზე და 10ც. ანატკეცზე), სახოკ-საჭრისი — 1ც. და ერთიც სათლელ-საფხეკ-სახვრეტია ანატკეცებზე.

კოლექციაში გეომეტრიული ფორმების არარსებობა (გარდა 1ც. სეგმენტისა), ნუკლეუსთა სახეები, საფხეკთა და საჭრისთა ფორმები და მათში მიკროლითური ეგზემპლარების გამოჩენა, ლამელების დიდი რაოდენობა, რომლებშიც ჭარბობს გვერდდაბლაგვებული და დაკბილულ-ამოღარული ფორმები, მიკროლამელების ფართო გავრცელება, მიუხედავად კომპლექსის არა-სისრულისა, მისი მეზოლითის ადრეული საფეხურისათვის მიკუთვნებაზე უნდა მეტყველებდეს.

პალეოლითის დარგში მომუშავე სპეციალისტები, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი, იმედოვნებდნენ, რომ საგვარჯილე, როგორც ძველი ქვის ხანის მრავალფენიანი ძეგლი, მღვიმის სტრატიგრაფიითა და ზედაპალეოლითური მასალების კვლევის შედეგებით ბევრ რამეს გაარკვევდა კავკასიის, კერძოდ კი საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების პერიოდიზაციის საკითხში. გაჩნდა საშუალება მომხდარიყო ძეგლების პერიოდიზაციის საფუძვლიანი გადასინჯვა, დადგენა სტრატიგრაფიული დაკვირვებების გზით, როგორც ეს მოხდა რუსეთის ველის ზედაპალეოლითური ძეგლების პერიოდიზაციის მიმართ კოსტენკოში წარმოებული სტრატიგრაფიული დაკვირვებების შემდეგ (Рогачев, 1957, 1961). როგორც აღნიშნავდაა. ფორმოზოვი: „..სამწუხაროდ, საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების მხოლოდ ტიპოლოგიურ ანალიზზე დამყარებული ს.ზამიატინინის პერიოდიზაციის სქემის სტრატიგრაფიული შემოწმების ერთადერთი შესაძლებლობა ხელიდან იქნა გაშვებული, საგვარჯილის მრავალფენიანი ძეგლის წარუმატებლად ჩატარებული გათხრის გამო, რომლის მასალებიც არ არის გამოქვეყნებული (Формозов, 1965, გვ. 49-50).

## საგვარჯილის მღვიმის კვლევის პერსპექტივები

მიუხედავად გარემოებებისა, რომელიც მასალის კულტურული ფენებისათვის მიკუთვნებას, აგრეთვე, მღვიმის საველე კოორდინატების განსაზღვრას ართულებდა და გარკვეულ შემთხვევაში შეუძლებელსაც კი ხდიდა მას, ვთიქრობთ, ძეგლის, როგორც არქეოლოგიური წყაროს რეკონსტრუქციის მცდელობა, — ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგი — მისი აღმოჩენიდან ექვსი ათეული წლის შემდეგაც კი, ინტერესმოკლებული და უსარგებლო არ უნდა იყოს. ჩვენსხელთარსებული მონაცემების შეჯერების საფუძველზე ასახული სინამდვილე კი ის არგუმენტია, რაც ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს.

იმედს ვიტოვებთ რომ, შესაძლოა, საგვარჯილები ჩატარებულმა ახალმა საველე — არქეოლოგიურმა სამუშაოებმა პოზიტიური როლი შეასრულოს და ხელი შეუწყოს ძეგლის მეცნიერულ შესწავლას. მართალია, საგვარჯილის მღვიმე დღეისათვის გამოსუფთავებულია და იქ გათხრითი-არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების შესაძლებლობები ნაკლებია, მაგრამ, როგორც ირკვევა 6. კილაძის საველე დღიურებიდან (1952წ. 21. VII), ძველი ქვის ხანის კულტურული ფენები მღვიმის წინ, ფერდობზე, ჯერ კიდევ გამოსავლენია. თითქოს ჩნდება შესაძლებლობა და იმედიც იქ, გათხრის შემთხვევაში, ახლადმოპოვებული ქვის მასალით მოვახდინოთ ჩვენსხელთარსებული მასალების მონაცემების იდენტიფიცირება, გავარკვიოთ მღვიმის ქვის ინდუსტრიების კულტურული კუთვნილება, მივიღოთ აბსოლუტური თარიღები და სხვ. აი, რას წერს დღიურში ამის შესახებ გამთხრელი: „1952წ 30 ნოემბერი. ..დღეს დამთავრდა საგვარჯილის თხრა. მასალის შეფუთვა-გატანაზე გვეხმარებიან მუშები. II თხრილის გამოქვაბულის შიდა ნაწილი მთლიანად გაითხარა. ფერდობის ფენების გათხრა კი მხოლოდ მეზოლითის ფენის გამოვლენით დასრულდა. მის ქვემოთ არც ერთი ფენა აღარ გაგვითხრია, დრო და ფული ამოინურა. მშენებლობამ დაიწყო ჩვენი თხრილების ამოვსება. ძევრის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ თითქმის ერთი წლის განმავლობაში გათხრილი თხრილები მათ სულ მოკლე დროში შეუძლიათ გაავსონ მიწით, ე.ი. დაფარონ ჩვენი აქ მუშაობის კვალი. მიწით დაიფარება ის კულტურული ფენებიც, რომლებიც ჩვენმა ექსპედიციამ ვეღარ გათხარა, ესაა II თხრილის ფერდობზე დალექილი ფენები, რომლებიც შემოინახება არქეოლოგთა მომავალი თაობისათვის (ნ. კილაძე დღიური №5).

**SAGVARJILE – CAVE SITE OF THE PALAEOLITHIC MEN  
(The History and the Perspectives of the Research)  
(Is Dedicated to the 60<sup>th</sup> anniversary of its Excavations)**

**Medea Nioradze<sup>1</sup>, Manana Gabunia<sup>1</sup>, Lamara Nebieridze<sup>1</sup>, Nikoloz Tushabramishvili<sup>1</sup>,  
Nino Jakeli<sup>1</sup>, Tamar Agapishvili<sup>1</sup>, Giorgi Nioradze<sup>1</sup>**

<sup>1</sup> Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105, Tbilisi, Georgia, Email:medeanioradze@rambler.ru, m-gabunia@posta.ge, ninotortladze@yahoo.com, nikolozt@hotmail.com, nino\_jakeli@yahoo.com, atatela@yahoo.com, giorginioradze@gmail.com.

**Summary**

Sagvarjile Cave is located in West Georgia, Terjola region, in the village Dzevri, on the left bank of the Dzevrula river, 18.5m from the river and 222m from the sea level.

The Dzevri Archaeological expedition of the Institute of History of the Georgian Academy of Science leaded by Nino Kiladze (Berdzenishvili) in 1951-1952 revealed Upper Paleolithic (V-I), Mesolithic, Neolithic, Eneolithic and of later periods (Classical and Medieval) layers. The materials of the V layer, as well as Mesolithic and Neolithic-Eneolithic layers are more or less well studied and published.

The main priorities of the Georgian National Museum is the registration of the materials of the old expeditions, so, after 60 years, the whole material was compared with the existed documents, they were grouped by the layers to assign them to the stratigraphy of the cave. 41.935 artefacts were studied using typology and statistics.

Paleolithic (V-I layers) and Mesolithic layers contain rich Quaternary faunal materials.

The main rough material for the tools was local flint, obsidian and occasionally argillite, basalt and river rock were less used.

In the lowermost V layer the Musterian types of tools prevail such as: scrapers, points, denticulated tools and knives, also qualitative changes in the stone industry can be seen; variety of endscrapers, some types of burins, big amount of blades and gradually appearance of backed items correspond to the early stage of the Upper Paleolithic.

IV-I Upper paleolithic layers are very rich, though stratigraphically it was impossible to divide them. Dominant blade-bladelet technology, the backing retouch, prismatic and conical cores, types of the tools are typical for the Upper Paleolithic. The objects of art were recovered from these layers, while studying the material we found 2 bone fragments and flint flake with deep, parallel stripes, also pendants made on the cave bear tooth and antler.

Mesolithic layer and its materials with no geometrical forms, types of cores, endscrapers and burins, increase the number of bladelets, backed blades-bladelets, denticulated, notched items, truncation and trimmed balbs can be attributed to the Early stage of Mesolithic period.

The cave site Sagvarjile was permanently occupied by paleolithic humans and was used as a long term settlement.

The future archaeological testing excavations will give the opportunity to clear up the chronological and cultural place of Sagvarjile cave.

## ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი ნ. 1959. ზედა პალეოლითი, საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, გვ. 37-38.
2. ბერძენიშვილი ნ. 1964ა. საგვარჯილეს აღმოჩენა და მისი გათხრის მეთოდიკა, (ხელნაწერი), გვ. 1-48 (დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის ქვის ხანის ფონდში).
3. ბერძენიშვილი ნ. 1964ბ. ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალნითელას ხეობაში, თბილისი, გვ. 3-84.
4. ბერძენიშვილი ნ., ნიორაძე გ. 1991. ზედა პალეოლითი, საქართველოს არქეოლოგია, ქვის ხანა, ტ. I, თბილისი, გვ. 155-157.
5. ბურჩავ-აბრამოვიჩი ნ. 1972. საგვარჯილეს გამოქვაბულის (იმერეთი) ხერხემლიანთა შესწავლისათვის. სპელეოლოგთა X სამეცნიერო სესია. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბილისი.
6. გაბუნია ლ. 1957. ნამარხი მარტორქა საგვარჯილიდან (დასავლეთი საქართველო), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIX, №2, გვ. 93-196.
7. გაბუნია მ., ნერეთელი ლ. 1991. მეზოლითი, საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, გვ. 198-199.
8. გძელიშვილი ი. 1953. „საგვარჯილის“ სტრატიგრაფიისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIV, №9, გვ. 569-575.
9. კალანდაძე ა. 1970. ქვის ხანა საქართველოში, გვიანი (ზედა) პალეოლითი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბილისი, გვ. 99.
10. კილაძე ნ. (ბერძენიშვილი), 1951. არქეოლოგიური დაზვერვები სოფ. ძევრში, თბილისი, (ხელნაწერი), გვ. 1-34 (დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის ქვის ხანის ფონდში).
11. კილაძე(ბერძენიშვილი) ნ. 1951-1952. ძევრის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე დღიურები (№1 - №5) (დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის ქვის ხანის ფონდში).
12. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. 1952. საგვარჯილის აღმოჩენისა და გათხრის ისტორია, (ხელნაწერი), გვ. 1-52 (დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის ქვის ხანის ფონდში).
13. კილაძე ნ. 1953. მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIV, №9, გვ. 561-568.
14. ნებიერიძე ლ. 2000. მღვიმე საგვარჯილის სამკაულებისა და ამულეტების დათარიღებისათვის, ძიებანი №6, გვ. 5-12.
15. ნებიერიძე ლ. 2003. მღვიმე საგვარჯილეს ენეოლითური ხანის ნამოსახლარი, თბილისი, გვ. 3-202.
16. ნიორაძე მ., ნიორაძე გ. 2002, ზედაპალეოლითური ხელოვნების ნიმუშები საქართველოს მღვიმური სადგომებიდან, ძიებანი №9, გვ. 5-14.
17. ბადერ ნ. 0. 1984. Поздний палеолит Кавказа, Палеолит СССР, Археология СССР, Москва, с. 272-301.
18. ბადერ ნ. 0., ცერეტელი ლ. დ. 1989. Мезолит Кавказа, Мезолит СССР, Археология СССР, Москва, с. 93-105.
19. ბერძениშვili ნ. 3. 1972. К вопросу о начальной стадии верхнего палеолита Грузии. Каменный век Средней Азии и Казахстана, Ташкент, с. 40-43.
20. ბურჭაკ-აბრაਮовиЧ ნ. И. 1972. Фауна пещеры Сагварджиле в Западной Грузии (дикие животные), Тбилиси.
21. ბურჭაკ-აбрАмовиЧ н. И. 1980. Фауна пещеры Сагварджиле в Западной Грузии (домашние животные), Тбилиси.
22. გაბუნია ლ. კ. 1959. О лошади из Сагварджиле (Западная Грузия), Сборник тр. Геолог. Института АН ГССР, Тбилиси, с. 270
23. კილაძე ნ. 3. 1953. Многослойный археологический памятник "Сагварджиле", Сообщения Акад. Наук. Грузинской ССР, т. XIV, №9, с. 561-567
24. ლიუბინ ვ. პ. 1989. Палеолит Кавказа, Палеолит Мира, Ленинград, с. 106-109.
25. როგაчев ა. ნ. 1957. Многослойные стоянки Костенковско-Боршевского района, МИА, №59, с. 47-56.
26. როგაчев ა. ნ. 1961. Некоторые вопросы стратиграфии и периодизации верхнего палеолита Восточной Европы (о принципе геологической стратиграфии при изучении палеолита), Труды комиссии по изучению четвертичного периода, Москва, т. 18.
27. თუშაბრამიშვili დ. მ. 1981. Палеолит в Грузии, Пещеры Грузии, №9, Тбилиси, с. 51-56.
28. თუშაბრამიშვili დ. მ., ვეკა ა. კ. 1982. Палеолит в Грузии, Четвертичная система Грузии, Тбилиси, с. 178-197.

29. Формозов А. 1965. Каменный век и энеолит Прикубанья, Москва. с. 41-53.
30. Berdzenishvili N. Z. 1964. The cave-site Sagvarjile and its most ancient cultural layers. The VII international congres of Anthropologic and Ethnographic sciences, Moscow, August, 1964, Tbilisi, p. 1-10.
31. Kozłowski J. K. 1970. Gorny paleolit w krajach zakaukaskich i na Bliskim Wschodzie. Cz. I Geochronologia i zagadnienie poczatkow gornego paleolitu, W: Problemy Archeologii Bliskiego Wschodu. Prace Komisji Archeologicznej Oddzialu PAN w Krakowie. Krakow, s. 121-142.
32. Kozłowski J. K. 1972. Gorny paleolit w krajach zakaukaskich i na Bliskim Wschodzie. Cz. II. Periodyzacja gornego paleolitu Zachodnich krajow zakaukaskich, Swiatowit, t. XXXIII, Warszawa, s. 7-47.
33. Nebieridze L. 2004. The chronology of the Sagvarjile ornaments and Amulets. Journal of Georgian Archaeology. The Journal of the Otar Lordkipanidze Centre for Archaeological Studies, Georgian Academy of Sciences, 1, Tbilisi, p. 39-45.

## ტაგულების აღნირილობა

**ტაბ. I.** საგვარჯილის მღვიმის I თხრილის სამხრეთი კედლის ფენათა გრძივი ჭრილი;

**ტაბ. II.** ქვის ნაწარმი ზედა პალეოლითის V ფენიდან:

1-ნუკლეუსი კაჟის, დისკოდალური;

2-ნუკლეუსი კაჟის, მრავალფუძიანი;

3-ანატკეცი კაჟის, მუსტიეური;

4-სახოკი კაჟის, განივი;

5-6-სახოკები კაჟის, კუთხის;

7-ლამელა კაჟის, რეტუშირებული;

8-11-წვეტანისებური იარაღები კაჟის;

12-19-წვეტანები კაჟის, მუსტიეური;

**ტაბ. III.** ქვის ნაწარმი ზედა პალეოლითის IV-I ფენებიდან:

1-2-ნუკლეუსები კაჟის, ორფუძიანი;

3-4-ნუკლეუსები კაჟის, ერთფუძიანი;

5—ნუკლეუსი კაჟის, მრავალფუძიანი;

6-10-ლამელები კაჟის;

11-12- ლამელები კაჟის, თავ-ირიბ რეტუშირებული

13-ლამელა კაჟის, თავრეტუშირებული

14-16—ლამელები კაჟის, გვერდრეტუშირებული;

17-18-მიკროლამელები კაჟის, რეტუშირებული;

19-20-ლამელები კაჟის, გვერდდაბლაგვებული;

21-23-მიკროლამელები კაჟის, გვერდრეტუშირებული;

24-მიკროლამელა კაჟის, ორივე გვერდ რეტუშირებული, მუცლის მხრიდან ათლილი დარტყმის მოედნით;

**ტაბ. IV.** ქვის ნაწარმი ზედა პალეოლითის IV-I ფენებიდან:


1-3-საფხეკები კაჟის, ოვალურსამუშაოპირიანი, ნაკეთები ლამელაზე;


4-საფხეკი კაჟის, მრგვალი, ნაკეთები ანატკეცზე;


5-საფხეკი კაჟის, დუბლირებული;

6-საჭრისი კაჟის, მუალა, ნუკლეუსზე ნაკეთები;

- 7-საჭრისი კაუის, გვერდის, ნუკლეუსზე ნაკეთები;
- 8-საჭრისი კაუის, გვერდის, ლამელაზე ნაკეთები;
- 9-საჭრისი ობსიდიანის, გვერდის, კაჭრისკანიან ლამელაზე ნაკეთები;
- 10-საჭრისი კაუის, გვერდის, თავ-რეტუშირებული;
- 11-12 საჭრისები კაუის, კუთხის, თავ-ირიბ რეტუშირებული, ანატკეცზე ნაკეთები;
- ტაბ. V.** ზედაპალეოლითური ხანის მცირე ხელოვნების ნიმუშები IV—I ფენებიდან:
- 1-საკიდი — დათვის კბილის;
- 2-საკიდი — ცხოველის რქის, გატეხილი;
- 3-კაუის ანამტვერვი, 9 პარალელური ნაჭდევით;
- 4-ცხოველის ძვლის ფრაგმენტი, 19 პარალელური ნაჭდევით;
- 5-ცხოველის ძვლის ფრაგმენტი, 14 პარალელური ნაჭდევით;
- ტაბ. VI.** ქვის ნაწარმი მეზოლითური ფენიდან;
- 1-8-ნუკლეუსები კაუისა და ობსიდიანის;
- 9-13-ლამელები კაუის, რეტუშირებული;
- 14-26 მიკროლამელები კაუის, გვერდრეტუშირებული;
- 27-საფხეკი ობსიდიანის, მრგვალი;
- 28-30-საფხეკები კაუის, პატარა, ანატკეცზე ნაკეთები;
- 31-დუბლირებული იარაღი კაუის, საფხეკ-საჭრისი;
- 32-საჭრისი კაუის, ნ.დ.ა-ზე ნაკეთები;
- 33-საჭრისი კაუის, ნ.დ.ა-ზე ნაკეთები, ათლილი დარტყმის მოედნით;
- 34-საჭრისი კაუის, გვერდის, ნუკლეუსზე ნაკეთები;
- 35-ნამგლისპირი კაუის, თავ-ბოლო რეტუშირებულ ლამელაზე ნაკეთები;
- 36-სეგმენტისებური იარაღი კაუის, გატეხილი.














## პალეოპიოლიგია

### მეორე საუკუნე, როგორც ფორამინიფორების გიომრავალუროვნების პოლო ეთაპი პონტო- კასპიური რეგიონის ნეოგენურ აუზებში

ლამარა მაისურაძე<sup>1</sup>, კახაბერ ქოიავა<sup>2</sup>

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული მუზეუმი, პალეოპიოლიგიის ინსტიტუტი, ნიალვრის ქ. 4,  
0108 თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: lamaramaisuradze@yahoo.com;

<sup>2</sup> ა. ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი, ალექსიძის ქ. 1/9, 0171 თბილისი, საქართველო  
ელ.ფოსტა: koiava\_ka@yahoo.com

**საკვანძო სიტყვები:** მიკროპალეონტოლოგია, ფორამინიფერები, აღმოსავლეთ ტეთისი.

ნეოგენური ეპოქის ისტორიის მანძილზე პონტო-კასპიური რეგიონის აუზებში დრო და დრო ხდებოდა ფაუნის განახლება, რაც დაკავშირებული იყო ნორმულმარილიანი აუზიდან ზღვიური ფაუნის მიგრაციის პროცესთან. მაგალითად ასეთი მოვლენა დადასტურებულია ფაუნისტურად თარხნული, კარაგანული (ვარნული), კონკური (სართაგანული) და მეოტური საუკუნეების დასაწყისში.

მეოტური საუკუნე გვიანსარმატულის შემდეგ იწყება ახალი ტრანსგრესიით, რომელსაც უკავშირებენ ოროგენეზისის ატიკურ ფაზას. ამ დროს აღდგა კავშირი ნორმული მარილიანობის მქონე გაშლილ აუზთან. თითქმის უფაუნო განმარილიანებული გვიანსარმატული ზღვა ჩაანაცვლა შედარებით პატარა ზომის აუზმა, რომელშიც მდიდარი ხმელთაშუაზღვის ტიპის ფაუნა გაბატონდა (სურ. 1). სტენოპალურ და პოლიპალურ მოლუსკებთან, ფორამინიფერებთან, ოსტრაკოდებთან და ნანოპლანქტონთან ერთად თანაარსებობდნენ ხავსცხოველები, სერპულები, ზღარბები, ღრუბლები, წყალმცენარეები და სხვა.

გთავაზობთ მეოტური ფორამინიფერების მრავალფეროვანი ბიოცენოტური კომპლექსების გავრცელების კანონზომიერებების ანალიზს აღმოსავლეთ პარატეთისის პონტო-კასპიურ აუზში.

მიკროპალეონტოლოგიური მასალა შეგროვებულია: დასავლეთ საქართველოში – მდინარეების ღალიძეის, ღეჯირის, ოტაფის, მოქვის ხეობებში; სოფლების გუფის, ჯუმათის, თხინვალის, გოგორეთის მიდამოებში (სურ. 2; ტაბ. 1; ტაბ. 2); ყირიმში – ტობუჩიკის ტბის და აზოვის ზღვის ნაპირებზე, ტამანის ნ/კ-ზე, კრასნი კუტისა და არშენცევოს მიდამოებში. შრომაში ასევე გამოყენებულია ზ. იმნაძის (დას. საქართველო), ა. ბოგდანოვიჩის (დას. სამხრეთ კავკასია), ვ. დიდკოვსკის (სამხ. უკრაინა), მ. პრონინას და ლ. მამედოვას (აზერბაიჯანი) კოლექციების შესწავლის შედეგები.

მეოტური ფორამინიფერები წარმოდგენილია 90-ზე მეტი სახეობით, რომელთა შორის თითქმის ნახევარი სტენოპალური და პოლიპალური სახეობებია და დღესაც ბინადრობენ თანამედროვე ხმელთაშუაზღვის აუზის წყლებში (ეგეოსი, ადრიატიკა, ტირენი), ხოლო უმნიშვნელო ნაწილი შავ ზღვაში. მათ შორის 30-მდე სახეობა ტიპური ხმელთაშუაზღვის სახეობების მსგავსია, მაგრამ შიდასახეობრივი ცვალებადობის გამო სახეცვლილია, ხოლო ამდენივე სახეობა (20-25) ენდემურია. ისინი მიკროპალეონტოლოგების მიერ (Победина и др., 1956; Богданович, 1960, 1969,

1974; Мамедова, 1968, Дидковский и Сатановская, 1970; Попхадзе, 1978; Маисурадзе, 1988) აღმოჩენილი და აღნერილია მეოტური აუზის სხვადასხვა უბანზე.

აღსანიშნავია, რომ ყირიმში ე.წ. აღმოსავლეთ რაიონის №501 ჭაბურღილის მეოტური ასაკის კერნებში, ბენტოსურ ფორამინიფერებთან ერთად, პირველად აღმოჩნდა პლანქტონური ფორამინიფერები (Богданович и Иванова, 1997): *Globigerina bulloides* d'Orbigny, *G. dubia* Egger, *G. cf. tarchanensis* Subbotina&Chutzieva, *Globorotalia scitula* Brady, *G. brevispira* (Subbotina), *Turborotalia mayeri* (Cushman&Ellisor), *Globigerinoides cf. trilobus* (Reuss). უფრო გვიან ანალოგიური კომპლექსი დადგენილია ყირიმის შავი ზღვის შელფის იგივე ასაკის ნალექებში: *Globigerina bulloides* d'Orbigny, *G. brevispira* (Subbotina), *Globigerinoides scitula* Brady, *G. trilobus* (Reuss), *Turborotalia mayeri* (Cushman&Ellisor) (Гожик, Маслун, Плотникова и др., 2006).

პონტო-კასპიური რეგიონის ქვედამეოტური ნალექები დახასიათებულია მდიდარი სტენო-ჰალოური და პოლიპალური ფორამინიფერების კომპლექსით. გეოტექტონიკური მოვლენების გააქტიურების გამო ადრემეოტური აუზის კავშირი ნორმულმარილიან ზღვასთან შეწყდა, რამაც აუზის გამტკნარება გამოიწვია. იზოლირებულ გვიანმეოტურ აუზში სტენოპალური და პოლიპალური ფორმები ამონტება. ფორამინიფერების კომპლექსები გაღარიბდა. გადარჩა მხოლოდ ევრო-ჰალური სახეობები, ხოლო გამოთავისუფლებული ნიშები ოსტრაკოდებით შეივსო. ეს ნალექები ზედამეოტურად არის დათარიღებული.

სახეობები	გეოტრანსიციური გავრცელება			სახეობები	გეოტრანსიციური გავრცელება		
	WGEO	UKR	WPC		WGEO	UKR	WPC
<i>Globigerina bulloides</i> d'Orbigny	•			<i>Pyrgo clypeata maeotica</i> Maissuradze	•		•
<i>G. dubia</i> Egger	•			<i>Sigmaillinita</i> sp.	•		•
<i>G. tarchanensis</i> Subbotina et Chutzieva	•			<i>Spiroloculina</i> sp.	•		•
<i>Globorotalia brevispira</i> (Subbotina)	•			<i>Flintina</i> sp.	•		
<i>G. scitula</i> Brady	•			<i>Nubecularia horrida</i> Bogdanowicz			•
<i>Globigerinoides trilobus</i> (Reuss)	•			<i>N. cristellaroides</i> Terquem			•
<i>Turborotalia mayeri</i> (Cushman & Ellisor)	•			<i>Nubecularia</i> sp.			•
<i>Cycloforina involvens maeotica</i> Maissuradze	•			<i>Nodobaculariella</i> aff. <i>sulcata</i> (Reuss)			•
<i>Hauerina ifinae</i> Bogdanowicz	•			<i>N. maeotica</i> Bogdanowicz et Budanova			
<i>H. tchelidzei</i> Popchadze	•			<i>Nodobaculariella</i> sp. (1)			•
<i>H. aff. confusa</i> Serova	•	•		<i>Nodobaculariella</i> sp. (2)			•
<i>Quangueloculina attalica</i> Didkovsky	•			<i>N. obscura</i> Bogdanowicz			•
<i>Q. akmeriana maeotica</i> Maissuradze	•	•		<i>Wiesnella</i> aff. <i>plana</i> Bogdanowicz			•
<i>Q. similiakmeriana</i> Didkovsky	•	•		<i>Discorbis</i> sp.			
<i>Q. seminulum maeotica</i> (Gerke)	•	•		<i>D. valvulatus</i> (d'Orbigny)			•
<i>Q. iberiae</i> (Bogdanowicz)	•			<i>D. risulus</i> Bogdanowicz			•
<i>Cycloforina vermicularis</i> Karrer	•			<i>D. kartvelicus</i> Krasheninnikov			•
<i>C. gracilis</i> (Karrer)	•	•		<i>Cibicides</i> sp.			
<i>C. disparilis galidgensis</i> Bogdanowicz	•			<i>C. aff. lobatulus</i> (Walker and Jacob)			•
<i>C. bechensis</i> (Karrer)	•			<i>Ammonia beccarii liliac</i> Popchadze			
<i>C. badenensis maeotica</i> Maissuradze	•			<i>A. aff. beccarii</i> (Linné)			•
<i>Articulina tenella maeotica</i> Bogdanowicz	•			<i>A. aff. perlucida</i> (H. Allen and Earland)			•
<i>A. arcuata</i> Bogdanowicz				<i>A. aff. tepida</i> (Cushman)			•
<i>A. cf. stelligera</i> Didkovsky	•			<i>Nonion aff. tauricus</i> Krasheninnikov			•
<i>A. sulcagensis</i> Gerke				<i>N. aff. bogdanowiczi</i> Voloshinova			•
<i>Miltolinella</i> aff. <i>majuscula</i> Popchadze	•			<i>N. aff. matagordanus</i> Kornfeld			
<i>M. circularis maeotica</i> Maissuradze	•			<i>Porosponion</i> aff. <i>maritobi</i> (Bogdanowicz)			•
<i>M. aff. circularis</i> (Bornemann)	•	•		<i>P. aff. subgranulosus</i> (Egger)			•
<i>Affinetrina bogatschovi</i> (Bogdanowicz)	•	•		<i>Haynesina maeotica</i> Maissuradze			
<i>A. djanelidzeae</i> (Maissuradze)				<i>Elphidium feodorovi</i> Bogdanowicz			•
<i>A. aff. guriana</i> (O. Djanelidze)	•			<i>E. ex. gr. ponticum</i> (Dolgopolskaja & Pauli)			•
<i>A. pseudocuneata</i> (Gerke)	•	•		<i>E. macellum maeotica</i> Gerke			•
<i>Simuloculina atapica</i> Maissuradze	•			<i>E. miranum maeotica</i> Maissuradze			•
<i>S. consobrina maeotica</i> (Maissuradze)	•	•		<i>E. aff. adventum</i> Cushman			•
<i>S. ex. gr. consobrina</i> (d'Orbigny)	•			<i>Cribroelphidium maeotica</i> Maissuradze			
<i>S. longa</i> Maissuradze	•			<i>C. ex. gr. poeyanum</i> (d'Orbigny)			•
<i>S. aff. inflata</i> (d'Orbigny)				<i>Bolivina atapica</i> Maissuradze			
<i>Varidentella sulcagensis</i> (Gerke)	•			<i>B. aff. nisporeniaca</i> Didkovsky			•
<i>V. rotunda</i> (Gerke)	•			<i>B. ex. gr. tumida</i> Cushman			•
<i>Triloculina clavata</i> Didkovsky	•			<i>B. ex. gr. variabilis</i> (Willianson)			•
<i>T. intermedia propria</i> Maissuradze	•			<i>B. ex. gr. moldawica</i> Didkovsky			•
<i>T. inflata maeotica</i> Didkovsky				<i>B. iae</i> Maissuradze			
<i>T. inflata glabra</i> Maissuradze	•			<i>Bolivina</i> sp.			•

WGEO - დისხილეთ საქართველოს; UKR - უკრაინის; WPC - დაბავლეთ მიურიდავის;


სურ. 1. მეოტური ფორამინიფერების გავრცელების სქემა პონტო-კასპიურ აუზში.

ზედამეოტურ ნალექებში განსაზღვრულია 20-მდე სახეობა და ქვესახეობა. მათი უმრავლესობა ევრიპალური ფორმებია, მაგრამ ყველაზე დიდი გავრცელებით და ინდივიდუუმთა სიმრავლით სარგებლობები Ammonia-ს წარმომადგენლები. ჩვენი მონაცემებით მეოტური აუზის რამოდენიმე უბაზზე (აფხაზეთი, ყირიმი) ზედამეოტურ ნალექებში ევრიპალურ ფორმამინიფერებთან ერთად გვხვდება პოლიპალური გვარების Bolivina, Discorbis, Cibicides, Miliolinella თითო-ოროლა სახეობაც (Мансурадзе, 1980, 1988). მოგვიანებით ყირიმში ზედამეოტურ ნალექებში აღმოჩდა სტენოპალური გვარების Heterolepa, Globorotalia, Reussella-ს ერთეული ინდივიდუუმები (Барг и Иванова, 2000).

აღნიშნული ფაქტები ამყარებს არსებულ მოსაზრებას, რომ გვიანმეოტურში ზოგიერთი უბანი მცირებით კვლავ დაუკავშირდა ნორმულმარილიან ზღვას საიდანაც ხმელთაშუაზღვისებრი ფაუნა შემოვიდა, ამ მოსაზრებას ნალექებში ნანოპლანქტონის არსებობაც ადასტურებს (Минашвили, 1986).

დასავლეთ საქართველოსა და ყირიმ-კავკასიის მეოტურ ნალექებში ფორამინიფერების ვერტკალური განაწილების თავისებურებების გათვალისწინებით ჩვენს მიერ გამოყოფილია ორი ზონა: ქვედა – Quinqueloculina seminulum maeotica და Cycloforina gracilis-იანი და ზედა – Elphidium feodorovi და Ammonia beccarii-ანი, რომლებიც ბაგეროვული და აკმანავიური ქვესართულების სინქრონულია (Shatilova, Maissuradze, Koiava et al., 2009).

პონტო-კასპიურ აუზში მეოტური ფორამინიფერების გავრცელების კანონზომიერებები გვიჩვენებს, რომ ბიოცენოზების მრავალფეროვნებას განაპირობებს აუზში მოქმედი ბიოტური და აბიოტური ფაქტორების ერთობლიობა. აბიოტურ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანია აუზის სილიკე, მარილიანობა, ტემპერატურა, ჟანგბადის,  $\text{CaCO}_3$ -ისა და  $\text{pH}$  რაოდენობა, ტერიგენული მასალის დალექვის სიჩქარე და გრუნტის ხასიათი. ბიოტური ფაქტორებიდან გადამწყვეტია საარსებო რესურსის (ფიტოპლანქტონი, ბაქტერიები) სიუხვე და იმ კონკურენტი ორგანიზმების სიმცირე, რომელთა არსებობის წყაროს წარმოადგენს იგივე საკვები და თავად ფორამინიფერები (მოლუსკები, თევზები, ოსტრაკოდები და სხვა).



ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ფორამინიფერებით შექმნილი ბიოცენოტური კომპლექსი, რომელიც აუზში ოპტიმალური ბიონომიური პირობების არსებობაზე მიუთითებს გვხვდება აფხაზეთში (მდ. ლელიძე, ლეჯირი). ქვედა მეოტური ნალექები აქ წარმოდგენილია დეტრიტუსიანი ქვიშიანი თხებით. კომპლექსი მდიდარია გვარების: *Nubecularia*, *Cornuspira*, *Quinqueloculina*, *Pyrgo*, *Triloculina*, *Cycloforina*, *Affinetrina*, *Spirolina*, *Hauerina*, *Bolivina*, *Discorbis* და სხვა სტროპალური და პოლიპალური სახეობებით. მიკროფაუნის გარდა მრავლადაა მოლუსკების, თევზის ოტოლითების, ხავსცხოველების, ზღვის ღრუბლების და წყალმცენარეების ნაშთები.

მსგავსი ბიოცენოტური კომპლექსი აღწერილია (Дидковский, 1964) შავიზღვისპირა ღრმულისა და ყირიმის ქვიშიან თიხებში (*Quinqueloculina*, *Triloculina*, *Hauerina*, *Articulina*, *Spirolina*, *Bolivina*, *Cibicides*, *Discorbis*, *Ammonia*) და დასავლეთ იმიერკავკასიაში (Богданович, 1969) სადაც ზემოთ დასახელებული ფორამინიფერების გარდა კერნის ნიმუშები მდიდარია სპირორბისებით, სერპულებით, ხავსცხოველებით, მოლუსკების ნამსხვრევებით, ოსტრაკოდებით და სხვა. ყველა აღნიშნულ ადგილსაპოვებელში ფორამინიფერები შედარებით დიდი ზომისაა და აღჭურვილია მყარი, სქელი ნიჟარებით. კომპლექსებისთვის დამახასიათებელია ინდივიდუუმთა სიმრავლე. მკვლევართა აზრით (Богданович, 1965; Мансурадзе, 1988), მსგავსი კომპლექსი ყალიბდება აუზის სუბლიტორალური ზოლის შუა ნაწილის ქვედა ზონაში, შედარებით მაღალი მარილიანობის თბილ და ჟანგბადით მდიდარ გარემოში.

სრულიად განსხვავებული ბიოცენოტური კომპლექსი გვხვდება დასავლეთ საქართველოს გურიის უბანზე (სოფ. ჯაფარეული, ჯუმათი, ჩიქვეთი). იგი წარმოდგენილია ძალიან პატარა ზომის თხელნიჟარიანი (ზოგჯერ გამჭვირვალე) ფორამინიფერების (*Sinuloculina*, *Cycloforina*, *Nodobaculariella*, *Nonion*), მცირერიცხოვანი სახეობებით. ასეთივე ჰაბიტუსის, მაგრამ უფრო ღარიბი კომპლექსი გვხვდება ტამანის ქვედამეოტურ ნალექებში, სადაც მილიოლიდებთან ერთად ბევრი ბოლივინებია (Джанелиძე и др., 1985). გურიის ზონაში გავრცელებული ფორამინიფერების კომპლექსისგან განსხვავებით დასავლეთ იმიერკავკასიაში (ბოგდანოვიჩი, 1965, 1969) აღწერილი მსგავსი კომპლექსი *Spirolinas*-სა და *Wiesnerella*-ს სახეობებსაც შეიცავს.


ზემოთაღნერილი კომპლექსები, ჩვენი აზრით, ჩამოყალიბდა სუბლიტორალური ზოლის შედარებით ღრმა უბნებში, სადაც ეკოლოგიური პირობები ფორამინიფერების არსებობისათვის არ იყო ოპტიმალური. ნიჟარების მორფოლოგია და ზომები  $\text{CaCO}_3$ -ის დეფიციტის და შედარებით ცივი გარემოს არსებობაზე მიუთითებს.

სამხრეთ უკრაინასა და ყირიმში მეოტური მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვები და კირქვები, მდიდარი მოლუსკებითა და დეტრიტუსით, ფორამინიფერების ღარიბ კომპლექს შეიცავს, რომელთა განსაზღვრა ცუდი დაცულობის გამო გაძნელებულია. ვ. ი. დიდკოვსკის (1964) აზრით ეს ნალექები ილექტოდა სუბლიტორალური ზოლის ზედა ზონაში.

ფორამინიფერების განსხვავებული ბიოცენოტური კომპლექსი გავრცელებულია კობისტანის (აზერბაიჯანი) მეოტურ ნალექებში. ქვედამეოტური თიხაფიქლები, ქვიშაქვები, კირქვები და მიკროკონგლომერატები დახასიათებულია მილიოლიდების ღარიბი ასოციაციით, რომელშიც დომინირებს *Varidentella sulcensis* (Gerke) (ზონური სახეობა) და შედარებით იშვიათი *Quinqueloculina pseudocuneata* Gerke, *Elphidium macellum maeotica* Gerke, *Ammonia beccarii* (Linné). თიხიან ნალექებში კი გვხვდება *Cycloforina ludwigi* (Reuss) და *Quinqueloculina seminulum* (Linné) (ზონალური სახეობები) და მათი ენდემური ქვესახეობები (Мамедова, 1968). კომპლექსის სიღარიბე, ენდემიზმი და ერთფეროვნება გვაფიქრებინებს, რომ მეოტური აუზის ეს უაბანი იზოლირებული იყო და დაბალი მარილიანობით ხასიათდებოდა.



**გამული 1.** ვეოტური ფერამინიფერები. **1.** *Pyrgo clypeata maeotica* Maissuradze, დახავდეთ საქართველო, შდ. ობაფის ხეობა. a - x150, b - x300. **2.** *Quinqueloculina similiakneriana* Didkowsky დახავდეთ საქართველო, შდ. ობაფის ხეობა. a - x80, b - x200. **3.** *Triloculina aff. intermedia* Karrer, დახავდეთ საქართველო, შდ. ობაფის ხეობა. a - x80, b - x80. **4.** *Cycloforina disparilis galidgensis* Bogdanowicz, დახავდეთ საქართველო, შდ. ობაფის ხეობა. a - x70, b - x200. **5.** *Affinetrina bogatschovi* Bogdanowicz, დახავდეთ საქართველო, შდ. ობაფის ხეობა. a - x85, b - x200. **6.** *Quinqueloculina djanelidzeae* Maissuradze, დახავდეთ საქართველო, შდ. ობაფის ხეობა. a - x75, b - x200. **7.** *Articulina tenella maeotica* Bogdanowicz, დახავდეთ საქართველო, შდ. ობაფის ხეობა. x100. **8.** *Cycloforina vermicularis* Karerr, დახავდეთ საქართველო, შდ. დაღიძის ხეობა. a - x75, b - x200. **9.** *Quinqueloculina akneriana maeotica* Maissuradze, დახავდეთ საქართველო, შდ. ობაფის ხეობა. a - x80, b - x200. **10.** *Triloculina aff. inflata* (d'Orb.), დახავდეთ საქართველო, შდ. კეჯინის ხეობა. a - x90, b - x90, c - x200. **11.** *Sigmoilina* sp., დახავდეთ საქართველო, შდ. ობაფის ხეობა. a - x140, b - x300. **12.** *Quinqueloculina* sp.(1), დახავდეთ საქართველო, შდ. ობაფის ხეობა. x65. **13.** *Quinqueloculina* sp.(2), დახავდეთ საქართველო, შდ. ობაფის ხეობა. x70. **14.** *Cycloforina aff. brauni* (Reuss), დახავდეთ საქართველო, შდ. ობაფის ხეობა. a - x100, b - x80.



გაბული 2. მცოტური ფორმამინიფერები. 1. *Bolivina aff. nisporenica* Didk., დახავდეთ საქართველო, სოფელი გუდის მდგამელები. a - x200, b - x400, c - x2400. 2. *Bolivina atapica* Maissuradze, დახავდეთ საქართველო, მდ. ობაფის ხეობა. a - x280, b - x300, c - x400. 3. *Bolivina aff. moldawica* Didk., დახავდეთ საქართველო, მდ. ობაფის ხეობა. a - x200, b - x400, c - x2400. 4. *Spirolina elegans maeotica* Didk., დახავდეთ საქართველო, მდ. ობაფის ხეობა. a - x150, b - x150, c - x450. 5. *Elphidium mirandum maeotica* Maissuradze, დახავდეთ საქართველო, მდ. ობაფის ხეობა. a - x120, b - x120. 6. *Cribroelphidium aff. poeyanum* (d'Orbigny), დახავდეთ საქართველო, მდ. ობაფის ხეობა. a - x150, b - x400. 7. *Elphidium macellum maeotica* Gerke, დახავდეთ საქართველო, მდ. ობაფის ხეობა. x70. 8. *Discorbis* sp., დახავდეთ საქართველო, მდ. ობაფის ხეობა. x80. 9. *Porosononion aff. subgranosus* (Egger), დახავდეთ საქართველო, მდ. ობაფის ხეობა. x140. 10. *Amonia aff. beccarii* (Linne), დახავდეთ საქართველო, მდ. ობაფის ხეობა. a - x100, b - x100. 11. *Haynesina maeotica* Maissuradze, დახავდეთ საქართველო, მდ. დალიძეს ხეობა. a - x240, b - x450.

შავიზღვისპირა ლრმულის დასავლეთ უბანზე მდინარეების ბუგის, ინგულეცის და დნეპრის ნაპირებზე ქვიშიან-თიხიან ქვედა და ზედა მეოტურ ნალექებში გავრცელებულია მხოლოდ ერთი გვარის *Ammonia*-ს სახეობებისაგან შექმნილი კომპლექსები, რომელთა გეოგრაფიული არეალი, შესაძლოა, მდინარეების შესართავებთან ახლოსმდებარე ზღვის სანაპირო ზოლი იყო, სადაც წყლის მარილიანობა ძალიან დაბალია და სხვა ფორამინიფერებისათვის კრიტიკული აღმოჩდა.

მსგავსი კომპლექსი აღწერილია ტობეჩიკის ტბის ნაპირზე ქვედამეოტურ ნალექებში (Maissuradze, 1980), სადაც *Ammonia*-ების რამდენიმე სახეობის მრავალრიცხოვან ინდივი-დუუმებთან ერთად ხშირია გვარების *Discorbis*-ის და *Elphidium*-ების ერთეული სახეობებიც. ამავე ჭრილში ზედამეოტური ნალექები მხოლოდ მრავალრიცხოვანი *Ammonia beccarii* (Linné)-თ და ოსტრაკოდებით ხასიათდება.

თიხიანი ნალექები, რომელშიც მემბრანიფორებიანი კირქვების ჩანართები გვხვდება დახასი-ათებულია რამდენადმე განსხვავებული ამონიებიანი კომპლექსით, რომელსაც ა. ბოგდანოვიჩი (1965) ეკოლოგიურ ბიოცენოზს უწოდებს და რიცული ნალექებისათვის შესატყვის კომპლექსად მიიჩნევს. ამ ბიოცენოზში მრავალრიცხოვან ამონიებთან ერთად თანაარსებობენ *Sinuloculina*-ს და *Elphidium*-ის ერთეული სახეობები.

ქვედა და ზედა მეოტური ნალექების ამონიებიანი კომპლექსები განსხვავდება ერთმანეთის-გან. ქვედამეოტურში – *Ammonia beccarii* (Linné)-სთან ერთად ბევრია შავ ზღვაში გავრცელებული *Ammonia tepida* (Cushman)-სა და *A. perlucida* (Heron-Allen and Earland)-ს მსგავსი სახეობები. ზე-დამეოტურში კი გვხვდება მხოლოდ ტიპური *Ammonia beccarii* (Linné) და ოსტრაკოდები უხვად. ამრიგად ზედამეოტური ნალექები თითქმის ყველან ღარიბია ფორამინიფერებით, რადგან წარ-მოქმნილია დაბალი მარილიანობის მქონე შედარებით იზოლირებულ აუზში. გვიანმეოტურში ფორამინიფერებისაგან გათავისუფლებული ბიოტოპები აითვისეს ევრიპალურმა ოსტრაკოდებ-მა, რომლებიც მეოტურის შემდგომ პლიოცენურ აუზებში გაბატონდნენ.

ფორამინიფერების ამონტყდომას, აუზის განმარილიანების გარდა შესაძლოა, ხელი შეუწყო აგრეთვე არამდგრადი კლიმატური პირობების განვითარებამაც. პალინოლოგების მონაცემებით მეოტური და პონტური საუკუნეების საზღვარზე – ევპატორიულში კლიმატური პირობები მკვე-თრად გაუარესდა (*Shatilova, Maissuradze, Koiava et al., 2009*), რასაც აუზში ტემპერატურის შემცი-რება უნდა გამოეწვია.

მეოტური ფორამინიფერების ვერტიკალური და ჰორიზონტალური გავრცელების კანონზო-მიერების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბიოცენოტური კომპლექსების შემადგენლობის ცვლა, ერ-თის მხრივ, ნალექების დათარიღებისა და დეტალური დანაწილების, ხოლო მეორე მხრივ, აუზის ეკოლოგიური პირობების აღდგენის საშუალებას იძლევა.

## MAEOTIAN AGE, AS A LAST STAGE OF BIODIVERSITY OF MAEOTIAN FOARAMINIFERA IN THE NEOGENE BASINS OF PONTO-CASPION REGION

**Lamara Maissuradze<sup>1</sup>, Kakhaber Koiava<sup>2</sup>**

<sup>1</sup> Georgian National Museum, Institute of Paleobiology, Niagvari str. 4, 0108 Tbilisi, Georgia  
E-mail: lamaramaisuradze@yahoo.com

<sup>2</sup> A.Janelidze Geological Institute, Alexidze str. 1/9, 0171 Tbilisi, Georgia  
E-mail: koiava\_ka@yahoo.com

### Summary

The present work is an attempt to reconstruct the main regularity of development of foraminifer assemblages of Maeotian basins on the territory of Ponto-Caspian region, using own data and data of other researchers. The marine basins of this region in the Late Sarmatian lost the connection with the sea of normal salinity. In the beginning of the Maeotian this connection restored and the foraminifers of Mediterranean type penetrated in the basins nearly devoid of fauna.

In the Early Maeotian the foraminifers were represented by 32 genera and 90 species. The most of them were the polyhaline forms. Their biodiversity was depended on many abiotic and biotic factors. The most diverse and numerous assemblages were originated in warm waters of sublittoral zone with high salinity and rich in oxygen, phytoplankton and bacteria. The forms were of big sizes, with thick walls; the species were distinguished with abundance of specimens. Such assemblages were distributed in the Early Maeotian seas, which occupied the territory of Abkhazia, Crimea and Western Pre-Caucasus. In deep areas where the temperature of water was lower and the deficit of oxygen and  $\text{CaCO}_3$  had place the foraminifers were very small, with thin (nearly transparent) walls.

In the Late Maeotian the connection with the sea of normal salinity stopped again. As the result the desalting of basins and the extinction of polyhaline fauna happened. The free niches were occupied by rich fauna of ostracods. The foraminifers were represented by 11 genera and 20 species.

In the Pliocene the foraminifers were absent. In closed Pontian basin only single forms were preserved. The main reason of their extinction was the isolation and desalting of basins and worsening of climate at the end of the Maeotian and beginning of Pontian.

### ლიტერატურა

1. Барг И.М., Иванова Т.А. 2000. Стратиграфия и Геологическое Развитие Равнинного Крыма в Миоцене // Стратиграфия. Геологическая Корреляция, том 8, №3, С. 83-93.
2. Богданович А.К. 1965. Стратиграфическое и фациальное распределение фораминифер в миоцене Западного Предкавказья и вопросы их генезиса. //Тр. Краснод. фил. ВНИИНефть. Л.: Недра. В. 16. С. 300–350.
3. Богданович А.К. 1969. Мэотические Miliolidae Западного Предкавказья. //Тр. КФ ВНИИ, вып. 19.
4. Богданович Е.М., Иванова Т.А. 1997. О новой находке планктонных организмов в мэотических отложениях Крыма //Доп. Нац. Акад. наук України, № 6, С. 127–129.
5. Гожик П.Ф., Маслун Н.В., Плотников Л.Ф. та ін. 2006. Стратиграфія мезокайнозойських відкладів північно-західного шельфу Чорного моря. //Київ: Логос, 170 с.
6. Дідковський В.Я. 1960. Про мікрофауну меотичних відкладів України та про межу між меотисом и pontom. //ДАН УРСР, 4.

7. Дидковский В.Я., 1964. Биостратиграфия неогеновых отложений юга Русской платформы по фауне фораминифер. //Автореф. диссер. на соиск. учен, степени доктора. Киев
8. Дидковский В.Я., Сатановская З.Н. 1970 Палеонтологический справочник. Фораминиферы неогена Украины. //Киев: Наук. думка, Т. 4. С. 1-166.
9. Джанелидзе О.И., Векуа М.Л., Маисурадзе Л.С. 1985. Развитие фауны фораминифер и остракод позднего неогена Черноморско-Каспийского бассейна //Мецниереба, Тбилиси. С. 1-88.
10. Маисурадзе Л.С. 1980. К палеобиологической истории фораминифер позднего миоцена Черноморско-Каспийского бассейна //Мецниереба, Тбилиси. С. 1-85.
11. Маисурадзе Л.С. 1988. Фораминиферы Мэотиса Западной Грузии //Мецниереба, Тбилиси. С. 1-73.
12. Мамедова Л.Д. 1968. Микрофауна и Стратиграфия миоценовых отложений северо-восточного Азербайджана //Автореф. Кандид. Дисс. Баку.
13. Минашвили Ц.Д. 1986. Биостратиграфия миоценовых отложений Западной Грузии по известковому нанопланктону //Автореф. Кандид. Дисс. Тбилиси. 20с.
14. Победина В. М., Ворошилова А. Г., Рыбина О. И., Кузнецова З. В. 1956. Справочник по микрофауне средне- и верхнемиоценовых отложений Азербайджана //Азнефтиздат, Баку. С. 1-191.
15. Попхадзе Л.И. 1978. Мэотическая микрофауна (фораминиферы и остракоды) Западной Грузии. //Автореф. канд. дисс. Тбилиси.
16. Shatilova I., Maissuradze L., Koiava K., Rukhadze L., Mchedlishvili N., Spezzaferri S., Strasser A. 2009. Bio-events on the Territory of Georgia During the Late Cenozoic as Evidenced by Foraminifers and Palynomorphs // Proceedings of the Georgian Academy of Sciences, Biological series B, Vol. 7, No. 1-2, pp. 90-109.

## პალეოპიოლიგია

### საცურპლიას მღვიმის ფრიცელები

აბესალომ ვეკუა<sup>1</sup>, ოლეგ ბენდუქიძე<sup>1</sup>, თენგიზ მეშველიანი<sup>1</sup>, ნინო ჯაყელი<sup>1</sup>,  
კარლო კალანდაძე<sup>1</sup>, ნიკოლოზ ვანიშვილი<sup>1</sup>

<sup>1</sup>საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, თბილისი 0105,  
ელ. ფოსტა: avekua@live.com

დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ მათ შორის საწურბლიას მღვიმე მაინც გამორჩეულად იქცევს ყურადღებას თავისი ექსპოზიციით, ფაუნის მრავალფეროვნებით და გათხრების შესაძლებლობის სიძნელეებით.

სოფ. ყუმისთავში (წყალტუბოს რ-ნი) ქვედა ცარცულ მასიურ კირქვებში, ბუნებას გამოუმუშავებია საკმაოდ ვრცელი მღვიმე, რომელიც პირველი შეხედვით ეხის ან ფარდულის შთაბეჭდილებას ტოვებს. მოსახლეობას მღვიმისათვის საწურბლია დაურქმევია, როგორც ამბობენ იქ უხვად ბინადრობდა მედიცინისათვის მეტად სასარგებლო წურბელა, დღეს მისი ნასახიც არაა.

საწურბლიას მღვიმე 1975 წელს აღმოაჩინა ცნობილმა არქეოლოგმა ალ. კალანდაძემ. შემდეგ არქეოლოგები დროდადრო ახერხებდნენ მღვიმეში საძიებო სამუშაოების ჩატარებას. 1990-1993 წლებში კი სტაციონალური გათხრები ჩაატარა კ. კალანდაძემ და უხვი მასალაც მოიპოვა.

2008-2010წლებში ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (31014-08) დაფინანსებით საწურბლიას მღვიმეში მუშაობდა ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია თ. მეშველიანის ხელმძღვანელობით.

წლების მანძილზე დაგროვდა საკმაოდ მრავალფეროვანი არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური მასალა. ნინამდებარე სტატია სწორედ პალეონტოლოგიური მასალის მოკლე მიმოხილვასა და ანალიზს ეხება, მით უმეტეს, რომ 2010 წლის გათხრების შედეგად საინტერესო მასალა დაგროვდა, განსაკუთრებით ფრინველების ნაშთების სახით.

უკანასკნელ წლებში გათხრები საწურბლიის პალეოლიტ-ნეოლითის შრეებს შეეხო. ძუძუმნოვრების ფაუნა არსებითად არ განსხვავდება ადრე ალმოჩენილი ფაუნისაგან, თუმცა ფაუნაში გამოჩნდა ნავის (Lutra) ნაშთები, რაც ადრე არ იყო ნაპოვნი. ახალი გათხრების მასალა განსხვავდება ადრე ნაპოვნი მასალისაგან თევზისა და ფრინველების ნაშთების სიუხვით, რაც ადრე არ იყო შემჩნეული. თევზები ძირითადად ნარმოდგენილია მაღლებითა და ორი ყბით, რომლებსაც შერჩენიათ კბილები. სამწუხაროდ თევზის ძვლები განუსაზღვრელი დარჩა.

როგორც მოსალოდნელი იყო საწურბლიაში მრავალფეროვანია მღრნელების ჯგუფი (Rodentia), რომელთა შესწავლა ნ. ვანიშვილმა ითავა. მღრღნელებში ჭარბობენ მემინდვრიები (Arvicola terrestris, Microtus arvalis, Microtus nivalis და სხვა). ზოგიერთი მათგანის საცხოვრებელი გარემო წყალთან სიახლოვეს მოითხოვს.

საწურბლიაში ნაპოვნია ასევე ჩვეულებრივი ომანას (Cricetus cricetus) ნაშთები, ეს მღრღნელი ხშირად გვხვდება დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში ნასუფრალ ძვლებს შორის. ნაპოვნია ომანას ძვლები აფიანჩაში, კუდაროში, ოქუმში, ნონაში, ჯრუჭულაში (ვერეჟაგინ, 1959, ნურაქ-აბრამოვიჩ, 1980). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ცივი ეხისა და აფიანჩას კულტურულ ფენებში ნასუფრალი ძვლების დიდი ნაწილი ომანას ეკუთვნის. ა. ვეკუას ვარაუდით დასახელებულ ძეგლებში ბინადარი ადამიანი ომანას საკვებად იყენებდა (ვეკუა, 1991), ამასვე ადასტურებს

ის ფაქტი, რომ ხშირია ამ ცხოველის დამწვარი ძვლების პოვნის ფაქტები ცივი ებისა და აფიანჩას მღვიმის კულტურულ ფენებში. საქართველოს ტერიტორიაზე დღეს ომანა არ ბინადრობს (Шидловский 1976), მაგრამ პალეონტოლოგიური მონაცემებით ფართოდ ყოფილა გავრცელებული პლეისტოცენის დასასრულსა და პოლოცენის დასაწყისში.

თევზების ნაშთების სიუხვეზე უკვე აღინიშნა. ვიძლევით საწურბლიას მღვიმის ფაუნის სრულ სიას:

ამფიბიები (Amphibia): გომბეშო (Bufo vericosissima); მწერიჭამიები (Insectivora): თხუნელა (Talpa caucasica), ზღარბი (Erinaceus europaeus). კურდლისნაირები (Lagomorpha): რუხი კურდლელი (Lepus europaeus), მღრნელები (Rodentia):

*Arvicola terrestris*-წყლის მემინდვრია

*Microtus arvalis*-ჩვეულებრივი მემინდვრია

*M.nivalis*-თოვლის მემინდვრია

*Prometheomys schaposchnikovi*-პრომეთეს მემინდვრია

*Apodemus sp*- მინდვრის თაგვი

*Cricetus cricetus*-ჩვეულებრივი ომანა.

მტაცებლები (Carnivora): *Canis lupus*-მგელი

*Vulpes vulpes*-მელა

*Ursus arctos*-მურა დათვი

*U. spelaeus*- მღვიმის დათვი

*Martes martes*- ტყის კვერნა

*Meles meles*-მაჩვი

*Lutra lutra*-წავი

*Felis silvestris*-ტყის კატა

*Panthera pardus*-ჯიქი

ამფიბიების (Amphibia) ნაშთები საქართველოს პლეისტოცენში იშვიათია. თუმცა ეს ცხოველის ნაკლებობით კი არაა გამოწვეული, არამედ გათხრების დროს წვრილ ძვლებს ნაკლებად ვაქცევთ ყურადღებას. საწურბლიას მღვიმეში მხოლოდ გომბეშოს მხრის ძვალია ნაპოვნი. კავკასიური გომბეშო (*Bufo vericosissima*) თანამედროვე ფაუნაში ფართოდაა წარმოდგენილი, ძირითადად დასავლეთ საქართველოში, მაგრამ გვხვდება ლაგოდეხის ნაკრძალის ტერიტორიაზეც. დასავლეთ საქართველოში გომბეშოს ნამარხი ნაშთები ნაპოვნია ცივი ების, აფიანჩას და თეთრი მღვიმის კულტურულ ფენებში (Бендукидзе, 1979, Векуа, Каландадзе, Чхиквадзе, 1979).



სურ. 1 *Anas strepera* – რუხი იხვი, CmC,  
ნების ძვლები (№1598)



სურ. 2 *A. querquedula* - იხვინჯა, TmT, კანჭი  
(№1303)

მწერიჭამიების (Insectivora) ნარმომადგენლები საქართველოს მეოთხეულში ხშირად გვხვდება, მაგრამ თითქმის მუდამ თითო-ოროლა ნაშთის სახით. შედარებით ხშირად მწერიჭამიები ნარმოდგენილია ევროპული ზღარბის (*Erinaceus europaeus*) სახით. საწურბლიაში ზღარბი ერთი ქვედა ყბითაა ნარმოდგენილი. ზღარბის ნამარხი ნაშთები ნაპოვნია გვარჯილას კლდის, ოქუმის, ცივი ეხის, დარკვეთისა და არუხლოს კულტურულ ფენებში (Верешагин, 1959, Бурчак-Абрамович, 1980, Бендукидзе, 1979, Векуа, 1978). საწურბლიაში ნაპოვნია აგრეთვე თხუნელას (*Talpa*) მხრის ძვალი.

კურდღელი (*Lepus europaeus*) საქართველოს მეოთხეული ფაუნის მუდმივი ნარმომადგენილია. ნამარხ მდგომარეობაში გვხვდება თითქმის ყველა შესწავლილ ადგილსაპოვებელში და არქეოლოგიური ძეგლების კულტურულ ფენებში. არც საწურბლიას ეხია გამონაკლისი. აქ ჯერჯერობით ამ ცხოველის სულ რამდენიმე ძვალია ნაპოვნი, მაგრამ ცხადია, რომ მომავალი გათხრები მეტ მასალას მოგვცემს.

მრავალფეროვანია საწურბლიაში მტაცებლების (Carnivora) ჯგუფი. კერძოდ აქ აღმოჩენილია მაჩვის, ტყის კატის, მგლის, მელას, წავის, ტყის კვერნის, მურა და მლვიმური დათვების ძვლები. საწურბლიას ფაუნაში, მლვიმის დათვის ნაშთები აშკარად დომინირებს დათვების მასალაში. ეს მოსალოდნელი იყო. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ქვის ხანის, განსაკუთრებით ადრეული ქვის ხანის კულტურულ ფენებში მლვიმურ დათვას, ნასუფრალი ძვლების 80-85% ეკუთვნის. ცხადია, რომ ჩვენი წინაპარი ინტენსიურად ნადირობდა ამ მტაცებელზე. არცა გასაკვირი, მლვიმური დათვი ადამიანს უზრუნველყოფდა საკვები ხორცით, ქნით, ტყავით შესამოსად და ხშირ შემთხვევაში დათვის კიდურის მასიურ ძვლებს იარაღადაც იყენებდა. მლვიმური დათვი ზედაპალეოლითის მიწურულისთვის ევროპაში ამონედა, მაგრამ სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე, ის მეზოლითშიც შემორჩა, რაც დასტურდება ცივი ეხის, აფიანჩასა და ქვაჭარას მეზოლითურ ფენებში ამ მტაცებლის ნაშთების პოვნით (Бурчак-Абрамович, 1980). სავარაუდოდ, საწურბლიაში ლვიმური დათვის ხანა დასასრულს უახლოვდებოდა, კატასტროფულად იკლო ფენებში ძვლებმაც.



სურ. 3. *Haliaëtus albicilla* –მარჯვნივ მთის არწივის მხრის ძვალი; (№1590) მარცხნივ თეთრკუდა არწივის მხრის ძვალი (№1591)

რამდენადმე მოულოდნელია საწურბლიას ებში კენტჩილიქოსნების, განსაკუთრებით ნამარხი ცხენის (*Equus caballus*) ნაშთების არარსებობა. ბოლო დროის გათხრებით დასავლეთ საქართველოში კაბალოიდური ცხენი უკვე იყო ნარმოდგენილი (ჯრუჭულა, საკაჟია, საგვარჯილე) თუმ-

ცა შედარებით იშვიათად გვხვდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ცხენის ნაშთები საწურბლიას ეხშიც გამოჩნდება.

წყვილჩლიქოსნები (*Artiodactyla*) საქართველოს მეოთხეულში არაა იშვიათობა. შედარებით მრავალფეროვანია წყვილჩლიქოსნების ფაუნა საწურბლიაშიც. აქ დადგინდა გარეული ღორი, კეთილშობილი ირემი, დასავლეთკავკასიური ჯიხვი და პირველყოფილი ბიზონი. წყვილჩლიქოსნების სიჭარბე კულტურულ ფენებში იმაზე მიუთითებს, რომ ქვის ხანის ადამიანი უმეტესად ამ ცხოველებზე ნადირობდა. საწურბლიაში წყვილჩლიქოსნებიდან ჩვენი ყურადღება მიიქცია ზედა ყბამ, რომელსაც თითქმის სრული კბილების მწკრივი ჰქონდა შემორჩენილი. აღნიშნული ზედა ყბა აღმოჩნდა ლოსის (*Alces* sp.), რომლის განსაზღვრა სახემდე მასალის სიმცირის გამო არ ხერხდება, თუმცა სავარაუდოდ კავკასიის ლოსისა (*Alces caucasica*) უნდა იყოს. ლოსის ნაშთები სამხრეთ კავკასიის მეოთხეულში ბოლო დრომდე არ იყო ცნობილი. პირველი ნაშთი, რომელიც ლოსის აღმოჩნდა, იყო ჩლიქი, ცუცხვათის მღვიმოვნიდან (ბრინჯაოს მღვიმე, ვეკა, 1978). უფრო გვიან, საწურბლიას ებში აღმოჩნდა ლოსის ზედა ყბა (ვეკა 1981), ოქუმში, ცივი ების ფენებში (Бердзенишвили. Бурчак-Абрамович, 1987). ლოსის ნაშთების დადგენას საქართველოს პლეისტოცენში არა მარტო პალეოზოოლოგიური, არამედ პალეოკლიმატური მნიშვნელობაც აქვს.

წყვილჩლიქოსნების სხვა წარმომადგენლებიდან (გარეული ღორი, კეთილშობილი ირემი, ბიზონი, ჯიხვი და სხვა) ხშირია დასავლეთ საქართველოს ძეგლებში, ყველაზე ხშირად კულტურულ ფენებში გვხვდება ბიზონის, კეთილშობილი ირმისა და ჯიხვის ნაშთები.

აქ მოცემული ფაუნისტური სია თითქმის იდენტურია დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითის ხანის ძეგლებში დადგენილი ფაუნის, რაც გვაფიქრებინებს, რომ პლეისტოცენის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში გაბატონებული უნდა ყოფილიყო საკმაოდ თბილი და ტენიანი ჰავის პირობები, რამაც განაპირობა აღნიშნული ფაუნისტური კომპლექსის ჩამოყალიბება. გადავხედოთ საწურბლიას ფრინველებს, რომელთა ნაშთების სიუხვემ განაპირობა წინამდებარე სტატიის შემოთავაზება. ფრინველების ფაუნა ო. ბენდუქიძის განსაზღვრით დღეს ასე გამოიყურება:

*Anas strepera*- რუხი იხვი  
*A. penelope*-თეთრშუბლა იხვინჯა  
*A. querquedula*- იხვინჯა  
*Phasianus colchicus*- კოლხური ხოხობი  
*Alectoris graeca*- კავკასიური კაკაბი  
*Columba livia*-ქედანი  
*Haliaetus albicilla*-თეთრკუდა არწივი  
*Aquila chrysaetus*- მთის არწივი  
*Tetraogallus caucasicus*-მთის ინდაური  
*Tetraogallus* sp.-მთის ინდაური

რიგი *Anseriformes*- ბატისნაირნი  
ოჯახი *Anatidae*-იხვისებრნი  
გვარი *Anas*  
*Anas strepera* L.-რუხი იხვი

### სურ.1

მასალა. ნების ძვლები II-III ძვლები (CmC, №1598), მომტვრეული აქვს processus metacarpalis I.

აღნერა. ძვალი კარგი დაცულობისაა, ზომებით კარგად ჯდება რუხი იხვის საშუალო ზომებში. ძვლის მორფოლოგიით ახლოსაა სამხრეთ კავკასიაში გავრცელებულ ბოლოსადგისასთან (*A.alcuta*), მაგრამ ეს ძვალი შედარებით უფრო მოკლე აქვს საწურბლიას რუხ იხვს, ასევე ჩამორ-

ჩება ზომებში გარეულ იხვსაც (*A. platyrhynchos*), მაგრამ უფრო დიდია კოკროჭინა იხვინჯაზე (*A.querquedula*).

ძვლის ზომები; (№1398): საერთო სიგრძე 55 მმ; ზედა ბოლოს სიგანე 6მმ; ქვედა ბოლოს უდი-დესი სიგანე 5 მმ.



სურ.4. *Tetaogallus caucasicus* – მთის ინდაური, TmT.  
№ 1309 ახალგაზრდა ეგზემპლარი  
№ 1307 ზრდასრული



სურ.5. *Tetaogallus caucasicus* – მთის ინდაური,  
Humerus. (№1304)

#### *Anas penelope* L.- თეთრშუბლა იხვინჯა

მასალა. იდაყვის ძვლის (Ulna) დისტალური ნაწილი (№1374).

აღნერა. ძვალს ძალიან სუსტად აქვს განვითარებული დისტალური ბორცვი რითაც ემ-ზგავსება ამ გვარის ფორმებს. ეს ძვალი საწუებლიას იხვს შედარებით მოკლე აქვს თანამედროვე *A.clipeata*-ს ძვალზე, მაგრამ მორფოლოგიური ნიშნებით ძალიან გავს მას.

იდაყვის ძვლის ზომები (№1374); კრანიო-კაუდალური სიგრძე-7მმ, მედიალური სიგანე 4,5მმ, დიაფიზის დიამეტრი 4მმ, იქვე სიგანე 3მმ.

#### *Anas (Querquedula) querquedula*

კოკროჭინა იხვინჯა.

#### სურ. 2

მასალა. კანჭი (TmT) N1303. კანჭის სრული ძვალი.

აღნერა. კანჭის ძვალი მორფოლოგიურად ყველაზე ახლოსაა პატარა ზომის იხვების შესაბამის ძვალთან. დამახასიათებელი ნიშანია ძვლის ლილვაკების შებრტყელება და მეორე თი-თის შესასახსრი ბორცვის დაახლოება *crista interna*-სთან, პროქსიმალური კიდის ძლიერი გამოშ-ვერა, მთლიანად ძვალი მოხდენილია და წაგრძელებული.

ძვლის ზომები (№1303). საერთო სიგრძე-42 მმ: პროქსიმალური ეპიფიზის სიგრძე -8 მმ: პრო-ქსიმალური ეპიფიზის სიგანე-8მმ, დისტალური ეპიფიზის სიგრძე-5,5მმ იქვე სიგანე-6მმ:

რიგი *Falconiformes*- შავარდნისნაირნი

ოჯახი *Accipitridae*-არწივისებრნი

გვარი *Haliaetus*

*Haliaetus albicilla* L.-თეთრკუდა არწივი

### სურ.3

მასალა. მხრის ძვალი (*Humerus*, №1590; ), მომტვრეული აქვს დისტალური ნაწილი.

აღნერა. მხრის ძვალი გამოირჩევა საკმაოდ დიდი ზომებით, მაგრამ თავსდება ჩვეულებრივი არწივების მხრის ძვლის ზომებში. ძვალი მასიურია, *crista pectoralis* კარგადაა განვითარებული და აქვს წაწვეტებული ქვედა ბოლო, მხრის სასახსრე ბოლოს შიდა გვერდი (*crista interna*) შედარებით მოკლეა და გაშვერილია მედიალურად.

ძვლის პროექსიმალური ბოლოს სიგანეა 40,5მმ; სიმფიზის დიამეტრი-15მმ.

### გვარი *Aquila*

*Aquila chrysaetus*(L)-მთის არწივი

### სურ. 3

მასალა. სრული მხრის ძვალი (*Humerus*; №1591), ოდნავ დაზიანებული აქვს დისტალური ბოლო.

აღნერა. მხრის ძვალი ბევრად უფრო პატარაა ზემოდ აღნერილი არწივის მხრის ძვალზე. განსხვავებულია აგრეთვე მორფოლოგიური ნიშნებითაც. შეიძლება ითქვას, რომ ეს მხრის ძვალი ზომებითა და აღნაგობით უფრო ახლოსაა მთის არწივთან.

ძვლის (№1591) საერთო სიგრძე-195 მმ; ზედა ბოლოს სიგანე 35 მმ; ქვედა ბოლოს სიგანე 30 მმ; დიაფიზის სიგანე 15 მმ;



სურ.6. *Tetraogallus caucasicus* – მთის ინდაური CmC., ნების ძვლები (N1308; N1300)

### რიგი Galliformes-ქათმისნაირნი

ოჯახი Phasianidae- ხოხბისებრნი

### გვარი *Tetraogallus*

*Tetraogallus caucasicus* (Pall)-მთის ინდაური

### სურ. 4-5

მასალა. მხრის ზედა ბოლო (N1304), კანჭი (TmT, № 1308; CmC N1308, 1300)

აღნერა. მხრის ძვალი (1304) წარმოდგენილია პროექსიმალური ბოლოთი, რომლის ყველა მორფოლოგიური ელემენტი შენარჩუნებულია და მსგავსია შურთხის სათანადო ძვლის. შესამჩნევია *crista pectoralis*-ის ძლიერი განვითარება.

კარპომეტაკარპუსი (CmC) №1308, 1300) გამოირჩევა Mc III ისასთვის ზედა შესასახსრი მოედნის სივიწროვით,. რაც შეიძლება დაედოს საფუძვლად შურთხის ახალი სახის გამოყოფას, თუმცა

არ გამოვრიცხავთ რომ ეკუთვნოდეს კასპიურ შურთხს (*Tetraogallus caspius*).

ზოგადი შენიშვნები. მთის ინდაური ალპური და სუბალპური მთების ბინადარი ფრინველია და მისი ნაშთების საწურბლიაში აღმოჩენა არ არის ჩვეულებრივი მოვლენა. მთის ინდაური იშვიათად ტოვებს თავის საარსებო გარემოს.

არ არის გამორიცხული, რომ ზედაპალეოლით-ნეოლითში სამხრეთ საქართველოში ერთგვარი აცივებას ქონოდა ადგილი რაც რუსეთის ზენრული გამყინვარების გამოძახილი შესაძლოა ყოფილიყო. ცხადია ამ აცივებას ფაუნისა და ფლორის შემადგენლობაში არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია მაგრამ კლიმატური ზონალობა, ალპათ, შეიცვალა, თოვლის ძველი საზღვარი რამდენიმე ასეული მეტრით ქვევით ინაცვლებს, რასაც მოყვა ფაუნის საარსებო არეების შეცვლაც. არაა გამორიცხული ამით აიხსნას საწურბლიაში მთის ინდაურის მოხვედრაც. აქ ისიცაა საგულისხმო, რომ საწურბლიაში მთის ინდაურის ზრდასრული *Tetragallus* sp. და ზრდადაუსრულებელი ინდივიდების ძვლებია წარმოდგენილი. ცხადია, რომ შურთხს თავისი ნაშიერიც ადგილობრივ პირობებში შეეძინა და მაშასადამე ამ გარემოში საკმაოდ დიდხანს ბინადრობდა.

ზომები : სრული სიგრძე 125 მმ ; ზედა სიგანე 24 მმ ; იქვე წინა-უკანა დიამეტრი 15 მმ; დისტალური სიგანე 20 მმ ; დიაფიზის სიგანე 8,5 მმ კანჭი (1308,1309)-სრული სიგრძე-39-40 მმ; პროექტურული სიგანე 6,5-7,5 დისტალური სიგანე 6-6,5 მმ.

#### *Tetraogallus* sp.-მთის ინდაური

მასალა CmC (N1390).

#### სურ. 7

აღნერა. ზომებით შეესაბამება უკვე აღწერილ მთის ინდაურის შესაბამის ძვლებს ცალკეული მორფოლოგიური ნიშით განსხვავდება მათგან. McIII-ის სივიწროვით, შედარებით პატარა პროექტური სასახსრო ბლოკით, ვიწრო, მაგრამ მოზრდილი Mc I-ით.. აღნიშნული თავისებური აღნაგობა შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ საქმე გვაქვს სულ ახალ სახესთან ან კასპიურ (*T. caspicus*) შურთხთან.

ძვლის ზომები: საერთო სიგრძე-40 მმ; დისტალური ბოლოს მაქსიმალური სიგანე-10 მმ; იქვე წინა-უკანა დიამეტრი-5 მმ; პროექტურული ბოლოს სიგანე 7 მმ; იქვე წინა-უკანა დიამეტრი-4 მმ, დიაფიზის მაქსიმალური სიგანე McIII-თან ერთად დაახლოებით 7 მმ.



სურ.7. *Tetraogallus* sp.-შურთხი. CmC. (N1390) ნების ძვალი  
გვარი *Phasianus*



სურ. 8. *Phasianus colchicus*- ხოხობი, TT. (N1208)

*Phasianus colchicus* L.-კოლხური ხოხობი

სურ. 8

მასალა. კანჭის (TT, №1208) ქვედა ბოლო, კორაკოიდის (№1302) ფრაგმენტი.

კანჭი (TT). წარმოადგენს ქვედა ბოლოს, რომელიც ზომებით ახლოა ჩვეულებრივ საშუალო ზომის ქათმებთან, მაგრამ მორფოლოგიური ნიშნებით უფრო ემსგავსება ხოხებს. მაგალითად, შედარებით უფრო განიერია არეა *interconediloides*, ვიდრე ეს აქვთ ქათმებს. განსხვავებული აქვს *apophysis externea ligamenti obligui*, რომელიც გამოირჩევა ხორკლიანობით, ძვლის ზომებით შედარებით მეტია და დისტალური ჭაღის ფორმაც განსხვავებულია, ნაკლებია -ჭაღის მასიურობა.

ზომები: ქვედა ბოლოს სიგანე-9 მმ; წინა-უკანა დიამეტრი მედიალური ბლოკის 12 მმ; იგივე ლატერალური ბლოკის — 10 მმ; ლაფიზის სიგანე 8 მმ.

კორაკოიდი მსგავსია ქათმის სათანადო ძვლისა, მაგრამ განსხვავდება *facies glenoidalis*-ის ჩაღმავებით.

ზომები კორაკოიდის (1302): *facies glenoidalis*-ის სიგრძე-13 მმ, კორაკოიდის ყელის სიგრძე-7 მმ.

გვარი *Alectoris*

*Alectoris graeca caucasicus* - კავკასიური კაკაბი

სურ. 9

მასალა. სრული კანჭი (TmT) №1314.

ალნერა. ზომებით ახლოსაა სუბფოსილური და თანამედროვე კაკბებთან, მაგრამ არსებითად განსხვავდება ნაკლები ზომით შინაური ქათმისგან და ხოხებისგან. კანჭის დარღვევა კაკბების ყველა დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშანი.

ზომები. კანჭი (1314) სრულია და მისი საერთო სიგრძეა 51 მმ; ზედა ბოლოს სიგანეა 11 მმ, ქვედა ეპიფიზის სიგანეა 11,5 მმ, დიაფიზისა სიგანეა 4 მმ.



სურ.9. *Alectoris graeca* -კაკაბი, TmT. სურ. (N134)



10. *Columba livia* – ქედანი, TmT. (N1345)

რიგი *Columbiformes*-მტრედისნაირნი

ოჯახი *Columbidae*- მტრედისებრნი

გვარი *Columba*

*Columba livia* L. ქედანი

სურ.10

მასალა. კანჭი (TmT)-N1345

აღნერა. კანჭი ზომებითაც და მორფოლოგიური ნაშებითაც არ განსხვავდება გარეული მტრე-დისაგან, რაც კარგად ჩანს კანჭის სასახსრე ბოლოს ასიმეტრიული აღნაგობით : მხოლოდ ერთი კარგად განვითარებული *crista hypotarsis*-ის არსებობა დამახასიათებელია მტრედებისათვის.

კანჭის (1345) — ზომები: სიგრძე—11,5 მმ ზედა სიგრძე-6,5 მმ: ქვედა სიგანე-5 მმ: კრანიო-კაუდალური ზედა სიგრძე-3მმ: იგივე ქვედა-2მმ.



სურ.11. ბუს ამონაბოყვი (N1626)

ფრინველების დასახელებულ კრებულში ჭარბობენ იხვები, რომელთა წყლისადმი მიდრეკი-ლება უდავოა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საწურბლიაში ნაპოვნი ფრინველების უმრავლე-სობა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების ფაუნაში. გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს საწურბლიას ფაუნაში კავკასიის შურთხის (*Tetrao-gallus caucasicus*) მონაწილეობა, რომელიც კავკასიონის მაღალ მწვერვალებს იშვიათად ტოვებს. არადა საწურბლიაში შურთხის რამდენიმე ნაშთია ნაპოვნი, მათ შორის ზრდასრული და ახალგა-ზრდა ინდივიდის ნაშთებიც. ცხადია, რომ ამ ფრინველს აქვე გამოუჩეკია და გაუზრდია შთამომა-ვალი, უფრო მოსალოდნელი იყო საწურბლიაში აღმოჩენილიყო კასპიური შურთხის (*Tetraogallus caspius*) ძვლები. ამ შურთხის საარსებო გარემო (აჭარა-თრიალეთის მთები) ხომ უფრო ახლოა საწურბლიასთან. ჩვენს მიერ საწურბლიაში ნაპოვნი შურთხის ნაშთები უდაოდ კავკასიურ შურ-თხს ეკუთვნის, რაც კარგად დასტურდება ძვლების მორფოლოგიური ნიშნებით. ო. ბენდუქიძის ვარაუდით, ხომ არ მოხდა ზედა პალეოლითში სამხრეთ კავკასიის ამ ორი უბნის (კავკასიონი და აჭარა-თრიალეთის მთები) საარსებო პირობების დაახლოება.

საწურბლიას პალეონტოლოგიურ ნაშთებში კიდევ ერთ საიტერესო ფაქტს წავაწყდით. ერთი ნიმუში წარმოადგენს ფრინველის პატარ-პატარა ძვლების გროვას, შეერთებული ნიადაგის თუ საჭმელის ნარჩენებთან. ეს ნიმუში (სურ.11) ჩვენი აზრით წარმოადგენს ბუს (*Strix aluco*) ამონა-ბოყვს. ბუს ახასიათებს ასეთი მოქმედება, როცა მოუნელებელ ძვლებს ან საჭმლის ნარჩენებს აგროვებს ჩიჩაყვში და მერე ამოაბოყინებს (ან ამოარნევევს). რუსულად ამ მოქმედების შედეგს ითვლით კევია, მაგრამ მისი შესატყვისი ტერმინი ქართულ ლექსიკონში ვერ ვიპოვნეთ. საკუთრივ ბუს საწურბლიას ფაუნაში ძვლების სახით არაა წარმოდგენილი, მაგრამ ამონაბოყვით დასტურ-დება, რომ ამ მიდამოებში ეს მტაცებელი ფრინველი იშვიათი არ ყოფილა.

## BIRDS FROM THE SATSURBLIA CAVE

**Abesalom Vekua<sup>1</sup>, Oleg Bendukidze<sup>1</sup>, Tengiz Meshveliani<sup>1</sup>, Nino Jakeli<sup>1</sup>, Karlo Kalandadze<sup>1</sup>, Nikoloz Vanishvili<sup>1</sup>**

<sup>1</sup> Georgian National Museum, Institute of Paleobiology, Niagvari str. 4, 0108 Tbilisi, Georgia  
E-mail: avekua@live.com

**Summary**

Sufficiently diverse and rich fossil palaeontological materials were accumulated during the last years of the excavations in the Satsurblia cave. The rich remains of the bird's bones are especially interesting and the results of the studies are presented in this article. Among the findings the most interesting are some bones of the *Tetragallus caucasicus*, which are the inhabitants of the Caucasian highlands. Unexpected is theirs appearance in the Kolkheti region. It can be supposed that in Kolkheti it got significantly colder during the Late Upper Paleolithic - Early Neolithic periods.

**ლიტერატურა**

1. Бендукидзе О.Г. 1979. Голоценовая фауна позвоночных Грузии. Тб.
2. Бердзенишвили Н.З. 1987. Ископаемые позвоночные верхнепалеолитической Стоянки пещеры Окуми В Южной Абхазии. Пещеры Грузии №XI
3. Бурчак-Абрамович Н.И. 1980. Фауна верхнего палеолита-мезолита карстовых пещер Черноморского побережья Кавказа и ее экологическое значение. Пещеры Грузии, №8
4. Векуа А.К. и коллектив авторов, 1978. Цуцхватацкая многоярусная пещерная система. Изучение пещер Колхиды, Тб.
5. Векуа А.К. Габелая Ц.Д., Мусхелишвили А.Т., 1981. Палеонтологическая фауна позвоночных из пещер Западной Грузии. Пещеры Грузии, №IX
6. Векуа А.К., Каландадзе К.С., Чхиквадзе В.М. 1979. Новые палеонтологические находки в Белой пещере. Сообщ АН ГССР, Т. 96, №3
7. Векуа А.К. и коллектив авторов., 1991. Грузия в антропогене, Тб.
8. Верещагин Н.К. 1959. Млекопитающие Кавказа, М-Л.
9. Шидловский М.В. 1976. Определитель грызунов Закавказья. Тб.

## პალეოპიოლიგია

### მთაცემლები დანისის ვილაფრაცეულ ფაუნაში

აბესალომ ვეკუა<sup>1</sup>, ოლეგ ბენდუქიძე<sup>1</sup>

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული მუზეუმი. პალეოპიოლიგიის ინსტიტუტი: რუსთაველის გამზირი №3; 0105, თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: avekua@live.com

#### შესავალი

დღანისის ხერხემლიანთა ფაუნის ადგილსაპოვებლის გათხრები გრძელდება. ზუსტდება ფაუნის სია. ყველ წელს გათხრების შედეგად ფაუნას ახალი ელემენტი ემატება. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მტაცებლების ჯგუფი. დღეისათვის დმანისში დადგენილია მგლების (Canidae), კვერნების (Mustelidae), დათვების (Ursidae), აფთრების (Hyaenidae) და კატების (Felidae) ოჯახების წარმომადგენლები. განსაკუთრებით მრავალფეროვანია კატისებრთა ოჯახი, სადაც დადგენილია ფოცხვერი (Lynx issiodorensis), პანტერა (Panthera gomboszoegensis), იაგუარი (Panthera onca goergica), ხმალკბილა (Homotherium crenatidens) და სატევარკბილა (Megantereon cultridens) ვეფხვები. ნამარხი მასალის სიუხვითა და დაცულობით გამოირჩევიან მგლები და სატევარკბილა ვეფხვები. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია კარგად შემონახული თავის ქალებითა და ქვედა ყბებით, რაც ამ საინტერესო მტაცებლის სრული დახასიათების საშუალებას იძლევა.

#### პალეონტოლოგიური მასალა

წინამდებარე სტატია მგლების თავისებურ და იშვიათ პატარა ზომის მტაცებელს კორსაკს ეხება, რომლის ქვედა ყბა უკანასკნელი გათხრების შედეგად აღმოჩნდა დმანისში.

მგლების ოჯახი დმანისში დღემდე მხოლოდ ეტრუსკული მგლის ნაშთებით იყო წარმოდგენილი. კორსაკის ქვედა ყბა ბოლო გათხრების შედეგად აღმოჩნდა და თავისი საგრძნობლად პატარა ზომებითა და თავისებური მორფოლოგიური ნიშნებით მიიქცია ჩვენი ყურადღება.

ოჯახი Canidae Gray, 1821

ქვეოჯახი Caninae Gill, 1872

გვარი Vulpes Frisch, 1975

Vulpes praecorsac Kormos.

**მასალა.** ქვედა ყბის მარჯვენა ნახევარი (D4052), რომელსაც მომტვრეული აქვს აღმავალი ტოტი, საჭრელი ნაწილი და ოდნავ დაზიანებულია ყბის ჰორიზონტალური ნაწილის ქვედა კიდე. ყბას შემორჩენია ოდნავ მოცვეთილი ემვი,  $P_2$ ,  $P_3$   $P_4$  და  $M_1$ , ხოლო  $P_1$  ამოვარდნილია ალვეოლიდან. ყბას არ შემორჩენია  $M_2$ , რომელიც ყბის სიახლოვეს ვიპოვეთ. ყბის უკანა ნაწილის დაზიანების გამო გაურკვეველია ჰერნდა თუ არა ყბას  $M_3$ .

აღნერა და შედარება. ქვედა ყბა საკმაოდ პატარა ზომისაა (ცხრ.1), დაბალია და თხელი, ქვედა კიდე სწორია. C პატარაა, მაღალი და წვეტიანი გვირგვინით, ეშვის უკანა ნაწილი დაგრძელებულია. ეშვს ფესვის ბოლოდან გვირგვინის შუამდე შესამჩნევი ქედი მიუყვება.



სურ.1. დმანისი *Vulpes praecorsac* Kormos ქვედა ყბა

$P_1$  ყბას არ შემორჩენია, მაგრამ ალვეოლის მიხედვით ჩანს, რომ იყო ერთფესვიანი, პატარა (ცხრ. 1) და თხელი. უნდა აღინიშნოს, რომ ყბაზე კბილებს შორის დიასტემა მცირეა, ისინი მიჯრით არიან განლაგებული. დიასტემა შედარებით გრძელია მხოლოდ ეშვსა და  $P_1$ -ს შორის (ცხრ. 1).

$P_2$  სიგრძით ორჯერ აღემატება  $P_1$ -ს, თხელია, მაღალი, მახვილი პროტოკონიდით. პროტოკონიდის წინ გვირგვინის დასაწყისში მოთავსებულია პატარა ზომის, ოდნავ შესამჩნევი პარაკონიდი. პროტოკონიდის უკანა კიდე წარმოადგენს ქედს, რომელიც საკმაოდ გრძელი ტალონიდით თავდება. კბილი ორფესვიანია.

$P_3$  ოდნავ დიდია წინამდებარე პრემოლარზე, მაღალი, წვეტიანი პროტოკონიდით, რომლის წინა კიდეზე პატარა პარაკონიდია მოთავსებული. პროტოკონიდის უკანა ქედზე, ოდნავ მედიალურად მოზრდილი მეტაკონიდია განთავსებული. ტალონიდი გრძელია.

$P_4$  პროტოკონიდი საკმაოდ მაღალია. მის წინ ოდნავ შესამჩნევი პარაკონიდია მოთავსებული, ხოლო უკანა კიდეზე მოზრდილი მეტაკონიდია, რომელიც ოდნავ განმხოლოებულია და გადანაცვლებული ლატერალურად. ტალონიდი გრძელია და მის ირგვლივ სუსტი საყელო შეინიშნება,

$M_1$  საკმაოდ დაზიანებულია, განსაკუთრებით წინა ნაწილი, სადაც გაურკვეველია იყო თუ არა პარაკონიდი, პროტოკონიდი მაღალია, ძლიერ განვითარებული. მის უკანა ნაწილში მოზრდილი მეტაკონიდია მოთავსებული. ტალონიდი გრძელია და მასზე სამი პატარა ბორცვი ზის. მათგან ოდნავ წინა წყვილი ბორცვი, რომელთაგან ლატერალური (მეზოკონიდი) შედარებით დაბალია, ხოლო მედიალური ბორცვი (ენტოკონიდი) უფრო მაღალია. ტალონიდის ბოლოს კიდევ ერთი ძალიან პატარა ბორცვაკია მოთავსებული.

როგორც აღინიშნა  $M_2$  იზოლირებულადაა ნაპოვნი, ქვედა ყბის ახლოს. უდავოა, რომ ქვედა ყბის ალვეოლიდანაა ამოვარდნილი. კბილი შედარებით პატარაა, დაბალი გვირგვინით. კბილის წინა ნაწილი შედარებით განიერია და შემოფარგლულია საყელოთი. კბილის წინა ნაწილში წყვილი ბორცვია, ერთმანეთის პირისპირ მოთავსებული. პროტოკონიდი (ლატერალური) და მეტაკონიდი (მედიალური). კბილის უკანა ნაწილში, საყელოზე კიდევ სამი პატარა ბორცვია მოთავსებული, მათგან მედიალური ბორცვაკი შედარებით დიდია.

საერთო ზომებითა და მორფოლოგიური ნიშნებით დმანისის მელა გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს საბერძნეთში აღმოჩენილ მელასთან, რომელსაც კოუფოსი (Koufos, 1992) *Vulpes alopecoides*-ს აკუთვნებს, მაგრამ დეტალური შედარებით აღმოჩნდა, რომ დმანისის მელასა და სა-

ბერძნეთის ფორმას შორის არსებითი განსხვავებაა კბილების განლაგებაში და განსაკუთრებით დამატებითი ბორცვების არსებობაში დამანისის მელიას პრემოლარებზე. გარდა ამისა დამანისის მელა რამდენადმე უფრო პატარაა ქვედა ყბისა და კბილების ზომებით საბერძნეთის მელაზე.

შედარებით უფრო მეტია დამანისის მტაცებლის მსგავსება კორსაკებთან, განსაკუთრებით მათი სავარაუდო წინაპრებთან, რომელიც უნგრეთის პლიოცენურ ნალექებში აღმოაჩინეს და შეისწავლა კორმოსმა (Kormos, 1931). კორსაკების წინაპარს კორმოსმა *Vuples praecorsac*-ი უწოდა. ამ მტაცებლის დამახასიათებელი ნიშნებია: პატარა ზომები, პატარა და ბასრი კბილები, იშვიათ შემთხვევაში პრემოლარებზე დამატებითი ბორცვები.

პრეკორსაკის მსგავსი, შედარებით უფრო დიდი ზომის მელა აღმოჩნდა ოდესის კატაკომბების ფაუნაში, რომელიც პლიოცენად თარიღდება. აღნიშნული ფაუნა დეტალურად შეისწავლა ოდინცოვმა (Одинцов, 1965) და პატარა ყბას *Vuples praecorsac* დაარქვა. დღეს ოდესის მელა უნგრეთის პრეკორსაკის სინონიმადაა მიჩნეული. ოდესის მელას დამახასიათებელი ნიშნებიდან ოდინცოვი აღნიშნავს: 1. უნგრეთის მელასაგან განსხვავებით ოდესის ფორმა შედარებით დიდი ზომისაა; 2. ქვედა ყბის პრემოლარებზე აღნიშნავს მტაცაინიდის არსებობას, მაგრამ არ უთითებს რომელ პრემოლარზეა ეს კონუსი. ასევე აღნიშნავს კბილებზე საყელოს არსებობას, მაგრამ არც აქ აღნიშნავს სადაა განვითარებული საყელო; 3. ოდესის მელას  $M_1$ -ზე დიდი ენტოკონიდი გააჩნია; 4. ქვედა ყბაზე დიასტემა ეშვსა და პრემოლარს შორის გრძელია.

დამანისის *Vuples* ზოგადად გავს ოდესის მელას, მაგრამ არის განსხვავებაც. დამანისის ქვედა ყბის პრემოლარებზე მუდამ არის მტაცონიდი. ქვედა ყბის კბილებს შორის დიასტემა არ შეინიშნება, ხოლო ეშვსა და მეორე პრემოლარს შორის დიასტემა შედარებით მოკლეა.

არსებითად განსხვავდება დამანისის მელა *Ia Puebla*-სა და *Villaroia*-ს მელიებისაგანაც. რაც შეეხება *V.praeglacialis*-ს ვენტა მიცენასა და ესკალას ადგილსაპოვებლებიდან (Bonifay, 1971; Pons Moya, 1987) ეს მტაცებელი საგრძნობლად აღემატება ზომებით დამანისის ფორმას და მათი შედარებაც ზედმეტად მიგვაჩნია.

კორსაკის საინტერესო ნაშთები აღმოაჩინეს ტაჯიკეთში, კურუკსაის ფაუნის ადგილსაპოვებელში, რომელსაც პლიოცენს აკუთვნებენ. შარაპოვმა (Шарапов, 1980), შეისწავლა კურუკსაის მელა და კორსაკს *Vuples aff. corsac*—ს მიაკუთვნა, თუმცა მორფოლოგიური ნიშნებით ცხადია, რომ ის უნგრულ *V.praecorsac*-ს უნდა მიეკუთვნოს.

კურუკსაის მელა პატარაა ზომებით, პრემოლარების პროტოკონიდი წვეტიანი და მაღალი აქვს, პრემოლარების ტალონიდი დამანისის მელიის მსგავსად გრძელი აქვს. მსგავსება უდავოა, ამ ფორმებს შორის დამატებითი ბორცვების რაოდენობითა და განლაგებითაც, მსგავსია მათი მტაცებლური ( $M_1$ ) კბილიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია განსხვავებაც: დამანისის კორსაკს  $P_2$  და  $P_3$ -ზე პარაკონიდი გააჩნია, კურუკსაის ფორმას კი არა.

დამანისის პრეკორსაკი შევადარეთ თანამედროვე მელასაც (*Vuples vulpes*), რომელიც საერთო ზომებით აშკარად ჭარბობს დამანისის ფორმას, ქვედა ყბის კბილებს შორის არსებული დიასტემა არ შეინიშნება დამანისის მტაცებლის ქვედა ყბაზე. განსხვავებულია ამ მტაცებლების ქვედა ყბაზე *foramen nutritium*-ის მდებარეობაც.

ზოგადი შენიშვნები. თანამედროვე კორსაკი სტეპის ტიპიური ბინადარია, მაგრამ მკვლევარები ფიქრობენ, რომ მათი ჩამოყალიბების პერიოდში, რაც სავარაუდოდ პლიოცენში უნდა მომხდარიყო, კორსაკი განსხვავებულ ბიოტოპსაც არ ერიდებოდა. თუმცა ტყე და თოვლის საფარი მისთვის მიუღებელი იყო. პლიოცენურ ნალექებში კორსაკი ძალზე იშვიათია. დამანისში კორსაკის ნაშთების პოვნა იშვიათ შემთხვევას უნდა მიეკუთვნოს. საქართველოს ტერიტორიაზე კორსაკს არც პლეისტოცენში და არც ჰოლოცენში არ აღნიშნავენ, თუმცა მეზობელ აზერბაიჯანის ტერი-

ტორიაზე შუა პლეისტოცენში კორსაკი ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რაც ბინაგადის ადგილსაპოვებლის ნამარხი მასალით დასტურდება (Верещагин, 1951).

ვერეშჩაგინი აღნიშნავს, რომ პლეისტოცენის მანძილზე ხდებოდა კორსაკის საერთო ზომებისა და უკანა საძირე კბილების ( $M_2$ ,  $M_3$ ) თანდათანობითი შემცირება. ხშირ შემთხვევაში  $M_3$  სრულ რედუქციასაც განიცდიდა (Верещагин, 1951).

### ცხ. 1

ოჯახი Mustelidae Swainson, 1835

ქვეოჯახი Mustelinae Gill, 1872

გვარი Martes Frisch, 1775

*Martes* sp.

მასალა. ქვედა ყბის ფრაგმენტი (D4051), რომელსაც მომტვრეული აქვს წინა ნაწილი. ამ ყბაზე შემორჩენილია ძლიერ მოცვეთილი  $P_3$ ,  $P_4$  და  $M_1$ .

აღნერა და შედარება. ქვედა ყბა D4051 ეკუთვნის საკმაოდ პატარა ზომის ზრდასრულ კვერნას. ქვედა ყბის ქვედა კიდე  $M_1$ -ის დონეზე შესამჩნევად გამოზნექილია.

კბილები გამოირჩევიან საკმაოდ პატარა ზომებით, აქვთ საკმაოდ ბასრი კიდეები.  $P_4$ -ს მხოლოდ ერთი მთავარი კონუსი გააჩნია, ორფესვიანია. დამატებითი კონუსები ან ბორცვები კბილს არა აქვს. კბილის გვირგვინის წინა კიდეზე სუსტი საყელო შეიმჩნევა.  $P_4$  განსხვავდება თანამედროვე ტყისა (*M.martes*) და თეთრგულა (*M.foina*) კვერნებისაგან ამ მოღარზე დამატებითი კონუსების არარსებობით.

### ცხრილი 1

ქვედა ყბისა და კბილების ზომები

ქვედა ყბა, ზომები მმ-ში	Vuples praecorsac დმანისი D4052	V.praecorsac უნგრეთი Kormos, 1931	Vuples aff. corsac კურუკსაი Шарапов, 1980	V.praeglacialis ვენტა მიცენა Pons Moya, 1987
სიგრძე $C - M_1$ $P_1 - M_1$ $P_1 - P_4$ $P_2 - M_1$	47.2 37.0 24.4 34.0	— — — —	— — — —	
დიასტემის სიგრძე $C - P_1$	3.7	—	3.7	
ქვედა ყბის სიმაღლე $M_1$ -ის დონეზე	8.2	10.5-11.8	11.0	
ქვედა ყბის სიმაღლე $P_2$ -ის დონეზე	8.0	—	9.0	

C	სიგრძე	3.0	—	4.5	
	სიგანე	2.1	—	3.5	
$P_1$	სიგრძე	2.3	—	—	3.6
	სიგანე	—	—	—	—
$P_2$	სიგრძე	4.5	6.1-6.8	7.0	6.6
	სიგანე	2.5	2.5	2.5	—
$P_3$	სიგრძე	4.7	6.8-7.7	8.3	7.2
	სიგანე	2.5	2.4-2.7	3.0	—
$P_4$	სიგრძე	6.5	7.5-7.9	8.0	7.8
	სიგანე	3.4	2.9-3.2	4.5	—
$M_1$	სიგრძე	11.0	12.0-12.5	13.0	—
	სიგანე	3.5	4.5-5.0	5.0	—
$M_2$	სიგრძე	6.2	6.2-6.6	6.0	6.8
	სიგანე	4.1	4.9-5.1	4.0	5.1



სურ. 2. დმანისი. *Martes* sp. ქვედა ყბა

$M_1$  წინამორბედ კბილზე დიდია ზომებით, ოდნავ დაგრძელებული გვირგვინითა და შესამჩნევად განიერი ტალონიდით. პროტოკონიდი მაღალია. პარაკონიდი კარგადაა განვითარებული, სიმაღლეში ოდნავ ჩამორჩება პროტოკონიდს. მოთავსებულია პარაკონიდი პროტოკონიდის უკანა — მედიალურ კიდეზე. ტალონიდი ჯამისებურად ჩაზნექილია. ჰიპოკონიდი სუსტია. ტალონიდის ირგვლივ საყელოა განვითარებული.

აღნერილი მტაცებლური კბილის ( $M_1$ ) მორფოლოგიური ნიშნებითა და საერთო ზომებით დმანისის კვერნა ემსგავსება ხარზას (*M.flavigula*), რომელთან აახლოებს საერთო ზომები მტაცებლური კბილის მორფოლოგიური ნიშნები და ქვედა ყბის ფორმა. განასხვავებს დმანისის ფორმას თანამედროვე ხარზასაგან შედარებით პატარა ზომის  $M_2$  და ნაკლებად მასიური  $M_1$ .

დმანისის კვერნა აშკარად განსხვავდება თანამედროვე ტყის (*M.martes*) და თეთრგულა (*M.foina*) კვერნებისაგან შედარებით დიდი ზომებითა და მეოთხე პრემოლარზე დამატებითი კონუსის უქონლობით.

მტაცებლური კბილის ( $M_1$ ) აღნაგობით დმანისის კვერნა არსებითად განსხვავდება აგრეთვე გვარები *Mustela*, *Vormela*, *Meles* და *Lutra*-ს შესაბამისი კბილებისაგან. კიდევ უფრო შესამჩნევია განსხვავება დმანისის კვერნასა და *Gulo*-სა და *Mellivora*-ს თანამედროვე წარმომადგენლებისაგან.

$M_2$  პატარაა, მომრგვალებული ფორმის, ჯამისებურად ჩაღრმავებული მოედნით, რომელსაც ირგვლივ რამდენიმე პატარა ბორცვაკი ახლავს.

კ. ტატარინოვი თავის ერთ-ერთ შრომაში აღნიშნავს დიდი ზომის კვერნის არსებობას, უკრაინის ნალექებში, რომელსაც ქვესახედ გამოყოფს. სამწუხაროდ ავტორი არც ნიმუშის აღნერას და არც ფოტოს იძლევა. სხვა ნაშრომში უკვე თანავტორებთან ისევ მოყავთ ფაუნის სიაში დასახელებული კვერნა, მაგრამ აღნერის ან ლიტერატურის მითითების გარეშე.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დმანისის კვერნას ხარზასთან ვახლოებთ, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებისაგან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ მასალის სიმწირის გამო.

ზოგადი შენიშვნები. კვერნების გვარი (*Martes*) მიოცენური ნალექებიდანაა ცნობილი, თუმცა მიაჩნიათ, რომ ადრეული კვერნების თანამედროვე ფორმებთან ფილოგენეზური კავშირი არ დასტურდება. მ. მორლო (*M.Morlo*, 1997) მიოცენის ტუროლური ნალექებიდან აღნერს საკმაოდ დიდი ზომის კვერნას. მიოცენის ბოლოსა და პლიოცენის დასაწყისში პატარა ზომის კვერნების გვერდით დიდი ზომის კვერნების ნაშთებსაც ბლომად პოულობენ და მათ *M.paleosinensis*-ს აკუთვნებენ. ი. ორლოვის (*Y. Orlov*, 1941) აზრით ჩინეთის ადრეული კვერნა თითქმის თანამედროვე კვერნის იდენტურია და შესაძლოა მათი წინაპრები ყოფილიყვნენ. კრეტცოი (*Kretzoi*, 1952) ადრეული კვერნების ახალ გვარს *Paleomartes*-ს გამოჰყოფს. ეს უკანასკნელი *M.andersoni*-ს მსგავსია. ლიდეკერმა (*Lydekker*, 1885) სივალიკის (ინდოეთი) ნალექებიდან აღნერა კვერნის ქვედა ყბა, რომელიც მორფოლოგიური ნიშნებით ხარზას მსგავსია. კოლბერტი (*Kolbert*, 1935) *Martes lydekkeri*-ს, როგორც ზომებით, ასევე ნიშნებით *M.flavigula*-სთან აახლოებს. კოლბერტი დიდი ზომის კვერნების მხოლოდ სამ სახეს აღიარებს: *M.flavigula*, *M.lydekkerti* და *M.paleosinensis*. ჩვენ ვერცერთ მათგანთან ვერ ვაიგივებთ დმანისის კვერნას, ამიტომ მის სისტემატიკურ ადგილს ღიად ვტოვებთ ახალი მასალის აღმოჩენამდე.

*Martes* sp. დმანისი. ქვედა ყბისა და კბილების ზომები

ქვედა ყბა, ზომები მმ-ში		<i>Martes</i> sp. დმანისი, D4051	<i>Martes flavigula</i> resent	<i>M.foina subfossil</i> დმანისი	<i>M.martes recent</i>	<i>M.cf. sansoniensis</i> M. Mario, 1997
ქვედა ყბის სიმაღლე $M_1$ -ის წინ	9.3	12,0	9,9	8,6		
ქვედა ყბის სიმაღლე $M_2$ -ის უკან	10.0	17	11,9	10,4		
ყბის სისქე $M_1$ -ის დონეზე	5.0	6,1	4,5	4,2		
$P_4$	სიგრძე	5,7	7,7	5,8	6	8,7
	სიგანე	3,0	4,5	2,9	3,1	4,6
$M_1$	სიგრძე	10,5	12,5	9,8	9,7	8,5
	სიგანე	3,8	5	4,1	4,2	5,1
ტალონიდის სიგრძე	3,5	2,6	2,8	2,7		
ტალონიდის სიგრძის ინდექსი კბილის სიგრძეზე	31,4	20,6	28,6	27,8		
$M_2$	სიგრძე	3,1	4,8	—	2,9	5,3
	სიგანე	3,7	4,6	—	3,6	5,1

ქვეოჯახი *Galictinae* Reig, 1957

გვარი *Pannonictis* Kormos, 1931

*Pannonictis cf. nestii* (Marteli, 1906).

სურ. 3.

მასალა. ქვედა ყბის უკანა ნახევარი, რომელსაც შემორჩენილი აქვს  $P_4$ ,  $M_1$  და  $M_2$  (D1686).

ადგილსაპოვნელი. დმანისი, შუა ვილაფრანკის ზედა ნაწილი MN17.

ალნერა და შედარება. ნიმუში წარმოადგენს მარცხენა ქვედა ყბის ჰორიზონტალურ ტოტს, რომელსაც მომტვრეული აქვს წინა ნაწილი  $P_4$ -ის წინ. ალმავალი ტოტი კარგადაა შემონახული. მნიშვნელოვან მორფოლოგიურ ნიშნად მიგვაჩნია ქვედა ყბის შესამჩნევი გადახრა ლატერალურად დაახლოებით ეშვის დონეზე. ასევე საყურადღებო ნიშანია ქვედა ყბის ქვედა კიდის საგრძნობი გასქელება და მასიურობა *fossa masseterica*-ს წინა დაბოლოების დონეზე. ქვედა ყბა შედარებით მოკლეა და მასიური, ზომიერი სიმაღლის (ყბის სიმაღლე  $M_1$ -ის დონეზე 13,8 მმ, იქვე სისქე 7,3 მმ). ყბის ჰორიზონტალური ნაწილი შესამჩნევად გამოზნექილია ქვევით მტაცებლური კბილის დონეზე. მასეტერული ჩაღრმავება (*fossa masseterica*) ღრმაა, განიერი და იწყება  $M_2$ -ის

დონეზე. Foramen mentalis ყბაზე არ ჩანს, ეტყობა ის მოთავსებული იყო წინა ნაწილში, რომელიც ყბას მომტვრეული აქვს. კუთხის წანაზარდი (processus angularis) საკმაოდ მოკლეა, მასიური და დაბალი მდებარეობა აქვს. კუთხის წანაზარდის სიმოკლე და მასიურობა, როგორც სოჭნიკოვა და თანაავტორები აღნიშნავენ (Сотникова, Байгушева, Титов, 2002) დამახასიათებელი ნიშანია გალიკტიდურ მუსტელიდებისათვის.



სურ.3. *Pannonictis cf. nestii* (Marteli) ქვედა ყბა

ყბას შემორჩენია კარგად დაცული  $P_4$ ,  $M_1$  და  $M_2$ . კბილები სუსტადაა მოცვეთილი.  $M_1$ -ის ტალ-ონიდა და  $M_2$ -ს საერთოდ არ შეხებიათ მოცვეთა.

$P_4$ -ს არ გააჩნია დამატებითი ბორცვები. შეინიშნება მხოლოდ საყელო, ისიც სუსტად განვითარებული.

$M_1$  საკმაოდ ძლიერი კბილია, შედარებით დიდი ზომის (სიგრძე 12.4 მმ). მეტაკონიდი მასიურია. მეტაკონიდის უკან, ოდნავ მედიალურად ზის კარგად განვითარებული მეტაკონულიდი. ტალონიდი გრძელია, ჯამისებურად ჩაღრმავებული, რომლის გარშემო საყელოს გასქელება ამაღლებულ კიდეს ჰქმნის. ტალონიდის სიგრძე მთლიანი კბილის 1/3-ს შეადგენს.

$M_2$  პატარაა და თითქმის მრგვალი, ერთფესვიანი. კბილის სიგანე (3.2 მმ) მეტია მის სიგრძეზე (2.9 მმ). კბილის საღეჭი ზედაპირი ჯამისებურად ჩაღრმავებულია, ოდნავი შევიწროებით უკანა ნახევარში, სადაც სამი ოდნავ შესამჩნევი ბორცვია მოთავსებული. ერთი მათგანი შედარებით ცენტრშია მოცეული, ხოლო ორი მოთავსებულია ლაბიალურ და ლინგვალურ კიდეებზე.

ქვედა ყბის მორფოლოგიური ნიშნები. კბილების აღნაგობითა და საერთო ზომებით დმანისის კვერნა ძლიერ ემსგავსება გვარი *Pannonictis*-ის ფორმებს, თუმცა სრული თანმთხვევა არც აქაა. მსგავსება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ქვედა ყბის მასიურობაში, აღმავალი ტოტის დასაწყისის დონეზე ყბის გასქელებაში, კუთხის წანაზარდის (processus angularis) სიმოკლისა და მასიურობაში,  $P_4$ -ზე დამატებითი ბორცვების არქონაში და სხვ.

განსხვავება ძირითადად დმანისის ფორმის ოდნავ პატარა ზომებშია, რაც კარგად ჩანს მოცემული ცხრილით. ამიტომაც თავს ვიკავებთ *P.nestii*-თან სრულ გაიგივებისგან, თუმცა ყველა

დანარჩენ ფორმებს შორის სწორედ ამ სახესთან ამჟღავნებს სიახლოვეს.

ზოგადი შენიშვნები. *P.nestii*-ს სრულ დახასიათებას იძლევა რუკი (Rook, 1995) და აღნიშნავს, რომ მუსტელიდების ეს თავისებური წარმომადგენელი ჰუმიდურ პირობებსაა შეგუებული და ხშირად გვხვდება მდინარეების ახლოს. მსგავსი ნამარხი ფორმები აღმოჩენილია ევროპის (საფრანგეთის, იტალიის, აღმოსავლეთ ევროპის) პლიოცენ-პლეისტოცენის ნალექებში.

### ცხრილი 3

#### *Pannonictis nestii* ქვედა ყბისა და კბილების ზომები

ქვედა ყბა, ზომები მმ-ში		Pannonictis cf. nestii დმანისი D1686	P.nestii ლივენცოვკა Сотникова и др., 2002	P.nestii ზედა ვალდარნო Rook, 1995	P.nestii პიეტრაფიტა Rook, 1995
$P_4$	სიგრძე	5.7	7.5	6.5	6.2; 6.8
	სიგანე	2.6	—	3.3	3.3; 3.6
$M_1$	სიგრძე	12.4	13.5	11.7	11.5-12.6
	სიგანე	4.6	—	5.2	4.8-5.5
$M_2$	სიგრძე	2.9	3.3	3.8	3.2
	სიგანე	3.2	—	3.8	3.3
$P_4-M_2$	სიგრძე	19.4	—	—	—
$M_1-M_2$	სიგრძე	14.8	17.3	—	—
ყბის სიმაღლე $M_1$ დონეზე		14.8	—	14.8	11.9-14.5
ყბის სიგანე $M_1$ დონეზე		7.7	—	6.3	5.3-7.0
აღმავალი ტოტის სიმაღლე		32.6	—	—	—

### PALEOBIOLOGY

#### PREDATORS IN THE VILLAFRANCHIAN FAUNA OF DMANISI

Abesalom Vekua<sup>1</sup>, Oleg Bendukidze<sup>1</sup>

<sup>1</sup> Georgian National Museum. Institut Paleobiology. Rustaveli av. 3 Georgia, Email: avekua@live.com

#### Summary

As a result of excavations carried out in Dmanisi site, the list of mammalian fauna is being specified. Every year a new element is added to the composition of fauna. In the last years the representatives of families of mustelids (Mustelidae), bears (Ursidae), canids (Canidae), hyena (Hyenidae) and cats (Felidae) have been determined in the composition of predators. Neither 2010 was the exception. As a result of excavations comparatively well-preserved scull of sabre-toothed tiger (*Homotherium crenatidens*) and mandibula of corsac (*Vulpes praecorsac*) were found in 2010.

Present article is devoted to the description of mandibula of corsac and mandibulae of mustelid.

Mandibula of corsac is distinguished with its small sizes and morphological characters of teeth. Corsac from Dmanisi reveals evident similarity with the ancestor of corsac (*Vulpes praecorsac*) found in Pliocene sediments of Hungary, described by Kormos (1932). Corsac from Dmanisi is also close to fox found in Odessa catacombs, named by Odintsov (1966) *Vulpes odessana*, but some scientists identify this form with corsac discovered in Hungary.

Corsac is not found in modern and fossil faunae of Georgia, but it had been widely spread in Pleistocene on the territory of Azerbaijan, which is confirmed by the fossil fauna of Binagad (Vereshagin, 1981).

Description of mandibula of mustelid found in Dmanisi is also given in the article, but its exact systematic place, because of the lack of material, is not yet defined, but we supposedly near it to Indian marten (*Martes* sp.).

## ՀԱՅՈՒԹՅԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

1. **Верещагин Н.К., 1951.** Хищные (Carnivora) из Бинагадинского асфальта. Бинагадинское местонахождение четверичной фауны и флоры. Тр. Музея Зардаби.
2. **Одинцов И.А., 1965.** *Vulpes praecorsac* из плиоценовых отложений Одессы. Палеонтологический сб., №3, в.2.
3. **Сотникова М.В., Байгушева В.С., Титов В.В., 2002.** Хищные млекопитающие Хапровского фаунистического комплекса и их стратиграфическое значение. Стратиграфия и геологическая корреляция. Т. 10, №4.
4. **Шарапов М., 1980.** Куруксайский комплекс позднеплиоценовых млекопитающих Афгано-Таджикской депрессии. Душанбе.
5. **Bonifay M.F., 1971.** Carnivores quaternaires du sud-Est de la France. Mem. du Mus. Nat. East de la France. Mem. du Mus. Nat. Hist. Natur. n. ser. C, 21(2).
6. **Colbert E.H., 1935.** Siwalik mammals in the Amer. Mus. Nat. Hist. Trans. Amer. Phil. Soc. N.S., 26.
7. **Kormos T., 1931.** Pannonictis plioacaenica nov. gen, n. sp. a new giant mustelid from the late Pliocene of Hungary. Ann. Inst. Reg. Hung. Geol., 29, 3.
8. **Koufos G.D., 1992.** Late Pleistocene carnivores of the Mygdonia basin Macedonia (Greece). Ann. Paleont., vol. 78.
9. **Kretzoi, M. 1952.** Die Raubtiere der Hipparrionfauna von Polgardi. Ann. Inst. Geol. Publ. Hung., 40(3).
10. **Lydekker R., 1885.** Catalogue of the fossil Mammalia in the British Museum. Part I: Primates, Chiroptera, Insectivora, Carnivora, and Rodentia. London.
11. **Morlo M., 1997.** Die Raubtiere (Mammalia, Carnivora) aus dem Turolium von Dorn-Durheim I (Rheinhessen). T.1: Mustelidae, Hyaenidae, Percrocutidae, Felidae. Cour Forschunge. Inst. Sinckenberg, 197.
12. **Orlov Y.A., 1941.** Tertiary mammalia and the localities of their remains. Tertiary Carnivora of West Siberia. Mustelinae: Trav. Inst. Paleont. Acad. Sci. URSS, 8.
13. **Pans Moya J., 1987.** Los carnívoros (Mammalia) de Venta Micena (Granada, Espana). Paleont. mem. esp. 1.
14. **Rook L., 1995.** Pannonictis nestii (Carnivora, Mammalia) from the late Villafranchian of Pietrafitta (Umbria (Italy)). Preliminary note. Eclogae geol. Helv. 83/2.

## პალეოპიოლიგია

### საცურპლიას მღვიმეში 2010 წელს მოპოვებული მასალის პალინოლოგიური კვლევის შედეგები

ელისო ყვავაძე<sup>1</sup>, თენგიზ მეშველიანი<sup>2</sup>, ნინო ჯაყელი<sup>3</sup>,  
ინგა მარტყოფლიშვილი<sup>4</sup>

<sup>1,4</sup> საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეოპიოლოგიის ინსტიტუტი, ნიალვრის 4,  
თბილისი 0108, ელ-ფოსტა: e.kvavadze@yahoo.com; imartkoplishvili@yahoo.com;

<sup>2,3</sup> საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, თბილისი 0105,  
ელ-ფოსტა: tengizmeshveliani@gmail.com; nino\_jakeli@yahoo.com;

**შესავალი.** ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების „რუსთაველის ფონდი“-ის მიერ 2007 წელს მინიჭებული გრანტის „მონადირე-შემგროვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა“ ფარგლებში გაგრძელდა სტაციონარული გათხრები წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფ. ყუმისთავში მდებარე საწურბლიას მღვიმეში. ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდნენ თ. მეშველიანი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ნ. ჯაყელი (არქეოლოგი), ა. ვეკუა (პალეონტოლოგი), რ. ჩაგელიშვილი (გეოლოგი), ე. ყვავაძე (პალინოლოგი, მოწვეული სპეციალისტი), კ. კალანდაძე (მოწვეული არქეოლოგი), რ. ამაშუკელი (თსუ მაგისტრანტი). 2010 წელს გაითხარა R 18-19, S 18-19-20-21-22-23, T 18-19-22-23 კვადრატები და გავაფართოვეთ წინა წლების ჭრილები. ინტენსიურად გაითხარა S 22, S 23, T 19, T 22, T 23 კვადრატები, დანარჩენ კვადრატებში დიდი ლოდების გამო ვერ მოხერხდა გათხრების გაგრძელება. მღვიმის დასავლეთ კედელთან, 80-იან წლებში, გათხრებისას აღმოჩნდა საინტერესო მუსტიეული ხანის ფაუნა, სწორედ გათხრილი ადგილის წინ გავაკეთეთ ახალი, IV ჭრილი და გავთხარეთ კვადრატები: U4, U5, V4, V5, W4, W5. გვაინტერესებდა, ვნახავდით თუ არა მუსტიეული ხანის არქეოლოგიური მასალისა და ფაუნის შემცველ ფენებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აქაც, ისევე როგორც II და III ჭრილებში, მასალა ზედაპალეოლითურია, მაგრამ 490-დან უკვე გამოჩნდა მუსტიეული სახის ანატკეცები და რამოდენიმე იარაღი. მასალა ამ ორივე ჭრილში თითქმის ერთნაირია. ტიპოლოგიურად შესაძლებელია გამოვყოთ ზედაპალეოლითის ორი ეტაპი - ადრეზედაპალეოლითური ინდუსტრია და ზედაპალეოლითის ფინალური ფაზა.

2010 წელს დასრულდა ჩვენისაგრანტოთემა, ინტერდისციის აღმოჩნდა კვლევების შედეგები და სამი წლის სამუშაოების ანგარიში გადაეცა რუსთაველის ფონდს და ახლო მომავალში დაგეგმილია მისი სრული პუბლიკაცია. ახლა ვაქვეყნებთ მხოლოდ პალინოლოგიური კვლევის შედეგებს.

**მასალა და მეთოდიკა.** 2010 წელს საწურბლიას მღვიმის ჭრილებიდან აღებული და შესწავლილია 24 ნიმუში. გარდა ამისა მღვიმიდან და მის შესასვლელთან შეგროვილი და გამოკვლეულია თანამედროვე ნიადაგის, ხავსის და ნაკელის 6 სინჯი. მასალა პირველ ეტაპზე დამუშავდა პალეობიოლოგიის ინსტიტუტის პალინოლოგიურ ლაბორატორიაში ლაბორანტების თ. ხახუტაშვილის და თ. მჭედლიძეს მიერ არსებული სტანდარტული მეთოდიკის გამოყენებით. პალინოლოგიური მასალა, მასში მტვრის მარცვლების და სხვა ტიპის პალინომორფების რაოდენობიდან გამომდინარე,


საკმარისი აღმოჩნდა ანალიზისათვის და რეკონსტრუქციებისთვის. მასალის სტატისტიკური და-  
მუშავება და პალინოლოგიური დიაგრამების აგემა მოხდა პროგრამა „PSIMPOLL“-ის საშუალებით.

**კვლევის შედეგები და მათი ანალიზი:**პალეოსპექტრების სწორი ინტერპრეტაციისთვის და  
სხვა მეთოდური საკითხების დასადგენად ჩვენს მიერ აღებული და შესწავლილი იქნა თანამე-  
დროვე ნალექების ნიმუშები როგორც გამოქვაბულში, ისევე მის შესასვლელთან და გამოქვაბუ-  
ლის ირგვლივ. თანამედროვე სპექტრების კომპონენტების პროცენტული შემადგენლობა მოყვა-  
ნილია ორ პალინოლოგიურ დიაგრამაზე (სურ.1,2). ზოგადად რეცენტულ სპექტრებში მცენარეთა  
მტვერი და სპორები, შეადგენს კომპლექსის 60-65%. დანარჩენი ადგილი უკავია არაპალინოლო-  
გიური ხასიათის პალინომორფებს (სურ. 2).

პირველ სამ ნიმუშში, რომლებიც აღებულია გამოქვაბულის სიღრმეში, ხემცენარეთა შორის  
დომინირებს თხილის (*Corylus*) და მურყნის (*Alnus*) მტვრის მარცვლების რაოდენობა. კარგადაა  
ნარმოდგენილი წაბლის (*Castanea sativa*), მუხის (*Quercus*), რცხილას (*Carpinus vauvasica*) და ფიჭვის  
(*Pinus*) მტვრის მარცვლების შემადგენლობა. ბალახოვნებში კი ასეთი სურათია; ჭარბობს გვიმრების  
სპორები, და განსაკუთრებით კი გვიმრა ვენერას თმა (*Adianthum capillus-veneris*) და გვიმრუჭა (*As-  
plenium trichomanes*), რომლების იზრდება გამოქვაბულის სველ კედელზე. ბევრია სხვა გვიმრების  
სპორებიც, მაგალითად ენრის გვიმრა (*Pteris aquilinum*), ტაბულა (*Pteris cretica*) და ჩადუნა (*Dryopter-  
is*). საკმარისი რაოდენობით აღინიშნება აგრეთვე ვარდყაჭაჭას, (*Cichorioideae*) და ღორის ბირკას  
(*Xanthium*) და ისლიანების (*Cyperaceae*) მტვერი. რაც შეეხება არაპალინოლოგიურ მიკრონაშთებს  
აქ დომინირებს ნაკელის სოკოს (*Sordaria*, *Sporormiella*, *Podospora*, *Chaetomium*, *Arnum*) სპორები და  
მწერების ფოსილიები. ნაკელის სოკოს სპორების რაოდენობა განსაკუთრებით ბევრია პირველ  
ნიმუშში, რადგან გამოქვაბულის ნიადაგი ნახევარზე მეტად შედეგება შინაური ცხოველების ნაკე-  
ლისაგან. იმ ცხოველების, რომლებიც ცხელ ან წვიმიან ამინდში მღვიმეს სადგომად იყენებდნენ.  
გამოქვაბულის ზედაპირულ შრეებში ნაპოვნია აგრეთვე იმ პარაზიტული ჭიების კვერცხები (ტა-  
ბულა I), რომლებითაც დაავადებულია შინაური ცხოველები. მაგალითად ტრიხურა (*Trichura trichi-  
uris*). ამასთანავე ტრიხურა თბილი კლიმატის ინდიკატორად ითვლება, რადგან იგი გავრცელებუ-  
ლია მხოლოდ სამხრედ ქვეყნებში (Martinez et al. 2003). ზედაპირულ ნიადაგში და ხავსებში ბევრია  
აგრეთვე ტკიბების და მწერების მიკრონაშთები (სურ. 2, ტაბულა II).


ნიმუშები № 4ა-6ა აღებულია გამოქვაბულის წინ. გარეთა ნიმუშებში, როგორც ამას აჩვენებს  
დიაგრამა (სურ.1), მტვრის მარცვლების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე გამოქვაბულის  
სიღრმეში. პალინოლოგიურ სპექტრებში დომინირებს წაბლი (*Castanea*), რომლის ხე დგას გამო-  
ქვაბულის წინ (სურ. 3). მეტია აგრეთვე სხვა ხემცენარეთა მტვრის რაოდენობა. დიდ ინტერესს  
იწვევს ძროხის ნაკელის სპექტრი (ნიმუში №6ა), სადაც ჭარბობს თხილის (*Corylus*) და მარცვლოვ-  
ნების (*Poaceae*) მტვერი, რაც უნდა ასახავდეს ძროხის რაციონს, რომელშიც მარცვლოვნების, ის-  
ლიანების და სხვა ბალახოვნების გარდა შედის თხილის ფოთლებიც. თხილის ფოთლები კი მისი  
ხაოიანი ზედაპირის გამო ყოველთვის იწებებს და ინახავს თხილის მტვრის მარცვლებს. თხილის  
მტვრის პროდუქცია კი ძალზედ მაღალია (Pardoe et al. 2010; Knaap et all.2010). ძროხის თანამე-  
დროვე ნაკელში ბევრია აგრეთვე მარცვლოვნების ფიტოლიტები, მცენარეთა ეპიდერმისი და  
მარცვლოვნების ღეროს მიკრონაშთები. ამასთანავე თანამედროვე ნაკელში არ არის ნაპოვნი  
ნაკელის სოკოს სპორები, რადგანაც, სოკოს განვითარებას ესაჭიროება დრო. საინტერსოა ის  
ფაქტიც, რომ მხოლოდ ნათესებიდან აღებულ ნიადაგში აღმოჩენილია სოკო გლომუსის სპორები  
(სურ. 2). ეს სოკო იზრდება მხოლოდ დამუშავებულ ფხვიერ ნიადაგში, ან ბუნებრივი ფაქტორე-  
ბით გამოწვეულ ეროზიულ ნიადაგში (Van Geel, 1998). მხოლოდ ნათესების ნიადაგში (ნიმუში 7ა),  
ნაპოვნია აგრეთვე სოკო ტეტრაპლოას (*Tetraploa*) კონიდიები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მეშ-

## Satsurblia, recent (AP+NAP)



სურ. 1. საწლურბლიოს გამოკვლეულთან (ნიზ. 3a-ნა) აღებული თანამდებობის შესახლის პალინოლოგიური დაგრძნელების მისამართის შესავალის მინატურული გრაფიკები (ნიზ. 1a-3a)

### Satsurblia, recent (NPP)



სურ. 2. სანურბლიის გამოქვაბულში (ნიმ. 1ა-3ა) და მის შესასვლელთან (ნიმ. 3ა-6ა) აღებული თანამედროვე სინჯებიდან მოპოვებული არაპალინოლოგიური ნაშთების დიაგრამა



სურ.3. გამოქვაბულ სანურბლიას შესასვლელის ხედი, სადაც წაბლილ ხე იზრდება (ე.ყვავაძის ფოტო)

ვიდე ნიმუშში ბევრია ხის მექნის ტრაქეალური და ჭურჭლოვანი უჯრედბი. ჩვენი აზრით, იმ ნაკვეთზე სადაც დღეს ითესება სიმინდი და სხვა კულტურები, ადამიანი სასუქად ნაცარს იყენებს. სწორედ ნაცარი შეიცავს ხის მერქნის უამრავ დამწვარ უჯრედს.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც მღვიმეში, ასევე მის შესასვლელთან თანამედროვე სინჯების პალინოლოგიური სპექტრები კარგად ასახავენ არსებულ მცენარეულობასა და დღევანდელ ადამიანის საქმიანობას, რომელიც ეწევა როგორც მიწათმოქმედებას, ასევე მეცხოველეობას. სპექტრებში ნაჩვენებია ისიც, რომ დღეს მღვიმე ძირითადად გამოყენებულია ცხოველების სადგომად.


შურფი № 3. ნიმუშები აღებულია სამხრეთ კედელიდან, კვადრატების S-17-18 და R-17-18-ის საზღვარზე, სადაც აღებულია 5 სინჯი. შურფის დასავლეთ კედელში (კვადრატი T-19) აღებულია სინჯი №6. განხილული ჭრილის პალინოლოგიური სპექტრები მკვეთრად განსხვავდება თანამედროვე სპექტრებისგან იმით, რომ აქ ხემცენარეების მტვერი მცირე შემადგენლობითაა წარმოდგენილი და მათი მაჩვენებელი 30%-ს არ აღემატება (სურ. 4,5). ზოგადად ჭარბობს სარეველა ბალახოვნების მტვრის მარცვლები. მაგალითად ვარდკაჭაჭა (Cichorioideae), მრავალძარღვა (Plantago m/m, P. lanceolata) და სხვა, რომელიც მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვის მაჩვენებელი უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ ჭრილის ყველა ნიმუშში ნაპოვნია სათესი კულტურული მარცვლოვნების მტვერი და მარცვლოვნების მინდვრებისთვის დამახასიათებელი სარეველა მცენარეების მტვრის მარცვლები. გვარამდე განსაზღვრულია ხორბლის (Triticum) მტვრის მარცვლები.

შურფის შუა ნაწილში კარგად ჩანს ტყის ინტენსიური განადგურების კვალი (ნიმუში 4 და 5-ის სპექტრები) რაც, როგორც ჩანს მიწათმოქმედების განვითარების შედაგია. ტყის გაჩეხვის კარგი ინდიკატორია ენრის გვიმრის (*Pteridium aquilinum*) სპორების დიდი რაოდენობა (Behre 1981). ზუსტად ამ პერიოდს ემთხვევა ადამიანის მიერ საწურბლიას მღვიმის ათვისება. ნიმუშების 4 და 5 სპექტრებში (კვ. T-19, H= 440-450სმ) უხვადა წარმოდგენილი ხის მერქნის დანახშირებული უჯრედები, რაც ცეცხლის კვალზე მიუთითებს. მაღალია აგრეთვე ფიტოლიტების შემადგენლობა (სურ. 4). ამასთანავე ჭრილის შუა ფენებში თითქმის არ აღინიშნება არც ნაკელის სოკო და არც ცხოველის პარაზიტული ჭიების კვერცხები და ტკიპების ფოსილიები. მაგრამ ჭრილის სულ ქვედა ფენაში (ნიმუში 6, კვ. T-19, H= 464სმ) კვლავ მატულობს ნაკელის სოკოს სპორები და ზოოლოგიური ხასიათის ნაშთები. აქვე აღმოჩენილია წყალმცენარეების მიკროსკოპული ნაშთები. ესენია *Pseudoschizae* და *Zygnuma*.

განხილული ფენების წარმოქმნის დროს კარგი კლიმატური პირობები უნდა ყოფილიყო. მისი გაუარესება (აცივება და ტენიანობის მომატება) შეიმჩნევა მხოლოდ სულ ქვედა შრეში (ნიმუში №6), სადაც ნაპოვნია ნაძვის მტვერი და წყალმცენარეების ნაშთები. ეს ალბათ ბორეალური პერიოდის აცივებას უნდა ემთხვეოდეს, რომელსაც ჰოლოცენის დასაწყისში ჰქონდა ადგილი. შუა და ზედა ფენები ჩვენი აზრით ენეოლითურია.


შურფი №3. მის დასავლეთ კედელში (კვადრატი T-23) გაკეთდა სხვა ჭრილი, სადაც აღებული და შესწავლილია 10 სინჯი (№7-16). განხილული ჭრილი პალინოლოგიური სპექტრების მიხედვით იყოფა სამ ნაწილად. ჭრილის ზედა ფენებში (ნიმუში 7,8; კვ. T-23, H= 415-450სმ), მტვრის მარცვლების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე მის შუა ფენებში (სურ. 6, 7). ამასთანავე, აქ ნაკლებია იმ სარეველათა მტვერი, რომელიც ადამიანის საცხოვრებელთან, გზის პირას და ნაგავსაყრელზე იზრდება. არის მიწადმოქმედების კვალი, მაგრამ სუსტად გამოხატული (სურ. 6). მღვიმე ცხოველების თავშესაფარს წარმოადგენდა, რადგან სპექტრებში ბევრია ნაკელის სოკოს სპორები, პარაზიტული ჭიების კვერცხები და სხვა ზოოლოგიური მიკრონაშთები (სურ. 7). აქვე ნაპოვნია წყალმცენარეების ნაშთები.

### Satsurblia, Profile III, southern part (AP,NAP)




სურ. 4. მესამე შურფის სამხრეთი კედლის ფენებიდან აღებული მასალის პალინოლოგიური დიაგრამა

### Satsurblia, Profile III, southern part (NPP)




სურ.5. მესამე შურფის სამხრეთ კედლის ფენებიდან აღებული მასალის არაპალინოლოგიური ნაშთების დიაგრამა

### Satsurblia, Profile III, western part (AP+NAP)



სურ. 6. მესამე შურფის დასავლეთ კედლის ფენებიდან აღებული მასალის პალინოლოგიური დიაგრამა

### Satsurblia, Profile III, western part (NPP)



სურ. 7. მესამე შურფის დასავლეთ კედლის ფენებიდან აღებული მასალის არაპალინოლოგიური ნაშთების დიაგრამა

ჭრილის შუა ფენა (ნიმუშები 9-12; კვ. T-23 H= -460-500სმ) ხასიათდება ვარდვაჭაჭას მტვრის რაოდენობის მკვეთრი ზრდით. ეს მცენარე კი, როგორც წესი, იზრდება გზის და ბილიკების პირას, დატკეპნილ ნიადაგზე. რაც შეეხება თავად მღვიმეს, ამ ფენების ჩამოყალიბების დროს, იგი ადამიანის მიერ იყო ათვისებული. ადამიანის ხანგრძლივ ცხოვრებაზე მიუთითებს სელის და სხვა სახის ტექსტილის ბოჭკოს რაოდენობის ზრდა (სურ.7). ამასთანავე, ნაკელის სოკოს, ტკიპების და პარაზიტული ჭიების კვერცხები აქ საერთოდ არ არის ნაპოვნი (სურ. 7). აღარ არის წყალმცენე-თა ნაშთებიც, უხვადაა წარმოდგენილი ხის მერქნის დანახშირებული უჯრედები, რაც ცეცხლის კვალზე მიუთითებს. შუა ფენაში ბევრია ძვლის კრისტალები (ტაბ.V). ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანი ფენის წარმოშობის პერიოდში იყენებდა ცხოვულური წარმოშობის საკვებს.

ქვედა ფენა (ნიმუშები 13,14,15; კვ. T-23, H= 495-520სმ) განსხვავდება იმით, რომ აქ მატულობს მტვრის მარცვლების რაოდენობა, განსაკუთრებით კი თხილი (*Corylus*). გამოჩნდა ნაკელის სოკოს სპორები და ცხოველის პარაზიტული ჭიების კვერცხები. ამ პერიოდში მღვიმე ისევ ცხოველებმა აითვისეს. გამოჩნდა წყალმცენარეების ფოსილიებიც. ამის გარდა, პალინოლოგიური სპექტრები უჩვენებს კლიმატის აცივებას და ტენიანობის ზრდას. შეიმჩნევა მასთან დაკაშირებული ეროზიული პროცესების გაძლიერება. ქანების ეროზის კარგი მაჩვენებელია სოკო გლომუსის (*Glomus*) სპორების რაოდენობის მკეთრი მატება (Geel 1989). №16-ის (H=560სმ) ნიმუშის პალინოლოგიურ სპექტრში მაღალმთიანი ტყის ელემენტების სოჭის (*Abies*), ნაძვისა (*Picea*) და ფიჭვის (*Pinus*) მტვრის რაოდენობის ზრდა კლიმატის აცივებაზე მეტყველებს. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ამ ნიმუშშია ნაპოვნი წინვოვნების ფოთლების ბაგები (ტაბულა III), რაც იმის დასტურია, რომ წინვოვნები გამოქვაბულთან ახლოს იზრდებოდა. ეს გვიანი პლეისტოცენური აცივების შედეგი უნდა ყოფილ-იყო, რომლის მაქსიმალური ფაზა 18-16 ათას წლის წინ ვლინდება (Kvavadze et al. 2011).


შურფი № 4, მის სამხრეთ კედელში (კვადრატი U-4) აღებულია და პალინოლოგიურად შესწავლილია 8 ნიმუში. მათი კვლევის შედეგები მოყვანილია დიაგრამა №8, 9-ზე.

ზედა ფენა (სურ. 8, 9, ნიმ. 17, 18; კვ. U-4, H= 420-450სმ) ხასიათდება სიცივის და ნოტიო კლიმატის მოყვარული ელემენტების არსებობით, ეს პალინოლოგიური სპექტრები შურფ №3-ის სულ ქვედა შრის სპექტრების მსგავსია (ნიმ. 16). აქ ბევრია ნაკელის სოკოს სპორები, ჰელმინტების კვერცხები, ტკიპები და მწერები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ პერიოდში საწურბლიას მღვიმე ცხოველების სადგომად იყო გამოყენებული (სურ. 9).

ქვედა ფენის პალინოლოგიური სპექტრები (ნიმუში 19-24; კვ. U-4, H=490-545სმ) მკაფიოდ განსხვავდება ზედა შრის სპექტრებისგან იმით, რომ აქ ზოგადად ისევ მატულობს ვარკაჭაჭას მტვრის რაოდენობა, რომელიც ადამიანის არსებობის ინდიკატორია. იზრდება ველური მარცვლოვნების მტვრის შემადგენლობა და მათი ფიტოლიტების რაოდენობაც. მატულობს სელის ტექსტილის ბოჭკოს შემცველობა (ტაბ. VI). ნაპოვნია სხვა სახის ბოჭკოც, რომლის განსაზღვრაც ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა. კვლავ გამოჩნდა ძვლის კრისტალები, რომელთა რაოდენობა მაქსიმალურ შემადგენლობას აღწევს 23-ე ნიმუშში. ბევრია ხის მერქნის დამწვარი უჯრედები. ცოტაა ზოოლოგიური მასალა და ნაკელის სოკოს სპორები.


**დასკვნები.** თანამედროვე პალინოლოგიურ სპექტრების კვლევამ აჩვენა, რომ როგორც გამოქვაბულში, ასევე მის შესასვლელთან სპექტრები კარგად ასახავენ არსებულ მცენარეულობისა და ადამიანის დღევანდელ საქმიანობას, რომელიც ეწევა მიწადმოქმედებას და მეცხოველეობას. სპექტრებში ისიც ჩანს, რომ დღეს გამოქვაბული ძირითადად ცხოველების სადგომად გამოიყენება. რადგან რეცენტული სპექტრები თანამედროვე პირობების კარგი ინდიკატორია, შესაძლებელი ხდება განამარხებული პალინოლოგიური სპექტრების გამოყენებით გავაკეთოთ შემდეგი პალეოეკოლოგიური რეკონსტრუქციები;

### Satsurblia, Profile IV (AP+NAP)



სურ. 8. მეოთხე შურფის დასავლეთ კედლის ფენებიდან აღებული მასალის პალინოლოგიური დიაგრამა

### Satsurblia, Profile IV (NPP)



სურ. 9. მეოთხე შურფის დასავლეთ კედლის ფენებიდან აღებული მასალის არაპალინოლოგიური ნაშთების დიაგრამა

პალინოლოგიური სპექტრების თავისებურება შურფ № 3, სამხრეთ კედელში ცხადყობს, რომ შრეების სულ ქვედა ნაწილი ნეოლიტურ პერიოდს ასახავს (ადრე ჰოლოცენურს), შუა და ზედა ნაწილი კი ენეოლიტურს. ადრე ჰოლოცენში, როდესაც ქვედა ფენა წარმოიქმნა, კლიმატი უფრო გრილი იყო და სანურბლიას მიდამოებში წაბლი საერთოდ არ იზრდებოდა. მაგრამ ენეოლიტის ხანაში (შუა და ზედა შრეები) კლიმატურმა დათბობამ ლანდშაფტი შეცვალა. მაქსიმალურად განვითარდა მიწათმოქმედება, ტყეში კი წაბლი და მუხა გაბატონდა.

შურფი № 3 დასავლეთი ნაწილის ზედა ფენები, პალინოლოგიური მონაცემების მიხედვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მეზოლიტურ პერიოდს განეკუთვნება. მაგრამ, რას შეეხება შურფი № 3 დასავლეთის კედლის ძირს და № 4 შურფის შუა და ქვედა ნაწილს, ის ზედაპალეოლიტური უნდა იყოს. ამასთანავე № 3 შურფში შეიმჩნევა ზოგიერთი ფენის დარღვევა, რაც შესაძლოა წინა წლებში ჩატარებული გათხრების შედეგი იყოს. თუ როგორი იყო ეკოლოგიური პირობები მეზოლიტში და ზედა პალეოლიტში ამაზე კარგ ინფორმაციას იძლევა გამოვლენილი პალინოლოგიური სპექტრები. მეზოლიტში შეიმჩნევა მაქსიმალური აცივება, როდესაც სანურბლიას ირგვლივ ფიჭვის ტყე იზრდებოდა. გარდა ფიჭვის მტვრის დიდი რაოდენობისა, აქ მისი წინვების და მერქნის მიკრონაშთებია ნაპოვნი. ალმოჩენილია აგრეთვე ღვიას, ნაძვისა და სოჭის მტვრის მარცვლები.

ზედაპალეოლიტის ხანაში იზრდებოდა ფართოფოთლოვანთა ჯიშები, რაც კარგმა კლიმატური პირობებმა გამოიწვია. ესენია მაგალითად რცხილა, ცაცხვი და მუხა. მოიმატა სითბომოყვარული გვიმრების სპორებმა, როგორიცაა ვენერას თმა და სამეფო გვიმრა.

დადგენილია, რომ ადამიანი გამოქვაბულში ცხოვრობდა მხოლოდ კლიმატური დათბობის დროს. ცივ და ნესტიან კლიმატური პირობებში კი, ტოვებდა სანურბლიას გამოქვაბულს და მასში მხოლოდ ცხოველები ბინადრობდნენ.

## PALAEOBIOLOGY

### RESULTS OF PALYNOLOGICAL INVESTIGATION OF THE MATERIAL TAKEN IN THE CAVE SATSURBLIA IN 2010

**Eliso Kvavadze<sup>1</sup>, Tengiz Meshveliani<sup>2</sup>, Nino Jakeli<sup>3</sup>, Inga Martkoplishvili<sup>4</sup>**

<sup>1,4</sup> Georgian National Museum. Institute of Paleobiology. Niagvis str. 4, Georgia, 0108, Email: e.kvavadze@yahoo.com; imartkoplishvili@yahoo.com

<sup>2,3</sup> Georgian National Museum, Rustaveli Avenue, 3, 0105, Email: tengizmeshveliani@gmail.com; nino\_jakeli@yahoo.com

#### Summary

30 samples from modern and fossil layers of the cave Satsurblia were studied. The investigation of the recent pollen spectra showed that both in the inside and outside the cave the spectra perfectly reflect the existing vegetation and activity of modern people engaged in agriculture and cattle breeding. The spectra also indicate that today the cave is essentially used as a cattle pen. Since recent cave spectra are good indicators for the present-day environment, we can easily use fossil pollen spectra for palaeoecological reconstruction.

The peculiarity of pollen spectra of bore pit No.3 (southern wall) indicate that the bottom layers are dated to the Neolithic Age, while the middle and the upper parts belong to the Eneolithic. In the Early Holocene, when the lower layer was formed, the climate was cooler and in the environs there was no chestnut woods at all. However, in the Eneolithic (middle and upper layers) the landscape changed due to climate warming. Agriculture was mostly developed and chestnut and oak woods were widely spread.


The upper layers of the western part of bore pit No.3 can be dated to the Mesolite. However, the bottom layer of the western wall and the middle and bottom layer of bore pit No.4 should be dated to the Upper Palaeolithic. At the same time, in bore pit No.3 disturbance of some layers is observed which may be the result of previous excavations. In the Mesolite maximum climate cooling takes place when around the cave Satsurblia there grew fragments of pine woods. Besides large quantities of pine pollen grains, microremains of coniferous needles and wood were found. In the Mesolite layers juniper, spruce and fir pollen grains were found.

In the Upper Palaeolithic there grew deciduous species, which was caused by climate warming. At that time hornbeam, lime and oak were predominant. Heat-loving ferns became more important, for example *Adianthus* and *Osmunda regalis*.


It has been established that man lived in the cave only during climate warmings. In cold and damp climate, when water was accumulated in the cave which is indicated by the presence of algae microremains, man abandoned the cave and it was occupied by various animals.

## ლიტერატურა


1. Behre K.E. 1981. The interpretation of anthropogenic indicators in pollen diagrams. *Pollem at Spores*, 23:225-245
2. Knaap P., van Leeuwen J., Svitavská-Svobodová H., Pidek I., Kvavadze E., Chichinadze M., Giesecke T., Kaszewski B., Oberli F., Kalnina L., Pardoe H., Tinner W. 2010. Annual pollen traps reveal the complexity of climate on pollen productivity in Europe and Caucasus. *Vegetation History and Archaeobotany*, 19: 285-307.
3. Kvavadze E., Bar-Yosef O., Belfer-Cohen A., Boaretto E., Jakeli N., Matskevich Z., Meshveliani T. 2011. Palaeoenvironmental change in the foothills of Imereti (Western Georgia) during the Upper Palaeolithic Period according new palynological date of cave materials. Abstract of INQUA Congress. Bern
4. Martinez E.M., Correa J.A.S., Villela E.V., Duarte A.N., Ferreira L.F., Bello A.R. 2003. Random amplified polymorphic DNA analysis of DNA extracted from *Trichuris trichiura* (Linnaeus, 1771) eggs and its prospective application to palaeoparazitological studies. *Mem. Inst. Oswaldo Gruz*, Rio de Janeiro, vol. 98 (Suppl.1):59-62.
5. Pardoe H., Giesecke T., van der Knaap P., Svitavská-Svobodová H., Kvavadze E., Panajotidis S., Gerasimidis A., Pidek I., Zimny M., Święta-Musznicka J., Latałowa M., Noryśkiewicz A., Bozilova E., Tonkov S., Filipova-Marinova M., van Leeuwen J., Kalniņa L. 2010. Comparing pollen spectra from modified Tauber traps and moss samples: examples from a selection of woodlands across Europe. *Vegetation History and Archaeobotany*, 19: 271-283.
6. Van Geel B. 1998. A study of non-pollen objects in pollen slides (edited by M.L.van Hoeve and M.Mendrikse). Utrecht.




ტაბულა I. სანურბლია, შურფი №3-ის დასავლეთი კედელი, ნიმ. 16-ში აღმოჩენილი პალინომორფები:  
1- სოჭი (*Abies nordmanniana*); 2- ნაძვი (*Picea orientalis*); 3- ფიჭვი (*Pinus*); 4-6 ნიწვოვან მცენარეთა  
ბაგეები; 7-სოკო გლომუსის (*Glomus*) სპორები




ტაბულა II, სანურბლია, შურფი №4, ნიმ. 18, 19-ში აღმოჩენილი ბოჭკო: 1-10 –სელი (fiber of Linum); 11- შალი (fiber of wool); 12- განუსაზღვრელი ბოჭკო (undiff. fiber)




1



2



3


17  $\mu$ 

4




5

ტაბულა III. სანურბლია, შურფი №3-ის დასავლეთი კედელი, ნიმ.№9-ში ნაპოვნი ძვლის კრისტალები; ნიმ. №10-ში ნაპოვნი ძვლის კრისტალები



ტაბულა IV. სანურბლია, შურფი №3-ის დასავლეთი კედელი, ნიმ. 16; შურფი №4, ნიმ. 24. ნაკელის სოკოების სპორები:  
1-3 – Podospora; 4,5 – Neurospora; 6-8 Cercophora type ?; 9-11 Sordaria; 12,13 Coniochaeta type; 14,15 Chaetomium; 16,17 Sporormiella



ტაბულა V. საწურბლია, შურფი №3-ის დასავლეთი კედელი, ნიმ. 7, 16; შურფი №4, ნიმ. 19. ცხოველის პარაზიტული ჭიების კვერცხები: 1- *Dyphyllobothrium* (თევზის პარაზიტი); 2-4 განუსაზღვრელი; 5-14 *Trichura trichiuris* type

## კალეოპილოგია

### ჰომორთიუმის ახალი ნაშთები დანისში

გოჩა კილაძე<sup>1</sup>, სოფიო კილაძე<sup>1</sup>, თინათინ გოცირიძე<sup>1</sup>

<sup>1</sup> ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი №3, თბილისი, 0105, ელ.ფოსტა: gkiladze@gmail.com

ოჯახი Felidae Gray, 1821

ქვეოჯახი Machairodontinae Gill, 1872

გვარი Homotherium Fabrini, 1890

Homotherium crenatidens, Fabrini

სურ.1-3



სურ.1. დანისისი. Homotherium crenatidens. ქალა გვერდიდან.

**მასალა.** არასრული თავის ქალა (D 4957), ზედა ყბის ფრაგმენტი (D 4223) P<sub>4</sub> (D1364), M<sub>1</sub> (D345), კისრის პირველი მალა (Atlas, D516), კისრის მეორე მალა (Epistropheus, D260), ბეჭი (D 162), მხრის ძვალი (D 469), იდაყვის ძვალი (D1048), ბარძაყის ძვალი (D 1116), პირველი ფალანგი (D 1465).

**აღნერა და შედარება.** დანისისის ოსტეოლოგიურ კოლექციაში მტაცებლებს მასალის სიუხვით საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავთ, მაგრამ უშუალოდ ხმალკბილა ვეფხვი (Homotherium) ბოლო დრომდე ერთი ქვედა მტაცებლური კბილითა და კიდურის რამდენიმე ძვლით იყო წარმოდგენილი. უკანასკნელი წლების გათხრების შედეგად დანისში აღმოჩნდა ამ მტაცებლის თავის ქალა (საკმაოდ დაზიანებული) და ზედა ყბის ნაწილი ზედა ეშვითა და მტაცებლური კბილით, რაც საშუალებას გვაძლევს საფუძვლიანად დავახასიათოთ დანისის ხმალკბილა ვეფხვი და მოვუძებნოთ მას სისტემატიკური ადგილი სხვა რეგიონებიდან აღწერილ ხმალკბილა ვეფხვებს შორის.



სურ. 2 დმანისი. *Homotherium crenatidens* ქალა ზემოდან.

**თავის ქალა** (Cranium, D 4957) საკმაოდ დაზიანებულია: მომტვრეული აქვს სახის მარჯვენა მხარე, შუბლის ნაწილი და ტვინის კოლოფის ნაწილი. ზედა ყბის საჭრელ ნაწილს არ შემორჩენია საჭრელი კბილები. ქალას მომტვრეული აქვს მარჯვენა ყვრიმალის ნინა ნაწილი.

ქალა საკმაოდ გრძელია (სიგრძე 340მმ), მაღალი (სიმაღლე  $P^4$ -ის დონეზე 85 მმ), განიერია ყვრი-მალის დონეზე (190,5 მმ) სახის ნაწილი შედარებით გრძელი აქვს, ხოლო ტვინის კოლოფი საგრძნო-ბლად მოკლე. ცხვირის ძვლები ვიწროა და ზომიერად გრძელი. ცხვირის ხვრელი საკმაოდ მაღალია. საჭრელი ნაწილი შედარებით ვიწროა ეშვების დონეზე. თვალბუდისქვეშა ხვრელი (foramina infraorbitalia) უშუალოდ თვალბუდის ნინა კიდესთან მდებარეობს და დიდი ზომისაა, ოდნავ წაგრძელებული სიმაღლეში. ყვრიმალის ძვლები ძალიან მასიურია, მაღალი გაშლილი გვერდებზე. შუბლის ნაწილი ზომიერად განიერია. თვალბუდები დიდებია (სიმაღლე 47,2 მმ) საგიტალური ქედი მომტვრეულია, მაგრამ კეფასთან შემორჩენილი ნაწილის მიხედვით ცხადია, რომ მაღალი ყოფილა. ტვინის კოლოფი არაა განიერი და მოკლეა. საფეთქლის ძვლები ოდნავ გამობურცულია. კეფა საკმაოდ რელიეფურია, ზედა ნაწილში საგრძნობლად უკან გაშვერილი, კეფის ხვრელი (foramen magnum) განიერია (31 მმ) ზომიერად მაღალია და განივად წაგრძელებული (სიგანე 62 მმ).

სასის ძვლები შედარებით ვიწროა და გრძელი. საჭრელი ხვრელი ვიწროა, გრძელი და წაგრძელებული, ოვალური ფორმის. დიასთემა განაპირა საჭრელსა ( $I^3$ ) და ეშვს შორის საკმაოდ გრძელია (25მმ), რითაც არსებითად განსხვავდება ქვაბების ჰომოთერიუმისგან (9მმ). დიასთემა ეშვსა და მესამე პრემოლარს ( $P^3$ ) შორის გრძელია (23,8მმ).

**ზედა ყბის კბილები.** როგორც აღინიშნა ქალას არცერთი საჭრელი კბილი არ შემორჩენია. ალვეოლების მიხედვით ჩანს, რომ საჭრელები საკმაოდ ძლიერები იყო, განსაკუთრებით განაპირა ( $I^3$ ) საჭრელი.

ეშვი ძლიერია, მაღალი (გვირგვინის სიმაღლე 71,5მმ), ბრტყელი (სიგანე 14,5) სიმაღლე ფესვთან ერთად (117,6მმ) და ზომიერი სიგრძის (30 მმ). ეშვი ხმლისებურად მოხრილი და ხერხისებურად წვრილად დაკბილულია.

ქალას არ გააჩნია  $P^2$ . ამ კბილის არც ადგილია და არც ალვეოლა ჩანს.  $P^3$  შედარებით პატარაა, რედუცირებული (სიგრძე 2,5 მმ). კბილი საშუალოდ მოცვეთილია. კბილის მთავარი კონუსი პარაკონი მასიურია. ამ კონუსის ნინა და უკანა კიდეებზე მოთავსებულია შედარებით ზომიერი

სიდიდის პარასტილი და მეტასტილი.

მტაცებლური კბილი (P<sup>4</sup>) ძლიერია, გრძელი, ბასრი წვეროთი და შედარებით განიერი. ცხა-დია, რომ მტაცებლური კბილი და ეშვი იყო მტაცებლის ძირითადი საბრძოლო იარაღი, საჭრელ კბილებთან ერთად. P<sup>4</sup> საშუალოდ მოცვეთილია, მთავარი კონუსი პარაკონი მაღალია, მასიური. პროტოკონი საერთოდ არაა წარმოდგენილი და მის ადგილას ოდნავ შესამჩნევი ქედია მხოლოდ. პარაკონის წინ პარასტილი კარგადაა განვითარებული, მაგრამ პარაკონზე შესამჩნევად დაბალია. პარასტილის ძირში კიდევ ერთი პატარა კონუსია მოთავსებული-პრეპარასტილი. პარაკონის უკანა კიდეზე კიდევ ოდნავ შესამჩნევი კონუსია, რომელიც ოდნავი ჩაღრმავებით ორ ნაწილადაა გაყოფილი. კბილს საყელო თითქმის არ ემჩნევა.

M<sup>1</sup> ყბაზე ყოფილა რაც შემორჩენილი ალვეოლით დასტურდება. კბილი ორფესვიანი ყოფილა.

კოლექციაში გვაქვს ჰომოთერიუმის მარჯვენა ყბის ნაწილი შემორჩენილი ზედა ეშვით, მტაცებლური კბილითა და P<sup>3</sup>—ის ალვეოლით. P<sup>4</sup> ქალაზე არსებული შესაბამისი კბილის მსგავსია, ძლიერი, მასიური. მისი მთავარი კონუსი პარაკონი აშკარად ჭარბობს მასიურობითა და სიმაღლით დანარჩენ კონუსებს-პარასტილსა და მეტაკონს. საყელო არც ამ კბილზე ჩანს.

დმანისის კოლექციაში ჰომოთერიუმს ეკუთვნის ადრე აღმოჩენილი P<sub>4</sub> და M<sub>1</sub>, ატლასი, ეპისტროფეუსი, ბეჭი, მხრის ძვალი და პირველი ფალანგი.

P<sub>4</sub> (D1364, მარცხენა) კარგადაა შემონახული, საშუალოდ მოცვეთილია. კბილის სიგრძეა 20 მმ, სიგანე 18 მმ. კბილს ოთხი კარგად განვითარებული კონუსი გააჩნია. მთავარი კონუსი პროტოკონიდი მასიურია, ბასრი წვეროთი, საგრძნობლად მაღალია დანარჩენ კონუსებზე. პარაკონიდი პროტოკონიდს ქედით უერთდება. უკანა დამატებითი კონუსი ჰიპოკონიდი დიდი ზომისაა და მის უკან პატარა ბორცვაკია მოთავსებული, რომელიც საყელოს წარმონაქმნი უნდა იყოს. კბილს ორი მასიური ფესვი გააჩნია.

M<sub>1</sub> (D 345, მარცხენა) საშუალოდ მოცვეთილია. კბილზე კარგადაა წარმოდგენილი პარაკონიდი და პროტოკონიდი, ეს უკანასკნელი პარაკონიდზე უფრო გრძელია და ვიწრო. პარაკონიდის წინა კიდეზე შესამჩნევი გასქელება შეიმჩნევა, რომელიც კონუსს ქედით უკავშირდება ასეთივე ბორცვი მოთავსებულია პროტოკონიდის უკანა კიდეზეც. მეტაკონიდი და ტალონიდი არაა. კბილზე საყელო სუსტადაა განვითარებული. კბილს ორი ფესვი გააჩნია, მათ შორის წინა მასიურია. მტაცებლურ კბილსა (M<sub>1</sub>) და მეოთხე პრემოლარის (P<sub>4</sub>) სიგრძეების შეფარდებას დიაგნოსტიკურ ნიშნად მიიჩნევენ. დმანისის ჰომოთერიუმის P<sub>4</sub>-ისა და M<sub>1</sub>-ის სიგრძეების შეფარდების ინდექსი 67,2%-ია, რაც ამ მტაცებლის კბილების პროპორციების საშუალო მაჩვენებლად ჩაითვლება.

უნდა აღინიშნოს, რომ კვედა მტაცებლური კბილის (M<sub>1</sub>) ფორმით ჰომოთერიუმი არსებითად განსხვავდება ფელინების ყველა წარმომადგენლის შესაბამისი კბილისაგან. ჰომოთერიუმს ეს მტაცებლური კბილი შედარებით დაბალი აქვს, გრძელი პარაკონიდი და პროტოკონიდი თანაბრადაა განვითარებული, ამავე დროს ამ ორი კონუსის წვეროები საკმაოდ დიდი მანძილითაა დაშორებული ერთმანეთს და მათ შორის შესამჩნევი ჩაღრმავებაა. ფელინებს კი სრულიად განსხვავებული M<sub>1</sub> გააჩნიათ. კბილი შედარებით მოკლეა, მაღალი და კონუსების წვეროები დაახლოვებულია ერთმანეთთან.

P<sub>4</sub> და M<sub>1</sub> მორფოლოგიური ნიშნებითა და ზომებით დმანისის ჰომოთერიუმი არსებითად არ განსხვავდება წალკისა და ქვაბების ჰომოთერიუმებისაგან.

**ატლასი.** (Atlas, D 546, D137). კისრის პირველი მაღალა შედარებით კარგადაა შემონახული. მაღალა შედარებით დიდი ზომისაა (სიგანე 155 მმ.), ზომიერი სიმაღლისაა (49 მმ) და მისი წინა-უკანა დიამეტრი 75 მმ-ია, მაღალს ყველაზე ამღლებული ადგილი tuberculum dorsal-ა, ხოლო fovea articularis cranialis შესაბამისად განიერია.

**ეფისტროფეუსი.** (Epistropheus, D260, D 1384). კისრის მეორე მალა შედარებით მოკლეა, მაღალი(75 მმ), ზომიერად განიერი (59 მმ). Dens epistrophei კარგადაა განვითარებული, გრძელია (18 მმ) და მასიური.

**ბეჭი.** (Scapula, D102` D1500) საგრძნობლად დაზიანებულია და მომტვრეული აქვს სასახსრე ფოსო. შესამჩნევია, რომ საკმაოდ დიდი ზომის იყო.

**ბერის ძვალი.** (Humerus, D 469, მარჯვენა). კოლექციაში წარმოდგენილია მხოლოდ დისტალური ნაწილი, რომელსაც სასახსრე როკი მომტვრეული აქვს. საერთო ზომების მიხედით საკმაოდ დიდი ზომის უნდა ყოფილიყო.

**იდაყვის ძვალი.** (Ulna, D 1048, D1063) ორი ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. ერთს შემორჩენია მხრის ძვალთან შესასახსრი ნაწილი (incisura semilunaris), რომლის სიმაღლე 30 მმ-ია. სხივის შესაბამისი ნაჭდევი (incisura radii) ოდნავ ჩაზნექილია და შედარებით ვიწრო.

**ბარძაყის ძვალი.** (Femur, D 1116) დაზიანებულია და მომტვრეული აქვს პროქსიმალური სასახსრე ბოლო. ძვალი დიდი ზომისაა, მისი სიგრძე პროქსიმალური სასახსრე ბოლოკის გარეშე 330 მმ-ია. დისტალური ბოლოს სიგანე 68 მმ, იქვე ნინა-უკანა დიამეტრიც 59 მმ.

**I ფალანგა.** (Phalanx I) სავარაუდოდ წინა კიდურისაა, გრძელია და მოხდენილი, დიაფიზის შუა ნაწილში ოდნავ მოხრილი.

აღნერიდან ჩანს, რომ დმანისის ჰომოთერიუმი იყო ზომიერად დიდი მტაცებელი, რომელსაც თავის ქალას და კბილებზე ჰომოთერიუმისათვის დამახასიათებლი ნიშნები აქვს, თუმცა შეინიშნება არა არსებითი განსხვავებაც.

დმანისის ჰომოთერიუმი განსხვავდება ქვაბების ომოთერიუმისაგან შედარებით მცირე ზომებით, ზედა ეშვის აშკარად ნაკლები სიმაღლით (ცხ.2) P<sup>3</sup>-ის შედარებით ნაკლები რედუქციით, P<sup>4</sup>-ის დიდი ზომებით. განსხვავებულია დმანისის ჰომოთერიუმი კურუკსაის ხმალკბილა ვეფხვისაგან რიგი მორფოლოგიური ნიშნით. მათ შორის უნდა აღინიშნოს კურუკსაის მტაცებლის შედარებით მცირე ზომის თავის ქალა, მოკლე დიასთემა ეშვსა და მესამე პრემოლარს შორის, P<sup>3</sup>-ის შედარებით მნიშვნელოვანი რედუქცია, დმანისის ჰომოთერიუმის P<sup>3</sup>-თან შედარებით (ცხ.2), P<sup>4</sup>-ის შედარებით პატარა ზომები და სხვა.



სურ. 3 დმანისი. *Homotherium crenatidens*. ქალა სასის მხარე.

აშკარად შეიმჩნევა დმანისის ჰომოთერიუმის მსგავსება ნავრუხოს ადგილსაპოვებლის ჰომოთერიუმთან, თუმცა მცირე განსხვავება აქაც თვალშისაცემია. მათ შორის უნდა აღინიშნოს ზედა ეშვის საგრძნობი სიმაღლე (96 მმ, დმანისის ზედა ეშვის სიმაღლეა 71,5 მმ). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნავრუხოს ჰომოთერიუმს შესამჩნევად უფრო რედუცირებული  $M_2$  აქვს (50მ), შესაბამისი კბილის სიგრძე დმანისის ჰომოთერიუმისა 14 მმ-ია.

ევროპის ზოგიერთი ვილაფრანკული ჰომოთერიუმები ძირითადად მსგავსი ფორმებია და მხოლოდ ვარიაბილური ნიშნებით თუ განსხვავდება ერთამნეთისგან. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვილაფრანკული ჰომოთერიუმები საკმაოდ კომპაქტურ ჯგუფს შეადგენენ.



სურ. 4 დმანისი. *Homotherium crenatidens*. ქალას ფრაგმენტი ზედა ეშვი

**ზოგადი შენიშვნები.** მასალის აღწერიდან და შედარებიდან ცხადია, რომ დმანისის ჰომოთერიუმი ამ ჯგუფის მტაცებლების საშუალო ზომებით ხასიათდება, რომელსაც საკმაოდ გრძელი, ბასრი და ორმხრივად დაკბილული ეშვი გააჩნია. როგორც ირკვევა ჰომოთერიუმების გვარი საკმაოდ კომპაქტურ ჯგუფს ქმნიან და მიუხედავად ზოგიერთი მორფოლოგიური განსხვავებისა ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული განსხვავებები გვარის დიაგნოზის ჩარჩოებში ჯდება.

გავიხსენოთ, რომ ჰომოთერიუმს ზედა საჭრელები ძლიერი აქვს, ქვედა ყბის ეშვიც თითქმის საჭრელადაა გადაქცეული და მტაცებლის საჭრელი ნაწილი მთლიანად ძლიერ მტაცებლურ აპარატს წარმოადგენს, რომლის ფუნქცია, როგორც ფიქრობენ, ის იყო, რომ მსხვერპლისათვის ჩაევლო საჭრელები და ხშირად მასზე დიდი ზომის ნადავლი ბუნაგში გადაეტანა.

ხმალკბილა ვეფხვის ნაშთების პირველი აღმოჩენის დღიდანვე მკვლევარები განსაკუთრებით არიან დაინტერესებული ამ მტაცებლის უჩვეულოდ გრძელი და ბასრი ზედა ეშვის ფუნქციონალური დანიშნულებით. ამ საკითხს საკმაოდ ბევრი შრომა მიეძღვნა, მაგრამ არ იქნება ზედმეტი კიდევ ერთხელ გავიხსენოთ რა მოსაზრებები არსებობს ზედა ეშვის შესახებ. ზოგიერთი მკვლევარის აზრით მტაცებლის გრძელი ეშვი გამოუყენებელი იყო მტაცებლისათვის და ხელსაც კი უშლიდა ნადირობისას. მსგავსი მოსაზრება მიუღებელია, რადგან ცხოველი ევოლუციის პროცესში გამოუყენებელ და უსარგებლო ორგანოს სწრაფად კარგავს. ხმალკბილა ვეფხვმა გრძელი ეშვი არა მარტო შეინარჩუნა ხანგრძლივი განვითარების პროცესში, არამედ ყველაზე გვიანდელ პლეიისტოცენურ სმილოდონს ყველზე გრძელი და მაღალი ეშვი გააჩნდა.

მკვლევარების დიდი ჯგუფი (Mathew, 1910; Schaub, 1934; Skott, Jepson, 1936; Hough, 1950; Kur-

ten, 1952 Ромер, 1939, Давиташвили 1961 და სხვ.) მიიჩნევდა, რომ მტაცებლისათვის უჩვეულო დიდი ზომის ზედა ეშვი არსებობისათვის ბრძოლის პროცესში ძირითად საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა. მკვლევარების აზრით მტაცებელი მსხვრეპლს ძირითადად კისრის არეში აყენებდა ჭრილობას, გრძელი ეშვებით გადაუჭრიდა სასიცოცხლო არტერიებს და ადვილად იმორჩილებდა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ჰომოთერიუმი გაშლილი ყბებით ესხმოდა ნადავლს. ბოლინის (Bohlini, 1941) აზრით ხმალკბილა ვეფხვი აფთრის მსგავსად ლეშიქამია უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრებას კატეგორიულად უარესყოფს ლ. დავითაშვილი (1961) და სხვა მკვლევარებიც. დავითაშვილის აზრით მტაცებლის გრძელ ეშვს გარდა საბრძოლო დანიშნულებისა სხვა სავარაუდოდ პერიგამული დანიშნულებაც ჰქონდა. ეს იყო მამრის მორფოლოგიური ნიშანი, რომ მიეზიდა მდედრის ყურადღება. ეს მოსაზრება არაა უგულველსაყოფი, მაგრამ ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ ჰომოთერიუმის ყველა ნაპოვნ თავის ქალას სწორედ გრძელი და დაკბილული ეშვი გააჩნდა. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია, რომ ჰომოთერიუმის ძირითად იარაღს მსხვერპლის დასაჭერად სწორედ გრძელი და დაკბილული ზედა ეშვები წარმოადგენდნენ.

ხშირია კამათი მკვლევარებს შორის იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ხმალკბილა ვეფხვების ამონყდომა პლეისტოცენის დასასრულს. ფიქრობენ, რომ ძირითადი მიზეზი ამ მტაცებლის ცხოვრების ნირის განსაკუთრებული სპეციალიზაციაა და ისინი ვერ უწევდნენ კონკურენციას გარემოსადმი უკეთ შეგუებულ მტაცებლებს ფელინებს (Felinae), რომელთა ნადირობის ხერხები არ იყო შეზღუდული ვიწრო სპეციალიზაციით. ამით აიხსნება, ალბათ ის ფაქტი, რომ ხმალკბილა ვეფხვი ყველაზე გვიან შემორჩა ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც არ ბინადრობდა ვეფხვი.

#### Homotherium-ის თავის ქალას ზომები

ცხ.1

ქალას ზომები მმ-ში	Homotherium crenatum დმანისი D 1957	H. crenatum ქ ვ ა ბ ე ბ Kv.14 Bekya, 1972	H. crenatum კურუკსაი Сотникова, 1989	H. darwasi გ ა ვ რ უ ხ თ , კურუკსაი	Ш а п о в , 1986
1.კონდოლო-ბაზალური სიგრძე	298	292	260-262	274	
2. საერთო სიგრძე	301	297	277-280	283	
3. სახის ნაწილის სიგრძე	228	208	127-134	202	
4. ტვინის კოლოფის სიგრძე	115,6	102	127-134	101	
5. სასის სიგრძე	-	121		152	
6. ყვრიმალის რკალის სიგანე	196	150			
7. ყვრიმალის სიმაღლე	32,9	-			
8. საჭრელი ნაწილის სიგანე C დონეზე	78,8	52	-	65	
9. შუბლის სიგანე	-	Ca.80	-	100	
10. სასის სიგანე	106				
11. კეფის სიმაღლე	46,8				
12. თვალბუდის სიმაღლე	52,0				
13. თვალბუდის სიგანე	29,6				
14. დიდი ხვრელის (foramen magnum) დიამეტრი	62		57-59		
15. სასახსრე როკის სიგანე					

Homoterium-ის ზედა კბილების ზომები

ცხ.2

ზედა ყბის კბილების ზომები მმ-ში	<i>Homotherium</i> <i>crenatum</i> დაბანისი D 1957	H. Davitashvili ქვაბები Kv.14 Bekya, 1972	H. crenatum კურუკსაი Сотникова, 1989	H. darwasicum ნავრუკსაი კურუკსაი Шарапов, 1986
1. C-I <sup>3</sup> დიასთემის სიგრძე	25	9	-	7.0
2. C-P <sup>3</sup> დიასთემის სიგრძე	20,8	23	13,3-15	22
3. კბილების რიგის (C-M <sup>1</sup> ) სიგრძე	113,1 65	- -	- -	- 54
4. P <sup>3</sup> -M <sup>1</sup> სიგრძე	30	31	33,2	31
5. C-სიგრძე	14,5	15	-	12
C-სიგანე	71,5	110	78,5	96
C-სიმაღლე	12,5	11	9,5-10	10
P <sup>3</sup> -სიგრძე	6,1	7	-	6,5
P <sup>3</sup> -სიგანე	44,5	37	40,5	41
P <sup>4</sup> -სიგრძე	12,1	-	-	12
P <sup>4</sup> -სიგანე	14	-	-	5,0
M <sup>1</sup> -სიგრძე	3,0	-	-	8,0
M <sup>1</sup> -სიგანე				

## NEW REMAINS OF HOMOTERIUM

**Gosha Kiladze<sup>1</sup>, Sopo Kiladze<sup>1</sup>, Tinatin Gotsiridze<sup>1</sup>**<sup>1</sup>Georgian National Muzeum. Rustaveli aveniu 3, 0105,Tbilisi Georgia. Eamil: gkiladze@gmail.com**Summary**

Recent excavations greatly enriched the collection of Dmanisi fossil fauna. A complete, undeformed, but somewhat damaged cranium of a Homotherium was found in 2010 in the square 66/63. This cranium almost does not differ from other Plio-Pleistocene findings of this saber-tooth cat and reveals similar overall dimensions, morphological characters, teeth size, especially of the upper canine and it's crenulation pattern

**ლიტერატურა**

1. Давиташвили Л.Ш., 1961. Теория полового отбора. М.
2. Ромер А.Ш., 1939. Палеонтология позвоночных. М-Л.
3. Bohlin B., 1941. Food habits of the machairodonts with special regard to Smilodon. Bull.Geoll. Univ. Upsala, 28
4. Hough I., 1950. The habits and adaptation of the Oligocene sabertooth carnivore Hoplophoneus. Geol. Survey Profess. Paper. N221
5. Kurten B.; 1952. The Chinese Hipparrion fauna. Soc. Sci. fenn. Comment.biol.,13
6. Mathew W.D., 1910. The phylogeny of the Felidae. Bull. Amer. Mus.Natur. Hist.,28
7. Schaub S. , 1934. Observatorios critiques sur quelques Machairodontidens. Eclogae geol. Helv., 27, N2
8. Scott W.B., Jepson G.1936. The Mammalian fauna of the White River Oligocene. Trans. Amer. Philos. Soc. N.S.,28

## პალეოპიოლიგია

### Chionomys (RODENTIA) კავკასიის ენდემური გვარი

#### ალექსანდრე მუსხელიშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, პალეოპიოლიგიის ინსტიტუტი, თბილისი,  
რუსთაველის 3, საფოსტო ინდექსი 0105, ელ.ფოსტა: avekua@live.com

გვარი *Chionomys* (თოვლის მემინდვრია) წარმოდგენილია ორი სახეობით *Chionomys gud* და *Chionomys roberti*. ორივე კავკასიის და თურქეთის ახლომდებარე რაიონების ენდემურ სახეობებს წარმოადგენენ. თოვლის მემინდვრიებად წოდებული ორივე სახეობა განიხილება ერთ ჯგუფში გუდ-რობერტი. ეს სახეობები აღპური და სუბალპური სარტყელების ღია კლდოვან და ტყინიან ბიოტოპებში გვხვდება. დიდი კავკასიის ზოლში მათი არეალები იმდენად მჭიდროდ ემიჯნება ერთმანეთს, რომ ეს სახეობები ზოგან შეიძლება სიმპატრიულობითაც ხასიათდებოდნენ.

საქართველოში აღნიშნული სახეობების ნამარხი ფორმები წარმოდგენილია და შესწავლილია პალეოლიტურ ადგლისაპოვებლებში: წონა, ორთვალა-კლდე, ტოლონ-კლდე, ბონდი. ჩამოთვლილი ადგილსაპოვებლების მასალაში ხიონომისის ორი ტიპის ქვედა მოლარია მოცემული ერთი შედარებით მსხვილი და გართულებული ანტეროკონიდული კომპლექსით და მეორე უფრო მცირე და გამარტივებული ფორმის. პირველი გფორფოტიპი *Chionomys robertis*-ს მიეკუთვნება, მეორე *Chionomys gud*-ს. სხეულის ზომებით თანამედროვე *Chionomys roberti* გუდაურის თოვლის მემინდვრიაზე შედარებით უფრო მსხვილია.

ქვედა პირველი მოლარის ზომები ორივე სახეობის შემთხვევაში მორფომეტრული ცვალება-დობით ხასიათდება და მათი მნიშვნელოვანი გადაფარვის გამო სახეობათშორისო დიაგნოსტიკურ ნიშნად არ გამოდგება. ორივე სახეობის ანტეროკონიდულ კომპლექსის წინა მარყუჟი ყველა მოლარზე უკავშირდება დანარჩენ ელემენტებს და ამიტომ უდაოდ გამოირიცხება მესამე თოვლის მემინდვრის *Cionomys nivalis*-ის არსებობა. აღნერილ მასალაში ჭარბობს *robertis*-ის მორფოტიპი. წონის მასალა ზომით და ნაწილობრივ მორფოლოგიურად განსხვავდება ტოლონ-კლდის და ორთვალა-კლდის მასალისაგან. წონის ხიონომისის ქვედა პირველი მოლარები ზომით. ნაკლებია, გარდა ამისა ანტეროკონიდულ კომპლექსში T4, T5 და T6 სამკუთხედები ყველა მოლარზე უკავშირდება ერთმანეთს, წინა მარყუჟის ყელი საკმაოდ განიერია. ორივე ფორმა აღნერილია კუდაროს პალეოლიტურ მლვიმეში, რომელიც წონის მლვიმის მახლობლად მდებარეობს (გ. ბარიშნიკოვი, გ. ბარანოვა, 1983) ავტორებს აღნერილი აქვთ ოთხი მორფოტიპი, რომელთაგან ორი გუდაურის მემინდვრიას ეკუთვნის, ხოლო ორი რობერტის მემინდვრიას. გორფოტიპების გამოყოფის მთავარ მაჩვენებლად მიჩნეულია წინა მარყუჟის ბუკალურ მხარეზე ჩაღრმავების სიდიდე და მეექვსე და მეშვიდე სამკუთხედების განვითარების სიძლიერე. პირველი მაჩვენებელი ნაკლებად მნიშვნელოვანი გვეჩენება, ეს ჩაღრმავება ჩვენს მასალაში თითქმის არ არის გამოხატული, მეორე კი შესაზმრნევად ვარირებს. კუდაროს მასალაში მხოლოდ ერთი მორფოტიპი შეესაბამება *Chionomys gud*-ს, რომელიც არის ტოლონ-კლდის მასალაში რაც შეეხება წონის

ხიონომისს, მას ვერცერთ ჩამოთვლილ მორფოტიპს ზუსტად ვერ მიუსადაგებთ. ქვედა პირველ მოლარზე კარგად არის გამოხატული მე-5 შემავალი კუთხე, და არ არის მე-4 ბუკალური რაც უფრო Ch. Nivalis-თვის არის დამახასიათებელი, თუმცა ეს უკანასკნელი გამოირიცხება T6 და T7 სამკუთხედებისა და წინა მარყუჯის ფართო კონტაქტის გამო ანტეროკონიდული კომპლექსის დანარჩენ ელემენტებთან. რეცენტული კავკასიური თოვლის მემინდვრიებისაგან *Chionomys nivalis* კარიოლოგიური მონაცებებითაც განსხვავდება (A.Nadachovsski 1991). წონის ფორმის მოლარები თანამედროვეებთან შედარებით საგრძნობლად მცირეა. თანამედროვე კავკასიური Ch. Roberti-ის ქვედა პირველი მოლარების მორფოტიპებს შორის გვხვდება წონის მორფოტიპიც, მაგარამ დომინირებს გართულებული მორფოლოგის ანტეროკონიდული კომპლექსის მქონე მოლარები. T4 და T5 სამკუთხედებს შორის კონტაქტის გარეშე. როგორც ვთქვით კავკასიური თოვლის მემინდვრიები ენდემური ფორმებია და მათი გავრცელება შემოიფარგლება დიდი კავკასიონით და თურქეთის ახლომდებარე რაიონებით, ამიტომ მათ არსებობას ნამარს პალეოთერიომიკროფაუნებში შეიძლება ასე ვთქვათ ადგილობრივი სტრატიგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდეს.

*Chionomys*-ის ევოლუციური განვითარების შესახებ ერთერთი მოსაზრება ეფუძნება *Allophaiomys plioacaenicus*-ს, რომელიც ქვედა ბიპარიულში გავრცელდა ევრაზიაში და გახდა *Microtus*-ის და მათ შორის *Chionomys*-ის ფილეტიკური რიგების უშუალო წინაპარი (J.Chaline, 1972). არსებული ლიტერატურის მიხედვით ნივალოიდური ნიშნები უკვე ჩანს შუაპლეისტოცენური ალოფაიომისის მორფოლოგიაში მათი პალეოგეოგრაფიული გავრცელების მიუხედავად. უბეიდიას (იზრაელი) ქვედაბიპარიულ ადგილსაპოვებელში (Haas, 1966) აღნერილია სახეობა *Arvicola jordanica* (Haas, 1966), არსებობს მოსაზრება (A.Nadachovski 1991), რომ ეს ახლოალმოსავლური სახეობა არის ალოფაიომისის განშტოება და შეიძლება იყოს კავკასიური ხიონომისის სახეობების პირდაპირი წინაპარი. ჩერნოვი (1986) ამ ტაქსონს *Arvicola*-ს გვარის პრიმიტიულ წევრად თვლის რაც უფრო ახლოს არის სინამდვილეასთან, რადგან წონის მღრღნელების სახეობრივი შემადგენლობა უსაფუძვლოს ხდის მოსაზრებას კავკასიური თოვლის მემინდვრიის ახლოალმოსავლური წინაპრის შესახებ. წონაში წარმოდგენილია საკმაოდ პრიმიტიული ალოფაიომისის ფორმა, რომელსაც ჯერ არ განუცდია ე.ნ. ვალეროს შუაპლეისტოცენური კლადოგენეზისი, გარდა ამისა გვაქვს *Microtus aff. malei burgondiae* Chaline, 1972, რომელიც შუა პლეისტოცენში *Allophaiomys*-ის კლადოგენეტური განვითარების შედეგად წარმოიშვა და ბოლოს არქაული მორფოლოგის *Chionomys roberti*. წონის ხიონომისი უფრო გარდამავალი ფორმის შდაბეჭდილებას ტოვებს *Microtus aff. malei* და თანამედროვე *Chionomys robertis* შორის (მცირე ზომები, ერთმანეთთან ფართოდ დაკაშირებული T4, T5 შედარებით გამარტივებული წინა მარყუჯი), რაც ადასტურებს მოსაზრებას ამ სახეობების ფილეტიკური კავშირის შესახებ

წონის *Microtus malei burgondiae* საფრანგეთის ვალეროს ადგილსაპოვებელის იგივე სახეობისგან მე-3 და მე-4 სამკუთხედებს შორის კონტაქტის არარასებობით განსხვავადება. გარდა ამისა ვალეროს *Microtus malei burgondiae*-ს ახასიათებს მორფოტიპები, რომელთა ქვედა პირველ მოლარებს სუსტად აქვთ ან თითქმის არა აქვთ განვითარებული T6 ანუ გამომავალი კუთხე წინა მარყუჯის ბუკალურ მხარეს. ამ სახეობის მოლარები მორფოლოგიურად ძალზე ახლოს დგას წონაში აღნერილ Ch. robertis-ის მოლარებთან, ორივე სახეობის ზომები თითქმის ერთნაირია, განსხვავებას ვხედავთ მხოლოდ ანტეროკონიდული კომპლექსის აგებულებაში. *Microtus aff. malei burgondiae*-ს ქვედა პირველი მოლარის ანტეროკონიდული კომპლექსის სამკუთხედები თითქმის ერთმანეთის საპირისპიროდ არიან ორიენტირებული, ხოლო კონტაქტი წინა მარყუჯსა და ანტეროკონიდული კომპლექსის დანარჩენ ნაწილს შორის უფრო განიერია.

*Mikrotus matei* სახელით აღნერილ იქნა ვალეროს (საფრანგეთი) ქვედა ბიპარიული პოპულა-

ცია. ეს სახეობა გაჩნდა ქვედა ბიპარიულში მიმდინარე კლადოგენეზის დროს, რომლის შედეგად გაიზარდა ზომები და ძალზე იმატა მორფოლოგიურმა მრავალფეროვნებამ. ამ პერიოდში *Allophaiomys pliocenicus* გაიყო ორ ძირითად შტოდ: *Allophaiomys plioacaenicus nutiensis* და *Microtus malei burgondinae*. პირველს შეესაბამება არვალო-გრეგალოიდური მორფოტიპების ჯგუფი, ხოლო მეორეს ეკონომო-ნივალოიდური. ვალეროს პოპულაციაში ყველა ნივალოიდური მორფოტიპი შერწყმული T4, T5 სამკუთხედებით ხასიათდებიან. სწორედ ამ ჯგუფში ჩაისახა თანამე-დროვე თოვლის მემინდვრიების ფილეტიკური რიგი.

ქვედაბიპარიული კლადოგენეტური ევოლუციის შედეგად განშტოებებში წარმოქმნილი ფორმები ფართოდ გავრცელდნენ და გეოგრაფიული დიფერენციაცია განიცადეს. *Microtus malei burgondiae* – მ ევროპაში ალპური მემინდვრია *Microtus nivalis* წარმოქმნა, ჩრდილოეთში *Microtus oeconomus*, ხოლო აზიაში, კერძოდ კავკასიაში *Chionomys gud-roberti*. წონას მასალაში ეს სურათი საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი. *Microtus aff. malei burgondiae* და გარდამავალ სტადიაზე მყოფი *Chionomys gud-roberti* წონის შესაბამისი შრეების გარკვეულ სტრატიგრაფიულ დონეზე მიუთითებს, რომელიც ზედა ბიპარიულს ანუ შუა პლეისტოცენის დასასრულს უნდა შეესაბამებოდეს.

ამრიგად თუ გავიზიარებთ შეხედულებას იმის შესაზებ, რომ *Allophaiomys Chionomisys*-ის უშუალო წინაპარია შეიძლება ითქვას, რომ კავკასიური თოვლის მემინდვრიების მორფოლო-გიურ-ევოლუციური განვითარება კავკასიაშივე წარიმართა.

## PALEOBIOLOGY

### CHIONOMYS ENDEMIC GENUS OF CAUCASUS

Aleksandre Muskhelishvili

Georgian National Museum,institute of paleobiology,Tbilisi, Rustaveli ave. 3, zip postal code 0105

#### Summary



Genus Cuionomys contains two species *Chionomys gud* and *Chionomys roberti*. This genus is spread in Great Caucasus and in northern part of Turkey.

These species belong to alpine and subalpine zones. Areal zones are so closed that they cover one another. That's way these species can be inferred as sympatric species. *Chionomys gud* and *Chionomys roberti* belong to one group of snow voles: *Chionomys gud-roberti*. *Chionomys* is presented in Paleolithic sites: Tsona, Ortvalaklde, Bondi. In the site of Tsona we face the evolutionary line of *Chionomys*: *Allophaiomys plioacaenicus* - *Microtus malei* - *Chionomys gud-roberti*.


That is why the Caucasus is the site of morphological - evolutionary development of these species.

## ლიტერატურა

1. ბარიშნიკოვი გ. ბარანოვა გ. 1983. დიდი კავკასიონის ადრეული პალეოლითის მღრღნელები. ზოოლოგიური ინსტიტუტის შრომები, ტომი 19, ლენინგრადი. (რუსულად).
2. Nadachovski 1991. Sistemetic, geogaphic variation and evolution of snow voles (*Chionomys*) based on dental characters. *Acta Theriologica* 36. Polish Academy of Sciences.
3. Chaline J. 1972. Les rongeurs du Pleistocene Moyen Supérieur de France (Systematique, biostratigraphie, paleoclimatologie) C. N. R. S. Paris.
4. Haas G. 1966. On the vertebrate fauna of the Lower Pleistocene site of Ubeidia, Israel. Academie of Sciences and Humanities, Jerusalem.
5. Tchernov E. 1986. The rodents and lagomorphs from Ubeidia Formation: systematics, paleoecology and biostratigraphy in the Lower Pleistocene mammals of Ubeidia. Mem. XIII trov. Cent. Rech. Francais de Jerusalem.
6. Chaline J. 1974. Esquisse de l'evolution morphologique, biometrique et chromosomique du genre *Microtus* dans le Pleistocene de l'emisphere nord. B. S. G. F. (7).




სურ.1. *Chionomys roberti* M/1dext. ნონა. (Coll.Ts.Ch.r. 1,2,3,4,5,6)



<sup>T7</sup>სუსტად განვითარებული  
<sup>T6</sup>და <sup>T7</sup>

<sup>T5</sup>ურთიერთსაპირისპიროდ ორიენტირებული  
<sup>T4</sup>და <sup>T5</sup>



სურ. 2. *Microtus aff. malei burgondiae* M/1dext. წონა. (Coll.Ts.M.b 1,2,3,4,5,6)

ПАЛЕОБИОЛОГИЯ

О СИСТЕМАТИЧЕСКОЙ ПРИНАДЛЕЖНОСТИ  
*Macrocephalites tcherekensis* LOMINADZE, 1967

Тамаз Ломинадзе

Национальный музей Грузии, Институт палеобиологии, ул. Ниагвари 4, 0108, Тбилиси,  
Грузия электронная почта: *lominadzetamaz@yahoo.com*

В 1967 году мной был описан новый вид *Macrocephalites tcherekensis* (Ломинадзе, 1967, стр. 107-109, табл. XIII, фиг.1). Единственный экземпляр этого вида передал мне проф. Н.Г.Химшиашвили с указанием его местонахождения в разрезе: правый берег р.Черек Балкарский, Северный Кавказ, железисто-оолитовые известковистые песчаники. В этом слое, как видно из приведенного им списка фауны, совместно с макроцефалитами указываются, также средне - и верхнекелловейские формы аммонитов (Химшиашвили, 1961).

В течение многих лет я изучал келловейские отложения Северного Кавказа, в том числе и этот очень интересный разрез, детальное описание которого дается в моей работе (Ломинадзе, 1982).

Установленные здесь слои с *Macrocephalites macrocephalus* имеют следующую последовательность (Ломинадзе, 1982):

1. Известняк буро-серый, органогенно-обломочный. В основании слоя находится конгломерат (мощн. 2.0 м);
2. Глины черные, аргиллитоподобные, тонкослоистые с редкими конкрециями сидерита (мощн. 15.0 м);
3. Железняк, малиново-красный, известковистый с хорошо сохранившейся фауной аммонитов (мощн. 0.3 м).

Найденные в слоях 1-2 аммониты указывают на раннекелловейский возраст этих отложений. Особенно богатый раннекелловейский комплекс аммонитов обнаружен в слое 3 (Логинова, 1971; Ломинадзе, 1982)

Следовательно, слои 1-3 без сомнения относятся к нижнему келловею, хотя в них совместно встречаются аммониты характерные для всех биостратиграфических уровней суб boreального нижнего келловея.

По моему глубокому убеждению *Macrocephalites tcherekensis* Lom. происходит из слоя 3. Позднее Н.Г. Химшиашвили подтвердил мое предположение.

В.В.Митта (2009, стр.50) высказывает сомнение относительно принадлежности данного экземпляра роду *Macrocephalites*. Он пишет: «Судя по всему "Macrocephalites tcherekensis"- это *Kepplerites* (относящийся, как и *Sigaloceras*, к семейству Kosmoceratidae), из верхов батского яруса». Это предположение, по мнению Митта, объясняется и сходством лопастных линий *Macrocephalites* и *Sigaloceras* приведенных в моей работе (Ломинадзе. 1967, рис.29).

Начнем с того, что нет ничего удивительного в том, что лопастные линии *Macrocephalites* (се-

мейство Macrocephalitidae) и *Sigaloceras* (семейство Kosmoceratidae, подсемейство Keppleritinae) на последних оборотах раковины могут быть близки по строению. Ведь и Macrocephalitidae и Kosmoceratidae входят в состав установленного нами подотряда Cardioceratina (Кванталиани и др., 1999).

Формула лопастной линии всех представителей данного подотряда на ранней стадии онтогенетического развития имеет вид ( $V_1V_1$ )UU<sup>1</sup>:II<sup>1</sup>D, а дальнейшее усложнение происходит за счет лопасти образующейся на седле U<sup>1</sup>/I. У анцестральных представителей подотряда I<sup>1</sup> закладывается на склоне, а у более молодых на вершине того же седла. Данное явление хорошо прослеживается в филогенетическом ряду: Otoitidae-Spaeroeratidae-Macrocephalitidae-Kosmoceratidae-Cardioceratidae (Кванталиани и др. 1999).

В позыву происхождения космоцератид от макроцефалитид высказывались такие крупные исследователи юрских аммонитов как Р.Бринкманн (Brinkmann, 1929), О.Шиндевольф (Schindewolf, 1936), Г.Вестерманн (Westermann, 1956), У.Аркелл (Arkell, 1957), Г.Тентан (Tintant, 1963) и др.

Довольно детально этот вопрос рассматривался и нами (Ломинадзе, 1982). Могу еще раз подтвердить - космоцератиды произошли от макроцефалитид.



Фиг. 1. *Macrocephalites tcherekensis* Lom., 1967. Обр. Н 281/33, х.1,5.  
Северный Кавказ, пр.берег р.Черек Балкарский, нижний келловей

Многие кеплериты на взрослой стадии развития очень похожи на макроцефалитов, однако в отличие от них у кеплеритин внутренние обороты на брюшной стороне всегда уплощены. Митта, по всей вероятности, не доверяет рисунку поперечного сечения *M. tcherekensis* Lom (Ломинадзе, 1967, рис.36), поэтому я привожу здесь фото поперечного сечения (фиг.16), где очень хорошо видно, что брюшная сторона на внутренних оборотах раковины округленная и нет никаких следов уплощенности.

Таким образом, не должно быть никакого сомнения в том, что описанный мной вид *Macrocephalites tcherekensis* Lom. является типичным представителем раннекелловейских макроцефалитид.

*Macrocephalites tcherekensis Lominadze, 1967*  
სისტემატიკური კუთვნილების შესახებ

თამაზ ლომინაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, პალეობიოლოგიის ინსტიტუტი, ნიაღვრის ქ. №4, 0108 ,  
თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: lominadzetamaz@yahoo.com;

რეზიუმე

იურული ფაუნისა და სტრატიგრაფიის სპეციალისტმა ვ.მიტამ (Митта, 2009) ეჭვი შეიტანა ჩვენს  
მიერ ჩრდილოეთ კავაკასიის (მდ.ბალყარეთის ჩერეკი) ქვედაკალოვიური ნალექებიდან აღწერილი  
მაკროცეფალიტის ახალი სახეობის *Macrocephalites tcherekensis* Lom. განსაზღვრის სისწორეში და  
გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს სახეობა მაკროცეფალიტი კი არ არის, არამედ *Keppletites*-ის წარმო-  
მადგენელია, ხოლო შრეები რომლებშიც ის იქნა აღმოჩენილი, გვიანბათური ასაკისაა. სტატიაში დას-  
აბუთებულია ვ.მიტას მოსაზრებების უსაფუძვლობა.

PALEOBIOLOGY

ON THE SISTEMATIC POSISION OF *Macrocephalites*  
*tcherekensis* Lominadze, 1967

TAMAZ LOMINADZE

Georgian National Museum, Institute of Paleobiology, Niagvari str. 4, 0108 Tbilisi, Georgia  
E-mail: lominadzetamaz@yahoo.com

Summary

A specialist on fauna and stratigraphy of the Jurassic deposits V.V. Mitta (Митта, 2009) expressed his opinion that a species nova, established by me as *Macrocephalites tcherekensis* Lom., the Low Callovian of the North Caucasus (river Tcherek Balkarski) is in fact *Kepplerites* and the deposits where that particular specimen was found belong to the Late Bathonian age. In the article Mitta's suppositions are discussed and their unsoundness is pointed out.

## ЛИТЕРАТУРА

1. **Кванталиани И.В., Ломинадзе Т.А., Топчишвили М.В., Шарикадзе М.З.** 1999. Систематика и филогения мезозойских аммоноидей. Изд. "Полиграфист". Тбилиси, 1-220.
2. **Логинова Г.А.** 1971. Нижне- и среднекелловейские отложения центральной части Северного Кавказа. Вест.МГУ, геология, №5, 42-52.
3. **Ломинадзе Т.А.** 1967. Келловейские макроцефалиты Грузии и Северного Кавказа. Изд. "Мецниереба". Тбилиси, 1-208.
4. **Ломинадзе Т.А.** 2009. Келловейские аммониты Кавказа. Изд."Мецниереба". Тбилиси. 1982.1-328.
5. **Митта В.В.** Род *Eckhardites* (Cardioceratidae, Ammonoidea) в нижнем келловее суб boreально юры. Палеонт. Журнал. Москва. №1, 47-55.
6. **Химшиашвили Н.Г.** 1961. Связь верхнеюрской фауны моллюсков Грузии с таковой Северного Кавказа. Тр. Инст. палеоб. АН ГССР, т. VI, 123-212.
7. **Arkell W.** 1957. Treatise on Invertebrate Paleontology. Mesozoic Ammonoidea. Part L, Mollusca 4, 1-490.
8. **Brinkmann .** 1929. Monographie der Gattung Kosmoceras. Abh. Ges. Wiss. Gottingen. Math. Phys. Kl., N.F., v. XIII, N4, 1-124.
9. **Kvantaliani I., Topchishvili M., Lominadze T., Sharikadze M., 1999.** Upon the systematics of the Mesozoic Ammonites. Bull. Georg. Acad. of Sci., 160 (1). 1999. 102-105.
10. **Schindewolf O.** 1936. Palaontologie, Entwicklungslehre und Genetic. Berlin, 1-108.
11. **Tintant H.** 1963. Les Kosmoceratides du callovien inferieur et moyen d'Europe occidentale. Publ. de l'Univ. de Dijon, t. XXIX, 1-500.
12. **Westermann G.** 1956. Phylogenie der Stephanocerataceae und Perisphinctaceae des Dogger. N.J.Geol. und Palaeont., Bd. 103, H. ½, 1956. 233-270.

## ПАЛЕОБИОЛОГИЯ

### К ВОПРОСУ О КЕЛЛОВЕЙСКОЙ ТРАНСГРЕССИИ В ГРУЗИИ

Мириан Топчишвили<sup>1</sup>, Ивер Церетели<sup>2</sup>, Тамаз Ломинадзе<sup>2</sup>, Вахтанг Тодриა<sup>2</sup>

<sup>1</sup>Тбилисский Государственный Университет им. И.Джавахишвили, Институт геологии им.А.Джанелидзе, ул.Алексидзе 1/9, 0171, Тбилиси, Грузия;

<sup>2</sup> Национальный Музей Грузии, Институт палеобиологии им.Л.Давиташвили, ул.Ниагвари 4, 0108, Тбилиси, Грузия, электронный адрес : lominadzetamaz@yahoo.com.

В среднеюрское время произошли существенные изменения в конфигурации северной периферии океана Тетис, отразившиеся как на формировании морских бассейнов на территории Грузии, так и диверсификации фауны.

Многими исследователями, в течении ряда лет изучавшими юрскую историю геологического развития территории Грузии, выявлены основные этапы тектонических движений и связанных с ними явлений (Мефферт, 1930; Джанелидзе, 1940; Каходзе, 1947; Химшиашвили, 1957; Цагарели, 1962; Вахания, 1976 и др.). Было установлено, что мощная трансгрессия начавшаяся в среднем байосе, в




Рис. 1. Упрощенная тектоническая схема Грузии (Гамкрелидзе. 2000)

I- Складчатая система Большого Кавказа, I<sub>1</sub>- Казбего-Лагодехская зона, I<sub>2</sub>- Гагрско-Джавская зона, I<sub>3</sub>- Новороссийско-Туапсинская зона. II- Закавказская межгорная область. II<sub>1</sub>- Центральная зона воздымания. III- Складчатая система Малого Кавказа. III<sub>1</sub>- Локско-Карабахская зона.

конце этого века сменилась регрессией, которая продолжалась и в бате, а новая более обширная келловейская трансгрессия развивалась и в последующие века. В тоже время, общие, по мнению упомянутых авторов, закономерности формирования батских и келловейских отложений в различных тектонических зонах Грузии далеко не одинаковые.

Детальные исследования среднеюрских отложений отдельных тектонических регионов Грузии и новые палеонтологические данные внесли некоторые корректизы в существующие представления во взаимоотношениях батских и келловейских отложений Грузии с подстилающими и перекрывающими их образованиями (рис.1,2).

На южном склоне Складчатой системы Большого Кавказа, в Казбегско-Лагодехской зоне, в междуречье Дуруджи-Кабали в мощной толще глинистых сланцев и песчаников (нижняя часть квадильской свиты; мощн. 350м) совместно с позднебайосско-келловейской *Pseudocyclammina* ex gr.*maynci* Hott. обнаружена батская форма *Ammodiscus* Reuss. За указанными слоями согласно следуют слюдистые песчаники и песчанистые алевролиты (мощн. 250м). В карбонатных прослойках песчаников найдены фораминиферы – *Marssonella* ex gr. *doneziana* Dain. и *Trocholina* cf. *conica* (Schumb.), указывающие на келловей-среднеоксфордский возраст вмещающих слоев (Тодриа, 2005).


Таким образом, можно заключить, что в рассматриваемой тектонической зоне цикл осадконакопления не прерывался от позднего байоса, по всей вероятности, до среднего оксфорда включительно.

В северо-западной Абхазии, в Новороссийско-Туапсинской зоне, морские отложения, представленные песчанистыми алевролитами, граувакковыми песчаниками и др., условно относимые к батскому ярусу (битагская свита; мощн. 150 м), согласно следуют за вулканогенно-осадочными образованиями байосской порфиритовой серии и трансгрессивно перекрываются келловейскими конгломератами и гравелитами аибинской свиты (мощн. 150-350 м). В этих образованиях фауна не обнаружена и их возраст установлен по аналогии с фаунистически охарактеризованными отложениями соседних районов. Следовательно, в данной геотектонической зоне погружение морского дна происходило довольно быстро. На это указывает большая мощность указанных свит (около 500 м).

Южнее, в Гагрско-Джавской тектонической зоне, в Абхазии, зависимость келловейских отложений с подстилающими образованиями довольно изменчива. В районе с. Псху, в бассейне р. Бзыбь, за туфопесчаниками и алевролитами позднебайосского возраста (Топчишвили и др. 2006) согласно следуют сланцеватые алевролиты и песчаники мощность которых в разрезе р.Битаги (битагская свита) достигает 200 м. Моллюсовая фауна описанная из этих слоев (Кахадзе, 1947; Церетели, 1989), в том числе и аммониты указывают на их раннебатский возраст (зона Zigzag, подзона Yeovilensis). За батскими слоями трансгрессивно следуют келловейские отложения, которые восточнее (ущ. р.Решавие, пер. Ду) трансгрессивно перекрывают уже более древние байосские образования (Химшиашвили, 1957; Ломинадзе, 1982).

Южнее, в ущелье р. Гега (пр.приток р.Бзыбь) за порфиритовой серией трансгрессивно, с угловым несогласием следуют красноватые известковистые брекчия-конгломераты с фауной келловея. Некоторые исследователи считают, что фауна моллюсков переотложена и, следовательно, трансгрессия моря этот регион Абхазии достигла лишь в оксфорде (Бендукидзе, 1964).

В нижнем течении р.Бзыбь, в сводовой части одноименной антиклинали, батские угленосные отложения (аргиллиты, углистые сланцы и т.д.) согласно следуют за пелитовыми туфами и туфобрекциями байоса и трансгрессивно перекрываются фауносодержащими келловейскими образованиями (Чечелашвили, 1961). В этом же районе, в урочище Джирхва, слои с аммонитами нижнего кел-



ловея трансгрессивно залегают и на более древние байосские образования (Химшиашвили, 1957; Ломинадзе, 1982).

В восточной части Гагрско-Джавской зоны интересные разрезы среднеюрских отложений обнажаются в Горной Раче. В ущелье р.Риони, в окрестностях с.Цеси, на размытой поверхности вулканогенных образований байоса трансгрессивно, с базальными брекчия-конгломератами в основании, расположены сланцеватые глинистые породы с карбонатными прослойками, которые постепенно переходят в слабокарбонатные песчанистые отложения с конкрециями (мощн. 75 м). Трансгрессивное залегание упомянутых образований стало основанием для многих исследователей датировать эти слои келловеем. Однако позднее, в карбонатных прослойках были обнаружены аммониты *Oecotraustes* (*Pseodoecotraustes*) *bifurcus* Khim. et Steph, *Hemigarantia julii* (dOrb.) и др. Среди них, *Hemigarantia julii* (dOrb.) является руководящим видом зоны *Retrocostatum* верхнего бата. Выше по разрезу описанные отложения совершенно согласно сменяются глинистыми и карбонатными песчаниками содержащими многочисленную фауну моллюсков, а также микрофауну. В комплексе макрофaуны надо выделить представителей семейства макроцефалитид, среди которых *Macrocephalites macrocephalus* (Schloth.) является зональным видом нижнего келловея. Следовательно келловейский возраст отложений вмещающих эту фауну не вызывает сомнений (Ломинадзе, 1982). Микрофауна полностью подтверждает полученные стратиграфические данные (Тодриа, 2005).

Таким образом, в данном районе трансгрессия моря началась в конце среднего бата и осадконакопление в неглубоком эпиконтинентальном бассейне было непрерывным по средний оксфорд включительно.

Примечательный разрез батско-келловейских отложений расположен у с.Корта (ущ. р. Чеори). Здесь, за аргиллитами и песчаниками сорской свиты (тоар-аален) несогласно следуют темно-серые и буровато-серые песчанистые глины с прослойями карбонатных песчаников. Обнаруженная микрофауна, по мнению, В.А .Тодриа (2005), имеет много общего с таковой описанной у с. Цеси, где был найден руководящий позднебатский вид аммонита. Следовательно, возраст этих образований, по всей вероятности, позднебатский. За этими отложениями согласно следуют зеленовато-серые, фаунистически охарактеризованные, келловейские песчанистые глины.

Восточнее, в районе Кударо, так же как и Раче, установлено несогласное трансгрессивное залегание средне-верхнебатских слоев на подстилающие байосские вулканогенно-осадочные образования. В окрестностях с.Цона (верховья р. Квирила), в глинистых песчаниках и песчанистых глинах с конкрециями найдены остатки головоногих и двустворчатых моллюсков, микрофауны и др. ископаемых организмов (мощн. 40 м). Анализ стратиграфического распространения фауны аммонитов показал, что возраст вмещающих отложений средне-позднебатский и охватывает зоны Bremeri и *Retrocostatum* (Mangold, 1991). В данной местности келловейские отложения согласно следуют за батскими, однако в соседних разрезах трансгрессивно налегают на более древние - байосские образования и охарактеризованы типичными для келловея аммонитами (Химшиашвили, 1957; Пайчадзе, 1973 и др.).

В Закавказской межгорной области, в зоне Центрального воздымания, наиболее интересным является ткибульский район, издавна привлекавший внимание геологов в связи с промышленными угольными месторождениями. Здесь, батские угленосные образования (ткибульская свита) перекрываются пестроцветными отложениями окрибской свиты, возраст нижних слоев которых, исследователями оценивается по-разному. Образования ткибульской свиты в некоторых обнажениях не отличими от вышележащей окрибской и границу между ними, по мнению Г.С.Дзоценидзе и

др.(1956), можно провести лишь по первому появлению красной окраски пород. Н.Г.Химшиашвили (1957) появление пестроцветов в Окрибе связывает с началом келловейской трансгрессии. Исходя из общих региональных соображений Е.К.Вахания (1976) предполагает, что трансгрессия данный район достигла в позднем келловее. Позднее, в окрестностях г.Ткибули, в 20-50 м от основания окрибской свиты, В.А.Тодриа (2005) обнаружил и описал фораминиферы, в основном, позднекелловейского возраста и тем самим подтвердил это предположение.

Исходя из изложенного, в Ткибульском и прилегающих районах, байоско-батские отложения перекрываются пестроцветными слоями, которые на некоторых участках почти неотличими от подстилающих. Не исключено, что первые признаки слабого трансгрессивного цикла проявились уже с конца среднего бата (?), как это имеет место в Раче и Кударо. Более мощная трансгрессия проявляется несколько позже перекрывая базальными осадками эрозионные и возвышенные участки суши. Келловейское море постепенно расширяло свои пределы на протяжении всего века.

На юго-востоке Грузии, в пределах Складчатой системы Малого Кавказа батские и келловейские отложения известны на периферии Локского выступа доюрского кристаллического фундамента. Здесь за вулканогенно-теригенными отложениями, верхняя часть которых охарактеризована позднебайосскими аммонитами (Зесашвили, Чихрадзе, 1965), согласно, без следов размыва следуют аргиллиты, разнослойственные глины с прослойями песчанников и гравелитов (мощн. 80 м). В этих отложениях обнаружены ископаемые остатки растений (Сванидзе и др. 1983) и характерный для раннебатской фаунистической зоны *Zigzag* (подзона *Yeovilensis*) комплекс аммонитов (Зесашвили и др., 1977). За ними трансгрессивно, с угловым несогласием налегают туфоконгломераты, брекчии и туфы (мощн. 70 м). Келловейский возраст трансгрессивных образований устанавливается их стратиграфическим положением в разрезе, а также по аналогии с фаунистически датированными разрезами прилегающего Алавердского района Армении (Вашакидзе и др., 1982).

Эвстатические колебания уровня моря непосредственно отразились и на диверсификации батско-келловейской фауны Грузии (рис. 3).

Еще У. Аркелл (1961) приводил примеры указывающие на существование позднебатской трансгрессии в различных частях Земного шара, указывая, что трансгрессивно залегающие слои, по-видимому позднебатского возраста, являются предшественниками келловейской трансгрессии.

А.Хэллем (1978) совершенно справедливо отмечал, что в глобальном масштабе нельзя увязать трансгрессии и регрессии с определенным веком. Так, по-видимому, знаменитая "келловейская трансгрессия" началась в позднебатское время и по сути оказывается продолжением предыдущей позднебатской. Она была более или менее интенсивной, по крайней мере до середины века.

Примеры начала келловейской трансгрессии в предыдущем батском веке можно привести и с соседних регионов.

По данным М.В. Муратова и др (1972) верхний бат в пределах Туакского антиклиниория (Крым) с размывом, с базальными конгломератами в основании, налегает на нижнебатские или более древние отложения.




Рис. 3. Диверсификация байосско-келловейской фауны.

Среднебатские отложения на западе Центральной Азии (Большой Балхан), по данным Е.А. Прозоровской и К.Н.Аманниязова (1983), в разном объеме, с перерывом залегают (не повсеместно) на подстилающих отложениях,

Таким образом, суммируя вышеизложенные данные, можно заключить, что т.н. "келловейская трансгрессия", на самом деле, началась в конце среднего бата и постепенно расширяя свои пределы разные регионы Грузии достигла в разное время.

## კალვიური ტრანსგრასიის საკითხებისათვის საქართველოში

მირიან თოფჩიშვილი<sup>1</sup>, ივერ წერეთელი<sup>2</sup>, თამაზ ლომინაძე<sup>2</sup>, ვახტანგ თოდრია<sup>2</sup>

<sup>1</sup> ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა.ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი.

<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ლ.დავითაშვილის სახ. პალეობიოლოგიის ინსტიტუტი.  
ელ.ფოსტა: lominadzetamaz@yahoo.com

### რეზიუმე

საქართველოს ცალკეული ტექტონიკური რეგიონების შუაიურული ნალექების დეტალურმა შესწავლამ და ახალმა პალეონტოლოგიურმა მონაცემებმა კორექტივი შეიტანა საქართველოს ბათური და კალოვიური ნალექების დამოკიდებულების შესახებ არსებულ წარმოდგენებში (სურ.1,2). კავკასიონის ნაოჭა სისტემის ყაზბეგ-ლაგოდეხის ზონაში, თიხა-ფიქლებში და ქვიშაქვებში გვიანბაიოსურ-კალოვიურ ფორამინიფერასთან ერთად ნაპოვნია ბათური ფორმა. აღნიშნულ შრეებს თანხმობით მოჰყება ქარსიანი ქვიშაქვები და ალევროლითები, რომელთა კარბონატულ შუაშრეებში ნაპოვნი იქნა კალოვიურ-შუაოქსფორდული ასაკის ფორამინიფერები. ამ გეოტექტონიკურ ზონაში, როგორც სჩანს, ნალექდაგროვების ციკლი ბაიოსიდან შუა ოქსფორდამდე არ შეწყვეტილა. ნოვოროსიისკ-ტუ-აფსეს ზონაში, ჩრდილო-დასავლეთ აფხაზეთში, ზღვიური ნალექები, რომლებიც წარმოდგენილია ქვიშიანი ალევრიტებით და ქვიშაქვებით და პირობითად ბათურ სართულს მიეკუთვნება, თანხმობით ადევს ვულკანოგენურ-დანალექ ბაიოსური პორფირიტული სერიის წარმონაქმნებს და ტრანსგრესიულად იფარება კალოვიური კონგლომერატებითა და გრაველიტებით. ამ შრეებში ფაუნა არ არის ნაპოვნი და მათი ასაკი დადგენილია მეზობელი რაიონების ანალოგით. გაგრა-ჯავის ტექტონიკურ ზონაში, აფხაზეთში, ფაუნისტურად დათარილებული კალოვიური ნალექები ყველგან ტრანსგრესიულად ადევს ქვემოთმდებარე წარმონაქმნებს. ზონის აღმოსავლეთით, მთიან რაჭაში, მდ. რიონის ხეობაში, სოფ. წესის მიდამოებში, ვულკანოგენური წარმონაქმნების გადარეცხილ ზედაპირზე განლაგებულია ფიქლებივით თიხიანი ქანები კარბონატული შუაშრეებით, რომლებიც თანდათანობით იცვლებიან სუსტადკარბონატული ქვიშიანი შრეებით. აღნიშნული წარმონაქმნების ტრანსგრესიული განლაგება ქვეშმდებარე ქანებზე საფუძველი გახდა მეკლევარებისთვის დაეთარილებინათ ეს ნალექები კალოვიურად, მაგრამ შემდგომში კარბონატულ შუაშრეებში აღმოჩენილი იქნა ამონიტები, რომელთა შორის *Hemigarantia julii* (d'Orb.) ზედაბათური *Retrecostatum*-ის ზონის სახელმძღვანელო ნამარხს წარმოადგენს. ჭრილში აღნერილი ნალექები სრულიად თანხმობით იცვლებიან თიხიანი და კარბონატული ქვიშაქვებით, რომლებიც შეიცავენ მრავალრიცხოვან კალოვიურ მაკრო და მიკროფაუნას. ამრიგად, აღნიშნულ რაიონში ზღვის ტრანსგრესია დაინყო შუა ბათურის ბოლოს და ნალექდაგროვება იყო უნიკურული შუა ოქსფორდულის ჩათვლით. აღმოსავლეთით, კუდაროს რაიონში, ისევე როგორც რაჭაში, სოფ. წონის მიდამოებში (მდ. ყვირილას ზედა წელი), კალოვიური ნალექები თანხმობით აგრძელებენ ბათურს, მაგრამ მეზობელ ჭრილებში უკვე ტრანსგრესიულად მოჰყებიან უფრო ძველ - ბაიოსურ წარმონაქმნებს.

ამიერკავკასიის მთათაშუა არის ცენტრალური აზევების ზონაში ბაიოსურ-ბათურ ნალექებს აგრძელებენ ოკრიბის (ფერადი) წყების წარმონაქმნები, რომლებიც ზოგიერთ უბანზე თითქმის არ განსხვავდებან ქვემოთმდებარე ნალექებისგან. გამორიცხული არ არის, რომ ტრანსგრესიული ციკლის საწყისი ნიშნები ჩნდება უკვე შუა ბათურის ბოლოს (?), როგორც ამას ადგილი აქვს რაჭასა და კუდაროში.

საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთში, მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის ფარგლებში არ-გილიტებში და შრეებრივ თიხებში აღმოჩენილია ამონიტების ადრე ბათურისთვის დამახასიათებელი ფაუნისტური კომპლექსი. ამ შრეებს ტრანსგრესიულად მოჰყვებიან ტუფოკონგლომერატები, ბრექჩიები და ტუფები, რომელთა კალოვიური ასაკი დადგენილია, აღავერდის რაიონის (სომხეთი) მიმდებარე ფაუნისტურად დათარიღებული ჭრილების ანალოგით.

ზღვის დონის ევსტატიკური მერყეობა უშუალოდ აისახა საქართველოს ბათურ-კალოვიური ფაუნის დივერსიფიკაციაზე (სურ.3).

## PALEOBIOLOGY

### ON THE CALLOVIAN TRANSGRESSION IN GEORGIA

Mirian Topchishvili <sup>1</sup>, Iver Tsereteli <sup>2</sup>, Tamaz Lominadze <sup>2</sup>, Vakhtang Todria <sup>2</sup>

<sup>1</sup>I. Javakhishvili Tbilisi State University, A.Janelidze Institute of Geology. E-mail: mirtopchic@mail.ru

<sup>2</sup>Georgian National Museum, Institute of Paleobiology. E-mail: lominadzetamaz@yahoo.com

#### Summary

Detailed studies of the Middle Jurassic deposits in separate tectonic regions of Georgia and new paleontological data have brought about adjustments into already existing image of interrelations between the Bathonian and Callovian deposits in Georgia (Fig. 1,2).

In the Kazbegi-Lagodekhi zone of Fold System of the Great Caucasus in the clay shale and sandstones the Bathonian form of *Ammodiscus* Reuss was found together with the Late Bajocian – Callovian foraminifera. The indicated layers are followed accordingly by micaceous sandstones and sandy aleurolites in the carbonaceous slate band where the foraminifera of the Callovian – Middle Oxfordian age were found. In this geotectonic zone the cycle of continuous sedimentation lasted from the date Bajocian until, in all probability, the Middle Oxfordian. In the north-west Abkhazia, in the Novorosiisk-Toapse zone marine sediments, represented by sandy aleurolites and graywacke sandstones, conventionally attributed to the Bathonian stage, followed the volcanic – sedimentary formation of the Bajocian porphritic series and were transgressively overlapped with the Callovian conglomerates and gritstones. Fauna has not been detected there and the age has been determined by analogy to faunally characterised sediments in the adjoining regions.

Farther south, in the Gagra-Java tectonic zone of Abkhazia, the Callovian sediments, in general, transgressively overlap the subjacent deposits. In the eastern part of Gagra-Java zone, Racha in the gorge of the Rioni river around Tsessi village on the eroded surface of the volcanogenic formation, the clayey, shaly rocks have spread containing carbonaceous interlayers which have gradually turned into slightly carbonaceous sandstone deposits with concretions. On the basis of the transgressive occurrence of these deposits, many researchers date the layers as Callovian. However, later, ammonites were discovered in the carbonate interlayers, among which *Hemigarantia julii* (d'Orb.) occurs to be the index species of the Retrocostatum zone of the Upper Bathonian. In must be admitted though that the upper deposits in that sequence of sediments are composed of the clayey and carbonaceous sandstones containing numerous macro and micro fauna of the Callovian. In that area the sea transgression began in the end of the Middle Bathonian and the continuous sedimentation lasted until and at the time of the Middle Oxfordian.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმის ქერცლფრთიანთა ფონდში არსებული ფარშავანგთვალების ფაქტობრივი ნიმუშების შესწავლით და ლიტერატურული მონაცემების შეჯერებით აღმოჩნდა, რომ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებულია ფარშავანგთვალების 9 სახეობა, მათგან მუზეუმის კოლექციებში დაცულია 6 სახეობა: ერთი (*Brahmaea christophi* Stgr. სურ. 9) – აზერბაიჯანის ვინრო ენდემია და მოპოვებულია თალიშში, ხოლო დანარჩენი ხუთი – საქართველოს ტერიტორიიდანაა.

მომავალში ფაუნის სრული წარმოჩენისათვის, კოლექცია უნდა შეივსოს სამი სახეობით, ეს-ენია: *Brahmaea ledereri* Rghf.- მესამეული პერიოდის რელიქტი, კოლხეთის ენდემი (სურ. 8), *Pavonia cephalariae* Chr.- სამხრეთ კავკასიის ენდემი (სომხეთი, სურ. 6) და *Neoris huttoni* Moore - შუაზიური სახეობა (აზერბაიჯანი, სურ. 2).

ჩვენს მიერ ჩატარებული რევიზიის შედეგებით დადგინდა, რომ კავკასიის ფარშავანგთვალების ფაუნისტურ სიას ბუნებაში შეემატა ტროპიკული წარმოშობის სახეობა *Samia cynthia* Dr. - (საქართველო, სურ. 1), რომელიც გასულ საუკუნის 20-იან წლებში ინტროდუცირებული იყო საქართველოში მეაბრეშუმების განვითარების მიზნით.

*Samia cynthia* Dr.-ის ადაპტირება ბუნებრივ ლანდშაფტში, საბოლოოდ დადასტურდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმის კოლექციებში არსებული ფაქტობრივი ნიმუშების არსებობით, რომ-ლებიც მოპოვებულია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სხვადასხვა წელს, ხვადასხვა პუნქტში.

**საკვანძო სიტყვები:** *Lepidoptera, Saturniidae, Brahmaeidae*, იდენტიფიკაცია, ინტროდუციებია, ტაქსონომია.

#### მასალა და მეთოდი

ნაშრომს საფუძვლად დაედო: 1969-2000 წლებში ჯერ საქართველოს, ხოლო შემდგომში კა-

ვკაიის მასშტაბით განხორციელებულ ექსპედიციებში ჩვენ მიერ მოპოვებული მასალები, ველზე ჩატარებული დაკვირვებები, მუზეუმში დაცული ძველი და ახალი კოლექციების ნიმუშები და ლიტერატურული წყაროები. ამასთან 2009-2010 წლებში, აღნიშნულ ჯგუფზე ჩვენ ჩავატარეთ გეგმით გათვალისწინებული შეჯერებითი სამუშაოები, მოვახდინეთ ჯგუფის მეცნიერული რევიზია და თანამედროვე ნომენკლატურასთან იდენტიფიკაცია.

ავტორები გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ ჩვენს კოლეგას, ჯგუფის სპეციალისტს, ქალაქ ულიანოვსკის (რუსეთი) პედაგოგიური უნივერსიტეტის, ზოოლოგის დეპარტამენტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ვ. ზოლოტუხინ (B.B. Zolotukhin) რკვევის დაზუსტებაში საქმიანი დახმარებისათვის.

### შესავალი

1968 წელს კრებულში „Материалы сессии Закавказского совета по координации научно-исследовательских работ по защите растений,“ დაიბეჭდა მოხსენება სათაურით „К изучению фауны павлиноглазок Закавказья<sup>1</sup> (Lepidoptera, Saturniidae, Brahmaeidae)“ [Р.Э. Эффенди, 1968]. სტატიის ავტორი ფარშავანგთვალების ჯგუფიდან სამხრეთ კავკასიისათვის ასახელებს 7 სახეობას და აღნიშნავს, რომ ეყრდნობა **მხოლოდ აზერბაიჯანისა და ნანილობრივ სომხეთში** მის მიერ მოპოვებულ მასალებს, რომელთაგან 2 სახეობა მითითებულია ლიტერატურული წყაროებით. განხილულ სამრეკინიდან ნაშრომში თითქმის არაფერია თქმული საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ფარშავანგთვალების შესახებ და სომხეთის ფაუნიდანაც ცნობები მეტად მნირია, ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვევსო ეს ხარვეზი და ამით სრულად ნარმოგვეჩინა სამხრეთ კავკასიის და მასთან ერთად საქართველოს ფარშავანგთვალების ფაუნა.

### შედეგები და მათი განხილვა

საქარველოს ეროვნული მუზეუმი XIX საუკუნეში დაარსებული ყოფილი კავკასიის კომპლექსური მუზეუმის მემკვიდრეა. წარსულში მისი ერთეული მიმართულება კავკასიის ფაუნის და მისი ბუნებრივი რესურსების ნარმოჩენა იყო. 1925 წლიდან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმად, ხოლო 2005 წლიდან ეროვნულ მუზეუმად ჩამოყალიბების შემდეგ, მისი კვლევის ძირითადი ამოცანა საქართველოს ტერიტორიის ცალკეული რეგიონების ცოცხალი ფაუნის სრული გამოვლენა-რეკოგნიცირება, კოლექციონირება, მონაცემთა ბაზის შექმნა და პოპულარიზაცია. მიუხედავად თქმულისა, მუზეუმის ზოოლოგიური ფონდები დღემდე რჩება კავკასიის ფაუნის ამსახველ ცენტრად.

თითქმის საუკუნის შემდეგ კავკასიის ფაუნით, ფონდის შემდგომ შევსებასა და გამდიდრების საქმეში, განსაკუთრებული როლი შეასრულა 1971-1990 წლებში ს. ჯაანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზოოლოგიის განყოფილების მიერ კავკასიის ტერიტორიაზე ფაუნისტური ექსპედიციების განახლებამ.

სამხრეთ კავკასიაში და მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ფარშავანგთვალების შესახებ პირველ შემაჯამებელ ცნობებს ვხვდებით 1885 წელს 6. რომანოვის მიერ გამოქვეყნებულ მემუარებში „*Lepidopteres de la Transcaucaside*“ [Romanoff, 1885], რომელშიც საკვლევ რეგიონისათვის მითითებულია 5 სახეობა, მათგან 4 საქართველოს ტერიტორიაზეა მოპოვებული (თბილისი, მანგლისი, ბორჯომი), ხოლო 1 – თურქეთში (კასიკაპარან).

გ. რადეს ცნობილ კატალოგიდან - „*Коллекции Кавказского музея*“ [Радде, 1899]. ვგებულობთ,

<sup>1</sup>ხაზგასმა ჩვენია (ავტორები)

რომ XIX საუკუნის ბოლოსათვის კავკასიის მუზეუმის კოლექციებში, ამიერკავკასიის ტერიტორიიდან, ინახებოდა ფარშავანგთვალების 4 სახეობა, მათგან 3 საქართველოშია მოპოვებული (თბილისი, ბორჯომი, აწყური), ხოლო ერთი- თურქეთში (კასიკაპარან).

გადის დრო და სამხრეთ კავკასიაში გავრცელებული ფარშავანგთვალების შესახებ სპეციალური ნაშრომი არ გამოქვყნებულა. მათ შესახებ ცნობებს ვაწყდებით მხოლოდ ქერცლფრთიანთა ზოგად ფაუნისტურ შრომებსა და გამოყენებით ლიტერატურაში, მაგრამ პრაქტიკულ ენტომოლოგიაში ფარშავანგთვალების ფაუნა მეტად მწირად არის მოხსენებული და უმეტესად ეხება მსხლის ანუ დიდ ფარშავანგთვალას (*Saturnia pyri Den. et Schiff.*) სამეურნეო მნიშვნელობას [Уваров, 1918; Лозовой, 1941; Батиашвили, 1959; Мирзоян, 1977 და სხვ].

1964 წელს გამოდის ე. მილიანოვსკის მონოგრაფიული ნაშრომში „Фауна чешуекрылых Абхазии“ [Миляновский, 1964], ავტორი აფხაზეთისათვის ასახელებს ფარშავანგთვალების მხოლოდ 2 სახეობას: *Saturnia pyri Schiff.* და *Eudia pavonia L.* და მათ შესახებ იძლევა სრულ ბიო-ეკოლოგიურ ცნობებს.

1968 წელს ზემოდ დასახელებულ რ. ეფენდის სტატიაში [Эффенди, 1968] აზერბაიჯანიდან სამხრეთ კავკასიის ფარშავანგთვალების ფაუნისათვის პირველადაა მითითებული შუააზიური ნარმოშობის სახეობა – *Neoris stolizana Fold. ssp galerope Püngl.* (=*Neoris huttoni M.*).

1977 წელს ს. მირზოიანი [Мирзоян, 1977], სომხეთის დენდროფილურ ქერცლფრთიანებიდან ფარშავანგთვალების მხოლოდ 3 სახეობას (*Perisomena coecigena Kup.*, *Saturnia pyri Schiff.* და *Eudia spinii Schiff.*) განიხილავს.

1982 წელს წიგნში „Редкие насекомые“ [Мирзоян, Батиашвили, 1982] სამხრეთ კავკასიის ფაუნაში მოხსენებულია *Neoris galerope Püngl.* (=*Neoris huttoni Png.*).

1986 წელს რაზდანის ტერიტორიის კვლევისადმი მიძღვნილ მ. გევორქიანის ფაუნისტურ ნაშრომში [Геворкян, 1986], ფარშავანგთვალების 4 სახეობაა მითითებული, მათგან სომხეთისათვის ადრე ცნობილ 3 სახეობას დაემატა ერთი - *Eudia pavonia L.*

1969-2000 წლებში საქართველოსა და კავკასიის ექსპედიციებში ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად, მოძიებული გვაქვს ფარშავანგთვალას 6 სახეობა, მათგან: საქართველოს ტერიტორიიდან 4 (ადრე ცნობილ 2 სახეობას დაემატა *Eudia spinii Schiff* და *Perisomena coecigena Kup.*), სომხეთის ტერიტორიიდან - 2 (*Saturnia pyri Schiff.* და *Perisomena coecigena Kup.*) და აზერბაიჯანის ტერიტორიიდან - 3 (*Saturnia pyri Schiff.*, *Pavonia pavonia L.*, *Brahmaea christophi Stgr.*) სახეობა [Дидманиძე, 1975, 1976, 1978, 1981, 2002; Didmanidze, 2005].

1991 წელს ვ. სტალიაროვის და გ. გოდერძიშვილის მიერ [Сталяров, Годердзишвили, 1991] საქართველოს ბუნებრივ პირობებში (გალის რაიონი) პირველად დაფიქსირდა ტროპიკულ ფარშავანგთვალას *Phyllosamia cynthia Dr.*-ის (=*Samia cynthia Dr.*) არსებობა.

2009-2010 წლებში საქართველოს ეროვნულ მუზეუმის ლეპიდოპტეროლოგიურ ფონდში ჩატარებული ინვენტარიზაციით აღმოჩნდა, რომ ამიერკავკასიის ტერიტორიიდან, მუზეუმის კოლექციებში დაცულია ფარშავანგთვალების 163 ნიმუში, რომლებიც გაერთიანებულია 2 ოჯახში (*Saturniidae* - 160, *Brahmaeidae* - 3 ნიმუში), 5 გვარსა და 6 სახეობაში (იხ. ცხრილი 1).

ფ ა ქ ტ ო ბ რ ი ვ ი მ ა ს ა ლ ა  
ოჯახი *SATURNIIDAE Boisduval, 1837*  
გვარი *Samia Hübner [1819] 1816*

**1. *Samia cynthia* (Drury, 1773) (სურ. 1)**

ფარშავანგთვალა ცინთია

*Ailanthus silkmoth, Cynthia silkmoth*

Айлантовая павлиноглазка цинтия,

**კატეგორია.** იშვიათი. საქართველოში შემოყვანილია მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში საცდელად, უკეთესი ხარისხის აბრეშუმის ძაფის მიღების მიზნით, მაგრამ შემდგომი განვითარება წარმოებაში ვერ ჰქოვა. ამჟამად ერთეულების სახით გვხვდება დასავლეთ საქართველოს ბუნებრივ ლანდშაფტში.

**მოპოვების ადგილი.** საქართველო: 4 ტბ., წულუკიძე (ამჟამად ხონი, ქუთაისის რაიონი), ბათუმი [GNMK]<sup>2</sup>, გალი [Сталяров, Годердзишвили, 1991].

**ბიო-ეკოლოგია.** სუბტროპიკებში გავრცელებული სახეობაა, საქართველოში იკავებს შავიზღვის სანაპირო ზოლს. პეპელა ფრენს ივნისიდან-აგვისტოს პირველ ნახევრამდე, იძლევა ერთ თაობას. მატლი გვხვდება სექტემბერ-ოქტომბერში, მკვებავი მცენარეა ჩინური იფანი (*Ailanthus glandulosa*); შეიძლება შეგვხვდეს სხვა მცენარეებზეც (*Ligustrum, Juglans, Prunus*) იჭუპრებს ნოემბერში, ფაშარად ნაქსოვ წარქშებულ პარკში და იზამთრებს მკვებავი ხეების ძირთან ჩამოცვენილ ფოთლებში.

**გავრცელება.** სამხრეთ-აღმაღმოსავლეთ აზია: შორეული აღმოსავლეთის სუბტროპიკული არეალი, იაპონია, ჩინეთი. სამშობლოში იძლევა 2 თაობას: გაზაფხულის და შემოდგომის.

**გვარი *Neoris Moore, 1862***

**2. *Neoris huttoni* Moore, 1862 (სურ. 2)**

ლამის ფარშავანგთვალა ჰუტონი

*Hutton's buckmoth, Hutton's peacock Moth*

Ночная павлиноглазка хутона

**კატეგორია.** რ. ეფენდი თალიშში მოძიებული ჭუპრების რაოდენობით ვარაუდობს, რომ პოპულაცია ლოკალურ ბიომში არ უნდა იყოს იშვიათი [Эффенди, 1968].

**მოპოვების ადგილი.** აზერბაიჯანი: თალიში [ Эффенди, 1968; Мирзоян, Батиашвили, 1982].

**ბიო-ეკოლოგია.** აზიური სახეობაა. იმავე ფრენს გვიან შემოდგომით, ოქტომბერ-ნოემბერში, 1300-1700 მ-ის ფარგლებში. მატლი გვხვდება გაზაფხულზე, მაისის ბოლოსა და ივნისში; აზერბაიჯანში ნაპოვნია ტირიფისფოთოლა მსხალზე ანუ ბერყენაზე (*Pyrus salicifolia*). მისი მკვებავი მცენარეებია: *Malus, Prunus armeniaca, Crataegus, Acer* და *Syringa*. იჭუპრებს ივნისის პირველ ნახევარში ღია-ყავისფერ ფაშარად ნაქსოვ პარკში, ამსკდარ ქერქების ქვეშ.

**გავრცელება.** ფართოდაა გავრცელებული ცენტრალურ აზიის სამხრეთით, დასავლეთ ჩინეთსა და დასავლეთ მონლოლეთში, ჩრდილოეთ-დასდასავლეთ ინდოეთში, ავღანეთსა და ჩრდილოეთ ირანში, ამიერკავკასიასა და თურქეთში. იძლევა სხვადასხვა ვარიაციებს. კავკასიური პოპულაცია მიკუთვნება ქვესახეობას - *ssp. naessigi* d. Fr. [de Freina, 1992].

<sup>2</sup> [GNMK] – საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციები

## გვარი *Saturnia Schrank, 1802*

### 3. *Saturnia pyri* ([Denis & Schiffermüller], 1775) (სურ. 3)

მსხლის ანუ ღამის დიდი ფარშავანგთვალა

Great peacock Moth

Большой ночной павлиноглаз

კატეგორია. ჩვეულებრივი.

მოპოვების ადგილი. საქართველო: 55°, 14° -გაგრა, ბიჭვინთა (აფხაზეთი), ჩახათი, კინტრიშის ნაკრძალი (აჭარა), გეგეჭკორი, სალხინო, ზუგდიდი, ენგურჰესი, ქუთაისი, დარკვეთი, დიდიჯიხაიში, ჭიათურა, ცხინვალი, თამარშენი, გორი, მცხეთა, თბილისი, ბორჯომი, ახალციხე, ასპინძა, დედოფლისწყარო; სომხეთი: 1°, 1° -ხოსროვის ნაკრძალი; აზერბაიჯანი: 10°, 4° -განჯა (ელიზავეტოპოლი), ზურნაბად, გეოკ-ტაპა, ტურიან-ჩაის ნაკრძალი [GNMK].

**ბიო-ეკოლოგია:** ხშირია. უმეტესად ბინადრობს დაბლობსა და მთისნინებში, თუმცა გვხვდება მთის ტყეებშიც. პეპელა ფრენს აპრილიდან ივნისის პირველ ნახევრამდე, მთაში უფრო მოგვიანებით. წელიწადში იძლევა ერთ თაობას. მატლი ივნის-აგვისტოს ჩათვლით იკვებება ხეხილზე და ტყის მცენარეებზე: *Prunus armeniaca*, *P. spinosa*, *Pyrus*, *Malus*, *Cerasus*, *Fraxinus*, *Alnus*, პერიოდულად აზიანებს ბერძნულ კაკალს (*Juglans regia*). იჭუპრებს მჭიდროდ ნაქსოვ ყავისფერ პარკში და იზამთრებს დაფარულ ადგილებში. აღნიშნულია ჭუპრის ორნლიანი გადაზამთრებაც.

**გავრცელება:** შუა და სამხრეთ ევროპა, სამხრეთ რუსეთი, კავკასია, წინა და მცირე აზია. კავკასიაში გვხვდება ყველგან, იშვიათია არიდულ ადგილებში.

## გვარი *Pavonia Hubner, [1819]*

### 4. *Pavonia pavonia* (Linnaeus, 1758) (სურ. 4)

ღამის მცირე ფარშავანგთვალა

Small emperor Moth

Малый ночной павлиноглаз

კატეგორია. იშვიათი. ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას, შეტანილია წითელ წინგნებსა და ნუსხებში [მირზოიან, ბათიაშვილი, 1982; კრასნა კნიგა, 1984; დიდმანიძე და საქართველოს წითელი ნუსხა, 2006].

მოპოვების ადგილი. საქართველო: 3°, 3° - ბორჯომი, მანგლისი, იგორეთი(კასპი), ბაზარაბაბანაურის ნაკრძალი (ახმეტა), აწყური, ლაგოდეხი [GNMK]; სომხეთი: დარიჩაჩაგ [Romanoff, 1985], ცახეადძორ, მდ. რაზდანის ხეობა [გევორქიან, 1986]; აზერბაიჯანი: 2°, 2° კაუსარი (ბაქო) [GNMK], ისტიდარა [Romanoff, 1985].

**ბიო-ეკოლოგია.** ბინადრობს მთისნინებსა და მთის ფართოფოთლოვან ან შერეულ ტყეებში 1500-1600 მ-დე, იშვიათად ჩამოდის დაბლობში. არსეობს ორი ეკოლოგიური ფორმა: ერთი დაბლობის, რომელიც დაკავშირებულია უმეტესად კირქვიან ფერდობებთან, მთის მეორად სტეპებთან, მზით გამთბარ ტყიან ფერდობებსა და მთის ჭაობებთან. ფრენს გაზაფხულზე აპრილ-მაისში. წელიწადში იძლევა ერთ თაობას. მატლი გვხვდება ივნის-აგვისტოში, ხეებსა და ბუჩქებზე: *Rubus*, *Prunus*, *Betula*, *Quercus*, *Frangula*, *Rosa*, *Carpinus*, *Spiraea*. იჭუპრებს დაფარულ ადგილე-

ბში, მჭიდროდ ნაქსოვ მუქ-ყავისფერ პარკში და იზამთრებს.

**გავრცელება.** ევრაზია: აღმოსავლეთ ესპანეთიდან თითქმის მთელი შუა და სამხრეთ ევროპა, ციმბირი, მონღოლეთი, შორეულ-აღმოსავლეთ რუსეთი, კავკასია. ევროპაში, თურქეთის ჩათვლით, მას ცვლის ვიკარული სახეობა *P. pavoniella* Scop. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთიდან აღწერილია ქვეახეობა *P. pavonia abchasica* Scheljuzhko, რომელიც არ განსხვავდება ნომინატურ სახეობისაგან.

##### 5. *Pavonia spini* ([Denis & Schiffermüller], 1775 [1776]) (სურ. 5)

ლამის საშუალო ფარშავანგთვალა

Sloe emperor Moth

Средний ночной павлиноглаз

**კატეგორია.** იშვიათი. ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას, შეტანილია წითელ წინგნებსა და ნუსხებში [მირზოინ, ბათიაშვილი, 1982; კრასნა კნიგა, 1984; დიდმანიძე დან., 2002].

**მოპოვების ადგილი.** საქართველო: 3 ♂♂, 1 ♀ ბორჯომი, აწყური [GNMK]; სომხეთი: მდ. რაზდანის ხეობა (ალაპარს, ჯარარატა, მეგრადძორ) [გევორქიან, 1968]; აზერბაიჯანი: შემახა, კიროვკა, ორდუბად [ეფხენდი, 1968].

**ბიო-ეკოლოგია.** ევროპული სახეობაა. სამხრეთ კავკასიაში იშვიათია. ირჩევს მთისწინებს, ტყის სანაპირო ზოლს, ტყიან ველობებს. დაფრინავს აპრილში, ზოგჯერ მარტის ბოლოდან ივნისამდე. წელიწადში იძლევა ერთ თაობას. მატლი გვხვდება ივნის-ივლისში, კვრინჩხეთშე (*Prunus spinosa*), ქლიავზე, ტყემალზე; მითითებულია, აგრეთვე ასკილი (*Rosacea*), თელა (*Ulmus*), მურყანი (*Alnus*), ტირიფი (*Salix*) [მირზოინ, ბათიაშვილი, 1982]. იჭუპრებს მჭიდროდ ნაქსოვ ყავისფერ პარკში და იზამთრებს.

**გავრცელება.** ბალკანეთი, თურქეთი, უკრაინა, ვოლგისპირეთი, სამხრეთ ურალი, კავკასია, სამხრეთ კავკასია.

##### 6. *Pavonia cephalariae* (Christoph, 1885) (სურ. 6)

ამიერკავკასიური ლამის ფარშავანგთვალა

Transcaucasian emperor Moth

Закавказская ночная павлиноглазка

**კატეგორია.** ძლიერ იშვიათი. ამიერკავკასიის ენდემი. შეტანილია იშვიათ სახეობათა ნუსხა-სა და წითელ წიგნებში [მირზოინ, ბათიაშვილი, 1982; კრასნა კნიგა ССР, 1984; კრასნა კნიგა არმენ-სკოი ССР, 1987; დიდმანიძე დან., 2002; საქართველოს წითელი ნუსხა, 2006]. საქართველო მისი გავრცელების ჩრთილოეთ საზღვარია.

**მოპოვების ადგილი.** საქართველო: აწყური, 1897 წ. [დიდმანიძე, 1978]; სომხეთი: აგმაგან - დარალაგეზ, ზანგეზური [Рябов, 1958].

**ბიო-ეკოლოგია.** ბინადრობს მთიან სტეპებსა და კლდიან ქსეროფიტებში 1500-1600 მ-დან 2000-2500 მ-დე, ფრენს აპრილის ბოლოდან ივნისამდე, წელიწადში იძლევა ერთ თაობას, მატლი გვხვდება მახობელზე (*Cephalaria*) ზამთრობს ჭუპრი.

**გავრცელება.** სამხრეთ კავკასია, თურქეთი.

## გვარი *Perisomena* Walker, 1855

### 7. *Perisomena coecigena* (Kupido, 1825) (სურ. 7)

ვარდისფერი ლამის ფარშავანგთვალა

The Giant silk Moth, Rose peacock Moth

Слеповатая павлиноглазка

**კატეგორია.** იშვიათი. ხმელთაშუაზღვური წარმოშობის. ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას. შეტანილია წითელ წიგნებსა და ნუსხებში [მირზიან, ბათიაშვილი, 1982; დიდმანიძე და სხვ., 2002; საქართველოს წითელი ნუსხა, 2006].

**მოპოვების ადგილი.** საქართველო: 52°Ø, 3°Ø - ბორჯომი, ლიკანი, ბაკურიანი, თბილისი, საგურამოს ნაკრძალი [GNMK]; სომხეთი: 15°Ø, 2°Ø - ხოსროვის ნაკრძალი, გოროვანი [GNMK], დილიუჯანი [ეფხენდი, 1968], ალაპარს, ჯარარატ, მეგრაძორ, რაზდანი [გევორქიან, 1968]; აზერბაიჯანი: 2°Ø - ზურნაბად, განჯა (ელიზავეტოპოლი) [GNMK]; თალიში, ხანლარი, კუსარი [ეფხენდი, 1968].

**ბიო-ეკოლოგია.** სამხრეთ კავკასიაში გვხვდება ლოკალურად, დაბლობიდან 1700-1800 მ-დე, არიდულ ბიოტოპებში. წელიწადში იძლევა ერთ თაობას. პეპელა ფრენს გვიან შემოდგომით, სე-ქტემბერ-ოქტომბერში ან ადრე გაზაფხულზე. მატლი გვხვდება ივნის-ივლისში ხორციფერაზე (*Atraphaxis caucasica*), მუხაზე (*Quercus*). იზამთრებს ჭუპრი (ან კვერცხი) მიმაღლულ ადგილებში, ღია-ყავისფერ ნახვრეტებიან ოვალურ პარკში.

**გავრცელება.** სამხრეთ ესპანეთი, ჩრ. იტალია, ბალკანეთი, კიპროსი, მცირე აზია, სამხრეთ კავკასია.

### ოჯახი *BRAHMAEIDAE* Swinhoe, 1892

#### გვარი *Brahmaea* Walker, 1855

### 8. *Brahmaea ledereri* Rogenhofer, [1873] 1874 (სურ. 8)

ლედერერის ბრამეა, კოლხური ბრამეა

Lederer's Bramea, Bramea colkhis

Брамеа Ледерера

**კატეგორია.** ქრებადი. პონტოს პროვინციის ენდემი და რელიქტური სახეობა. შეტანილია მსოფლიოს დაცულ სახეობათა ნუსხებსა და წითელ წიგნში [მირზიან, ბათიაშვილი, 1982; კრასნა კინგა СССР, 1984; დიდმანიძე და სხვ., 2002; საქართველოს წითელი ნუსხა, 2006].

**მოპოვების ადგილი.** ბათუმის შემოგარენი [რებოვ, 1958; ეფხენდი, 1968].

**ბიო-ეკოლოგია.** ბინადრობს კოლხური ტყის დაბლობ, ლოკალურ ჰაბიტატში. პეპელის ფრენი ალნიშნულია აპრილის თვეში, წელიწადში იძლევა ერთ თაობას. მატლი გვხვდება ივლისში. დღისით პეპლები სხედან ხის ტანზე ან მის ტოტებზე. მკვებავი მცენარეა *Phillyrea* და ოჯახ *Oleaceae*-ს სხვა სახეობები. ჭუპრი იზამთრებს მურა-ყავისფერ თხელ პარკში, ქერქის ნაპრალებში ან ნიადაგში მკვებავ მცენარესთან ახლოს.

**გავრცელება.** აჭარისა და ლაზისტანის შავიზღვისპირა მიდამოები.

**9. *Brahmaea christophi* Staudinger, 1879 (სურ. 9)**

ქრისტოფის ბრამეა

Hristoph's Bramea

Брамеа Христофа

**კატეგორია.** შემცირებადი. ჰირკანის პროვინციის ენდემი და რელიეტური სახეობა. შეტანილია მსოფლიოს დაცულ სახეობათა ნუსხებსა და წითელ წიგნში [Мирзоян, Батиашвили, 1982; Красная книга СССР, 1984; Красная книга Азербайджанской ССР, 1984, Дидманидзе и др., 2002].

**მოპოვების ადგილი.** აზერბაიჯანი: 3 ♂♂ - ლენქორანის ნაკრძალი - თალიში, ჰირკანის ტყე [GNMK]; თალიშ-ლენქორანი, ასტარა [ეფენდი, 1968].

**ბიო-ეკოლოგია.** ბინადრობს ზღვისპირა ტყიან ზოლში, ფრენს აპრილ-მაისში, ბნელ ტენიან ადგილებში, ხეობებსა და მის კალთებზე. კარგად ფრენს ლამის განათებაზე, დღისით ზის ხის ტანზე ან მის ტოტებზე. წელიწადში იძლევა ერთ თაობას. მატლი გვხვდება ივნის-ივლისში ახალგაზრდა მცენარეებზე: კვიდო (*Ligustrum*), მითითებულია ადგილობრივი იფანიც (*Fraxinus*) [ეფენდი, 1968; Мирзоян, Батиашвили, 1982]. ჭუპრი იზამთრებს ფაშარად ნაქსოვ პარკში, ხეების ქერქის ქვეშ ან ხესთან ახლოს ნიადაგში.

**გავრცელება.** აზერბაიჯანი, ჩრ. ირანი.

ცხრილი 1.

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებული ფარშავანგთვალების განაწილება

**ცალკეულ რეგიონებში\***

№№	სახეობა	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი
ოჯ.	<i>Saturniidae</i>			
1	<i>Samia cynthia</i> Dr.	●		
2	<i>Neoris huttoni</i> Mr.			○
3	<i>Saturnia pyri</i> Schiff.	●	●	●
4	<i>Pavonia pavonia</i> L.	●	○	○
5	<i>Pavonia spinii</i> Schiff.	●	○	○
6	<i>Pavonia cephalariae</i> Chr.	○	○	
7	<i>Perisomena caecigena</i> Kup.	●	●	●
ოჯ.	<i>Brahmaeidae</i>			
8	<i>Brahmaea ledereri</i> Rghf.	○		
9	<i>Brahmaea christophi</i> Stgr.			●
	სულ	7	5	6

\* ● – მუზეუმის კოლექციის ნიმუშები, ○ – ლიტერატურული წყაროები

ამგვარად, ფარშავანგთვალების ჯგუფი სამხრეთ კავკასიაში 9 სახეობით და ორი ოჯახითაა წარმოდგენილი : *Saturniidae* -7 სახეობა, (78 % საერთო ფაუნიდან) და *Brahmaeidae* – 2 სახეობა (22 %). რეგიონების მიხედვით იგი შემდეგნაირადაა გადანაწილებული: საქართველო – 7 სახეობა (78 %), სომხეთი – 5 სახეობა (55 %) და აზერბაიჯანი – 6 სახეობა (67 %). ჯგუფის 9 სახეობიდან საერთოა: ამიერკავკასიის სამივე ტერიტორიისათვის - 4 სახეობა (44.4 %), მხოლოდ საქართველოსა და სომხეთისათვის – 1 სახეობა (11.1 %), მხოლოდ აზერბაიჯანისათვის – 1(11.1 %) სახეობა (●*Brahmaea christophi* Stgr.), მხოლოდ საქართველოსათვის – 2(22.2 %) (○*Brahmaea ledereri* Rghf., ●*Samia cynthia* Dr.).

### ანალიზი

ფარშავანგთვალები ქერცლფრთიანების ერთერთი უძველესი ჯგუფია. მათი ასაკი კავკასიის ტერიტორიაზე მიოცენით თარიღდება [Рябов, 1958; Эффенди, 1971]. კ. ვერეშაგინის გადმოცემით [Верещагин, 1958] ეს ის პერიოდია, როდესაც შავი და კასპიის ზღვა გაერთიანებული იყო პატარ-პატარა კუნძულებით და წყლის დიდი აუზით, რომლისგანაც შემდგომში ჩამოყალიბდა სარმა-ტის ზღვა. ზღვის სანაპირო ზოლზე, თვით კუნძულების ჩათვლით, ბატონობდა ტროპიკული და სუბტროპიკული ჰავა [Синицин, 1967], ფლორა და ფაუნა. ამის დასტურია კოლხეთისა და ჰირკანის რელიეფურ ტყეებში დღემდე შემორჩენილი სუბტროპიკული მცენარეები : ძელქვა (*Zelkova*), წყავმაზა (*Phillyrea*), წაბლფოთოლა მუხა (*Quercus castaneifolia*) და სხვ. [Гросгейм, 1948] და ფაუნის ტროპიკული გვარები, მათ შორის გვარი *Brahmaea* (ოჯახი *Brahmaeidae* - ტალღოვანი ფარ-შავანგთვალები). სავარაუდოა, რომ ბრამეას ნომინატური სახეობა ზღვის მთელ სანაპიროზე იყო გავრცელებული. შემდგომში, მცირე და დიდი კავკასიონის მთათანარმოქმნის პროცესში, როდესაც წყალმა თანდათან უკან დაიხია, დასაწყისში თრიალეთის ზეგნით, ხოლო მოგვიანებით სურამის და თრიალეთისა ქედებით, კავკასიის ტერიტორია საბოლოოდ ორ ჩაკეტილ ნაწილად გაიყო - კოლხეთი და თალიში. ამ რეფუგიუმების ხანგრძლივმა იზოლიაციამ ბრამეას ნომინატურ სახეობიდან ადგილობრივი ფორმების - კოლხური *Brahmaea ledereri* Rghf., და თალიშური *Brahmaea christophi* Stgr. წარმოქმნა გამოიწვია. ისინი მეოთხეულ გამყინვარებასაც გადაურჩნენ და მ. რიაბოვის მხატვრული გამოთქმით „ფაუნას ცოცხალი ნამარხების“ სახით შემორჩნენ [Рябов, 1958].

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს, აჭარისა და ლაზისტანის დაბლობის ტენიან ტყეებში (სურ.11,12), ერთეულების სახით გვხვდებოდა კოლხური ბრამეა (*Brahmaea ledereri* Rghf.). ერთდროულად, აღმოსავლეთ კავკასიაში, ჰირკანის ტყეში ბინადრობდა თალიშური ბრამეა (*Brahmaea christophi* Stgr.), რომელიც თავის ბიომში (სურ.10) დღესაც ინარჩუნებს საშუალო პოპულაციას. რაც შეეხება ლედერერის ბრამეას, მე-20 საუკუნის პირველ ნახევრიდან დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე არავის მოუპოვებია.

1982 წელს გამოდის დე ფრეინას ნაშრომი [Freina J. de ,1982], რომელიც ეხება ბრამეას გავრცელების შესწავლის შედეგებს თურქეთის ტერიტორიაზე. ნაშრომიდან ვვებულობთ, რომ ბრამეა არც თუ მცირე პოპულაციების სახით დღესაც მოიპოვება ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთისა და ქურთისტანის, მთიან ტენიან კოლხურ ტყის ლოკალურ უბნებში. როგორც ავტორი აღნიშნავს, თურქული ნიმუშები მთელი რიგი მორფოლოგიური და ბიოლოგიური (მკვებავი მცენარე) ნიშნებით, განსხვავდებიან კოლხური ბრამეასაგან, რის გამოც მას განიხილავს ცალკე ქვესახეობად-ssp. *zaba* de Freina,1982.

მიოცენის ბოლოს, ზედა სარმატში, ჩრთილოეთის ცალკეულ კუნძულებიდან დიდი კავკასიონის ნაოჭიან მთათა სისტემის შექმნამ საბოლოოდ დაასრულა კავკასიის ყელის ჩამოყალი-

ბება [Верещагин, 1958]. სამხრეთ-დასავლეთით გახსნილმა ფანჯარამ ხელი შეუწყო ევროპიდან მეზოფილური და ხმელთაშუაზღვისეული ქსეროფილური სახეობების შემოდინებას. მეცნიერთა აზრით [Рябов, 1958; Эффенди, 1971] ამ პერიოდში შემოიჭრა კავკასიაში გვარი *Saturnia* და დაიკავა მეზოფილური და ჰემიქსეროფილური ნიშები მცირე და დიდ კავკასიონზე.

სხვა მდგომარეობაა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში. მესამეულის ბოლოს თურგაის ყურის ჩაკეტვით, ტერიტორიის დიდ ნაწილზე, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრული იყო ყარსის პლატოთი, დარალგეზის, ზანგეზურის, მეგრის და ნახჭევანის მთიანეთით (სურ. 14, 15, 16), ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ზონა შუა აზიის ქსეროფიტული მცენარეულობით და დღემდე შეუცვლელი გარემო პირობებით [Гросгейм, 1948; Синицин, 1967]. ამით აიხსნება ტერიტორიის ამ ნაწილში ავტოხტონური სახეობების წარმოქმნის სიჭარბე. მაგალითად, ასეთია ევროპული *Pavonia spini Schiff.*-ისაგან მონათესავე ამიერკავკასიის ენდემური სახეობის *Pavonia cephalariae Kup.* [Рябов, 1958] ჩამოყალიბება.

ფარშავაგთვალების ჯგუფის არქაულობაზე მიგვანიშნებს ჯგუფის არეოლოგიური სპეციტრი: ამიერკავკასიის 9 სახეობიდან ავტოხტონებს მიეკუთვნება 3 ანუ 33 % (*Brahmaea ledereri Rghfr.*, *Brahmaea christophi Stgr.*, *Pavonia cephalariae Chr.*), დანარჩენი 6 ანუ 67% -ალლოხტონია. მათგან ერთი – *Perisomena caecigena Kup.* ხმელთაშუაზღვურია, ერთი – *Samia cynthia Dr.* ტროპიკულ-აზიური, ერთი - *Neoris huttoni Mr.* - ცენტრალურ- აზიური, ხოლო 3 –*Pavonia spini Den. et Schiff.*, *Pavonia pavonia L.*, *Saturnia pyri Schiff.* ევროპული წარმოშობის სახეობებია.

არქაულობის დამადასტურებელ სურათს იძლევა ავტოხტონების ლანდშაფტურ-გენეტიკური-ანალიზიც. ენდემების 3 სახეობიდან 2 სახეობა დაბლობისა და მთისნინების ტენიან ტყეების ტროპიკული წარმოშობის ენდემი და რელიქტია, ხოლო 1 -კავკასიური წარმოშობის მთის ქსეროფიტია.

ჯგუფის სიძველე ასახულია სახეობათა რიცხოვნობაზეც. ამიერკავკასიაში დარეგისტრირებულ 9 სახეობიდან: ჩვეულებრივი სახეობაა 1 (*Satirus pyri Schiff.*), ლოკალურ ადგილებში არც თუ იშვიათია – 1 (*Neoris huttoni Mr.*), მაგრამ იშვიათი და ძლიერ იშვიათია -6 (*Pavonia spini Schiff.*, *Pavonia pavonia L.*, *Perisomena caecigena Kup.* და *Brahmaea christophi Stgr.*, *Samia cynthia Dr.*, *Pavonia cephalaria Chr.*), ქრებადია - 1 (*Brahmaea ledereri Rghf.*) ანუ სულ 7 სახეობა ე.ი. 78% მთელი ფაუნის. ამან განაპირობა ის, რომ ამიერკავკასიის 9 სახეობიდან სახელმწოდო დაცვას ექვემდებარება, იშვიათ სახეობათა ნუსხებსა და ნითელ ნიგნებშია შეტანილი 6 სახეობა: *Brahmaea ledereri Rghf.*, *Brahmaea christophi Stgr.*, *Pavonia cephalariae Chr.*, *Perisomena caecigena Kup.*, *Pavonia spini Schiff.* და *Pavonia pavonia L.* [Мирзоян, Батиашвили, 1982; Красная книга СССР -1984; Красная книга Армянской ССР, 1987; Красная книга Азербайджанской ССР, 1989; Дидманидзе, Схиртладзе, Нинуа и др., 2002; საქართველოს ნითელი ნუსხა, 2006].

ფარშავანგთვალების ჯგუფი სახეობრივი სიმრავლითა და ფართო გავრცელებით გამოირჩევა თავის სამშობლოში: ამერიკის, აფრიკის და აზიის ტროპიკულ ქვეყნებში. მსოფლიოში 1500 –მდე სახეობაა, პალეარქტიკაში 30, ხოლო ევროპაში სულ 10 სახეობას ითვლიან. ამ მონაცემების გათვალისწინებით, მიუხედავად ჯგუფის არქაულობისა, იშვიათი თუ ქრებადი სახეობების სიჭარბისა, სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ბინადრობს მთელ პალეარქტიკაში გავრცელებულ ფარშავანგთვალების ფაუნის 30%, ხოლო ევროპული ფაუნის 90%. ეს მაჩვენებლები, ჯგუფის ენდემიზმის 33% -თან ერთად კავკასიის ფაუნის თვითმყოფადობასა და მის მრავალფეროვნებას განსაზღვრავს. ამიტომ, ფარშავანგთვალების ჯგუფი შემდგომში შეიძლება გამოყენებული იქნეს კავკასიის ქერცლფრთიანების სხვა ჯგუფების მრავალფეროვნების განსაზღვრის ინდიკატორადაც.

მაშასადამე, წარმოდგენილ სტატიით საქართველოს ფარშავანგთვალების ფაუნისტურ სიას შეემატა სახეობა *Samia cynthia* Dr. მართალია, აფხაზეთის ფაუნის წევრად მისი აღიარება რ.პინგლერისადას. ნაუმანის მიერგვარ *Semia*-სირგვლივჩატარებულირევიზის გამოქვეყნებულ შედეგებშიც აისახა [Pengler, Nauman, 2002], მაგრამ სხვა წყაროებისა და რაც მთავარია, ფაქტობრივი ნიმუშების უქონლობის გამო კავკასიის ტერიტორიაზე მისი გავრცელება დღემდე სადაც იყო, მაგრამ საქართველოს ეროვნულ მუზეუმის კოლექციაში დაცული *Samia cynthia* Dr.-ის ფაქტობრივი ნიმუშებით, რომლებიც მოპოვებულია აჭარის და იმერეთის ტერიტორიაზე, სხვადასხვა წელს, საბოლოოდ დასტურდება სახეობის გავრცელება კავკასიაში და სახელდობრ, საქართველოს შავიზღვისპირეთის მთელ სუბტროპიკულ ზოლში.

## ZOOLOGY

### REVIEW OF FAUNA OF PEACOCKBUTTERFLIES (*LEPIDOPTERA: SATUNIIDAE, BRAHMAEIDAE*) OF SOUTHERN CAUCASUS FROM COLLECTION OF GEORGIAN NATIONAL MUSEUM

Etheri Didmanidze<sup>1</sup>, Valeri Petrov<sup>1</sup>

<sup>1</sup>Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105, Tbilisi, Georgia,  
E-mail: lepidopterology @ mail.ru; valeri.petrov @ mail.ru

#### Summary

The article provides the faunistic, bioecological and areal analysis of peacockbutterflies (*Saturniidae*, *Brahmaeidae*) distributed in Southern Caucasus.

The article is grounded on the factual specimens kept in the collections of the Georgian (former Caucasian) National Museum and on the reference data.

Based on the obtained results it was established that peacockbutterflies are represented in the Southern Caucasus with 2 families and 9 species: *Saturniidae* – 7 species (*Samia cynthia* Dr., *Neoris huttoni* Mr., *Saturnia pyri* Schiff., *Pavonia pavonia* L., *Pavonia spinii* Schiff., *Pavonia cephalarie* Chr., *Perisomena coecigena* Kup.) and 2 species of *Brahmaeidae* (*Brahmaea ledereri* Rgnh., *Brahmaea christophi* Stgr.). provided that there are 1500 species of peacockbutterflies worldwide, 30 species in Palearctic, and 10 species – in Europe, it was established that on the territory of Southern Caucasus are represented 30% of total peacockbutterflies distributed in Palearctic and 90% of the European fauna of these species. Based on this figures we may say that the species composition of peacockbutterflies has been detected on the studied area almost in full.

The peacockbutterflies are one of the oldest group of Lepidopterae. The majority of species of mesophile-dendrophils are of tropical origin and with its pattern are connected with the relict forests and plants of lowlands and foothills (*Phillyrea*, *Lygustrum*, *Quesrcus castaneifolia* and other). One inhabitant of mountain xerophytes is chortophile *Pavonia cephalaria*.

The ancient origin of those species is evidenced by the areal range of this group: out of 9 species

of Southern Caucasus, 3 or 33% are attributed to autochthons, those are: *Brahmaea ledereri Rghfr*, *Brahmaea christophi Stgr*, *Pavonia cephalarieae Chr.* The first two of them are relicts, their age on the territory of Caucasus starts from Miocene; the remained 6 or 67% are allochthons, where one - *Perisomena caecigena Kup.* - is Mediterranean, one - *Samia cynthia Dr.* - Tropical-Asian, one – *Neoris huttoni Mr.* – Central Asian, and three – *Pavonia spinii Den. et Schiff.*, *Pavonia pavonia L.*, *Saturnia pyri Schiff.* - are species of European origin.

The archaic character of this group in Caucasus is reflected in the number of species as well. Out of 9 species registered by us, one (*Saturnia pyri Schiff.*) is an ordinary species, one (*Neoris huttoni Mr.*) is not so rare locally, however 7 species (*Pavonia spinii Schiff.*, *Pavonia pavonia L.*, *Perisomena caecigena Kup.* and *Brahmaea christophi Stgr*, *Samia cynthia Dr.*, *Pavonia cephalaria Chr.*) are rare and very rare, and one (*Brahmaea ledereri Rghf.*) is vanishing. For this reason out of those 9 species, 6 species (67%) have been subject to the state protection and put in the lists of rare species and in the Red Books: *Brahmaea ledereri Rghf*, *Brahmaea christophi Stgr*, *Pavonia cephalaria Chr.*, *Perisomena caecigena Kup.*, *Pavonia spinii Schiff* and *Pavonia pavonia L.*)

As a result of the audit conducted by us in the collections of the Lepidopterae fund of the Georgian National Museum the following was established:

a)Out of peacockbutterflies group in the collection are represented 6 species, where 1 species (*Brahmaea christophi Stgr*) is the narrow endemic of Azerbaijan and was found in Talysh, and remained 5 species are distributed on the territory of Georgia.

b)For the complete representation of the Southern Caucasus fauna in future the collection shall be filled in with 3 species, those are: the Tertiary period relict, Kolkhetic endemic – *Brahmaea ledereri Rghf.* (Georgia or Northern Turkey), Southern Caucasus endemic – *Pavonia cephalariae Chr.* (Armenia) and Central Asia species *Neoris huttoni Moore* (Azerbaijan).

c)Based on the factual specimens kept in the collection of the Georgian National Museum and given in the article, it is finally established that the tropical species – *Samia cynthia Dr.*, which was introduced in Caucasus in the 20th century for sericulture development, adapted to the natural conditions, has become a part of the Caucasian peacockbutterflies fauna and today is distributed in the total subtropical belt of the Georgian Black sea coastal line.


## ლიტერატურა

- ლიდმანიძე ე., ჯობავა ჯ. -1987.** კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალის ქერცლფრთიანები (*Macrolepidoptera*). ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXXIV-:220-240
- ლიდმანიძე ე., სუპატაშვილი ა., გოგინაშვილი ნ. 2010.** საქართველოს ტყის პეპლები. ობილისი : 384გვ.
- Батиашвили И.Д.-1959.** Вредители континентальных и суптропических плодовых- культур. Тбилиси:453с.
- Верещагин Н.К. -1958.** История формирования наземной фауны Кавказского перешейка. В кн.: Животный мир СССР, М.-Л. т.5:486-505.
- Гросгейм А.А. -1948.** Растительный покров Кавказа. Москва:1-206.
- Дидманидзе Э.А.-1975.** Материалы по фауне чешуекрылых (*Macrolepidoptera*) Малого Кавказа (Месхет-Джавахети, Южная Грузия). Вестник Гос. Музея Грузии им С. Джанашиа, т.XXVIII –A:292-336.
- Дидманидзе Э.А. -1976.** К изучению фауны чешуекрылых (*Macrolepidoptera*) Малого Кавказа (р-ны Цалка-Дманиси), вестник Гос. Музея Грузии им. С.Н. Джанашиа, т. XXIX–A:154-184.
- Дидманидзе Э.А. -1978.** Чешуекрылые аридных ландшафтов Грузии (*Lepidoptera*, *Heterocera*). Тбилиси: 1-319.
- Дидманидзе Э.А.-1981.** Материалы по крупным чешуекрылым аридных ландшафтов Закавказья ( *Lepidoptera*, *Heterocera*-без семейств *Geometridae*,*Noctuidae*), ч. II, Вестник Гос. Музея Грузии им. С.Н. Джанашия, XXXI–A:129-139.
- Дидманидзе Э.А. -1987.** Некоторые редкие и эндемичные виды крупных чешуекрылых Кавказа, хранящиеся в Гос мзее Грузии. Вестник Гос. Музея Грузии им. С.Н. Джанашиа, т. XXXIV–A:211-219.

11. Красная книга -1984. СССР,Москва : 1-390.
12. Красная книга Армянской ССР, 1987. Ереван:1-123.
13. Красная книга Азербайджанской СССР, 1984. Баку:1-541.
14. Лозовой Д.И.-1941. Материалы к вредной энтомофауне лесов Грузии. Тр. зоол. сект. Грузфилиала АН СССР, № 3:191-206.
15. Миляновский Е.С.-1964. Фауна чешуекрылых Абхазии. Тр. Сухумской опытн. ст. эфири масл. культур, V: 91-190. Мирзоян С.А.-1977. Дендрофильные насекомые лесов и парков Армении. Ереван:453.
16. Мирзоян С.А., Батиашвили И.Д. -1982. Редкие насекомые. Москва:164с.
17. Рябов М.А.-1958. Чешуекрылые Кавказа. Животный мир СССР, М.-Л., V:351-375.
18. Синицин В.М.-1967. Введение в палеоклиматологию. Ленинград:1-281.
19. Столяров М.В., Годердзишвили Г.Ш.-1991. новый элемент в фауне СССР?, Москва, ж. Природа, 2:52-53.
20. Уваров Б.П.-1918. Обзор вредителей с.-х. растений Тифлиской и Эриванской Губерний за 1916-1917 гг, Тифлис:-349с.
21. Эффенди Р.Э.-1968. К изучению фауны павлиноглазок Закавказья (Lepidoptera, Saturniidae, Brahmaeidae). Материалы сессии Закавказского совета по координации научно-исследовательских работ по защите растений. Тбилиси:536-538.
22. Эффенди Р.Э. -1971. Некоторые этапы истории формирования фауны высших чешуекрылых Закавказья. Зоологический ж., Москва, т.Л:696 -703.
23. Christoph H.-1886. Verzeichniss aller bisjetzt in Talyssch gesammelten Schmetterlinge. Die Fauna und Flora des Südwest Caspi-gebietes. Leipzig:237-245.
24. Daniel Franz -1965. Österreichische Entomologische Iran-Afghanistan-Expeditionen Beiträge zur Lepidoptero-fauna, Teil 4. J. Zeitschrift der Wiener Entomologischen Gesellschaft, München, 50:9-39.
25. Didmanidze E. – 2005. The butterflies of Georgia ( On some Endemic, Relic and other Rare Species ) Tbilisi:88p.
26. Freina J. de -1779. Beitrag zur systematischen Erfassung der Bombyces und Sphinges Fauna Kleinasiens. J. "Atlanta", 10. Band, Heft 3. Würzburg ISSN 0171-0079:175-244 .
27. Freina J. de -1982. Eine neue Population von Brahmaea ledereri Rogenhofer, 1873 (Brahmaea ledereri zaba ssp.n.) in Türkisch-Kurdistan, sowie Nachweis der Konspezifität von Brahmaea ledereri Rogenhofer, 1873 und Brahmaea christophi Staudinger, 1879 (lepidoptera, Brahmaeidae). J. Entomofauna Zeitschrift für entomologie. Bend 3, Heft 9, ISSN 0250-4413, München:129-139.
28. Freina J. de -1982a. 4. Beitrag zur systematischen Ertassung der Bombyces und Nomenklatur sowie Beschreibung neuer taxa (Lepidoptera). Mitteilungen der Münchner entomologischen Gesellschaft, 72:57-127.
29. Freina J. de -1992. Beitrag zur Kenntnis der Gattung Neoris Moore, 1862 mit Neuebeschreibung ihrer kleinasiatischen Vertreter (Lepidoptera:Saturniidae). Entomologische Zeitschrift Frankfurt a.Main 102(13):233-252.
30. Peigler R.S. & Naumann S. -2002. A Revision of the Silkmoth Genus Samia. Univ. Incarnate Word. San Antonio:230p.
31. Radde G.-1899. Lepidoptera Caucasic, "Collection Museum Caucasicus", Tiflis, Bd.I:419-422.
32. Richard S. Peigler and Stephan Nauman -2002. A revision of the Silkmoth Genus Samia. University of the Incarnate Word San Antonio, Texas:230.
33. Romanoff N.M. -1885. Les Lepidopteres de la transcaucasie, In: "Mémoires sur les lépidoptères". St Petersbourg, v.II: 3-118.



სურ. 1. *Samia cynthia* Dr.



სურ. 2. *Neoris huttoni* Pnglr.



სურ. 3. *Saturnia pyri* Schiff.



სურ. 4. *Pavonia pavonia* L.



სურ. 5. *Pavonia spinii* Schiff.



სურ. 6. *Pavonia cephalariae* Chr.




სურ. 7. *Perisomena caecigena* Kup.



სურ. 8. *Brahmaea ledereri* Rgnhf.



სურ. 9. *Brahmaea christophi* Stgr.



სურ. 10. პირვანის რელიქტური ტყეების (Parrotia persica) დაჯგუფებით,  
თალიში, აზერბაიჯანი (ე.დიდმანიძე)



სურ. 11. კოლხური ნაბლნარი (*Castanea sativa*) ტყე  
მარადმწვანე ქვეტყით, აჭარა (ვ.პეტროვი)



სურ. 12. კოლხური ტყე წყავმაზით (*Phillyrea wilmoriniana*),  
აჭარა (ვ.პეტროვი)




სურ. 13. ტბა რინა. რინის ნაკრძალი, აფხაზეთი  
(ე.დიღმანიძე)



სურ. 14. ზანგეზურის მთა, მთის ქსეროფიტები  
(ე.დიღმანიძე)



სურ. 15. პარაგაჩის ხეობა, ნახიჭევანი (ე.დიღმანიძე)



16. ღვიის ნათელი ტყე (*Juniperus polycarpos*), ხოსროვის  
ნაკრძალი (ე.დიღმანიძე)

## ზოოლოგია

### თბილისის ქვაბულის ობობების (*Arthropoda, Araneae*) ფაუნისტური მიმოხილვა

ვერა ფხაკაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3. 0105 თბილისი,  
საქართველო, ელ ფოსტა: vpkhakadze@museum.ge

თბილისის ქვაბულის არანეოფაუნა წარმოდგენილია 252 სახეობით, რომლებიც გაერთიანებ-  
ულები არიან 109 გვარში და 31 ოჯახში. 11 გვარი და 41 სახეობა პირველად არის აღნიშნული,  
საქართველოს ფაუნისათვის, აქედან 4 სახეობა კავკასიის ფაუნისათვის, ხოლო 114 სახეობა და  
38 გვარი, 8 ოჯახი საკვლევი რაიონის ფაუნისათვის.

სახეობათა სახელწოდებები მოცემულია ობობების მსოფლიო კატალოგის ელექტრონული  
ვერსიის მიხედვით (Platnick, 2011). თითოეული სახეობისთვის მოცემულია შეგროვების ადგილი  
თბილისის ქვაბულის ფარგლებში, მოტანილია ცნობები არეალისა და ბიოეკოლოგიის შესახებ  
(მხეიძე, 1992, 2004).

ტიპი — ფეხსახსრიანები (*Arthropoda*)  
ქვეტიპი — ქელიცერიანები (*Chelicerata*)  
კლასი — ობობასნაირები (*Arachnida*)  
რიგი — ობობები (*Araneae*)

საკვანძო სიტყვები: თბილისის ქვაბული, ფაუნა, ობობები.

ფაუნისტური მიმოხილვა<sup>1</sup>

1. ოჯახი - *Filistatidae*\*

1. გვარი — *Filstata Latreille, 1810*\*

1. სახეობა — *Filstata insidiatrix (Forskal, 1775)*\*

მოპოვების ადგილი: მცხეთის მიდამოები, თბილისის ზღვის მიდამოები, შავნაბადა, ფონიჭალა.

საერთო არეალი: პალეარქტიკული.

ბიოტოპი: ქსეროფილური ბუნების, ნახევრად სინანტროფული (ჰემი-სინანტროფული სახეო-  
ბა), ბინადრობს კლდეებსა და ქვის კედლებში.

ბიოლოგია: კოპულაცია მიმდინარეობს მდედრის აბლაბუდის მილში, სადაც მამრებიც აღწევენ.

შეხვედრის სიხშირე: ჩვეულებრივი.

<sup>1</sup> მოპოვების ადგილში აღნიშნულია, მხოლოდ ის ტერიტორიები, რომელის თბილისის ქვაბულსა და მის შემოგარ-  
ენის არეალს მოიცავს.

## II ოჯახი — *Scytodidae*\*

2. გვარი — *Scytodes Latreille, 1804*\*

2. სახეობა — *Scytodes thoracica (Latreille, 1802)*\*

ფურთხია ობობა.

მოპოვების ადგილი: საგურამოს ნაკრძალი, კუს ტბის მიდამოები.

საერთო არეალი: ჰოლარქტიკული.

ბიოტოპი: მეზოფილური სახეობაა, ბინადრობს ტყეები.

ბიოლოგია: მოძრაობები ნელა, წყვეტილად, ხტომით. ეს ობობები არ აგებენ საჭერ ქსელს, მაგრამ იყენებენ მსხვერპლის შეპყრობის ორიგინალურ ხერხს, რაც შემდეგში მდგომარეობს: მწერიდან 1-2სმ დაშორებით ობობა აკეთებს ნახტომს უკან და ამავე დროს ასხურებს მწებავ სეკრეტს („სართავ შხამიანი“ ჯირკვლიდან). გამოყოფილი სეკრეტი ღებულობს ზიგზაგური ძაფის ფორმას, რომელიც ჰაერზემკვრივდება და მწერსანებებს სუსტსტრატზე. სართავ-შხამიანი ჯირკვლის სეკრეტი გამოიყოფა ქელიცერის ბოლოზე და მსხვერპლზე ახდენ, ტოქსიკურ ზემოქმედებას (ჰიპო-ტროფული შხამიანი ჯირკვლები იკავებენ მთელი თავმკერდის უკანა ნაწილს. კოპულირებენ მარტიდან ოქტომბრამდე. ზაფხულში ობობები სააბლაბუდე მეჭეჭით დაატარებენ კვერცხებს, რომელთა რაოდენობა პარკში 2-3-ია. იზრდებიან ნელა, იზამთრებენ 2 ჯერ, ცოცხლობენ 4-5 ნელს ცოცხლობენ).

შეხვედრის სიხშირე: იშვიათი.

## III ოჯახი — *Pholcidae*\*

3. გვარი — *Pholcus Walckenaer, 1805*\*

3. სახეობა — *Pholcus phalangioides (Fuesslin, 1775)*\*

მოპოვების ადგილი: კოჯორი, საგურამოს ნაკრძალი, მცხეთის მიდამოები, ლისის ტბა, თბილისი — (ბინა, ფუნიკულიორი, ვერეს ხეობა, კუს ტბა, თბილისის ზღვის მიდამოები).

საერთო არეალი: კოსმოპოლიტური სახეობაა.

ბიოტოპი: სინანტროფული სახეობაა, ბინადრობს ადამიანის საცხოვრებელ ბინებში, სხვადასხვა სახის შენობებში (სარდაფები).

შეხვედრის სიხშირე: მრავალრიცხოვანი.

## 4. გვარი — *Spermophora Hent., 1841*\*\*

4. სახეობა - *Spermophora senoculata (Duges, 1836)*\*\*

მოპოვების ადგილი: მცხეთის მიდამოები, თბილისის ზღვის მიდამოები, კუს ტბა.

საერთო არეალი: ჰოლარქტიკული.

ბიოტოპი: ევრიბიონტული სახეობაა. ბინადრობს ტყეები.

შეხვედრის სიხშირე: მრავალრიცხოვანი.

## IV ოჯახი — *Segestriidae* \*

5. გვარი — *Segestria Latreille, 1804*\*

5. სახეობა — *Segestria bavarica C.L.Koch, 1843*\*

მოპოვების ადგილი: კოჯორი, საგურამოს ნაკრძალი, არმაზი, თბილისის ზღვის მიდამოები.

საერთო არეალი: პალეარქტიკული.

ბიოტოპი: ევრიბიონტული სახეობაა, ბინადრობს კლდეებსა და ქვიან კედლებში.

ბიოლოგია: მდედრი აბლაბუდისაგან აკეთებს პარკს, რომელშიც მოთავსებულია ობობა თავისი კვერცხებით.

შეხვედრის სიხშირე: მრავალრიცხოვანი.

**Vოჯახი — *Dysderidae* +**

**6. გვარი — *Cryptoparachtes* Dunin, 1992+**

**6. სახეობა — *Cryptoparachtes charitonovi* (Mcheidze, 1972)\***

**მოპოვების ადგილი:** კიკეთი, საგურამოს ქედი, ზემო ავჭალა, კუს ტბა, ფუნიკულიორი.

**საერთო არეალი:** სამხრეთ კავკასიური (საქართველოს ენდემია).

**ბიოტოპი:** ტყის ბინადარი მეზოფილური სახეობაა.

**შეხვედრის სიხშირე:** ჩვეულებრივი.

**7. სახეობა — *Cryptoparachtes fedotovi* (charit., 1956) (ემფ\*)**

**მოპოვების ადგილი:** თბილისი — შავნაბადა.

**საერთო არეალი:** სამხრეთ კავკასიური (სამხრეთ კავკასიის ენდემია)

**ბიოტოპი:** ტყის ბინადარი მეზოფილური სახეობაა.

**შეხვედრის სიხშირე:** ჩვეულებრივი.

**7. გვარი — *Dysdera* Latreille, 1804 +**

**8. სახეობა — *Dysdera azerbaijdzhanaica* Charitonov, 1956+**

**მოპოვების ადგილი:** მცხეთის მიდამოები, თბილისი — ბოტანიკური ბაღი, თბილისის ზღვა, კუს ტბა, ფუნიკულიორი.

**საერთო არეალი:** კავკასიური (კავკასიის ენდემია)

**ბიოტოპი:** ევრიბიონტული სახეობაა, ბინადრობს ბალახოვან საფარში.

**შეხვედრის სიხშირე:** მრავალრიცხოვანი.

**9. სახეობა — *Dysdera crocata* C. L. Koch, 1838 (ემფ\*)**

**მოპოვების ადგილი:** კოჯორი, თბილისი.

**საერთო არეალი:** კოსმოპოლიტური სახეობაა.

**ბიოტოპი:** ევრიბიონტული სახეობაა, ბინადრობს ადამიანის საცხოვრებელ ადგილებში.

**შეხვედრის სიხშირე:** მრავალრიცხოვანია.

**10. სახეობა — *Dysdera erythrina* (Walckenaer, 1802) (ემფ\*)**

**მოპოვების ადგილი:** თბილისი.

**საერთო არეალი:** ევროპული.

**ბიოტოპი:** ტყის ბინადარი მეზოფილური სახეობაა.

**შეხვედრის სიხშირე:** ჩვეულებრივი.

**11. სახეობა — *Dysdera Dunini Deleeman Reinod, 1938\****

**მოპოვების ადგილი:** კოჯორი, ორთაჭალა.

**საერთო არეალი:** ფართო ხელთაშუაზღვიური სახეობაა.

**ბიოტოპი:** ტყის ბინადარი მეზოფილური სახეობაა, ხშირად ტემპერატურის დაწევასთან დაკავშირებით შემოდგომის ბოლოს, შემოდის ბინებში. გაზაფხულზე ტემპერატურის აწევის შემთხვევაში (მარტი, აპრილი) ისევ ბრუნდება ბუნებაში.

**შეხვედრის სიხშირე:** მრავალრიცხოვანი.

12. სახეობა — *Dysdera richteri* Charitonov, 1956 (\*ემფ)

მოპოვების ადგილი: თბილისი — შავნაბადა.

საერთო არეალი: ევროპული.

ბიოტოპი: ტყის ბინადარი მეზოფილური სახეობაა.

შეხვედრის სიხშირე: მცირერიცხოვანი.

13. სახეობა — *Dysdera spasskyi* Charitonov, 1956\*

მოპოვების ადგილი: კოჯორი, უძო, საგურამოს ნაკრძალი, თბილისი — ფუნიკულიორი, ფონიჭალა.

საერთო არეალი: სამხრეთ კავკასიური (საქართველოს ენდემია)

ბიოტოპი: ტყის ბინადარი მეზოფილური სახეობაა.

შეხვედრის სიხშირე: ჩვეულებრივი.

14. სახეობა — *Dysdera tbilisiensis* Mccheidze, 1979 (\*ემფ)

მოპოვების ადგილი: თბილისი — ს. დილომი.

საერთო არეალი: სამხრეთ კავკასიური (საქართველოს ენდემია.)

ბიოტოპი: ტყის ბინადარი მეზოფილური სახეობაა.

შეხვედრის სიხშირე: იშვიათი.

15. სახეობა — *Dysdera ukrainensis* Charitonov, 1956 (\*ემფ)

მოპოვების ადგილი: კოჯორი, თბილისი.

საერთო არეალი: სამხრეთ ევროპული.

ბიოტოპი: ტყის ბინადარი მეზოფილური სახეობაა.

შეხვედრის სიხშირე: ჩვეულებრივი.

16. სახეობა — *Dysdera westringi* O. P.-Cambridge, 1872 (\*ემფ)

მოპოვების ადგილი: თბილისი.

საერთო არეალი: ფართო ხმელთაშუაზღვიური სახეობაა.

ბიოტოპი: ტყის ბინადარი მეზოფილური სახეობა.

შეხვედრის სიხშირე: ჩვეულებრივი.

## 8. გვარი — *Harpactocrates* Simon, 1914+

17. სახეობა — *Harpactocrates trialetiensis* Mccheidze, 1997 (\*ემფ)

მოპოვების ადგილი: კოჯორი (უძო-1400მ ზ.დ.), საგურამოს ქედი.

საერთო არეალი: სამხრეთ კავკასია (საქართველოს ენდემია)

ბიოტოპი: ტყის ბინადარი მეზოფილური სახეობაა.

შეხვედრის სიხშირე: ჩვეულებრივი.

9. გვარი — *Hygrocrates* Deeleman-Reinhold, 1988 (\*ემფ)

18. სახეობა — *Hygrocrates georgicus* (Mccheidze, 1972) (\*ემფ)

მოპოვების ადგილი: კოჯორი, თბილისი.

საერთო არეალი: სამხრეთ კავკასია (საქართველოს ენდემია).

ბიოტოპი: ტყის ბინადარი მეზოფილური სახეობაა.

შეხვედრის სიხშირე: იშვიათი.

## *VII ოჯახი — Mimetidae ( ემფ )*

**10. გვარი — *Ero C. L. Koch, 1836 (\*ემფ)***

19. სახეობა — *Ero aphana (Walckenaer, 1802) (\*ემფ)*

მოპოვების ადგილი: თბილისი.

საერთო არეალი: პალეარქტიკული.

ბიოტოპი: ევრიბიონტული სახეობაა, გვხვდაბა ხეებსა და ბუჩქებზე.

შეხვედრის სიხშირე: მრავალრიცხოვანი.

## *VII ოჯახი — Eresidae+*

**11. გვარი — *Eresus Walckenaer, 1805+***

20. სახეობა — *Eresus cinnaberinus (Olivier, 1785)\* შავი ერეზუსი*

=*E. niger (Petagna, 1787)*

მოპოვების ადგილი: კიკეთი, საგურამოს ნაკრძალი, არმაზის ხეობა, თბილისის ზღვის მიდამოები, შავნაბადა.

საერთო არეალი: პალეარქტიკული.

ბიოტოპი: ქსეროფილური სახეობაა, ბინადრობს ბალახებში.

ბიოლოგია: კოპულაცია გაზაფხულზე მიმდინარეობს საკვერცხე პარკები დიდი ზომისაა, რომელშიც 70-80 კვერცხია მოთავსებული.

მდედრი კვერცხების პარკს დამით სოროში ინახავს, დღისით კი მზეზე გამოკიდებს. შვილების გამოჩეკვის შემდეგ მდედრი კვდება. შვილები მკვდარ მდედრებთან იზამთრებენ.

შეხვედრის სიხშირე: მრავალრიცხოვანი.

21. სახეობა — *Eresus Lavrosiae Mccheidze 1979 (\*ემფ)*

მოპოვების ადგილი: კოჯორი (უძო) 1400მ.ზ.დ., თბილისი.

საერთო არეალი: სამხრეთ კავკასიური (საქართველოს ენდემია).

ბიოტოპი: ქსეროფილური სახეობაა, ბინადრობს ბალახებში.

შეხვედრის სიხშირე: იშვიათი.

## *VIII ოჯახი — Oecobiidae\**

**12. გვარი — *Oecobius Lucas, 1846\****

22. სახეობა — *Oecobius annulipes (H. Lucas, 1846)\**

მოპოვების ადგილი: თბილისის ზღვის მიდამოები, ზემო ავჭალა.

საერთო არეალი: ევროპული.

ბიოტოპი: ევრიბიონტული სახეობაა, ბინადრობს კლდეებსა და ქვის კედლებში.

შეხვედრის სიხშირე: მრავალრიცხოვანი.

## *IX ოჯახი — Uloboridae +*

**13. გვარი — *Hyptiotes Walckenaer, 1837 (\*ემფ)***

23. სახეობა — *Hyptiotes paradoxus (C.L.Koch, 1834) (\*ემფ)*

მოპოვების ადგილი: თბილისი.

საერთო არეალი: ჰოლარქტიკული.

ბიოტოპი: მეზოფილური სახეობაა, ბინადრობს ხეებსა და ბუჩქებზე.

შეხვედრის სიხშირე: ჩვეულებრივი.

**14. გვარი — *Uloborius* Latr., 1846+**

24. სახეობა — *Uloborius walckenaerius* Latr., 1806+

მოპოვების ადგილი: ავჭალა, თბილისის ზღვის მიდამოები.

საერთო არეალი: პალეარქტიკული.

ბიოტოპი: ქსეროფილური სახეობაა, ბინადრობს ბალახებში.

ბიოლოგია: ქსოვს წრისებურ ბადეს, სადაც კვერცხებს ათავსებს. კვრცხების რაოდენობა პარკში 60-90 მდეა.

შეხვედრის სიხშირე: მრავალრიცხოვანი.

**Xოჯახი — *Theridiidae* +**

**15. გვარი — *Achaearanea* Strand, 1929+**

25. სახეობა — *Achaearanea lunata* (Clerck, 1757)+

მოპოვების ადგილი: მანგლისი, ფუნიკულიორი, თბილისის ზღვის მიდამოები, ავჭალა.

საერთო არეალი: პალეარქტიკული.

ბიოტოპი: ევრიბიონტული სახეობაა, გვხვდება ხეებსა და ბუჩქებზე.

ბიოლოგია: დამჭერი ქსელი დიდი ზომისაა, ივლისში მდედრი ქსოვს პატარა ზომის თავშესაფარს მცენარეთა ნარჩენებისაგან, აქვე ჩამოკიდებს საკვერცხე პარკს.

შეხვედრის სიხშირე: მრავალრიცხოვანი.

26. სახეობა — *Achaearanea tepidariorum* (C. L. Koch, 1841)\*

მოპოვების ადგილი: ბეთანია, კოჯორი, წყნეთი, ფუნიკულიორი, თბილისის ზღვის მიდა-მოები, ვერეს ხეობა, არმაზი, კუს ტბის მიდამოები.

საერთო არეალი: კოსმოპოლიტური.

ბიოტოპი: ევრიბიონტული სახეობაა, ბინადრობს ბალახებში.

შეხვედრის სიხშირე: მრავალრიცხოვანი.

**16 გვარი — *Dipoena* Thorell, 1869\***

27 სახეობა — *Dipoena melanogaster* (C. L. Koch, 1837)\*

მოპოვების ადგილი: მანგლისი, საგურამო, მცხეთის მიდამოები, მარტყოფი.

საერთო არეალი: აღმოსავლეთ პალეარქტიკული.

ბიოტოპი: ევრიბიონტული სახეობაა, ბინადრობს ხეებსა და ბუჩქებზე.

შეხვედრის სიხშირე: მრავალრიცხოვანი.

**17 გვარი — *Enoplognatha* Pavesi, 1880+**

28 სახეობა — *Enoplognata ovatha* (Clerck., 1757)+

მოპოვების ადგილი და დრო: კოჯორი, კიკეთი, ბეთანია, მანგლისი, საგურამო, მცხეთა, თბილისის ზღვის მიდამოები, არმაზის ხეობა, კუს ტბა, ფუნიკულიორი, დილომი.

საერთო არეალი: ჰოლარქტიკული.

ბიოტოპი: ევრიბიონტული სახეობაა, ბინადრობს ხეებსა და ბუჩქებზე. ბალებში (ქოლგოსნებზე, რთულყვავილოვან მცენარეებზე, ტყის მინდვრებში).

ბიოლოგია: მსხვერპლის დამჭერ ქსელს ქსოვს. ივნისის ბოლოს გვხვდება ორივე სქესის სქესმნიფე ფორმები, რომლებიც პარკებში არის გახვეული, რომელთა რაოდენობა 150 ცალს შეადგენს, მეორედ დადებული კვერცხები უფრო ცოტაა და პარკი შედარებით თხელი.

შეხვედრის სიხშირე: მრავალრიცხოვანი.

**29 სახეობა — *Enoplognata latimana Hippa ey oksala*, 1982\*\***

**მოპოვების ადგილი:** მცხეთა, კიკეთი, უძო, შიომღვიმე, ვერეს ხეობა, ფუნიკულიორი, კუს ტბა, თბილისი ზღვის მიდამოები, არმაზი, ავჭალა.

**საერთო არეალი:** ჰოლარქტიკული.

**ბიოტოპი:** ევრიბიონტული სახეობაა, ბინადრობს ხეებსა და ბუჩქებზე.

**შეხვედრის სიხშირე:** მრავალრიცხოვანი.

**18 გვარი — *Episinus Walck.*, 1805+**

**30 სახეობა — *Episinus truncatus Latr.*, 1809+**

**მოპოვების ადგილი:** მცხეთის მიდამოები, თბილისი, შავნაბადა.

**საერთო არეალი:** პალეარქტიკული.

**ბიოტოპი:** ევრიბიონტული სახეობაა, ბინადრობს ბალახებში.

**შეხვედრის სიხშირე:** მრავალრიცხოვანი

**19 გვარი — *Latrodectus Walck.*, 1805+**

**31 სახეობა — *Latrodectus tredecimguttatus (Rossi, 1790)*+**

**მოპოვების ადგილი:** არმაზის ხეობა, თბილისი — ბოტანიკური ბაღი, შავნაბადა, კუს ტბა.

**საერთო არეალი:** პალეარქტიკულ-ეთიოპიური.

ნაშრომში მოცემულია კავკასიის უკუდო და კუდიანი ამფიბიების ქართული, ლათინური, ინგლისური და რუსული სახელწოდებები. ეს ტერმინოლოგია შესაბამისობაშია თანამედროვე სისტემატიკასთან. ძირითადი მონაცემები ემყარება ორ შრომას (მუსხელიშვილი, ჩხიკვაძე. 2000; А娴ьевна и др., 1988). სიაში ჩართულია აგრეთვე ბოლო ნლებში დადგენილი ახალი სახეობები: თალიშის გომბეშო, გუმილევსკის ვასაკა (Litvinchuk et al., 2006, 2008) და ნიკოლსკის ჯვრიანა (Чхиквадзе, Квачадзе, 2011). გარდა ამისა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში ჩვენ აღმოვაჩინეთ დიდი კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარე მდინარე ლაბას სათავეში 1909 წელს მოპოვებული კავკასიური სალამანდრას (*Mertensiella caucasica*) 7 ეგზემპლარი და, აგრეთვე, ვანის ტბის მიდამოებში (თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი) 1914 წელს მოპოვებული სომხური ტრიტონის (*Neurergus shtrauchi*) 2 ეგზემპლარი. ამ ახალ სენსაციურ მონაცემებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ მთელი კავკასიის ჰერპეტოფაუნის შესწავლისათვის.

**Amphibia** Linnaeus, 1758 - კლასი ამფიბიები ანუ წყალხმელეთა ცხოველები  
Класс Амфибии – Amphibia

**Anura** Rafinesque, 1815 - რიგი უკუდო ამფიბიები

Отряд Бесхвостые - Anura or Salientia

**Pelobatidae** Bonaparte, 1850 - ოჯახი მყვარისებრნი

Семейство чесночницы - Spadefoot toads

**Pelobates** Wagner, 1830 - მყვარი

Чесночница - Spadefoot Toad

1) **Pelobates fuscus** Laurenti, 1768 - ჩვეულებრივი მყვარი

Обыкновенная чесночница - Common Spadefoot Toad

2) **Pelobates syriacus** Boettger, 1889 - სირიული მყვარი

Сирийская чесночница - Eastern Spadefoot Toad

**Pelodytidae** Bonaparte, 1850 - ოჯახი ჯვრიანასებრნი

Семейство Крестовики - Parsley Frogs

**Pelodytes** Bonaparte, 1838 - ჯვრიანა

Крестовка - Parsley Frog

3) *Pelodytes caucasicus* Boulenger, 1896 - კავკასიური ჯვრიანა  
Кавказская крестовка - Caucasian Parsley Frog

4) *Pelodytes nikolskii* Chkhikvadze et Kvachadze, 2011.  
sin. (= *Pelodytopsis caucasica* Nikolsky, 1896).  
იხილება: Чхиквадзе, Квачадзе, 2011

**Bufonidae** Gray, 1825 - ოჯახი გომბეშოსებრნი  
Семейство Жабы - True toads

*Bufo* Laurenti, 1768 - გომბეშო  
Жаба - True toads

5) *Bufo verrucosissimus* Pallas, 1814 - კოლხური გომბეშო  
Колхидская Жаба - Caucasian Toad

6) *Bufo viridis* Laurenti, 1768 - მწვანე გომბეშო  
Зелёная жаба - Green toad

7) *Bufo eichwaldi* Litvinchuk, Borkin, Skorinov, Rosanov, 2008 - თალიშის გომბეშო  
Талышская жаба - Talysh toad

**Hylidae** Rafinesque, 1815 - ოჯახი ვასაკასებრნი  
Семейство квакши - Tree frogs

*Hyla* Laurenti, 1768 - ვასაკა  
Квакша - Tree frog

8) *Hyla arborea* Linnaeus, 1758 - ჩვეულებრივი ვასაკა  
Обыкновенная квакша - European tree frog

*Hyla arborea schelkovnikovi* Chernov, 1926 - შელკოვნიკოვის ვასაკა  
Квакша Шелковникова - Tree frog schelkovnikovi  
შენიშვნა. ბოლო მონაცემებით (Litvinchuk et al., 2006) ეს სახეობა, *Hyla arborea*-ს სინონიმია.

9) *Hyla arborea gumilevskii* Litvinchuk, Borkin, Rosanov, Skorinov, 2006 - გუმილევსკის ვასაკა  
Квакша Гумилевского - Tree frog gumilevskii

10) *Hyla savignyi* Audouin, 1827 - მცირეაზიური ვასაკა  
Малоазиатская квакша - Yellow-lemon tree frog

**Ranidae** Rafinesque, 1814 - ბაყაყისებრთა ოჯახი  
Семейство лягушки - True frogs (=Typical frogs)

**Pelophylax** Fitzinger, 1843 - მწვანე ბაყაყები  
Зелёные лягушки - Green frogs

11) **Pelophylax ridibundus** Pallas, 1771 - ტბის ბაყაყი  
Озерная лягушка - Marsh frog (= Lake frog)

**Rana** Linnaeus, 1758 - მურა ბაყაყები  
Бурые лягушки - True frogs (= Brown frogs)

12) **Rana macrocnemis** Boulenger, 1885 - მცირეაზიური ბაყაყი  
Малоазиатская лягушка - Long-legged wood Frog

13) **Rana camerani** Boulenger, 1886 - ამიერკავკასიური ბაყაყი  
Закавказская лягушка - Caucasus Frog

**Caudata** Fischer von Waldheim, 1813 – რიგი კუდიანი ამფიბიები  
Отряд Хвостатые земноводные, Tailed amphibians

შენიშვნა. დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში და, აგრეთვე კავკასიაში გავრცელებული კუ-  
დიანი ამფიბიების სისტემატიკა ბოლო ხანს განიცდის საკმაოდ დიდ ცვლილებებს: ტრიტონებს  
ჰყოფენ ხან 3 და ხან 4 გვარად (*Lissotriton*, *Mesotriton*, *Triturus*, *Ommatotriton*), ზოგიერთი ქვესხეობა  
კი დღეს უკვე განიხილება როგორც ცალკე დამოუკიდებელი სახეობა, ხოლო თვით ოჯახი *Sa-  
lamandridae* გაყოფილია ორ ქვეოჯახად (*Salamandrinae* და *Pleurodelinae*). ამ და სხვა მიზეზებისა  
გამო, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გარდა დღეს არსებული სახეობების ლათინური სახელწოდებისა  
მივუთითოთ ამ ტაქსონების ადრე ცნობილი მათი სინონიმები.

**Salamandridae** Goldfuss, 1820 – ოჯახი სალამანდრასებრნი  
Семейство Саламандровые – Salamanders and newts

**Mertensiella** Wolterstorff, 1934 – მცირეაზიური სალამანდრები  
Малоазиатские саламандры – Mertensiella

14) **Mertensiella caucasica** Waga, 1876 – კავკასიური სალამანდრა ანუ უნახველა  
Кавказская саламандра – Caucasian salamander

14a) **Mertensiella caucasica janashvili** – Tartarashvili et Bakradze, 1989 – ჯანაშვილის სალამანდრა.  
Саламандра Джанашвили

**Neurergus** Cope, 1862 – მცირეაზიური ტრიტონები  
Переднеазиатские тритоны – Middle Eastern Newts

15) **Neurergus shtrauchi** Steindachner, 1889 – სომხური ანუ ქურთისტანის ტრიტონი.  
Армянский тритон – Strauch's Spotted Newt

*Triturus* Rafinesque, 1815

Тритоны – Newts

*Triturus vulgaris* Linnaeus, 1758

16) *Triturus vulgaris lantzi* Wolterstorff, 1914 - ჩვეულებრივი ტრიტონი.

Обыкновенный тритон – Smooth Newt

17) *Triturus ophryticus* Berthold, 1846 - კავკასიური ტრიტონი.

Кавказский тритон – Caucasian Newt.

sin. (= *Triturus vittatus ophryticus*).

შენიშვნა. ამ ტრიტონის ჰოლოტიპი ნაპოვნია თბილისის მიდამოებში (Berthold, 1846), ამიტომ  
მიზანშეწონილია ამ ტრიტონს დავარქვათ კავკასიური ტრიტონი (შეადარეთ: მუსხელიშვილი,  
ჩხიკვაძე, 2000)

18) *Triturus karelinii* Strauch, 1970 - კარელინის ტრიტონი.

Тритон Карелина - Southern Crested Newt.

sin. (= *Triturus cristatus karelinii*). იხილე: Литвинчук, Боркин, 2009; Espregueira Themudo et al., 2009.

## ZOOLOGY

### AMPHIBIANS OF THE CAUCASUS: NEW INFORMATION AND QUADRILINGUAL NOMENCLATURE OF SPECIES' NAMES IN THIS REGION

Viacheslav Chkhikvadze<sup>1</sup>, Nargiza Ninua<sup>2</sup>, Thekla Kvachadze<sup>3</sup>,  
Roland Tartarashvili, Vera Bochorishvili<sup>2</sup>

<sup>1</sup>Georgian National Museum, Institute of Paleobiology, 0108, Tbilisi, Georgia, E-mail: chelydrasia@gmail.com.

<sup>2</sup> Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105, Tbilisi, Georgia, E-mail: ichtyolog@mail.ru

#### Summary

It contains some information in an extremely short form about creating the museum of Caucasus in Tbilisi in 1852, and the history of herpetological collection, which is now stored at the National Museum of Georgia. The problem of taxonomy and systematic of two species of brown frogs of Caucasus (*Rana macrocnemis* and *Rana camerani*), is likely to be solved by comparative morphology of the structure of the sky of the two species; More details about this methodology, see the monograph A.M. Nikolsky (1918). In addition, as a result of our investigations it has been revealed the sensational new material, which had been remained out of attention of herpetologists of XIX and XX centuries. In particular: 1) Caucasian Krestovka (*Pelodytopsis caucasica*), described by A.M. Nikolsky, is not synonymous with *Pelodytes caucasicus* Boulenger, 1896, and is an independent new species *Pelodytes nikolskii*, 2) the Caucasian salamander (*Mertensiella caucasica*) inhabits at northern slopes

of the Greater Caucasus in the upper reaches of the River Laba (Krasnodar Territory) 3). It has been found two copies of the Armenian newt (*Neurergus shtrauchi*) from the vicinity of the lake in the collection Wang (North-Eastern Turkey), which were listed in a collection entitled *Salamandra salamandra* (Leg. Tsarevskii, 1914; Det. Roshkovsky). In addition, a detailed list of all species of amphibians of Caucasus and adjacent territories, which contains names of these species not only in Latin but also in Georgian, in English and in Russian is published for the first time.

## ლიტერატურა

1. ექვთიმიშვილი გ. 1948. საქართველოს ამფიბიების სარკვევი. თბილისი, „ტექნიკა და შრომა“. (1-60).
2. მუსხელიშვილი თ., ჩხილაძე ვ. 2000. საქართველოში გავრცელებულ ამფიბიებისა და ქვეწარ-მავლების ქართული ნომენკლატურა. ზოოლოგის ინსტიტუტის შრომები, თბილისი. 20 გ. (222-229).
3. ჩხილაძე ვ. 1926. საქართველოს ხერხემლიანთა ნომენკლატურა. საქართველოს მუზეუ-მის შრომები, (ტფილისი), ტ. 5, (I-IV, 1-80).
4. ჯანაშვილი არჩ. 1957. საქართველოს ამფიბიების სარკვევი. თბილისი. (1-79).
5. Ананьев Н.Б., Боркин Л.Я., Даревский И.С., Орлов Н.Л. 1988. Пятиязычный словарь названий животных; Амфибии и рептилии. Москва, "Русский язык". (1-555).
6. Ананьев Н.Б., Боркин Л.Я., Даревский И.С., Орлов Н.Л. 1998. Энциклопедия природы России: Земноводные и пресмыкающиеся. М.: АВФ, 574 с.
7. Бакрадзе М.А., Чхиквадзе В.М. 1992. Список амфибий и рептилий Грузии. Сообщения АН Грузии, 146(3), (623-629).
8. Бакрадзе М.А., Чхиквадзе В.М. 2001. Список герпетофауны Грузии. Вопросы герпетологии. (Материалы Первого съезда Герпетологического общества им. А.М. Никольского). Пущино-Москва. (24-25).
9. Бакрадзе М.А., Чхиквадзе В.М. 2002. Сколько видов бурых лягушек обитает в Грузии. В сб.: Биология и современность. Тбилиси, изд-во ТГУ. (138-142).
10. Банников А.Г., Даревский И.С., Ищенко В.Г., Рустамов А.К., Щербак Н.Н. 1977. Определитель земноводных и пресмыкающихся фауны СССР. Москва. (1-414).
11. Жордания Р.Г. 1960. Каталог коллекции земноводных (Amphibia) зоологического отделения Государственного музея им. С.Н. Джанашия АН ГССР. Вестник государственного музея Грузии, 20-А, (159-179).
12. Ищенко В.Г. 1978. Динамический полиморфизм бурых лягушек фауны СССР. Москва. (1-147).
13. Ищенко В.Г. 1987. Степень морфологического сходства популяций малоазиатской лягушки (*Rana macrocnemis* Blgr.). "Герпетологические исследования на Кавказе". Труды ЗИН АН СССР, 158, (77-83).
14. Ищенко В.Г. 1999. Популяционная экология бурых лягушек фауны России и сопредельных территорий. Автореф. докт. дисс. Санкт-Петербург. (1-65).
15. Литвинчук С.Н., Боркин Л.Я. 2009. Эволюция и распространение гребенчатых тритонов (*Tri-turus cristatus complex*) на территории России и сопредельных стран. Санкт-Петербург, Изд-во "Европейский Дом". (1-592).
16. Кузьмин С.Л. 1999. Земноводные бывшего СССР. Москва, Изд.: КМК. (1-298).
17. Мелkadze H., Sxirtladze I., Ninua H., Gegenchori A., Neife-Smit B., Mgaloblishvili K. 2007. К истории формирования коллекций крупных млекопитающих животных в Национальном музее Грузии. Кавказский географический журнал, Биогеография, №7-8, (177-187).
18. Никольский А.М. 1918. Земноводные (Amphibia); Фауна России и сопредельных стран. Петроград. (1-309).
19. Писанец Е.М. 2007. Амфибии Украины (Справочник-определитель земноводных Украины и сопредельных территорий), Киев, Зоологический музей ННПМ НАН Украины, (312).

20. Радде Г.И. 1899. Коллекции Кавказского музея. Т.1. Тифлис. 520.
21. Тартарашили Р.В., Бакрадзе М.А. 1989. Новый подвид кавказской саламандры из Западной Грузии. Сообщения АН ГССР, 133(1), (177-179).
22. Тартарашили Р.В., Чхиквадзе В.М. 2003. О систематическом положении некоторых амфибий Южного Кавказа (тезисы). Мат. конф.: Исследование и охрана животного мира Южного Кавказа. Ереван. (144-146).
23. Туниев Б.С. 1995. Герпетофауна гор альпийской складчатости Кавказа и Средней Азии.- Автореферат дисс. На соиск. уч. степ. д.б.н., Санкт-Петербург, (44).
24. Чхиквадзе В.М. 2002. Сколько видов бурых лягушек обитает в Грузии. Сб.: Биология и современность. Тбилиси, ТГУ, (138-142).
25. Чхиквадзе В.М. 2003. Итоги и перспектива герпетологических исследований в Грузии (систематика, фаунистика, экология, палеонтология, охрана видов). В сб.: Консервация аридных и субаридных экосистем Закавказья. Сборник научных трудов NACRES. Тбилиси. (68-75).
26. Чхиквадзе В.М., Квачадзе Т.О. 2011. Новый вид крестовки (*Pelodytes nikolskii* sp. nov.) из Кахетии (Восточная Грузия). "Биологическое разнообразие и проблемы охраны фауны Кавказа".
27. Bakradze M., Chkhikvadze V. 1998. Systematical position of the brown frogs inhabit in Georgia. Third Asian Herpetological Meeting. Abstracts. Almaty. (10).
28. Cevik I.E., Arikan H., Kaya U., Atatur M.K. 2006. Comparative morphological and serological studies of three Anatolian Mountain frogs, *Rana macrocnemis*, *R. camerani* and *R. holtzi* (Anura, Ranidae). Amphibia-Reptilia, Vol. 27, No. 1, (63-71).
29. Espregueira Themudo G., Wielstra B., Arntzen J.W. 2009. Multiple nuclear and mitochondrial genes resolve the branching order of a rapid radiation of crested newts (*Triturus*, Salamandridae). Molecular Phylogenetics and Evolution, 52 (2), (321-328).
30. Green D.M., Borkin L.J. (1993). Evolutionary relationships of Eastern Palearctic Brown Frogs, genus *Rana*: paraphyly of the 24-chromosome species group and the significance of chromosome number change. Zoological Journal of the Linnean Society, 109 (1-25).
31. Litvinchuk S.N., Borkin L.J., Rosanov J.M., Skorinov D.V. 2006. Allozyme and genome size variation in tree frogs from the Caucasus, with description of a new subspecies *Hyla arborea gumilevskii*, from the Talysh Mountains. Russian Journal of Herpetology, vol. 13, No. 3, (187 – 206).
32. Litvinchuk S.N., Borkin L.J., Skorinov D.V., Rosanov J.M. 2008. A new species of common toads from the Talysh Mountains, South-Eastern Caucasus: genome size, allozyme, and morphological evidences. Russian Journal of Herpetology Vol. 15, No. 1, (19-43).
33. Litvinchuk S.N., Borkin L.J., Dzukkic G., Kalezic M.L., Khalturin M.D., Rosanov Y.M. 1999. Taxonomic status of *Triturus karelinii* on the Balkans, with some comments about other crested newt taxa. – Russ. J. Herpetol., 6 (2)(153-163).
34. Martirosyan A., Stepanyan I. 2009. Features of the karyotypes of *Pelophylax ridibundus* Pallas, 1771 and *Rana macrocnemis* Boulenger, 1885 (Amphibia: Ranidae) from Armenia. Comparative Cytogenetics, 2009 . Vol. 3, No. 1, P. (11-24).
35. Tarkhnishvili D. 2004. Ecology and speciation – the Amphibians of the Caucasus. Abstracts of the dissertation for the scientific degree of the Doctor of Sciences. Tbilisi. (1-48).
36. Tarkhnishvili D.N., Arntzen J.W., Thorp R.S. 1999. Morphological variation in Brown frogs from the Caucasus and the taxonomy of the *Eana macrocnemis* group. Herpetologica, 55(3), (406-417).
37. Tarkhnishvili D.N., Gochelashvili R.K. 1999. The Amphibians of the Caucasus. Pensoft publications. Sofia. (1-233).
38. Tarkhnishvili D., Hille A., Bohme W. 2001. Humid forest refugia, speciation and secondary introgression between evolutionary lineages: differentiation in a Near Eastern brown frog, *Rana macrocnemis*. Biological Journal of the Linnean Society, 74 (141-156).
39. Tuniyev B.S. 1996. On the Mediterranean influence on the formation of herpetofauna of the Caucasian Isthmus and main xerophylous refugia. Russian Journal of Herpetology. Vol. 6, (95 - 119).
40. Tuniyev B. 1998. A Systematic List of Amphibians from the Alpides of the Caucasus and Middle Asia, with Comments on Their Taxonomy. Advances in Amphibian Research in the Former Soviet Union., 3, (43-75).

## ვანის განძის პრიცეპის არტეფაქტების რესტარაცია

ნინო კალანდაძე<sup>1</sup>, ნინო თავართქილაძე<sup>1</sup>, თეიმურაზ ფარჯანაძე<sup>1</sup>, მარიამ  
მჭედლიშვილი<sup>1</sup>, ვახტანგ ხოშტარია<sup>1</sup>, ნანა იმნაიშვილი<sup>1</sup>

<sup>1</sup>საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3. 0105 თბილისი,  
საქართველო, ელ ფოსტა: nkalandadze@museum.ge; ia.tavartkiladze@yahoo.com;  
temofarjanadze@ymail.com; info\_marika@yahoo.com; vato.khoshtaria@yahoo.com;

2007 წლის ვანის არქოლოგიურმა გათხრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ვანი არა  
მხოლოდ ოქროთი, არამედ ბრინჯაოსა და რკინის სიმრავლითაც იყო გამორჩეული. 2007 წელს  
საქართველოს ეროვნული მუზეუმის ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ნაქალაქარის კე-  
დელთან აღმოჩენილ იქნა ბრინჯაოსა და რკინის ნივთების განძი (დ. ახვლედიანი 2010). სწორედ  
ამ განძის არტეფაქტების ტექნიკური კვლევისა და რესტავრაციის მიმართულებით ბოლო ორი  
წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული მუზეუმი სამეცნიერო თანამშრომლობას ეწევა  
ნიუორკის უნივერსიტეტის ძველი სამყაროს კვლევის ინსტიტუტთან, უ. პოლ გეტის მუზეუმთან  
და გეტის კონსერვაციის ინსტიტუტთან (ჯ. მეიში 2010).

ამერიკის შეერთებილი შტატების ნიუორკის მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმის  
ნივთების სარესტავრაციო ლაბორატორიაში რესტავრირებულ იქნა სასაკმევლე, სამმილიანი, შემ-  
კული სპილოს თავების გამოსახულებით (№ 07:1-07/323) და ჭრაქი, ექვსი საპატრუქეთი, რომელთა-  
გან სამი შემკულია ადამიანის ბიუსტით, სამი კი – სპილოს თავის გამოსახულებით (№ 07:1-07/324).

ჭრაქს, სამი საპატრუქეთი, შემკული არნივისა და განიმედის გამოსახულებით (№ 07:1-07/326)  
და ჭრაქს, სამი საპატრუქეთი და სახურავით, შემკული ეროსის ოთხი ფიგურით (№ 07:1-07/327)  
სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა უ. პოლ გეტის მუზემის სარესტავრაციო ლაბორატორიაში.


განძის უდიდესი ნაწილი რესტავრირებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის  
სარესტავრაციო ლაბორატორიაში, კერძოდ 2007-2010 წლებში აღნიშნულ ლაბორატორიაში  
სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა ბრინჯაოს შემდეგ არტეფაქტებს: სადგარი (№ 07:1-  
07/319), სადგარი (№ 07:1-07/320), წრიული სადგარი, შემკული კიმატიონით (№ 07:1-07/321), სი-  
რენას ფიგურა, გაურკვეველი ნივთის დეტალი (სადგარი?) (№ 07:1-07/322); სარეცლის (კლინეს)  
10 ფეხის გარსაკრავები (№ 07:1-07/328-337); დიდი ზომის აპაზანისებური ჭურჭელი, მოძრავი  
გორგონეიონიანი ყურით (№ 07:1-07/315); ჭრაქი, ერთი საპატრუქეთი, შემკული ვაზის ფოთ-  
ლებისა და მტევნების გამოსახულებით (№ 07:1-07/325).

2011 წელს დაგეგმილია განძში შემავალი რკინის არტეფაქტების რესტავრაცია-კონსერვაცია.

იმისათვის, რომ არტეფაქტი, როგორც მოვლენა, სრულად იქნას შესწავლილი, საჭიროა მრავა-  
ლი ფაქტორის გათვალისწინება. ერთერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელსაც არქეოლოგი-  
ური გათხრების შედეგად ვიღებთ, არის არტეფაქტების ფიზიკური მდგომარეობა. საქართველოს  
ეროვნული მუზეუმის ლაბორატორიაში შემოსული არტეფაქტების კოროზია მრავალფეროვანი

და ძირითადად ძალზედ კარგი დაცულობით გამოირჩეოდა, რაც არატიპიურია ვანში აღმოჩენილი არქეოლოგიური ბრინჯაოსათვის. როგორც წესი, ვანში აღმოჩენილი ბრინჯაოს არტეფაქტების კოროზია ხშირ შემთხვევაში ექსტრემალურად კომპლექსურია და ლითონური გული თითქმის უმეტეს შემთხვევაში მთლიანად გადასულია უანგეულში. ვანის განძის ბრინჯაოს ნივთები კი მხოლოდ ზედაპირულად იყო დაფარული უანგეულების ფენით, მათ შენარჩუნებული ჰქონდათ პირვანდელი ფორმა და ლითონური აღნაგობა. განძის მასალის მნიშვნელოვანი ნაწილის პატინას მწვანე შეფერილობა გააჩნდა, რომელსაც ანიჭებს მუქი მწვანე მაღაქიტი, სპილენძის (II) კარბონატი ( $\text{CuCO}_3$ ,  $\text{Cu(OH)}_2$ ), ბრინჯაოს რამოდენიმე არტეფაქტს, მაგ. ჭრაქს, ერთი საპატრუქეთი, შემკული ვაზის ფოთლებისა და მტევნების გამოსახულებით (№ 07:1-07/325) და სადგარს (№ 07:1-07/319) მწვანე შეფერილობასთან ერთად გარკვეულ ნაწილებში ლურჯი ლაქები გააჩნდა. მსგავსი შეფერილობა ვითარდება სხვა სპილენძის (II) კარბონატის, აზურიტის ( $2\text{CuCO}_3 \cdot \text{Cu(OH)}_2$ ) ზემოქმედებით; აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ ჭრაქი ვაზის ფოთლის გამოსახულებით, წრიული სადგარი, შემკული ქიმიატიონით (№ 07:1-07/321), მოძრავი გორგონეიონიანი ყური (№ 07:1-07/315), და კლინეს რამდენიმე დეტალის პატინა საკმაოდ ღია ფერის იყო, რაც შესაძლოა კალის ოქსიდის კასიტერიტის ( $\text{SnO}_2$ ) ზემოქმედების შედეგია. როგორც ცნობილია, ხშირად კალის მაღალი შემცველობის ბრინჯაო მოთეთრო-მონაცრისფრო პატინით გვხვდება. ამ ტიპის პატინას ხშირად „ნყალსაც“ უწოდებენ და მის შემადგენლობაში ძირითადად კალის ოქსიდი კასიტერიტი ( $\text{SnO}_2$ ) ფიგურირებს (Cronyn J.M., 2002). გარდა ზემოხსენებული პროდუქტებისა, რამოდენიმე დეტალზე სპილენძის (I) ოქსიდის  $\text{Cu}_2\text{O}$ -კუპრიტის კერებიც აღმოჩენდა. ასევე ნივთების ზედაპირზე მრავლად იყო მექნიკური ნადები-მინის ფენა და რკინის უანგეულის ფენები. ბრინჯაოს ნივთების სარესტავრაციო სქემა, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილი მასალა ჩვენს მიერ იქნა რესტავრირებული, აპრობირებულია და ფართოდ გამოიყენება როგორც ჩვენთან ასევე ევროპისა და ამერიკის მრავალ სარესტავრაციო ლაბორატორიაში. სარესტავრაციო სქემა ითვალისწინებს მასალის დამუშავების შემდეგ ეტაპებს:

- საველე კონსერვაცია
- დეტალური ლაბორატორიული დოკუმენტაციის შექმნა, ფოტოფიქსაცია
- ნივთის ვიზუალური დათვალიერება და მიკროსკოპიული შესწავლა (დაზიანების ხარისხის დადგენა, ტექნიკური კვლევა).
- რესტავრაცია-კონსერვაცი



საქართველოს ეროვნული მუზეუმის ლაბორატორიაში სარესტავრაციოდ გამოყენებული იქნა მექანიკური წმენდის მეთოდი. ნივთები გაიწმინდა ბინოკულარის ქვეშ, მაღალი განათების პირობებში, სკალპელის, რბილი ჯაგრისებისა და ხის წვრილი ჩეირების საშუალებით. სარესტავრაციოპროცესის ძირითადი მიზანი იყო კოროზიის ფენების მოხსნა ორიგინალი ზედაპირის დაუზიანებლად. თუმცა, რიგ შემთხვევებში არ მოხდა კოროზიის ფენების სრული მოშორება და დატოვებულ იქნა უანგეულის ფენები ორიგინალ ზედაპირზე.

ძირითადად რესტარაციის პროცესი ერთგვარად წარიმართა. მექანიკური წმენდის დასრულებისას თითოეულ ნივთს დელიპიდაცია ჩაუტარდა სპირტით და დაიფარა პარალოიდ – B-72 – ის 2%-იანი აცეტონ ხსნარით.

განსხვავებული იყო დიდი ზომის აბაზანისებური ჭურჭლის (№ 07:1-07/315) რესტავრაციის პროცესი (სურ. 1). მოხდა ნივთის რეკონსტრუქცია (ფორმის აღდგენა). ლაბორატორიაში შემოტანისას ჭურჭელი დაზიანებული და დეფორმირებული იყო (ნაკლული ადგილები, ბზარები, პირის ფრაგმენტი მოტეხილი). ყურისა და ფეხის მიმაგრების ადგილზე შერჩენილი ქონდა მირჩილვის ნაშთი. ზედაპირს მჭიდროდ ეკვროდა რკინის შუბისპირები, რომლებიც შეზრდილი იყო ორიგინალ ზედაპირთან რკინის კოროზიის პროდუქტებით. შუბისპირების მოშორების შემდეგ ნივთის ზედაპირზე ლაქების სახით დარჩა რკინის ოქსიდის თხელი ფენა.



სურ. 1



სურ. 2

აღსანიშნავია, რომ პირის გვირგვინის ერთ-ერთი ფრაგმენტი ძირითადი ნაწილისგან განსხვავდებოდა. იგი იყო დამზადებული განსხვავებულ ტექნიკაში და შედარებით უხეშად, რაც მიუთითებდა, რომ პირის გვირგვინი ძველადვე იყო აღდგენილი. ტექნიკურმა კვლევებმა, რომლებიც ჩატრებულ იქნა ჟ. პოლ გეტის მუზემთან და გეტის კონსერვაციის ინსტიტუტთან თანამშრომლობით დადასტურეს ეს მოსაზრება და ნათელყველება, რომ ორნამენტირებული პირის შეკეთებულ ნაწილს გააჩნია ტყვიის დაბალი შემცველობა ( $< 1 \text{ Pb}\%$ ) და შედარებით მაღალი კალის შემცველობა, ვიდრე ორიგინალ ნაწილს [ ჯ. მაიში, 2010].

დიდი ზომის აბაზანისებური ჭურჭლის რეკონსტრუქციისას გამოყენებულ იქნა სპეციალური სამაგრები, მათი დახმარებით მოხდა მოტეხილი პირის დაფიქსირება ჭურჭელთან (სურ. 2). მაკავშირებლად გამოყენებული იქნა ორკომპონენტიანი წებო "UHU plus"-ი. ნაკლული ადგილები შეივსო სპეციალური ქსოვილისა და წებო - "UHU plus" + პიგმენტის საშუალებით (სურ. 3, 4).




სურ. 3.



სურ. 4.

საინტერესო შემთხვევას ჰქონდა ადგილი სარეცლის (კლინეს) ფეხის გარსაკრავების რესტავრაციისას. თავდაპირველად საველე ჩანახატების მიხედვით მოხდა კლინეების ფრაგმენტების დაჯგუფება კომპლექტებად. ასევე განისაზღვრა თითოეული ფრაგმენტის რიგითობა კომპლექტში, გაკეთდა გრაფიკული ჩანახატი და დადგინდა სრული კომპლექტის სავარაუდო რეკონსტრუირებული სახე (სურ.5)



სურ.5.

გაწმნდის პროცესში აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი სარეცლის (კლინეს) ფეხის (№337) № 1 დეტალის სამაგრი ნაწილი განსხვავდებოდა სხვა სარეცლის (კლინეს) ფეხის მსგავსი გარსაკრავების სამაგრისაგან. ნივთს შიდა მხრიდან ჰქონდა ექვსი ბრინჯაიოს სამსჭვალი, რომელთაგან სამი მიმაგრებული იყო, ხოლო დანარჩენი სამი აღმოჩნდა ნივთის შემავსებელ მინაში (სურ.6, 7) როგორც ჩანს, სამსჭვალთა საშუალებით ხდებოდა ამ დეტალის დამაგრება. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ კლინეს დეტალები ერთმანეთთან დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ხის შიდა კონსტრუქ-ციით.



სურ. 6.



სურ. 7.

ეს ორი შემთხვევა კიდევ ერთხელ გვიდასტურებს მექანიკური წმენდის უპირატესობას. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს დანაკარგის გარეშე დავაფიქსიროთ ყოველი საინტერესო ინფორმაცია, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდგომი მეცნიერული კვლევისათვის.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მექანიკური განმენდის მეთოდი წარმატებული აღმოჩნდა ვანის განძის ბრინჯაოს მასალის რესტავრაციისათვის.

## CHEMISTRY

### RESTORATION OF BRONZE ARTIFACTS FROM VANI`S TREASURE

Nino Kalandadze<sup>1</sup>, Nino Tavartkiladze<sup>1</sup>, Teimuraz Farjanadze<sup>1</sup>, Mariam Mchedlishvili<sup>1</sup>,  
Vakhtang Khoshtaria<sup>1</sup>, Nana Imnaishvili<sup>1</sup>

<sup>1</sup> Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105, Tbilisi, Georgia  
Email: nkalandadze@museum.ge; ia.tavartkiladze@yahoo.com; temofarjanadze@ymail.com;  
info\_marika@yahoo.com; vato.khoshtaria@yahoo.com;

#### summary

In 2007 a hoard of bronze and iron objects was excavated by the Georgian National Museum near the city wall of ancient Vani. The nature of the hoard is a source of ongoing research, and over the past two years the Georgian National Museum has collaborated with Institute for the Study of the Ancient World (ISAW), the J. Paul Getty Museum and Getty Conservation Institute on the treatment and study of these objects.

This paper is focusing on the Conservation treatments of the hoard components were carried out at the Georgian National Museum, Tbilisi in 2007-2010.

Treatment of bronze artifacts from Vani hoard was conducted with mechanical method. The results have proved the advantage of above-mentioned method. This method allows us to keep all important information, which may have a special meaning for further scientific researches.

## ლიტერატურა

1. **Cronyn J.M., 2002** The Elements of Archaeological Conservation, London and New York, P.163.
2. ახველიდიანი დ., კაჭარავა დ., მათიაშივილი ნ., 2010 წ. ვანის ნაქალაქზე 2007 წელს ჩატარებული საველე სამუშაოების ანგარიში. ქურნალი ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში №19, თბილისი. გვ.38.
3. მეიში ჯ., საუნდესრი დ., ვალტონი მ., კალანდაძე ნ., 2010 წ. ვანის განძის ტექნიკური კვლევა, სა-ქართველოს არქეოლოგია საუკუნეთა მიჯნაზე: შედეგები და პერსპექტივები. თბილისი. გვ. 15-17.

## ქვათახევის ჯვარის პიოდაზიანების გამომცვევი მიპროტრობანიზმის კვლევა

ნათია ძიგუა

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 0105, თბილისი, საქართველო, ელ-ფოსტა: ndzigua@yahoo.com

### შესავალი და მიზნები

2009 წელს ქალბატონ მარიამ ჩხაიძის ინიციატივით, სამთავისისა და გორის მიტროპოლიტ ანდრიას (გვაზავას) კურთხევითა და ეროვნული მუზეუმის გენარალური დირექტორის, ბ-ნ დავით ლორთქიფანიძის ხელშეწყობით საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, რესტავრაციის მიზნით ქვათახევის მონასტრიდან ჩამობრძანებულ იქნა ხის დიდი ჯვარი (2,55მX1,80მX3სმ); რომელიც გვიან შუა საუკუნეებით თარიღდება და ქართული საეკლესიო ხელოვნების მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს.



სურ. 1 ჯვარი რესტავრაციამდე

მონასტერში არსებული ნესტისა და არასტაბილური გარემო პირობების გამო ჯვარი ძალზედ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. დაზიანება მოიცავდა როგორც ხის საფუძველს, ასევე, გრუნტსა და ფერწერის ფენას; უფრო მეტიც, განადგურებული იყო ფერწერის 1/3. შესაბამისად, ჯვრის ასეთმა მდგომარეობამ განაპირობა მასზე კომპლექსური ლაბორატორიული კვლევითი და ღრმა სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების წარმოება, რომლის ხანგრძლივობაც ერთ წელზე მეტს შეადგენდა. ჯვრის ფერწერული ნაწილი ლაბორატორიულად შეისწავლა მინ-ერალოგმა ია ახვლედიანმა, ხის საფუძველი გამოიკვლია რესტავრატორმა ვახტანგ ხოშტარიამ, ჯვარზე არსებული ბიოდაზიანების გამომწვევი მიზეზების კვლევა განხორციელდა ლ. ყანჩაველის სახელობის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ფიტოპათოლოგიის განყოფილებაში ავტორის მიერ. ზემოთ აღნიშნული კვლევითი სამუშაოების შედეგების მიხედვით ჯვარზე ჩატარებულ იქნა სარესტავრაციო სამუშაოები რესტავრატორ თამარ ბაკურაძის მიერ. და ბოლოს, ჯვრის ხელოვნებათ-მცოდნეობითი ანალიზი წარმოადგინა მუზეუმის ფერწერული ხატების ფონდის უფროსმა კურატორმა, ნანა ბურჭულაძემ.

ჯვარზე ჩატარებული ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის თანახმად ზუსტად განისაზღვრა ჯვრის წარმომავლობა და თარიღი. მკვლევართა აზრით ქვათახევის ჯვარი XVI-XVII საუკუნეებს მიეკუთვნება და ათონურ ჯვრებს უკავშირდება. ჯვარზე ჩატარებული სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების შედეგად აღდგენილ იქნა ფერწერული ნაწილის მნიშვნელოვანი ადგილები. როგორც გაირკვა, ჯვრის ცენტრალურ ნაწილზე გამოსახული იყო ჯვარცმული მაცხოვარი, მკლავების ბოლოებზე კი წრეში ჩანერილი იყო ოთხი მახარობლის სიმბოლოები — ანგელოზი, არწივი, ლომი და ხარი.

კომპლექსური შესწავლის შედეგად განისაზღვრა ჯვრის შემადგენელი მასალა: მიკროსკოპული ანალიზით დადგინდა, რომ ჯვრის ხის საფუძველი დამზადებული იყო კაკლის ხის ჯიშით. ფერწერული ნაწილის ტექნიკურმა კვლევამ აჩვენა რომ, გრუნტი სამი შრისაგან შედგებოდა. ამათგან ზედა, შედარებით თხელი ფენა მასში აღმოჩენილი ტყვიის თეთრას გამო, შედარებით მდგრად და ნაკლებად ფხვიერ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო ქვედა ორი ფენა მეტად გაფხვიერებული იყო მიკროორგანიზმებით გამოწვეული ბიოდაზიანებების შედეგად. ფერწერული ნაწილის მინერალური სალებავების შესწავლის მიზნით ჩატარდა რენტგენო-სტრუქტურული და რენტგენოფლუორესცენტული ანალიზი, რის შედეგად გამოვლინდა ფერადი პიგმენტების შემადგენელი ქიმიური ელემენტები: სინგური, ჰემატიტი და ლიმონიტი, Mn<sup>4+</sup> ოქსიდები, რკინა და სუფთა Au (ოქროს კილიტა) (ბაკურაძე, 2010).

### მიკოლოგიური კვლევის მეთოდები

2009 წელს ქვათახევის ჯვრის სხვადასხვა ადგილებიდან ბიოდაზიანების გამომწვევი მიკროორგანიზმების კვლევის მიზნით აღებულ იქნა სინჯები ჯვრის დაზიანებული ფენებიდან: ხის საფუძველი (ჯვრის ცენტრალური ნაწილის ქვედა მარცხენა კუთხე), გრუნტი, ტილო, დამუშავებული სალებავის ფენა, ოქროს პიგმენტიანი სალებავის ფენა და სალებავის ფენა (ჯვრის მარცხენა მკლავი), მასზე არსებული მომწვანო-მოყვითალო შეფერილობის ნადების გამო, რომელთა კვლევა განხორციელდა ლ. ყანჩაველის სახელობის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ფიტოპათოლოგიის განყოფილებაში.

სინჯების სტერილური სახით აღებისათვის გამოვიყენეთ შემდეგი ხელსაწყოები: სპირტურა, სამედიცინო თვალის ლანცეტი და პინცეტი, ერთჯერადი, ხის სტერილური ბამბის თავიანი ჩხირები, სტერილური ერთჯერადი გამოყენების სინჯარები, 20X გადიდების მქონე ლუპა.



სურ. 2 სინჯების აღების პროცესი

აღებული სინჯები მოვათავსეთ სინჯარებში, გავუკეთეთ შესაბამისი ეტიკეტები და კვლევის მიზნით გადავიტანეთ მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში.

ბიოდაზიანების გამომწვევი პათოგენების კულტურაში გამოყოფის მიზნით დავამზადეთ აგარიზებული ლუდის ტკბილის საკვები არე და ჩამოვასხით წინასწარ გასტერილებულ სინჯარებსა და პეტრის თასებში.

მოცემული ჯვრის სინჯები გადავიტანეთ (დავთესეთ) ლუდ-აგარის საკვებ არეზე პეტრის ჯამებში. დათესილი პეტრის თასები შევფუთეთ პერგამენტის ქაღალდში და შევდგით თერმოსტატში  $25,6^{\circ}\text{C}$ -ზე (სოკოს განვითარებისათვის საჭირო ოპტიმალურ ტემპერატურაზე). 44 საათის განვითარების დროისას, რამოდენიმე დღის შემდეგ პეტრის ჯამები გამოვიღეთ თერმოსტატიდან, განვითარებული კულტურების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად კვლავ გადავთესეთ ლუდ-აგარის საკვებ არეზე, ამჯერად სინჯარებში, რომლებიც მუდმივი კულტურების სახით შევინახეთ თერმოსტატში. მიკროსკოპული კვლევის მიზნით კი გამოვიყენეთ პეტრის თასებში განვითარებული კულტურები, რომელთაგან სოკოს სახეობების გარკვევის მიზნით სასაგნე მინებზე ვამზადებდით გლიცერინიან პრეპარატებს. აღმოჩენილი სოკოების რკვევას ვახდენდით სპეციალური სარკვევების გამოყენებით.

### **ლაბორატორიული კვლევითი სამუშაოების შედეგები**

მიკროსკოპული კვლევების შედეგად შეიქმნა ძალზედ მრავალფეროვანი სურათი, ძირითად და ინტენსიურად გამოვლინდა ობის სოკოების (მუკორების), პენიცილიუმისა და უსრული სოკოების სხვადასხვა სახეობები.

1. ხის სინჯი (ჯვრის ცენტრალური ნაწილის ქვედა მარცხენა კუთხე) (ტაბ. I.1)
  - ა. *Penicillium vinacum*, Gilmanet Abbot Raper a. Thom.
  - ბ. *Penicillium cyclopium*, Westl. Raoe.
  - გ. *Coniothirium Corda*
  
2. გრუნტის სინჯი (ტაბ. I.2) —
  - ა. *Penicillium Divaricata lanata*
  - ბ. *Aspergillus Mich. ex. Fr.*
  
3. ტილოს სინჯი (ტაბ. I.3) —
 *Cunninghamella*
  
4. დამუშავებული საღებავის ფენა (ტაბ. I.4) —
 *Oedocephalum lineatum*
  
5. დაუმუშავებელი საღებავის ფენა (ჯვრის მარცხენა მკლავი) (ტაბ. I.5) —
  - ა. *Mucor petrinuscularis*
  - ბ. *Mucor miehei Cooney*
  - გ. *Mucor Rouxianus*
  
6. ოქროს პიგმენტიანი საღებავის ფენის სინჯი (ტაბ. I.6) —
 *Penicillium Link ex. Fr.*

### **გამოვლენილ სოკოთა სახეობების დახასიათება**

*Penicillium vinacum*, Gilmanet Abbot Raper a. Thom. (ტაბ. II.1) - ახასიათებს შეზღუდულად მზარდი კოლონიები. აქვთ ღია ნაცრისფერი შეფერილობის მიცელიუმი. სპორამტარებლობა შეზღუდულია. მათი ექსუდატები მსხვილი წვეთების სახითაა თავმოყრილი. კონიდიამტარები ჩვეულებრივ სცილდება ჰაეროვანა ჰიფებს, აქვთ გლუვი სტრუქტურა, 50 X 1,5-2μ-მდე. სტერიგმების რაოდენობა კონაში ჩვეულებრივ 5-8 შეადგენს, 6-7,5 X 1,5-2μ. კონიდიები მეტნაკლებად ბურთისებურია, 2-2,5μ დიამეტრში (Пидопличко, 1978).

*Penicillium cyclopium*, Westl. Raoe (ტაბ. II.2) - ჩვეულებრივ ახასიათებს სწრაფმზარდი კოლონიები, მუდმივი სპორანარმოშობა. სწრაფად იცვლის შეფერილობას — ღია მოცისფრო-მომწვანოდან მუქ მონაცრისფრო-მომწვანო ტონალობამდე. აქვს ობის მძიმე სუნი. კონიდიომტარნი ჩვეულებრივ ერთეულები არიან, 200-400X3-3,5μ. ხავერდოვანი, ზოგჯერ კი გლუვი ზედაპირით. კონიდიები მეტნაკლებად ბურთისებური, 3-5-4μ დიამეტრში, ან ელიფსურებია, 3,3-4 X 2,5-3μ (Пидопличко, 1978).

*Coniothirium Corda* (ტაბ. II.3) – ახასიათებს მეტნაკლებად სფეროსებური ფორმის პიკნიდიები, საწოვარისებური ბაგეთი. აქვს შავი შეფერილობა. კონიდიები - სფეროსებური ან ელიფსურია; ერთეულები, სიგრძე არაუმეტეს - 15μ, ერთუჯრედიანები. კონიდიომტარი - მოკლე, ერთეული ან შეუმჩნეველია (Пидопличко, 1978).

*Penicillium Divaricata lanata* – ახასიათებს მონაცრისფრო-მომწვანო და მოცისფრო-მომწვანო შეფერილობის, ხავერდოვანი სტრუქტურის მქონე, ოდნავ ლაქიანობისადმი მიდრეკილი კოლ-

ონიები. კონიდიების სიგრძე 4,2-5,5 მ შეადგენს. ამ სახეობის ფუნჯები ხშირად არარეგულარულია, ერთი ან რამოდენიმე ტოტით. კონიდიომტარები გრძელი და დაგრეხილია, ხავერდოვანი სტრუქტურით, 2,5 - 4 მ. სტერიგმები ცილინდროვანი ფორმისაა, 1,1 X 2,5-3 მ. კონიდიები ასევე ცილინდრული ფორმის, იშვიათად კი კვერცხისებურ-ელიფსურია; 5 X 2 მ დიამეტრით. უმეტესწილად ჯაჭვისებურად არის აცმული (Пидопличико, 1972).

*Aspergillus Mich. ex. Fr.* (ტაბ. II.4) – კონიდიოფორები – მარტივი, ვერტიკალური, დაბოლოებული გლობუსისებური ანელიფსური ბურცობებით. კონიდიები – ერთუჯრედიანები, სფერუსებურები. ეს გვარი მოიცავს უამრავ საპროფიტულ და რამდენიმე პარაზიტულ სახეობას (Barnett, 1965).

*Cunninghamella* (ტაბ. II.5) – ახასიათებს თეთრი, არადანანევრებული მიცელიუმი. კონიდიოფორები (სპორანგიოფორები) მარტივია ან დატოტვილი. გაფართოებულ წვერში დართული აქვს კონიდიების თავები; კონიდიები ერთუჯრედოვანი, გლობუსისებური ფორმისაა, ძირითადად ნიადაგში წარმოადგენს სპოროფიტებს (Barnett, 1965).

*Oedocephalum lineatum* (ტაბ. II.6) – კონიდიოფორები მარტივი, კენწეროში გაფართოებულები არიან და ატარებენ კონიდიების თავს. კონიდია ერთუჯრედიანი, გლობუსისებური ან ოვალური ფორმისაა. მცენარეულ მასალაში საპროფიტებს წარმოადგენს (Barnett, 1965).

*Mucor petrinuscularis* (ტაბ. III.1) – ახასიათებს სწრაფმზარდი კოლონიები, კარგი სპორამტარებლობა. სიმაღლე- 0,6 სმ. სტილოსპორანგიომტარები - სწორმდგომია; სიმაღლე - 1 სმ; დიამეტრიც 1-15-30 მ; სტილოსპორანგიუმები - ბურთისებური ან ოდნავ შეზნექილი ფორმისაა, 70-140 მ დიამეტრში. ქლამიდიოსპორები არა მრავალრიცხოვანია, ხშირად ერთეულები, ძირითადად წარმოიქმნებიან სუბსტრატში. არიან მეზოფილურები, მაქსიმუმ 32°C-ით (Пидопличико, Милько, 1971).

*Mucor miehei Cooney* (ტაბ. III.2) – ახასიათებს სწრაფმზარდი კოლონიები, კარგი სპორამტარებლობა. სიმაღლე- 0,6 სმ. სტილოსპორანგიომტარები – სწორმდგომია; სიმაღლე - 1 სმ; დიამეტრი 1 - 15-30 მ; სტილოსპორანგიუმები - ბურთისებური ან ოდნავ შეზნექილი ფორმისაა, 70-140 მ დიამეტრში. ქლამიდიოსპორები არამრავალრიცხოვანია, ხშირად ერთეულები, ძირითადად წარმოიქმნებიან სუბსტრატში. არიან მეზოფილურები, მაქსიმუმ 32°C-ით (Пидопличико, Милько, 1971).

*Mucor Rouxianus* (ტაბ. III.3) – ახასიათებს მეტნაკლებად სწრაფმზარდი კოლონიები; შედარებით კარგი ან სუსტი სპორამტარებლობა, ჰეროვანი ვეგეტა- ტიური მიცელიუმით; სიმაღლე - 0,2-0,5(1) სმ. თავდაპირველად შეუფერავია, შემდეგ კი მოყვითალო, ნარინჯისფერ-ყვითელიან ბაც მონაცრისფრო-მოყვითალო ფერს იღებს, ნითური ელფერით ან მის გარეშე. სტილოსპორანგიომტარი – სწორმდგომია, 0,5 სმ-მდე სიმაღლით და 10-20 მ დიამეტრით. სტილოსპორანგიები – ბურთისებური ან ოდნავ კვერცხისებური ფორმისაა, 40-80 მ დიამეტრით. სპორანგიოსპორები – მოკლე, ცილინდროვანი ფორმის. არიან თერმოტოლერანტულები, 40°C-ით (Пидопличико, Милько, 1971).

*Penicillium Link ex. Fr.* (ტაბ. III.4) – კონიდიოფორები ერთეულად არიან ამოზრდილი მიცელიუმიდან. კენწეროში დატოტვის შედეგად წარმოიქმნება ფუნჯისებური კონიდიები. კონიდიები – ერთუჯრედიანები, უმეტესად ბაცი შეფერილობისა და სფეროსებური ფორმის არიან. ეს გვარი მოიცავს ორივეს, პარაზიტულ და საპროფიტულ სახეობებს (Barnett, 1965).

## დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების ძირითად მიზანს წარმოადგენდა კომბინირებულ ორგანულ მასალაზე განვითარებული ბიოდაზიანების გამომწვევი მიკროორგანიზმების სახეობების დადგენა. რამაც გარკვეული როლი ითამაშა ჯვრის შემდგომი კონსერვაცია – რესტავრაციის მეთოდების განსაზღვრაში; ასევე მიკრობიოლოგიური თვალთახედვით მრავალფეროვანი სურათი წარმოქმნა ჯვრის სხვადასხვა ორგანულ მასალაზე განსახლებული პარაზიტული მიკრო-



სურ. 3 ჯვარი რესტავრაციის შემდეგ

ორგანიზმების სახეობებსა და მათ მიერ გამოყენებული სპეციფიური საკვები არის ურთიერთდა-მაკავშირებელი კვანძების დადგენაში.

მიკოლოგიური ანალიზების საფუძველზე რესტავრაციის დროს გრუნტისა და ფერწერის გასამაგრებლად გამოყენებულ სპირტსა და ნებოს ხსნარებს დაემატა ანტისეპტიკ-დეზინფექ-ტანტი კატამინი "A", რომელიც ნაკლებ შხამიანია და არ იწვევს ფერების დაზიანებას. რაც შეეხე-ბა თავად მიკროორგანიზმებს, საყურადღებოა რომ, ხის, გრუნტისა და ტილოს შრეებზე ძირითა-დად აღმოჩენილ იქნა უსრული სოკოების სახეობები, პენიცილიუმი და სხვ. ხოლო ფერწერული ნაწილის ძირითად ბიოდამზიანებლებს ობის სოკოები – მუკორები წარმოადგენდნენ. აღნიშ-ნული მიკროორგანიზმების წარმოქმნის ძირითად მიზეზს წარმოადგენს აგრესიული გარემომ-ცველი პირობები: არასტაბილური, მაღალი ფარდობითი ტენიანობა, ტემპერატურა, განათება და მნირი ვენტილაცია. აგრესიული გარემოპირობების შემდგომი ზემოქმედების თავიდან აც-ილების მიზნით, ქვათახევის ჯვარი ჩასმულ იქნა სპეციალურ კიოტში, რომელიც ამჟამად გორში, მღვდელმთავარის რეზიდენციაშია დაბრძანებული.

## FUNGAL BIODIVERSITY DISCOVERED ON THE CHANCEL SCREEN CROSS WITH THE "CRUCIFIXION" FROM THE KVATAKHEVI MONASTERY

**Natia Dziguia**

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105, Tbilisi, Georgia, Email : ndziguia@yahoo.com

### Summery

The big wooden cross (2.55mX1.80mX3cm) was brought to the National Museum from the Kvatakhevi Monastery for the restoration in 2009, by the initiative of Mrs. Mariam Chkhaidze, by the sanctifying of metropolitan Andrew (Gvazava) and by the support of the general director of Georgian National Museum David Lordkipanidze. The cross is dated to the late medieval period and it is very important artifact of the Georgian Christian art.

The cross was seriously damaged because of undesirable environmental conditions of the monastery – unstable relative humidity, temperature, light and poor ventilation. The all materials of the cross (wood, plaster, linen and painting layer) were damaged with biodiversity. The complex research and restoration-conservation works had to be carried out, because of such bad conditions of the cross. The article discusses the microbiological research of the cross. The samples were taken from the damaged areas of the cross for the definition of the varieties, which gave rise to the biodiversity. The samples were investigated in the department of Phytopathology of the Kanchaveli I. research institute of plant protection. The many varieties of the imperfect and mould fungus were discovered during the research:

1. The sample from wood (The left low corner of the central part of the cross) (Fig. I.1) -
  - a) *Penicillium vinacum*, Gilmanet Abbot Raper a. Thom. (Fig. II.1),
  - b) *Penicillium cyclopium*, Westl. Raoe. (Fig. II.2),
  - c) *Coniothirium Corda* (Fig. II.3);
2. The sample from the plaster (Fig. I.2) -
  - a) *Penicillium Divaricata lanata*,
  - b) *Aspergillus Mich. ex. Fr.* (Fig. II.4);
3. The sample from the linen (Fig. I.3) – *Cunninghamella* (Fig. II.5);
4. The sample from the conserved paint layer (Fig. I.4) – *Oedocephalum lineatum* (Fig. II.6);
5. The sample from the no conserved paint layer (The left arm of the cross), (Fig. I.5) –
  - a) *Mucor petrinuscularis* (Fig. III.1),
  - b) *Mucor miehei* Cooney (Fig. III.2),
  - c) *Mucor Rouxianus* (Fig. III.3);
6. The sample from the layer of the golden pigment paint (Fig. I.6) –  
*Penicillium Link ex. Fr.* (Fig. III.4).

Antiseptic-disinfectant Catamin "A" have been added to the alcohol and glue solutions for steadyng the plaster and paint layers of the cross during the restoration according to microbiological research. Catamin "A" contains fewer toxins and does not damage the painting layers. The Kvatakhevi cross has been placed in kiot ("icon case") to avoid the future influence of the corrosive medium. Nowadays the cross is kept in the residence of metropolitan in town of Gori.

## ЛІТЕРАТУРА

1. ბაკურაძე თ., ბურჭულაძე ნ., ხოშტარია ვ., ახვლედიანი ი. 2010, ჯვარი „უფლის ჯვარცმით“ ქვათახე-ვის მონასტრიდან (კვლევა, კონსერვაცია), საქართველოს ეროვნულ მუზეუმის მოამბე, ტ. 1 (46-), გვ. 506-526;
2. **Пидопличко Н. М.** 1978. Грибы паразиты культурных растений. Определитель. том 2. Киев `Наукова Думка`. ст. 17-119;
3. **Пидопличко Н. М., Милько А. А.** 1971; Атлас Мукоральных Грибов, ст. 50-68;
4. **Пидопличко Н. М.** 1972. Пеницилии. Киев «Наукова Думка», ст.44;
5. **Barnett H.L.** 1965, Illustrated Genera of Imperfect Fungi, p.29-53;

1




2



3



4




5



6




1




2




3




4




5




6




1




2



3



4



## ჩონტენტის

ქალბატონ ო. ჯანელიძის გახსენება (1909-2002) ..... 4

### პრეისტორია

ქართული სამეცნიერო არქეოლოგიის სათავეებთან — საქართველოს არქეოლოგიური  
ინსტიტუტი თბილისში (ეძღვნება გიორგი ნიორაძის დაბადებიდან 125-ე წლისთავს) .... 7

#### მედეა ნიორაძე

საგვარჯილე — პირველყოფილი ადამიანის მღვიმე-ნამოსახლარი. კვლევის ისტორია და  
პერსპექტივები (ეძღვნება მღვიმის გათხრიდან მე-60 წლისთავს) ..... 26

მედეა ნიორაძე, მანანა გაბუნია, ლამარა ნებიერიძე, ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი,  
ნინო ჯაყელი, თამარ ალაპიშვილი, გიორგი ნიორაძე

### პალეოპიოლიგია

მეოტიური საუკუნე, როგორც ფორამინიფერების ბიომრავალფეროვნების ბოლო ეტაპი პონტო-  
კასპიური რეგიონის ნეოგენურ აუზებში ..... 56

#### ლამარა მაისურაძე, კახაბერ ქოიავა

საწურბლიას მღვიმის ფრინველები ..... 65

აბესალომ ვეკუა, ოლეგ ბენდუქიძე, თენგიზ მეშველიანი,  
ნინო ჯაყელი, კარლო კალანდაძე, ნიკოლოზ ვანიშვილი

მტაცებლები დმანისის ვილაფრანკულ ფაუნაში ..... 75

#### აბესალომ ვეკუა, ოლეგ ბენდუქიძე

საწურბლიას მღვიმეში 2010 წელს მოპოვებული მასალის

პალინოლოგიური კვლევის შედეგები ..... 85

ელისო ყვავაძე, თენგიზ მეშველიანი, ნინო ჯაყელი, ინგა მარტყოფლიშვილი

პომოთერიუმის ახალი ნაშთები დმანისში ..... 101

#### გოჩა კილაძე, სოფიო კილაძე, თინათინ გოცირიძე

კავკასიის ენდემური გვარი.....	109
<b>ალექსანდრე მუსხელიშვილი</b>	
О систематической принадлежности <i>Macrocephalites tcherekensis</i> Lominadze, 1967 .....	114
<b>Тамаз Ломинадзе</b>	
К вопросу о келловейской трансгрессии в Грузии.....	118
<b>Мириан Топчишвили, Ивер Церетели, Тамаз Ломинадзе, Вахтанг Тодриა</b>	
კალოვიური ტრანსგრესიის საკითხისათვის საქართველოში.....	124
<b>მირიან თოფჩიშვილი, ივერ წერეთელი, თამაზ ლომინაძე, ვახტანგ თოდრია</b>	
The Results of Paleobotanical Investigation of the Eocene Deposits of Georgia.....	127
<b>Irina Shatilova, Nino Mchedlishvili</b>	
საქართველოს ეოცენური ნალექების პალეობოტანიკური კვლევის შედეგები .....	131
<b>ირინა შატილოვა, ნინო მჭედლიშვილი</b>	
გვარ <i>Venerupis</i> Lamarck, 1818-ის ( <i>Bivalvia: Veneridae, Tapetinae</i> ) მეოტური	
ნარმომადგენლების შესწავლისათვის.....	135
<b>ციალა ბაძოშვილი</b>	

## პოტანია

ოჯახ <i>Colchicaceae</i> -ს ნარმომადგენელთა პალინოლოგიური გამოკვლევა .....	143
<b>მარინე ბოკერია</b>	

## ზოოლოგია

A new subspecies of lichen moths ( <i>Lepidoptera, Lithosiinae</i> ) from the South Caucasus–Cerbosia	
mesomella caucasicum Didmanidze, ssp. nova .....	153
<b>Etheri Didmanidze</b>	
The steppe biome (temperate grassland) of the Caucasus, specificity of its vegetation	
and fauna, with considerable attention to psyllid (Hemiptera, Psylloidea) fauna .....	159
<b>Arnold Gegechkori</b>	

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული სამხრეთ კავკასიის ფარშავანგთვალების  
(*Lepidoptera: Saturniidae, Brahmaeidae*) ფაუნისტური მიმოხილვა ..... 166

### ეთერ დიდმანიძე, ვალერი პეტროვი

თბილისის ქვაბულის ობობების (*Arthropoda, Araneae*) ფაუნისტური მიმოხილვა ..... 182

### ვერა ფხავაძე

Faunistic List Of Bees Of Caucasus (*Hymenoptera: Apoidea, Halictidae*) ..... 226

### Izabella Skhirtladze

კავკასიის ამფიბიები: ახალი მონაცემები და ამ რეგიონის სახეობების  
ოთხენოვანი ნომენკლატურა ..... 236

ვიაჩესლავ ჩხიკვაძე, ნარგიზა ნინუა, თეკლა კვაჭაძე,  
როლანდ ტარტარაშვილი, ვერა ბოჭორიშვილი

### ქიმია

ვანის განძის ბრინჯაოს არტეფაქტების რესტავრაცია ..... 244

ნინო კალანდაძე, ნინო თავართქილაძე, თეიმურაზ ფარჯანაძე,  
მარიამ მჭედლიშვილი, ვახტანგ ხოშტარია, ნანა იმნაიშვილი

ქვათახევის ჯვარის ბიოდაზიანების გამომწვევი მიკროორგანიზმების კვლევა ..... 250

### ნათია ძიგუა

კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
ვერა ფხაკაძე, ორაკლი ხუციშვილი

Laout and Design:  
**Vera Pkhakadze, Irakli Khutsishvili**



საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
Georgian National Museum